ხონდო კუშოლავა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1985

34Гр7
399.962.1-1
Д 431

ბონდო კეშელავას წინამდებარე კრებულში იბეჭდება პოეტის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ლექსები.

ამდენად იგი ერთგვარ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს პოეტის შემოქმედებით გზაზე.

К 195.550
3

ᲐᲠᲥᲘᲕᲘ-2000
ᲓᲔᲞᲝᲖᲘᲢᲣᲠᲘᲐ

Гос. Респ. Библиотека
им. Н. Мар...

К 70402—176 / М 601(08)85 — 278—85

ზოგიერთი თავისებურება პოეტისა

მერწმუნეთ, ძნელია, ძნელი კი არა, სატანჯველია პოეტის განსხვავებული თავისებურების მიგნება...

მის ერთ ლექსს, დაწერილს 1975 წელს, ეწოდება „მიქელა". უბრალოდ, საოცრად უბრალოდ და თანაც რაღაცნაირი ეპიკური კილოთი იწყება ეს ლექსი: „მე მყავდა ერთი მეზობელი, ერქვა მიქელა". სანამ მეორე სტრიქონზე გადავიდოდეთ, წამიერად თითქოს საკმაოდ მძაფრი მოლოდინი გვებადება: მერე ლექსი უბობოქროდ მიედინება, ამბავს ამოძრავებს ზნეობრივი მოტივი:

ჩვენი ოჯახის კარგის მდომი და ახლობელი.
არ იყო მარტო... მხოლოდ თვისკენ არ მიითლიდა...
პაპა მიქელას ადიდებდა მთელი სოფელი,
სიტყვით და საქმით სანიმუშო მშრომელად თვლიდა.

შემდეგ პოეტი გვატყობინებს, რომ ღონემიხდილ მოხუცს შვილიშვილები პატივს სცემდნენ, შერჩეული ხილით უმასპინძლდებოდნენ. ეს არის და ეს. სილამაზე და პოეზია, ალბათ, ადამიანურ სითბოში უნდა მივაკვლიოთ.

მეორე ლექსი, რომელიც თავისი განსხვავებული და რაღაცნაირი ჩუმი განწყობილებით ენათესავება „მიქელას", დაწერილია 1948 წელს, მას ჰქვია „მეაბრეშუმე ცირა":

ლექსი, საკმაოდ ცინცხალი და შთამბეჭდავი პეიზაჟური ჩანახატით იწყება: ელვა, ვერხვის ცახცახი, ჭექა-ქუხილი, ციკნის კანკალი, კრუხს აცდენილი წიწილის წივილი, შხაპუნას ხმაური... თუთის ტოტებით დატვირთული მეაბრეშუმე ცირა შინისკენ გარბის... მაგრამ თვითონაც გალუმპულა და თუთის ფოთლებიც: ვეღარ გამოკვებავს ცახზე ამავალ აბრეშუმის ჭიას; გაოგნებული, გაბუტული, ჩაფიქრებული გაჰყურებს ატირებულ ბუნებას; მთელ გაზაფხულზე ნაოცნებარს ფრთა ეკვეცება, თავისი მონაგრით ვეღარ შეიძენს „ნაირ-ნაირ ჩითის კაბებს". სწუხს ქალიშვილი, წინასწარ გრძნობს, რომ ყვითელი პარკის გადასატანად მამა ურემს აღარ შეუბამს ხარებს. ცირა ატირდა, მაგრამ შერცხვა ცრემლის და ინატრა დედა, ვინც ეტყვის: „შვილო, გადაიკლის წვიმა".

თითქოს უნებლიეთ ვეზიარებით მეაბრეშუმე ქალიშვილის ლამაზ წუხილს. ეს გვაახლოებს მის ადამიანურ შინაარსთან. ადამიანთა სიახლოვე და კავშირი კი ბადებს წმინდა აზრს, უზადო სილამაზეს... და თუ პოეტის მთელ შემოქმედებით გზას თვალს გადავაყლებთ, დავინახავთ რა-

ღაც განსაკუთრებულ ლტოლვას ადამიანთა ცხოველმყოფელი კავშირისაკენ. თითქოს სწორედ ამ ადამიანურ კავშირს ელტვის პოეტი წუთიდან წუთამდე (შემთხვევით როდი ეწოდება მის ერთ ბოლოდროინდელ კრებულს „წუთიდან წუთამდე“).

მაგრამ რაღაც თალხი ჩრდილი თან სდევს პოეტის ნათელ ფიქრებს, პოეტის ნათელ სიხარულს.

სად არის ფესვი ამ დიდი საფიქრალისა?

იქნებ იქ არის, სადაც ჯერ კიდევ დიდხანს, ძალაში დარჩება ბრძენი პოეტის ნათქვამი: შორია კაცით კაცამდის (პოეტიდან პოეტამდისაც?).

რასაკვირველია, დიდად სატანჯველია სიშორე სულითა და გულითა. სადაც, პოეტის მსოფლშეგრძნებაში ჩანს ფარული წუხილი ადამიანთა მწარე ფიქრთმომგვრელი შორიშორობის გამო.

იქნებ საშველი ადამიანთა ურთიერთობის ანკარა სათავესა ანე წყაროს თვალში უნდა ვეძიოთ. ალბათ, ამიტომაც ელტვის პოეტი ცხოვრების რაღაცნაირ ჩუმსა და აუმღვრეველ ნაკადებს.

მეტწილად ქართული სოფლის ყოფა-ცხოვრება და სურათები აღელვებს შემოქმედს. სოფლის უზადო განწყობილებისა და გულალალი ფიქრების გზაკვალს მიჰყვება პოეტის წარმოსახვები.

პოეტი ყოველთვის ცდილობს უშუალო, სულიერი თრთოლვის სილამაზეს მისწვდეს. აი, ამერის ისარნაკრავი კაცის სულის თრთოლვა:

მყავდა ერთი მეზობელი,
ზრდილი მოუბარი კაცი...

. . .

შევხმატკბილდით, შეხვედრები
გვქონდა წრფელი, ძმურზე ძმური,
საბაასოდ ორთა სუფრა
იყო მართლა საამური.

. . .

დღესაც თან მსდევს მისი ერთი
თვალმილულვით ნაუბარი;
— პირველმა არ მაღირსაო
არცა ჰო და არც უარი.

პოეტური სილამაზე ჩუმ თრთოლვაში უნდა ვეძიოთ.

გულწრფელობით, გულითადობით და ერთგვარი უნაძალადევო უშუალობით კარგ გრძნობას აღვიძებს ლექსი — „გუთნისდედაო, ქართველო კაცო!“

ეს ლექსი ყურადღებას იქცევს პირდაპირი აზრით და გულითადი უბრალოებით:

გუთნისდედაო, ქართველო კაცო,
შენით ვართ, სული შენით გვიდგია,
წინ გვქონდა მუდამ გზა სამამაცო
და დღესაც შენი წვლილი დიდია.

. .

მე მიყვარს, როცა შრომით ღაღლილ
შედგები ხნულში მტკიცე, მთებური,
ყელთან პერანგის პატარა ღილი
გამშვენებს ოფლით შეყვითლებული.

დაკვირვებული თვალი, ისე როგორც პოეტის ბევრ სხვა ლექსში, ამ ლექსშიც მიაკვლევს საკმაოდ მეტყველ დეტალებს, მეტყველია თენდაც ოფლით შეყვითლებული ღილი.

მშრომელი კაცის, ერთგული მებორნის ზნეობრივი სიუხვისა და სილამაზის გამოსახვას ლამობს პოეტი თავის საკმაოდ ვრცელ სიუჟეტიან ლექსში — „მართალი ადამიანი". ამ ლექსის მხატვრული ფაქტურა კარგად ერწყმის მის თემატიკურ მოტივს. მართალი, კეთილი, უბრალო კაცი არც თუ ადვილად იკვლევს გზას ცხოვრებაში. ამიტომ ბუნებრივია საკმაოდ ძლიერი დრამატული ნაკადი ლექსის შინაარსობრივ მოძრაობაში. პოეტის მთელ შემოქმედებაში განსაკუთრებით საგრძნობია ლტოლვა ადამიანთა პირველქმნილი თუ პირველნაჟური სიწმინდისაკენ. ამდენადვე საგრძნობია მის მრავალ ლექსში მძაფრი უარყოფა, გულფიცხი გმობა აუკაცობისა, მეთაესობისა, კაცთმოძულებისა.

პატიოსანი მშრომელი ადამიანის ყოველდღიურობის პოეტურ განათებას ლამობს ნიადაგ პოეტი. ამ მხრივ მას ყოველთვის მომარჯვებული აქვს ლექსის მრავალგზის ნაცადი ფორმა. არა განსაკუთრებულ მეტაფორულ ნაგებობაში, არა განსხვავებულ ფორმალურ ნაკეთობაში, არამედ გრძნობისა და აზრის ახლებურ მოძრაობაში ცდილობს იგი თავისი სულიერი მღელვარების გამოსახვას.

ბონდო კეშელავას საკმაოდ ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მონაგარი თუ ჭირნახული საგრძნობი მოცულობისაა. ქართული პოეზიის მატიანეში ამ პოეტის ნაღვაწი თავის ადგილს დაიპერს.

სადღაც და როგორღაც პოეტის სულიერ აღლადიღებაში მისი მეგობრული კავშირებიც აზრიანად და ლაპაზად ინასკვებიან. გულწრფელი მღელვარებითა და წრფელი გრძნობით არის გამსჭვალული ლექსი „მეგობარ პოეტს", რომელიც მიძღვნილია შესანიშნავი პოეტის დავით გაჩეჩილაძისადმი, როდესაც იგი მძიმე სენით შეპყრობილი, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ეს ლექსი უეჭველად დარჩება შთაგონებულ გახსენებად ლამაზი სულის პოეტისა და ადამიანისა. ლექსში თითქოს უთქმელი სევდა ბორგავს, ამაღელვებელი ლანდები და სახეები ბორიალობენ. აქ ყველაფერი ახლობელი და ნათელია. მეგობრის ალალი გულისძგერა ხელოვნურ ზიზილპიპილებს არ საჭიროებს, გულში ჩამწვდომია სრულიად უბრალო თქმა:

მაგრამ მეგობრის და იმგვარი კარგი მეგობრის,
როგორიც შენ ხარ, ავად ყოფა — მეტად ძნელია...

არ შეიძლება არ ენდოთ ამ თითქოს სრულიად გულებრყვილო ნაოქვამს. პოეტი ცდილობს უაღრესად გულწრფელი, თავგამეტებულად მართალი და უმზაკვრო იყოს. უბრალო ადამიანურმა გულთბილობამ უნდა შეგამზადოს ხალასი გრძნობის გასაგებად:

აქ ახლა ტოტებს სიო არხევს თუ ცვარი დნება,
სულ არ მადარდებს, ეხედავ, ღამეს სინათლემ სძლია,
მე ფხიზელი ვარ, არაფერი არ მელანდება,
არ ვუპასუხო შვილთა ძახილს არ შემიძლია.

ვპოეტმანობ, დავით! ვერ ველევი, ვერა ღმერთმანი,
დღეები ჩვენი დავაშორო რომელს — რომელი,
მაინც მას ვარჩევ, როს აქ ბაღში შეეხვდეთ ერთმანეთს
ჰიათურის და რიონჰესის მაღაროელნი...

აქ შორიშორეულ ფიქრებსა და განცდებშია რაღაც ლამაზი წუხილი, გადამდები მღელვარება. ამ განცდებს აქვთ თავისი გამოუთქმელი ბიოგრაფია.

შუქ-ჩრდილების მოძრაობით ლექსი „მეგობარ პოეტს" დაგვაფიქრებს და ყოველთვის გაგვახსენებს განდიდების ყოველგვარ ეინს მოკლებულ ალალ შემოქმედს.

ამ ალალ შემოქმედს — დავით გაჩეჩილაძეს თვალსაჩინო ადგილს დაუთმობს ქართული პოეზიის მატიანე, მიუხედავად იმისა, რომ თავისივე ანდერძით იგი დაიკრძალა არა ქართველ მწერალთა პანთეონში, არამედ საყოველთაო სასაფლაოზე.

ბონდო კეშელავას ლექსი „მეგობარ პოეტს" კი ყოველთვის კრძალვით მოგვაგონებს დაუვიწყარი და გულში ჩამწედომი ლექსების ავტორს. მეგობარი მეგობარს ამდიდრებს, აუხვებს.

ბონდო კეშელავა თავგამოდებით ესწრაფვის ზნეობისა და პოეზიის, შრომისა და პოეზიის შერწყმას, შენივთებას.

პოეტს მრავალნაირად აფიქრებს ქვიშხელი მოხუცი კოლმეურნის ცხოვრების მწვავედ მიხვეულ-მოხვეული გზა. წინათ იგი საალალბედოდ ელოდა წვიმას გვალვით გადახრუკული ველებისათვის, ახლა კი ხარობს სარწყავი არხების ქსელით და საიმედო მოსავლის მოლოდინით...

თვითონ პოეტიც თავისი სულიერი განწყობილებით ენათესავება უხვმოსავლიანი მომავლის მომლოდინესა და მოიმედეს.

კარგია 70 წელს გადაცილებული პოეტის იმედიანი ცქერა მომავლისაკენ.

ლავრენტი კალანდაძე



* *

მე და სიბერე?... ჰაი დედასა,
რა ჩაუქრობელ ცეცხლში ვტრიალებ...
რას არ ვეჭიდე, რას არ ვეომე,
ყრმობა ლოდინში გავატიალე...

მაინც ბოლომდე რაც მე მიყვარდა,
მას ვემსახურე, რწმენას ვემონე...
ლექსებს ნუ სწერო მეუბნებოდნენ,
მე ისევ ლექსი გავიმეორე...

მამა მეტყოდა: — შენ კი არადა,
მან აკაკი არ გაახარაო.
არ დავუჯერე, არ გავუგონე,
ლექსები იყო ჩემი მარაო...

გულს გახურებულს ის მიგრილებდა,
ლექსით ვსუნთქავდი, ლექსით ვცხოვრობდი.
გამაღარიბა ლექსების წერამ,
ვიშიმშილე და არ ვმათხოვრობდი...

მაღაროს კლდეებს ლომით ვანგრევდი,
მიჭირდა... მაინც მხრებს არ ვიხრიდი.
ყველგან თან მახლდა მწერლის სახელის
შიში, სიფრთხილე, კდემა და რიდი.

არ შემელახა ღირსება მისი,
პოეტი ღმერთის შვილად ვიწამე...
დიდმა ილიამ მით შემაყვარა
ჩემი ქვეყანა, ჩემი მიწა მე.

მას ვუგალობე, როგორც შეეძელი,
და ვემსახურე მხოლოდ სიმართლეს.
ჩემი ხატია ჩემი სამშობლო,
ჩემი ორთავე თვალის სინათლე...

მე და სიბერე?... ჰაი დედასა,
რა ჩაუქრობელ ცეცხლში ვტრიალებ...
ვითომ ვერასგზით ვერ მოვერევი?
დამცემს, დამნაცრავს, გამატიალებს...

რა ვუყოთ მერე, მე კი არადა,
ქვეყნად ვერავინ ის ვერ მოღუნა...
მეცნიერება მას ეჭიდება,
იქნებ თქვას მასზე ძლევის ჰოპუნა...

ვერ მოვესწრები? ვნანობ... არ ვნანობ,
ჩემი წარსულის არ ვარ მძრახველი.
ბედნიერი ვარ, ბედნიერი ვარ,
რახან პოეტის შემრჩა სახელი.

1981

* *

ჩემს ღარიბ არქივს მოწყენილი ვათვალიერებ...
მოუბრუნებელ განვლილ დღეებს ფრთხილად ვეხები...
ეს ბარათები ავსებს სულის სიცარიელეს...
და შრიალებენ... შრიალებენ... როგორც ვერხვები...

სურათებიდან ხალისს მომგვრის ნაცნობთა სახე...
ვჩანვარ მათ შორის ხან მღიმარი, ხან დაღვრემილი...
ხელში არ მომხვდა... ავწრიალდი... ვძებნე ვერ ვნახე,
ფამფალეთელი მასწავლებლის კარგი წერილი...

ნეტავ თუ არის დღეს ცოცხალი დამწერი მისი,
ეს გულის ტკენა... ეს წუხილი გაიზიაროს...
...განმეორებით მან, ისევ მან გამხადოს ღირსი,
კვლავ იმ წერილის, იმ წუთების ეშხით ვიარო...

1980

გ უ ლ ს

ვატყობ, სჯობს ისევ თავს მიძალება,
განმტკიცდეს ჩემში ბრძოლის სურვილი.
გვეყო ამდენი ფერისცვალება,
იქნებ აგვიხდეს, გულო, სურვილი!..

იქნებ დრო დადგა მორჩეს წვალება,
იქნებ თენდება ნანატრი დილა.
მას ვემსახუროთ, რაც გვევალება,
ხელის ჩაქნევამ — მიგვასიკვდილა...

სასოწარკვეთა ჩვენ არ გვიხდება,
არ გვშვენის ვიყოთ თავჩაქინდრული...
უშრომლად ჭურიც არ აიხდება, —
ისევ ბრძოლა და წინსვლის წყურვილი.

1980

გ ა ს ა უ ბ რ ე ბ ა

მენშევიკების არსებობა მე კარგად მახსოვს...
წმინდა გიორგი შუბით ხელში ფულზე ეხატათ,
ოცნება იყო თეთრი პური... ტეხდნენ ახოებს,
ეანგმოდებული ეგდო ხერხი შეშის მხერხავთა.

არვის უკვირდა სანახევროდ ხალხს რომ შიოდა,
სიცოცხლისადმი სიყვარული დღით-დღე ქრებოდა,
ტყავის ძირიან ფეხსაცმელზე ვინღა ჩიოდა,
თუნუქამოკრულ ხის ქოშები გვენატრებოდა.

აჯანყდა ხალხი ჯერ აქა-იქ... მერე და მერე,
გუნდი და გუნდი ახმაურდა წითელ რაზმების,
დაუზოგავად დასცხეს, დაჰკრეს, სჭექეს, იმღერეს,
გზებს იკაფავდნენ მომავლისკენ მართალი ხმებით...

და ჰა, დღეც დადგა სამშობლოდან მათი გაქცევის,
ზოგმა იგლოვა... ზოგიერთებს კი ეცა ელდა,
ქალაქის ბაღში დაბანაკდნენ ჯარისკაცები,
ქუჩები უცებ მიყუჩდა და დაცარიელდა.

არაფრად ღირდა დარჩენილთა თოფის გავარდნა,
მძლავრი მკლავები ვერ მოღუნა უძლურთ ხრიკებმა,
თანდათანობით დაშოშმინდა ხალხი, დაწყნარდა,
ძალა-უფლება დაიმკვიდრეს ბოლშევიკებმა.

იმ ქარიშხლიან დღეებშივე მე ჩემს ოჯახში,
ბოლშევიკების თანამგრძნობი ვიყავ პირველი,
ვყალიბდებოდი იმ ქუხილში, ბათქში თუ ჯახში,
აბა რა იყო აქ ვინმესთვის გასაკვირველი.

ცხრაას ოცდასამს მივესალმე მე „გაზაფხულით“
ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ხელისუფლებას,
გავესაუბრე ფიქრებს უხმოდ, ვსთქვი განზრახული,
და გამიხარდა ლექსის ბეჭდვის მომცეს უფლება...

შვიდი ნოემბრის ზეიმის დღეს პირველად ვნახე,
სურათი მისი, ვინც ოქტომბერს წინამძღოლობდა,
სულის, გონების მის სახიდან ვიგრძენ სიახლე,
რაც მასთან ჭაბუკს სიყვარულით მაახლოებდა.

ვთესე სიკეთე... ჭირთან ბრძოლა და სათნოება,
რიდით ვურჩევდი მოწყენილებს რწმენით სიარულს,
ვებრძოლე მტკიცედ წუთისოფლის ამაოებას,
არ ვთაკილობდი თეატრებში ბოლო იარუსს.

გადავსხვაფერდი... პრესას, წიგნებს ჩავავლე ხელი,
წინ, წინ გადავდგი ნაბიჯები სწრაფი თუ ნელი,
ფიქრთა ჭიდილში გავაცილე მრავალი წელი...
და შემდეგ ლექსით, ვრცელი ლექსით მივმართე ლენინს.

1980

მოხუცი მამა

ბამბურა ძაღლის იქ ყეფა ისმის,
აქ კი გულფიცხი კვესავს ფინია...
ქუჩა ყურს უგდებს ქალწულის კისკისს,
მოხუცი ზის და მოწყენილია.

რამ დააფიქრა ეს ბერიკაცი,
რად მოიწყინა, რაშია საქმე,
მასზე წუხს, წლები ხალისს რომ აცლის,
თუ მის ცხოვრებას არავინ აქებს...

ვკითხე მეზობელს — მოხუცის ასე
დაღვრემილობის მიზეზი ეთქვა,
რად აქვს თვალები ნაღველით სავსე,
რად არ სცილდება მუდამ იმ ერთ ქვას.

ის ქვა იმ შვილის გათლილი არის
ომიდან რომ არ დაბრუნებულა,
ვერ შემოაღო ეზოს ჭიშკარი,
გაზეთებში კი ბევრჯერ ქებულა.

მგლოვიარეა მოხუცი მამა,
ფიცხი გლეხკაცი, ფიცხი მშრომელი...
ვერ გაახარა მიწამ და ცამა,
ის ალარ მოდის, მას არ მოელის...

1980

* *

ისევ მეძახის წარსული ჩემი,
მაწრიალებს და აღარ მასვენებს,
ზურგის შექცევა არა, არ მშვენის...
გავუნაპირდი ამ ხმას მას მერე,

რაც გამამწარა, დამცა, გამწირა,
მაწამა შიშმა და უძლურობამ...
ვერ გამახარა ვარდ-ყვავილობამ,
მძლია ფიქრებმა და მიმაწვინა...

კვლავ განვლილ დღეებს უნდა ვეკვეთო,
უნდა მოვსინჯო ძალ-ღონე ჩემი,
— გაიხედეო, იქით-აქითო,
ამითრთოლდება გული ამ რჩევით.

ვემორჩილები ამ გულწრფელ რჩევას,
მეყო დუმილი... მეყო ჩრდილები...
მუხლს გამიმაგრებს უღლის გაწევა,
მაცოცხლებელ ხმას ვემორჩილები...

1980

* *

გავუნაწყენდი ოჯახის წევრებს,
მარტო ვარ, მარტო... თითქოს ვისვენებ...
მომენატრება შვილიშვილები
და ხშირად წამწამს ცრემლი მისველებს...

შევცდი, მოეტყუვდი... მე მარტოობა
დავრწმუნდი, უკვე არ შემიძლია...
გულით ვეურჩე წლების სიმრავლეს,
აჩვილდა გული, ხანმა გულს სძლია...

ვერ დავისვენე... ვერ დავისვენე...
წლებზე ფიქრსა და ჩივილს ვუნდები...
მალე დავტოვებ ამ ზღვის ნაპირებს,
მალე, სულ მალე შინ დავბრუნდები.

1980

შენ მეუბნები

შენ მეუბნები: — ლექსის წერას თავი ანებე,
ვხედავ იღლები, მთელი ღამით ძილი გიფრთხება —
ის თავზე გახვევს შენ დამდაღავ ფიქრებს, ზმანებებს,
და ხელნაწერი ზოგჯერ არც კი წაიკითხება...

მესმის შენი ხმა, მესმის შენი გულისტკივილიც,
როგორ მოვიქცე, დათმობა რომ არ შემიძლია.
მისთვის კი არ ვწერ, რომ ამ ლექსით აწი წინ ვიელი, —
ჩემგან ის კმარა, წრფელი გულით რაც მიმიძღვნია —

ჩემი ქვეყნისთვის... მაგრამ მაინც რომ ვერ ვისვენებ...
ძვირფასო ჩემო! გაგონება გულისსაკლავის —
არ მინდა, არა... ეგ შენი ხმა თვალებს მისველებს...
უნდა ჩავაქრო ჩემი ლხენა... ჩემი ვარსკვლავი?..

ტყვია მესროლო, მირჩევნია, ვინემ მირჩიო:
ლექსი არ ვწერო, ლექსის წერას გადავეჩვიო...

1981

* *

დიდი ხანია ლხინის სუფრას ვუთხარ უარი,
წიგნებითა და გაზეთებით ვცდილობ გართობას.
აღარ მახარებს უწინდურად უცხო სტუმარი,
თავჩაქინდრული ხშირად, ხშირად თითქმის მარტო ვარ.

მარტო ვარ, მარტო განვლილ დღეთა ეშხით დამტკბარი,
ნდომა წინსვლისა ხან გიზგიზებს და ხან კი ქრება,

თვალებს გავახელ, აღმიტაცებს ცა, მთა და ბარი,
ო, როგორ მინდა იღუღუნოს ჩემმა ფიქრებმა...

ღუღუნი იგი სულში ჩაწვდეს ადამიანებს,
ჩემი და მათი შეხმატკბილდეს აწმყო, წარსული...
მჯერა ამ ლექსის დასასრულს არ დააზიანებს,
რომ ვთქვა: — უფალო! კვლავ აძგერე საბრალო გული!

1981

* *

შაშვი გალობს, შაშვი გალობს,
გაზაფხული მოდის,
ჩემი ატმის ყვავილები
აფეთქდება როდის...

ამ შერჩეულ ატმის კურკებს
მინახავდა დედა,
რა ხანია დედა არ მყავს,
სევდა... სევდა... სევდა...

დგას ატმები ჩემს ბაღჩაში,
მოხრილიც და სწორიც,
მე მის კვირტებს შევციცინებ...
თქორი... თქორი... თქორი...

1980

* *

„დავწვები, დამეძინება,
ცრემლი არ დამედინება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოსი
ტკბილ ძილში დამესიზმრება...“

თავს დავხრი, მოვეფერები
ანგელოსებს და ხატებსა...

არას დამაკლებს, პირიქით,
რაღაცას მომიმატებსა...

ხილვა არავის არ აწყენს
ანგელოსის და ხატისა...
მოგვაგონდება ის, როგორც
კარგი სურათი მხატვრისა.

1981

• •

ვაჟკაცი მაშინ ხარ უსათუოდ
სევდას თუ დასძლევ, თუ მოერევი.
რაღა კაცი ხარ თუკი ჩაგითრევს
დარდის ჭაობი, ჭმუნვის მორევი...

მკვირცხლად გახედე ამ წუთისოფელს,
ჭირს გაუმაგრდი, სენს გაუძელი, —
წუწუნს, ვაი-ვიშს თავი ანებე,
საქმეს, ო, საქმეს მოჰკიდე ხელი!

1981

• •

ისევ და ისევ თამბაქოს ბოლი,
ისევ და ისევ სუნთქვა თუთუნით.
ძილი არ მინდა, თუ გათენდება,
თუ მომშორდება ღამის უკუნი.

კვლავ გავიხარებ, დილის შუქში ხომ
ახმიანდება ჩვენი უბნები...
ჩავაქრობ თუთუნს და სულს მოვითქვამ
ადამიანთან გასაუბრებით.

1981

Гос. Республиканская
библиотека ГССР

* *

სადღაც შაშვი აჭახჭახდა,
სადღაც შაშვი გალობს ისე,
ახლოვდება ის წუთები
ცისკარი რომ აკისკისდეს.

აივანზე ვზივარ უხმოდ
წუხანდელი ძილგამტყდარი.
მეფერება, მახალისებს
ჩემი სულის მეგობარი.

იგალობე, იგალობე,
იგალობე, გულის ვარდო,
იქნებ მოხდეს საოცრება
ძველებურად ვინავარდო.

1980

* *

ვუვლი ბაღ-ბოსტანს, არ ვარ მოცლილი,
მახარებს ბაღჩა ჩემი თუ სხვისა,
და გასართობად იმ დალოცვილის
ერთი ტკბილი ხმა მყოფნის შაშვისა...

1980

* *

აქ, ამ ეზოში მოძრაობა და ლხენა იყო,
ბღაოდა ძროხა, ძოვდნენ ბალახს უღლად ხარები,
უხმობდნენ ხშირად მეზობლები ბაანას, ნიკოს,
დუღდა სიცოცხლე სასახელო, გასახარები.

მომრავლდა მათი ნაშიერი შვილთა-შვილებით,
ზოგმა ისწავლა, ზოგმა ურცხვად ტკეპნა შარაგზა.
იყვნენ ოჯახის მონაგარით მხრეგაშლილები...
ცხოვრებამ სწრაფად უქნარების გზები ჩარაზა.

თითო-ოროლა წინაპართა ნაკვალევს გაჰყვა,
მშობლების ხელის შეჩერებას ჯაფა არჩია...
უმრავლესობამ იყიალა აღმა და დაღმა,
შრომის სიყვარულს თაველაფდასხმამ ვერ შეაჩვია.

მოენატრებათ ეზო-კარი, ვაზი, ხნულები,
დასიცხულები ქალაქიდან აბარგდებიან.
და სოფლად სულის მოსათქმელად ჩამოსულები,
და-ძმების სუფრას უსირცხვილოდ მიუსხდებიან.

1979

* *

ცოტა ხანს, ცოტა ხანს, ცოტა ხანს
დამშვიდდი, დაუგდე სხვას ყური...
იქნებ ის მოგასმენს რამ ახალს,
იქნებ მან გაფანტოს ეს ბური.

რას კარგავ, მოსინჯე, ეცადე,
მასაც აქვს ნათქმელი, კაცია.
შორია ამ ციდან იმ ცამდე,
გზა და გზა ბურდო და ქაცვია.

შენ იმ გზებს ერთი ვერ გაკაფავ,
გიცდია, ის ცდები იკმარე.
ხელები ჩასჭიდე ამ ფაფარს,
სხვა თვალით გახედე ცისმარეს.

ირწმუნე, მარტო არ დარჩები,
შებოჭავ, აჯობებ სიბერეს...
ხმას გაგცემს ჯიხვი და არჩვები,
ეხარე, მოდექ და იმღერე.

1980

პასუხი გურამ უგრეხელიძეს

შენ მეუბნები ზარმაცი ხარო...
არა, არა ვარ ზარმაცი, ძმაო...
ლექსით მკითხველი უნდა ახარო,
უნდა დაატკბო, უნდა აამო...

ვის რაღათ უნდა დღეს წარამარა —
უნდილი ლექსი რომ მიაწოდო...
პოეტისაგან მცირედი კმარა...
ზოგი კი მისთვის იბრძვის დღე და ღამ —
უხვი პოეტის სახელი ერქვას,
და თითქოს კმარა უხვი უწოდონ...

ვინ წაიკითხავს, ან ვინ კითხულობს
გაზეთის ლექსით გაჭედილ გვერდებს...
ზარმაცს ნუ არქმევ, ვინც ლექსს არ თითხნის...
ილოცე, ძმაო, ღმერთს შეევედრე
თუ კიდევ ჩვენში არსებობს, ცოცხლობს,
და უხვ პოეტთა სიაში არ სჩანს —
ზოგი მოხუცი... ზოგი ჭაბუკი,
ძუნწ პოეტების კრებულში დარჩა...

1969

• •

გადაიდარე, ჩემო ცაო,
გადაიდარე...
ავდარს ვერ ვუძლებ,
სიხარულმა თვალი დამალა.
მომეცი ნება, რომ ვისუნთქო
სუფთა ჰაერით,
გთხოვ ნუ დამტოვებ ამ ოთახში
ლექსის ამარა...

აი, იმ მთიდან მოსხლეტილი
ჩანჩქერი რბოდა,
თმახუპუჭ მოხუცს ჩამოგავდა
მისი ჩქერები.
აგიმღვრევია დღეს ტალახით,
სავსე აქვს მკერდი,
რცხვენია ჩანჩქერს,
დასამალად მიეჩქარება.

გადაიდარე, დამანახე მე ვარსკვლავები,
მთას მიახალე ეგ ღრუბლები,
გასწმინდე არე.
მანახე მთვარე, პირტიტველა ჭაბუკს
რომ მოჰგავს...
გადაიდარე, გენაცვალე,
გადაიდარე...

1930

ამღერდი, გულო!

ამღერდი, გულო, გაიხარე, ამღერდი, გულო...
თუ ჭაბუკურად არ ფეთქავენ შენი ძარღვები.
ეს მიწა-წყალი მზის სხივებით შემოქარგული
შენი სუნთქვაა... მაშ უპოვე ლექსს გასაღები.

ნაადრევია ჯერ ხელიდან კალმის გაგდება,
ეს გაფიქრება შენ არ გშვენის, უფრო სხვისია...
რაც გვინატრია, ჯერჯერობით თუ არ გვარდება,
მხრების ჩამოყრა, გაჩუმება საძრახისია.

ამღერდი, გულო, გულო ჩემო!.. ხედავ გახშირდა
სახელოვანი ჭაბუკები, ქალიშვილები.
სასოწარკვეთა, რწმენამ, ბრძოლამ დაანახშირა,
გვალხენს, გვალაღებს, გამრჯე შვილთა წყვილთა-წყვილები.

მათ მოეფერე, მათ დროდადრო ხმა შეაწიე —
ხან სიყვარულის, ხან სიფხიზლის, ხან სიმკაცრისა...
ჯილდო შრომისა — წმინდა დროშა მაღლა აწიეს,
გულით დალოცვა გაახარებთ ბერიკაცისა.

1979

მეგობრებთან

შ. და ა. ძიძიგურებს

გადავეჩვიე სუფრის გაშლას, ლხინს, დროს ტარებას,
ხმა მეგობრების, ძმაკაცების დიდად მაკლია.
და დღეს წუთები მენატრება იმ ნეტარების,
რამაც ჩემს ყრმობას საკმეველის კვამლი აკმია...

ვეგებებოდი ალიონებს სასმისით ხელში,
შინ შემოჭრილი ცისკრის შუქი თვალს ახარებდა,
ღამენათევი ვგრილდებოდით დღის სინათლეში,
ქუჩაში გავლა გვალაღებდა, გვახარხარებდა.

ახლა კი, ახლა, ვარ ოთახში თავჩაქინდრული,
ხანმა წამართვა ქეიფის და ლხენის სურვილი,
თანდათანობით მარტოობის გუბდება წყლული,
და ხშირად, ხშირად მწარე ფიქრით ვარ დატვირთული.

მოულოდნელად გამახარა მეგობრის ლექსმა,
აეფორიაქდი, სუფრის გაშლა ისევ მომინდა.
პირველად, ძმებო, თქვენ მოგიხმეთ, თქვენ დაგიძახეთ,
თანხმობამ უცებ ფრთა შემასხა, დამაშოშმინა.

ვილხინეთ ტკბილად, მოვიგონეთ შაჰრუხი და სხვა,
ჩაგელიშვილი მოძახილში ბანს არ გაკლებდათ.
დაწეული ხმით ყველამ გვითხრა თვისი სათქმელი,
იწილ-ბიწილოთ არ ყოფილა სუფრის აკლება.

უკლებლივ ყველა ჩვენთან იყო, ვინც მოვიწვიე,
მაგრამ, ო, ერთი, ერთი მაინც არ ამცდა მარცხი,
გვაკლდა გიორგი ნატროშვილი, ჩვენი გიორგი,
დიდებული და საყვარელი ქართველი კაცი.

სამახსოვროა, სამახსოვრო, ძმებო, ის ღამე,
თქვენს მობრძანებას არ დაუსვათ თქვენ აქ წერტილი,
ტკბილი ჭუკჭუკი თქვენთან ერთად თუ მომენატრა
გთხოვთ გამახაროთ, არ დამტოვოთ გულდაწყვეტილი.

1981

საავადმყოფოში

სდგას უდარდელად ხეთა რკალში დიდი შენობა,
და იქვე მინდვრად კიპაროსი, პატარა ბაღი,
ზამთარს მოუკლავს ვარდის ბუჩქი, ბაღს რომ შვენოდა,
მაგრამ კვლავ ჰყვავის ვით აკვანში ჩაკრული ბალღი.

კიპაროსებში ჩამალული ჩიტები ყივის,
მათ გაზაფხულის მოლოდინში ყელი ატკივდათ.
შეეღერტულებენ მზიან დღეებს, ჰკორტნიან სხივებს
იშლება ბაღში გაზაფხული და რომანტიკა.

შიგ კი დარბაზში გაშლილია მწყობრად ნარები,
ნარზე დაწოლილთ შემოხედვა გულს აზიანებს.
ვინ ჩამოთვალოს თუ რა და რა წყლული აწუხებს,
ამ შენობაში შემოყვანილ ადამიანებს.

აგერ იმ ნარზე ფეხმოჭრილი ვაჟკაცი მღერის,
მღერის დათუთქულ გრძნობით, გულით, ცრემლი ერევა,
შემოგანათებს დიდრონ თვალებს, ყელს შეგაღერებს,
და გეუბნება: რომ დაჰკარგა მან ძლიერება...

ვუსმენ... შევცქერი მწუხარებით დაღალულ თვალებს,
და განკურნებულს დერეფანში რომ მოაბოტებს,
ფანჯრიდან ვხედავ ეკლის ხეზე შემომჯდარ ყვავებს
საბუდარისთვის რომ ტეხავენ ნისკარტით ტოტებს.

ვგრძნობ ფრინველიც კი ემზადება საგაზაფხულოდ,
და ასეთ დროში კედლებს შორის რა გაგაჩერებს.
გული წუხს, მაგრამ მიზანი კი მხოლოდ ერთია
განკურნებული დავუბრუნდე ველებს, ჩანჩქერებს.

და ამ ფიქრებით დატვირთული ვტოვებ მოაჯირს.
მინდა გავაქრო ჭრილობაზე სევდა, ოცნება,
რადგან ყოველდღე აქ რწმუნდები და გაჯერებენ,
ყველა წყლულები მოშუშდება და შეხორცდება.

ჩუმად ზის ნარზე თმაჭაღარა ფიქრში გართული,
რომელსაც ახსოვს ძარცვის დრო და მეფის ძაღლები,
რომელსაც ახსოვს მშრომელთ შორის ყელამართული
იანვრის თვეში სისხლის ფერი ბაირაღები.

გესაუბრება აღტაცებით წარსულ გმირობას,
რომ ის არასდროს დარდით, შიშით არ შეფოთლილა.
და საუბარში მან გზადაგზა შემატყობინა:
სახელგანთქმული დამკვრელი და გმირი ყოფილა.

ამ საუბარში მზეც ილევა და მწუხრის ბინდი,
შემოიჭრება თეთრ დარბაზში, გული ფითრდება,

მაგრამ ზაჰესი ღამის მოსელას აღარ დაუცდის
მოულოდნელად ვარსკვლავივით შემოფრინდება.

ძილის დრო მოდის, ჩააქრობენ ირგვლივ სინათლეს,
გრძელდება ღამე, ვარსკვლავები მოჩანს გუნდებად.
განთიადისას ჩვენი ქვეყნის დიდი სიმართლის
ქარხნის საყვირი გაშმაგებით აგუგუნდება.

ვინ ჩამოთვალოს ამ მშვენიერ განთიადის დროს
გულში თუ რამდენს სურვილები ჩაეხოცება,
მაგრამ საბჭოთა მედიცინას სჯერა და ამბობს:
ყველა წყლულები მოშუშდება და შეხორცდება.

1932

* *

გენატრებოდა გაზაფხულის წვიმები გრილი,
არ გიზიდავდა ხის შტოები თოვლით ნაბარდნი.
ჩია ხეები სუროებით შემოგრეხილი,
მასზე შაშვები მოხვეული, როგორც ნაბადი!

გენატრებოდა გაზაფხული, მაგრამ შენს ფაცხას
უხმოდ ტოვებდა ამ დღეების მაუწყებელი.
და ლუღლუღებდი: „აბა, ჩემთან რა უნდა მერცხალს,
რად შეიბრალებს დაწყევლილ კაცს, დაუწყევლელი“.

შხამში ჭკნებოდა შენი ყრმობა და გაზაფხული
და გძულდა გული დაძონძილი, რომ ხმაურობდა,
მას ვეღარ გრძნობდი, რომ მერცხალი თავშენახული
შენს კერიიდან აბოლებულ კვამლს გაურბოდა.

მოვიდა დრო და კოლექტიურ მინდვრებს ეკვეთე,
ვით ვარდზე ნამი შენ ჩვილ ლოყას ოფლი ფარავდა.
მოძმეთა შორის აჩახჩახდი ძლიერ ბერკეტად,
ვინც შენ შეგხუთა, მას შენი ხმა ტანში ზარავდა.

დღეს კი შენს ეზოს სულ სხვა ფერი გადასდებია,
აღარ დაგჩხავის ფრთაფარფატა — ხმაჩახლეჩილი,
შენს წარსულ სევდას სიღატაკე შეერთებია
და ღრმა ნაპრალში განისვენებს შუბლგაჩეხილი.

დასტოვე ფაცხა კვახის ლერწით შემოხლართული,
გამარჯვებული შემოქარგულ ოდას შესცქერი,
და ხედავ, ხედავ სიხარულის ფიქრში გართული: —
წინ წყალი მისდევს სილარიბეს, უკან მეწყერი!

1934

ჩონგური და განთიადი

მიყვარს ჩონგური ყრმობის დღიდან გულთან ნაჩვევი,
როცა მას ვუსმენ, მავიწყდება ირგვლივ ყოველი.
ვინც არ მიხმობდეს, არ ვუგონებ და ვეურჩები,
მინდა მით დავტკბე, რადგან მხოლოდ მისთვის მოველი.

ხშირად, ჩონგურის ნაღვლიანი ხმები მსმენია,
და უფრო მეტად საღამოჟამს, ან ღამის ბურში.
ბევრჯერ მის სიმებს ავუნთივარ, ცრემლიც მდენია
და გავხვეულვარ აუწერელ ხმის სიყვარულში.

დამვიწყებია საყვარელი კონა ლექსების,
დამვიწყებია თვით ბულბულის ხმა ჯადოსანი,
მას ტყვედ ვყოლივარ... მხოლოდ იგი მეალერსება,
ეს დაგრეხილი აბრეშუმის ძაფის მგოსანი.

იმას ვამბობდი: საღამოჟამს, დღით თუ ღამითა,
ჩონგურთან ვმჯდარვარ და მსმენია ღუღუნი მისი,
მაგრამ არ მახსოვს — დილით ადრე და ისიც ციდან
ერთი ეღარუნიც მომესმინოს ჩონგურის სიმის.

აი, გუშინწინ, როს ვარსკვლავნი თვალებს ნაბავდნენ,
და ცას ცისკარმა მკერდი თეთრად შემოუხაჯა,

როცა მზის სხივებს მთათა ბჭენი ბნელში აბამდნენ,
ხმა აღიმაღლა ლაჟვარდებში გულის მურაზმა.

მე მოვდიოდი და ჩონგურმა ჩურჩულით მითხრა:
— ჰაერში ვმღერი, სივრცეს ხატავს ვერცხლის ცისკარი.
„სი სოულ ბატა“[1], სად იჩქარი, მო, გამახარე,
და თუ გიყვარვარ, ერთი ლექსი მაინც მითხარი!

შემრცხვა, შევჩერდი, თავდახრილი ჩონგურს ვუსმენდი.
ძნელია, სატრფომ გიკიჟინოს ნდომა გულისა,
ჩონგურის რჩევას მაგიდამდე კვალდაკვალ ვსდევდი,
კალამს მივანდე გამჟღავნება სიყვარულისა.

და როცა მზემან, ვით ჩონგურის ოქროს სიმები,
გადმოაყარა სხივნი მისნი სივრცეს ლაღადა,
მაშინ მეც მქონდა გაწყობილი, როგორც სირმები,
სტრიქონი მწკრივად, და ლექსად თქვა მუნჯმა ქაღალდმა.

მადლობელი ვართ, მადლობელი, დიდო დროებავ,
რომ სილამაზეს სიტკბოება არ დააშორე,
მოყვასს ახარებ, მტერს დაუფრთხე შენ მყუდროება
და გვახალისებს, რომ ჭაობნი სიმღერით დაშრნენ.

სანატრელია, რომ ცისკართან, რომ ვარსკვლავებთან,
სივრცეში მღერის სიხარულის მტკიცე თავდები,
ყვავს ხმა ჩაუწყდა, ვერ დაგვჩხავლებს გულმოსაკლავად
და დამეგობრდნენ ჩონგური და განთიადები.

1938

---

[1] „სი სოულ ბატა“ — ცნობილი მეგრული ხალხური საჩონგურო სიმღერაა. „სი სოულ“ ნიშნავს: „შენ სად მიდიხარ“.

და თუ ვერ ვზიდე

შეჩვეული ვარ, შეჩვეული ლოდინს და თმენას,
ვით მთებს მშობლიურს, ვით მტკვარს, რიონს, ვით დედაენას,
შეჩვეული ვარ, შეჩვეული ლოდინს და თმენას,
როგორც დროდადრო ბობოქრობას, ჭმუნვას, მოწყენას...

შეჩვეული ვარ, შეჩვეული ლოდინს და თმენას,
დღეს უკვე იგი მირჩევნია ქეიფს, მოლხენას.
რა დრო გასულა, სამოცდაათს ვუახლოვდები.
და ისევ ველი, ისევ ვიცდი და ველოდები.

რას ველოდები?... სიკვდილს? არა, გწამდეთ, სათქმელი
ბევრი მაქვს კიდევ, უნდა ვწიო ტვირთი აქლემის
და თუ ვერ ვზიდე, თუ ვერ გავხდი მირონცხებული,
დავრჩები მაინც მოლოდინში დამარცხებული.

1976

მეაბრეშუმე ცირა

ამოიპარა მთიდან ღრუბელი
და წეროსავით იწყო წრიალი.
ერთთან მეორეც მიცურდა უცებ,
შეიქნა ცაში ორომტრიალი.

იელვა, ელვა გაქრა და ისევ
იელვა... ზეცას შეშხუის ვერხვი.
ცა მშვენიერი შავ ღრუბლებს ისევს,
ჭექა-ქუხილში გავარდა მეხი.

თიკანს აუტყდა შიშით კანკალი,
კრუხს აცდენილი წიწილა წივის,
სახლზე დაეცა სეტყვის მარცვალი
და ახლოვდება ხმაური წვიმის.

ნახირი უხმოდ შეყუჟდა გზაზე,
ნიავს დასძლია ქარმა და ცივა.
თუთის ტოტებით მხრებდატვირთული
სახლისკენ მირბის მშრომელი ცირა.

ფერმკრთალ სახეზე ჩამოწეწილ თმებს
წვიმის წვეთები წურწურით სცვივა.
მოღუშულ ზეცას თვალს შეანათებს,
სდუმს აივანზე ლამაზი ცირა.

ხანგრძლივი ავდრის შემდეგ არ ელის,
თუ გაახარებს მათი ჩუმი ხმა,
თუ იშრიალებს ცახზე გამსვლელი
თეთრი ჭიები აბრეშუმისა.

სოველი კაბა გულ-მკერდზე ეკვრის,
შეწყარა ბუნებას, დგას გაბუტული,
ჩაფიქრებულა, სიხარულს არ ჰგვრის
მერცხლის ბარტყების ტკბილი ჟღურტული.

ამ გაზაფხულზე ღონე და ჯანი
რასაც შესწირა და შეალია,
ნუთუ ჩელტებზე ამდენი ხანი
თავშესაქცევად უშრიალიათ?

ნუთუ არ უთხრან: „ჯანმა იდიდოს
შენმა“ — და სოფლად იყოს ნაქები,
რომ შემდეგ თავის შრომით იყიდოს
ნაირ-ნაირი ჩითის კაბები.

სწუხს უხმოდ იგი, ფიქრის ატანა
უმძიმს, ამოთქმა: „ვერ გავიხარებ?
ყვითელ პარკების გადასატანად
მამა ურემს არ შეუბამს ხარებს?!“

თქვა და შეჩერდა, ხედავს ავდრისგან
ვერვინ დაიხსნის, არვინ ჩანს მცველი.

გულზე მოაწვა ძალა დარდისა,
მაყვლის თვალებში ჩაუდგა ცრემლი.

შერცხვა ცრემლის და თავი დახარა,
არ იცვლის სამოსს, თუმც ძლიერ სცივა,
ნეტავ სად არის დედა ჭაღარა,
რომ უთხრას: — შვილო, გადიელის წვიმა.

1948

მწამს გული რწმენით ალმოდებული

სათაყვანოა წრფელი გული ადამიანის,
როცა მის ძგერას ამოძრავებს სიტყვა მზიანი,
როცა გეძახის მოძმე შენი და შველას ითხოვს,
ხმას უნდა ენდო, გულს წუთითაც არ შეეკითხო...

გული თუ ხარობს სხვისი ცუდით, სავსეა გესლით,
გამვლელ-გამომვლელს უსაფრდება, შხამს, ნაღველს ესვრის.
განა აზრი აქვს ძგერას მისას, ის რა გულია,
მასზე ამაგი, მასზე ზრუნვა დაკარგულია...

და არც ის ვარგა, იყოს დონდლო, მოდუნებული,
მწამს მტკიცე გული, რწმენის ცეცხლით ალმოდებული.
გულებმა ახლა უნდა რეკონ, როგორც ზარებმა,
ვეტრფი იმ გულებს უქნარები რომ ეზარებათ...

1976

ჯეჯილის წვიმა

ჯეჯილის წვიმას ეძახის ხალხი
შუა მაისის შხაპუნა წვიმას.
ლორთქო ფოთლიდან ხის ტოტებს დახრის,
ძირს მარგალიტის წვეთები ცვივა.

საამურია მისი ხმა მაშინ,
შორიდან როცა შეტევას იწყებს.
ერთს იშხუილებს, უცებ ფრთებს გაშლის,
მის მოსვლის წუთებს არ დაგავიწყებს.

ამ გაზაფხულზე ჭექას და ქუხილს
მოჰყვა და უხვად გადმოგვესხურა.
მცირე ხნით ირგვლივ ჩამოდგა მწუხრი,
ააწიკწიკა ხეზე ბეღურა...

გადაიკარა, მზემ აწეწილი
ღრუბლები სწრაფად გამოიარა.
წვიმით დახრილი ნორჩი ჯეჯილი
მიმოარწია კრძალვით ნიავმა.

ყლორტში ალმასობს წვიმის წვეთები,
ის უხილავად მიიწევს ცისკენ.
გაცეცებული, ყურაცქვეტილი
მზისგან მოელის გათბობას ისევ.

1953

ერთი იმღერა

ერთი იმღერა, მხოლოდ ერთი, ერთი იმღერა,
მე გალურსული ველი, ველი განმეორებას...
ვუცდი, მან ყელი არა... არა... არ მოიღერა,
კვლავ არ მაღირსა იმ გალობის განმეორება.

ნუთუ ცისკრისას ის ერთი ხმით დატკბა და მორჩა,
ნუთუ იმ ერთ ხმას გაატანა ლხენა თუ დარდი...
დაწრიალებენ ღრუბლები და ვარსკვლავი მოჩანს,
როგორც სუროში ჩამალული შაშვის ნისკარტი...

1976

ლენინი

ცხრაას ოცდაოთხს გულის ძგერა შეჩერდა შენი.
ცხრაას ოცდაოთხს დაეფინა მწუხრი მთა-ბარად.
მშრომელმა მშრომელს ჩამოართვა ხელი მოწყენით,
გაცობრიობის, ქვეყნის გული გლოვამ დაფარა.

ოქტომბრის სპეტაკ ალიონით შუქმოსილ დროშებს
შავი არშია ამძიმებდა და დაბლა ხრიდა.
გზებზე ამსხვრევდნენ ნაბიჯები ყინულის თოშებს
და სულს სუსხავდა ხმა გლოვისა ყოველი მხრიდან.

იმ დღეს მე შენზე მოვისმინე სიტყვა ქართული,
ძაძით დათალხულ ტრიბუნიდან თქმული სახალხოდ.
შენ მოდიოდი ჩვენთან ერთად ზე ამართული,
მე ვესწრაფოდი მევლო შენი სურათის ახლო...

ლენინ! მას შემდეგ ჩამოგვშორდა მრავალი წელი,
მრავალი წელი გავიარეთ ბრძოლით, ჭიდილით,
შენ ცოცხლობ ხალხში, ვერ შეგახო სიკვდილმა ხელი,
და არც არასდროს გიწერია ბრძენ კაცს სიკვდილი.

1967

უმაწვილ კაცს

შრომა, შრომა, შრომით ქროლა...
აბა, შენ რამ აგათრთოლა...
შორს ტიტინი, შიში, ძრწოლა...
ჩვენ ერთი გვყავს წინამძღოლად:
— რწმენითა და ფიცით ბრძოლა...

ყური უგდე გულის ტკივილს,
გაზეთი თუ კაცი გაცნობს...
შეუჩერდი წივილ-კივილს,
უცებ რომ არ აგიტაცოს...

ზოგის ენას თან სდევს ჯადო,
შეგაძულებს მტკვარს და რიონს...
ოქროს თუჯად გადაადნობს,
ხელს წამოჰკრავს კავკასიონს...

მხურვალე დღეს ჩრდილს ეძებდე,
შეგთავაზოს იქნებ გრილო,
შეგახვედროს მან მეძებრებს,
არ გეგონოს უგერგილო...

ამ ჯურის კაცს სჯობს უგანო,
ხელთ არ გიგდონ შურით ბრმებმა...
არ შეგბოჭოს შენ უმგვანო,
შხამით შეკრულ საუბრებმა...

1975

მართალი ადამიანი

იმ საოცნებო წუთს ვუერთდები,
უნდა გათენდეს მზიანი დილა...
ციდან არ ცვივა წვიმის წვეთები,
მაგრამ ცა ჯერაც არ მოწმენდილა;

კვლავ დასრიალებს ჭრელი ღრუბლები,
ხან იფლითება, ერთურთს შორდება,
დაფარფატებენ მოლალურები,
მზე იჭიატებს და გამოჩნდება...

ფაფარაშლილი მდინარე ბორგავს,
მნახველს აოცებს შფოთვით და რისხვით,
დროდადრო იგი დაჭრილ ლომს მოგავს,
იბრძვის და ტალღებს ღმუილით ისვრის.

— აბა, მებორნე! დასთმე კარავი,
ნუ გვალოდინებ, სწრაფად აჩქარდი!
ჩვენს გარდა მგზავრი არ ჩანს არავინ,
მცირე დრო დარჩა მზის გადახრამდი!

ის მარტო იჯდა კარჩაკეტილი,
დასჩერებოდა ნაკვერჩხალს უბრად:
— დილაც რომ იყოს, ჩემო კეთილო,
გაღმა ვერ გავალთ, — გაისაუბრა.

წამოდგა, კვამლით თვალზე მომდგარი
ცრემლები ცერით მან შეიმშრალა,
მებორნე ფრთხილი, ტკბილმოუბარი,
მხრებზე ფარაჯით გაუდგა შარას.

მგზავრებს სალამი მისცა და მშვიდად
უთხრა უარი მოკრძალებული,
გაჯიქდა, გადგა, არ შეუშინდა,
თუმც დახვდა მგზავრი მოძალებული.

— არა, ძმობილო, რაც არ იქნება,
იმას რად ითხოვ, რისთვის ირჯები,
თქვენამდე გასვლა სხვამაც ინება,
უკან გაბრუნდნენ ჩვენი ბიჭები...

თუ დამიჯერებ, ამაოდ ლამობ,
არ გაკადრებდი უარს წინარე,
უარს მრისხანე ტალღებით ამბობს
ადიდებული მღვრიე მდინარე.

— მე სათევზაოდ არ ვარ მოსული,
მღვრიეა იგი, ან თუ ანკარა, —
შესძახებს ჯონდი ნაბადმოსხმული,
— კმარა, ბორანი აუშვი ჩქარა!

ის შეიშმუშნა, შერჩა დუმილი,
დუმილმა უფრო დასწვა, დათუთქა,
უეცრად ენის მოსაბრუნებლად
ჩიბუხს მოქაჩა და ჩაისუნთქა.

დარწმუნდა, რჩევა არ სჭრის ამ კაცთან,
თვალზე აეკრა თამბაქოს ბოლი,

სისხლნაკრავ თვალით გახედა მკაცრად,
დაიხარა და ააგდო რგოლი.

სწრაფად დააკლო ორთაყვირს ხელი,
ერთი ჰკრა მტკიცედ, დასძრა ბორანი,
გზად მიმავალის გამხელებელი
მდინარის პირას ჩხავის ყორანი.

— მედგრად მოსწიეთ, ბიჭებო, მავთულს, —
ჯონდის ძახილი ტალღებს მკერდს უპობს;
მძლავრობს მდინარე, მებორნე ყვირის;
— ღერძი არ გატყდეს არ დაიღუპოთ!

სწრაფად შეიჭრნენ მდინარის გულში,
უცებ იგრგვინა ტალღამ ტიალმა,
წელგამართული ბორანი წუთში
ადგილზე ერთხანს ახეტიალა.

გაჩაღდა ბრძოლა, არცერთი მხარე
უკან არ იხევს, ყიჟინა ისმის,
უტევს ვაჟკაცებს შმაგი მდინარე,
შეგაჟრიალებს ქუხილი მისი.

მიდის წუთები, წინ ვერ იწევენ,
ხმას ვერ ძრავს ჯონდი გაფითრებული
და ზვირთებს შორის მძიმედ ირწევა
ბორანი შფოთვით შეჩერებული.

— უკან გავბრუნდეთ, ხედავ თუ არა, —
მდინარე დაგვხვდა როგორც კედელი.
ბორანს ზედ წყალმა გადაუარა,
მარცხი მოგველის აუცდენელი.

— თადა, შენ მირჩევ ყანა წყალს მივცე,
უკან ვიბრუნო ვაჟკაცმა მხარი, —
ჩაეჭდო მავთულს, ფეხებს დგამს მტკიცედ,
როგორც ალმართზე გამწევი ხარი.

— ხედავ? მავთულმა ჩახერხა ღერძი.
სიფრთხილე გვმართებს, ბრძოლა ურგია,
მდინარე ბორანს ძალუმად ებრძვის,
წყალმა ნაგები თუ დაურბია...

დავიღუპებით, დახევა გვიჯობს,
მე გირჩევ, შენ კი მიწყრები, ბიჭო!

— არა, არ მინდა რჩევა ამგვარი,
ჩასჭიდეთ მავთულს მძლავრად ხელები.
ერთი შეტევა გვინდა ამგვარი
და არა მჭახე ზღაპრის მთქმელები!

მთელი ხმით კიდევ გასძახა ერთხელ,
ჯანი და ძალა შემატა ყველას
და ტალღა ტალღას ჯახუნით ერთვის,
იღვრება ოფლი, არ არის შველა.

შხუის, ქუხს, გრგვინავს მღვრიე ზვირთები,
ვით ხევში მძაფრი ქართა ქროლანი,
ნავს ეჯახება ტალღათა მთები,
შეჩერებული იძვრის ბორანი.

იძვრის ბორანი, მაგრამ ჯერ კიდევ
ვეღარ გამართეს, ვერ ააცურეს,
უცებ მდინარე დაიღრიალებს
ისე, რომ მხეცსაც კი შეაცბუნებს.

მიმოიხედეს, ნახეს, ბორანმა
გაჰკვეთა, გასჭრა მდინარის გული,
ფრთა ფრთას შემოჰკრა შავმა ყორანმა
და მოწყდა ნაპირს აჩხავლებული.

წინ, წინ მიიწევს ბორანი, მოჩანს
ნაპირი ქაფით შეთეთრებული...
და ცის კაბადონს სულით ყოჩაღი
შესცქერის ჯონდი გაღიმებული.

უკვე მათია, ვერ გაიტაცებ
ბორანს, მდინარეე, რაც უნდ იავო,
ბრძოლით დაღლილებს და მოქანცულებს,
მიუალერსე შენ, მთის ნიავო!

•

არ ჩანს არსაით ღრუბლის ნასახი,
ნიავი ვერხვებს ეფოფინება,
მხე გადახრილი თრთოლვით, ცახცახით,
მინდვრებს შორდება, მთებს ეფინება.

მთებს ეფინება, კლდეებს, მწვერვალებს
სხივებს მიაფრქვევს და იწურება,
ცა გასარკული მალე, სულ მალე,
მიიწურება, დაიბურება.

იჩქარის ჯონდი, იქ რა დახვდება,
არ იცის, ფიქრმა შორს წაიყვანა.
მთის ნიაღვარი იქნებ გახელდა,
იქნებ წალეკა ძვირფასი ყანა.

ხომ გაუცუდდა ვაჟკაცს მარჯვენა,
შერცხვა, პირობა ვერ გაამართლა,
— ავდარო, ღმერთმა შენ შეგაჩვენა, —
წამოიძახა, წინ გაემართა...

შეჩერდა, სადაც ყანა იწყება
და როს უეცრად გადაჰკრა თვალი,
მან შეამჩნია სიმინდის წყება,
წაქცეული და ნანიაღვრალი.

თოხს დაყრდნობილი, შუბლმოღრუბლული,
იდგა ტოლებთან ერთხანს უთქმელი,
ყანა აქა-იქ წყლით ჩაჯურღმული
სამზერი იყო გულდამთუთქველი.

ღამდება, ხედავს დღეს ვერას შველის
დაზიანებულ სიმინდის ყანას...
გაიძრო წუღა და ფეხშიშველი
მოუხედავად წინ გაექანა...

ყანის შუაგულს როს მიაღწია,
წაქცეულ სიმინდს წაავლო ხელი,
ჯერ დააჩერდა, — ზე წამოწია,
შეღონდა კაცი ქედმოუხრელი...

მცირე ხანს იდგა მოწყენილ სახით,
აღარ დანებდა დარდს და აჯობა...
— ფათერაკის წინ კრთომა, ცახცახი,
მარად იყო და არის ლაჩრობა...

თუ დაზიანდა ნაყოფი მიწის,
რა მოხდა მერე, რამ დამაფეთა,
ხამი არა ვარ, ხომ კარგად ვიცი,
საქმეს ვერ შველის სასოწარკვეთა.

ასე თქვა: მაგრამ მესმის, ხმა მისი
ისე ვეღარ ეღერს, როგორც მსმენია...
თვალები თითქოს ავსია სისხლით,
ვაჟკაცს ახლა კი მოუწყენია...

— წავიდეთ, ძმებო! დღეს ვერას ვშველით,
ღამე როგორმე აქვე გავლიოთ...
გლეხკაცს დარდი და ჭმუნვა არ შვენის,
საქმეს დავადგეთ ცინცხალ ალიონს.

მიმძიმს აქ უკვე თვალის გახელა,
აღარ ჩერდება გული ბუდეში...
მაინც მაქვს რწმენა, რომ გაგვახარებს
ჩვენი ოცნება, ჩვენი ნუგეში...

1956

მაღარიას მუშას

სიყვარულით ვარ სხვებზე მდიდარი,
ვერ გაგაკვირვებ ფულით, ქონებით...
მწამს კაცი, შენებრ პირმომცინარი,
ოსტატი შრომის და გაქროლების...

საქმეს ღიღინით ხელს რომ ჩასჭიდებს,
არ ჩამოტირის ცხვირი და პირი...
არ იქექება, თუკი დაგჭირდა,
თვალს მოგანათებს, როგორც აპრილი.

1975

ტაშისკარელ მევენახეთა კარავში

ზაფხულმა უკვე მიითვალა დღეები მისი,
შემოდგომის მზე აფერადებს ბაღში ხეხილებს.
შორს, მთის კალთებზე იწეწება მსუბუქი ნისლი,
ამკობს ნაყოფი ვაზებს ლერწებგადაგრეხილებს.

თვალებს იტაცებს შეთვალული ყურძნის მარცვლები.
ჯერ მოსაწყვეტად არ სწვევია თუმც მათ არავინ.
დარს დაეშურნენ ტაშისკრელი ვაზის მცველები,
და ერთი დაკვრით მშვენიერი დადგეს კარავი.

მზე მიიმალა, მიიწურა, დაანთეს ცეცხლი,
ირგვლივ მოუსხდნენ, გაიმართა სჯა და ბაასი,
მიმოაფრქვია მთვარემ სივრცეს სხივები ვერცხლის,
გაალამაზა მთა და ბარი ისეც ლამაზი.

სახელდახელოდ იქვე ძმური სუფრა გაშალეს,
მსცოვანთაგანმა სასმისს ხელი შეავლო ნელა:
— საცაა რთველი, მეზობლებო, გვეწვევა მალე,
ბუნებას შეეთხოვ უხვ მოსავლით გვალხინოს ყველა.

მან ადღეგრძელა და დალოცა ყველა ისინი,
ვინც მათ ბაღნარებს, მათ ნათესებს არ უღალატა,
ვინც კი უვლიდა ამ ვენახებს გულის სიამით,
საერთო საქმეს წმინდა ოფლი თან გაატანა.

ყველა მიემხრო... ერთი სასმისს არ გაეკარა,
ასე დაიწყო: — გული მერჩის და არ თქმა მიმძიმს,
გთხოვთ, მომისმინოთ... ამ დღეებში შინ ვარ თუ გარეთ,
თვალში გვაკლია ყველას კაცი ძმასავით ღვიძლი.

ბევრს აღარ ძალუძს, გულწრფელობით მას დაეტოლოს,
გამოგვიცდია, ერთ ჭერქვეშაც გვქონია ბინა.
ხშირად წასულა მტკვარზე ბადით ის მისთვის მხოლოდ,
ღამით მოწყენილ ვაზის მცველებს რომ მოგველხინა.

ამ წლის დასაწყისს ჩვენთან იყო, აქ გვედგა მხარში,
დღეს ავად არის და მკურნალობს თბილისში იგი,
არვის რჩებოდა უკან ვაზის მუნაში თუ სხვლაში.
მას დღეგრძელობა აი მათთან ეკუთვნის რიგით.

ჩოგნასანთ სანდროს მოგაგონებთ ამ სიტყვით, ძმებო,
იყოს ჯანმრთელი, კაცი საქმით ალალ-მართალი.
ისევ სწვეოდეს ამ ვაზნარებს, მის საოცნებოს
და გაელიოს ჩვენთან ერთად ლხინში ზამთარი.

ამ წრფელმა სიტყვამ შეაჩერა განრისხებული
სუფრის უფროსი, გაეცალა იერი მკაცრი...
წამოიმართა... ფეხზე დადგა დაფიქრებული
და სხვებთან ერთად ადღეგრძელა მათი ძმაკაცი.

ესიამოვნათ, გაეხარდათ ეს ვაზის მცველებს,
ხმა ხმას შეუწყვეს, ყრმათაგანი აღარ ცხრებოდა.
მათ ტკბილ ჭუკჭუკში მთვარის შუქით შეეერცხლილ მტევნებს
მცირედი, მაგრამ მაინც სიტკბო ემატებოდა.

1955

გაზაფხული

საცა არის ზამთრის სუსხი მიწყდება,
მზე არ გვაკლებს უხმოდ შუქთა წყალობას...
ლორთქო ფოთლებს შეყუჟულან, იწყება
შაშვების და ბულბულების გალობა.

1975

გუთნის დედაო, ქართველო კაცო!

გუთნის დედაო, ქართველო კაცო!
შენით ვართ, სული შენით გვიდგია,
წინ გვქონდა მუდამ გზა სამამაცო
და დღესაც შენი წვლილი დიდია,

მარად შველოდა ჩვენს გადარჩენას,
ხელს რომ ვკიდებდით საქმეს პირწმინდად.
დალოცვილია შენი მარჯვენა,
კვლავ დაილოცოს ასჯერ, ის მინდა.

გაზაფხულია! შენსკენ გვაქვს თვალი,
გადი, გამართე ლაღად გუთანი.
ღირღიტას ის მხნე, გრძნობით გამთბარი,
სულში ჩამწვდომი ბანი უთხარი.

გარეკე, როგორც გჩვევია ისე,
გასძახე, გასწი მძიმე ჭაპანი.
მოძმე, მოკეთე გაახალისე
და ასახელე მამა-პაპანი.

მე მიყვარს, როცა შრომით დაღლილი
შედგები ხნულში მტკიცე, მთებური.
ყელთან პერანგის პატარა ღილი
გამშვენებს ოფლით შეყვითლებული.

1960

გული დაჰყვა მამაცთა

ექვსი შვილის დედაა,
ექვსი თვალმარგალიტის
და ჯერ კიდევ მხნედაა
ქალი სამაგალითო.

დაბაში ვინ არ იცის
მისი ალმართ-დალმართი,
ნათელს გვფენს ვით კარი ცის,
ის ნაქარგით და ნართით.

გაისარჯა და აცდა
წრიალი სხვის კარებთან,
გული დაჰყვა მამაცთა,
სევდას არ იკარებდა.

შვილიშვილებს შეჰხარის,
რძალიც ჰყავს და სიძეცა.
ჟამმა ველარ მოხარა,
შრომით გამოიძერწა...

1968

ძმა გაახარე!

მათ, ვინც ნაამაგარ ძმებს ეიწყებენ

ძმა გაახარე, ძმა დაამშვიდე,
ძმას შენზე ფიქრმა ხელი დარია.
შენზე ლოდინით ნუ დაამშიე,
მის სულში თურმე ავი დარია.

გული სტკენია, რომ არ ნახულობ,
ებრძვის ღამეებს შენს მოლოდინში.
შენზე მზრუნველი, მოჭირნახულე,
ძმა შენზე ფიქრით ჩაწვა ლოგინში.

დამივიწყაო იმ ბიჭმა — ამბობს
(სხვა რამ აუგი არ დასცდენია).
შენთან თბილისში მოსვლას ლამობდა,
რომ ვეღარ შეძლო, ცრემლი სდენია.

ძმის გულის ძგერა ნუთუ არ გესმის?!
იქნებ მგზავრობა დაგზარებია?!
ძმას რომ ივიწყებ, სხვა უკეთესი
ვინ შეგხვედრია, რა გზმანებია?!

გახსოვს? ვით ერთგულ მამას შვილისთვის,
მას რომ ჰქონოდა შენთვის ზიზია,
ზამთრის სუსხში თუ მცხუნვარ ივლისში,
ზურგით რომ საზრდო მოუზიდია.

მაგრამ არასდროს დაღლილს, დაქანცულს,
წუწუნი რაა, არ დასცდენია,
ხშირად ობლობით ფიქრში ალანძულს
თავს დაგცემია ის უთენია,

გადმოულახავს ცხრა მთა, ცხრა ველი,
შენს გასახარად, შენდა სალხენად,
თან გდევდა, როგორც მამა მფარველი,
მან გამოგზარდა კაცი ამხელა.

და ახლა, როცა თავს მოესწარი,
გზა გაიკვლიე, ის არ გეირდება,
გადაივიწყე ძმა საფიცარი,
ის შენზე ფიქრით ჯავრს ეჭიდება.

არა გრცხვენია? ძმას ნაამაგარს
ენატრები და რომ არ ნახულობ?
ღირსი არა ხარ, გაგკიცხოს მაგრად
და დაგიძახონ: თავლაფდასხმულო?!

ძმა გაახარე, ძმა დაამშვიდე,
ძმას შენზე ფიქრმა ხელი დარია,
ამოირჩიე ბორცვი სამშვილდე,
ჰო, სწრაფად ეს რა დასაზარია.

დადექ, ეშმაკებს სტყორცნე ისარი,
ისე რომ მძლავრად გაიზუზუნოს,
რომ გაამხნეო ძმა საფიცარი,
გასძახე: — მზად ვარ შენზე ვიზრუნო!

1958

ძმისადმი

იმ გზით მოვდივარ, იმ გზაზე ვარ, კეთილო ძმაო!
შენთან შეხვედრის სიხარული, რომ მიმაფრენდა...
შემოდგომაა... შემოდგომა, წყნარი, საამო,
ხეებს, ხეხილებს შესევია ღაღანი ფერთა...

ჩვეულებრივად კალათებით, ხელის ჩანთებით
არ ვზივარ ახლა მანქანაში... ხელცარიელი
ავყევი ფიქრებს... და ფანჯრიდან მზე თუ ანათებს —
სულში ღამეა... შენ არ მიცდი, შენ არ მიმელი...

არ მომაქვს შენთვის ჩურჩხელები, ხილი, მაჭარი...
და სათითაოდ დარჩეული ყურძნის მტევნები...
ვარ თავდახრილი... უხმაურო ფიქრით დამწვარი...
არც შენ, არც დედა შინ მოსულს არ მომეფერებით...

მძიმე ყოფილა უდედოდ და უძმოდ დარჩენა...
მრავალი ჭირი, განსაცდელი გამომივლია...
მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოხარა ჩემი მარჯვენა,
წუთისოფლისთვის წუწუნით არ შემიჩივლია...

უშენობა კი დღენიადაგ აღარ მასვენებს...
ვერ ვურიგდები იმ სიმართლეს შენ რომ არ მელი...
შენთან შეხვედრის ნეტარებას ვერ ვეღირსები...
არ არსებულა, ძმაო, ჩემთვის შენი შემცველელი...

1979

სურათი

გათენდება, დილის შუქი
დამამშვიდებს, დამაყუჩებს.
წუთისოფლის ტრფიალს მჩუქნის,
აჩუქურთმებს ნაცნობ ქუჩებს.

მზე ჩავა და იკუმშება
გული აფართქალებული.
შუბლნათელი იქუშება,
როგორც ბრძოლა წაგებული.

1974

ასოთამწყობებს

ისეთი გრძნობით მომინდა მოსვლა,
გული ბუდეში აღარ ეტევა...
თუ თქვენი სახე ფიქრებით მმოსავს,
ეს ხომ არაა გადამეტება.

დაგშორდებით და კვლავ თქვენთანა ვარ,
კვლავ სული ჩემი თქვენსკენ ბრუნდება,
ეს სიყვარული მანამ შეგრჩებათ,
სანამ ქვეყანა არ დადუმდება.

თქვენზე ერთი რამ მე ხშირად მესმის
და მინდა, ძმებო, ამის ნიშნება:
მკითხველთა შორის რომ ჩვენი ლექსი
პირველად მარად თქვენ წინ იშლება.

1927

იქნებ დამშვიდდი...

მოწყენილი ხარ თუ ფიქრმა გძლია,
იქნებ დამშვიდდი, ბევრად უკეთ ხარ...
დროებით მარტო მე შემიძლია
ყოფნა... თუმც შორს ვარ სიშაბუკესთან.

შენ შვილიშვილით ერთობი, ტკბები,
მე კი მაწყნარებს ლექსთან ჭიდილი...
ხან მახალისებს, ხან გავუწყრები
და მაეიწყდება მაშინ სიკვდილი...

1975

მოხუცი მასწავლებელი

მოხუცებული მოამაგე, საქმით რჩეული,
დღემდე სკოლისკენ მიილტვოდა რვეულით, წიგნით,
დღეს დაუძლურდა, რუკას, დაფას, ცარცს შეჩვეული
თვის კარ-მიდამოს იშვიათად შორდება იგი.

სამოცი წელი მოსწავლისკენ ეჭირა თვალი.
მოტყდა, მოდუნდა, მის ახლობელს ეს სევდას გვრიდა,
ურჩიეს: — წმინდად მოგიხდია ხალხის წინ ვალი,
აწ დაისვენე, შენს მეგობრებს იცოცხლო გვინდა.

წლებმა იძალა და სურვილი — იგი რომ სკოლას
კუბოს კარამდე არ გაყროდა — ვერ გაიტანა.
გადაიღალა, ფრთა შეკვეცა დღეების სრბოლამ,
დაიმორჩილა დიდი სული გულმა პატარამ...

ახლა დროდადრო ის ეზოში თოხით თუ ბარით
უახლოვდება ვენახს, ხეხილს ხალისით, ეშხით,
და საღამო ჟამს, თუკი არ ჰქრის მსუსხავი ქარი,
ის აივანზე გამოჩნდება გაზეთით ხელში.

მოულოდნელად ჭიშკრის ჭრიალს თუ მოჰკრა ყური,
დაკეცავს გაზეთს, ძირს ჩამოსწევს ფრთხილად სათვალეს,
აფუსფუსდება გაურკვეველად, გახარებული
მომავალ სტუმრებს დაკვირვებით შეათვალთვალებს.

და ის სტუმრები, გაბრწყინებულ სახით მღიმარნი,
მისი ყოფილი მოსწავლენი თუ იქნებიან,
მის აღტაცებას, მის სიხარულს არ აქვს საზღვარი,
ბევრჯერ მათ იგი ცრემლმორევით შემოხვევია.

და ასე ტკბილად, უხმაუროდ განაგრძობს სოფლად
სიცოცხლეს თვისას ღრმა მოხუცი, სულით მზიანი.
ხალხი პატივს სცემს, ის ხალხს უყვარს, თავს არ გრძნობს ობლად
საყვარელი და ღვაწლმოსილი ადამიანი.

მხოლოდ დილით კი, როს კისკისით და ჟრიამულით
სკოლისკენ ილტვის თვალცქრიალა ბავშვების წყება,
ააცახცახებს განუყრელი სევდა ფარული,
რომ მათთან ერთად აღარ მიდის... და გული წყდება.

1952

წუთიდან წუთამდე

•

დაჰკარგავ რწმენას, და არ ხარ კაცი,
არც მზე გახარებს, არც მთვარეს ეტრფი.
თვალის გახელის სურვილს აგაცლის.
ხარ წუთისოფლის კერიის ფერფლი.

აკრძალე შენში ჭმუნვისთვის მოცლა,
შხეფიც შხამია მისი ლანქერის.
სიცოცხლეს თან სდევს ხალისი, როცა
წაკარწახებულ ამკლავებს დასცქერი.

•

ჩამოთოვა, აზუზუნდა ქარი.
ვერ გაგლიჯა ჩარაზული კარი,
იწრიალა, ისუნსულა იმდენი,
შეაშფოთა სახლის ყურე-კიდენი.
თქვა: — შინ შეკრის სურვილს აბა, რა ჰქვია
და ჭრილიდან თოვლი შემოაფრქვია.

•

ისევ სოფელი. ჩაშაქრული ჩემი სოფელი,
ჩემი სისხლხორცი, ჩემგან მარად განუყოფელი.
მისი ზამთარიც მახალისებს, მკაცრი ზამთარი.
როცა ოთახი ხან ცივია, ხან კი გამთბარი.
სიცოცხლისადმი შეხარება წუთში იზრდება,
ცეცხლი ბუხარში როს გუგუნებს და გიზგიზდება,
ჯირკი-ჯირკებზე იჩინჩხლება, ერთურთს ეხლება,
დავცქერი, მართობს ყვინჯის უხმოდ დანაკვერჩხლება.

•

რა კარგია, ხეტიალით და თვალების ცეცებით
როს დავტკბები და მოღლილი მოლზე ჩავიკეცები.
ვხარობ უხმოდ, მარტო ვხარობ, ვარ და მიხარია,
გვიან ვიტყვი, — ცხადია თუ ტკბილი სიზმარია.

•

წუთისოფლად ვინც მოსულა, აქ ვინ დარჩენილა,
უბედურ კაცს მას ეტყვიან, ვინც გზას აცდენილა,
თუ სიცოცხლე გაატარე შენი ნება-ნება,
ამქვეყნიდან წასვლა მაშინ რაღად გენანება?!

1966

ქვიშხელ მოხუც კოლმეურნეს

გვალვა — ეს სიტყვა, ავი სიტყვა ხალხის მჩაგვრელი,
მოგონებებში შემაერჟოლი, მკაცრი ხმით წვიმის.
გლეხკაცი გვალვით გულდამწვარი, იყო მნატერელი
ზაფხულისა და გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმის.

შენ ცას მოწმენდილს გასცქეროდი მწყრალი თვალებით,
როცა ზაფხულის მცხუნვარე მზე აჭკნობდა ყანას.
ვერ გამშვიდებდა მთვარის შუქი, ვერც ვარსკვლავები,
კრთომით, კაშკაშით რომ ამკობდნენ ღამით ქვეყანას.

ვერ ივიწყებდი, თვალწინ გედგა მიწა დამწვარი.
მრჩენელი მიწა ბასრ თოხის პირს არ იკარებდა.
დაუმწიფებელ უსუსურ პურს ძირს ჰფენდა ქარი,
ზაფხულის გრგვინვა გამხმარ მიწას აზანზარებდა.

თუ მთის მწვერვალზე გაჩნდებოდა ნაფლეთი ღრუბლის,
მით ცის დაფარვის მოლოდინში გიძგერდა გული.
ხშირი ნაოჭით დაღარული, შეკრული შუბლით
უცდიდი წვიმას, თითქოს ოდნავ გაღიმებული.

და თუ უეცრად ქარი ღრუბლებს გარეკდა ისევ,
გადავლილ წვიმის წვეთი გაჩნდა ლოყას ვით ცრემლი,
შეაბრუნებდი უხერხულად მზით დამწვარ კისერს
და მღვრიე თვალით ახედავდი ცას აწვდილ ხელით.

და გულდაჭრილი, ბუნებისგან გაწბილებული,
იდექ, მდინარე შენს მახლობლად ქუხილით რბოდა,
მზით მოქარგული, ფრთებაყრილი, გალაღებული,
ტალღები მისი ზღვის ფსკერისაკენ მიიჩქაროდა.

ის ზღვას ერთვოდა, გვალვა ნთქავდა ყანას და ბაღნარს,
ველ-მინდვრად იდგა მტვერი, როგორც ბუღი ნაცარის,
ზღვისფერ სიმინდის შრიალსა და საამო ღაღანს
ნატრობდი, წვიმის წვრილ წვეთებზე ფიქრით დამწვარი.

ახლა, დროული, მხრებმოხრილი ჭაღარა კაცი,
ხედავ, არხიდან გადმოსული მჩქეფარე წყალი
ჩუხჩუხით მორბის, მოკისკისებს და გვალვა მკაცრი
ფრთებს ვერ შლის, მინდვრად მცხუნვარე მზის ნელდება ალი.

ეს მიხარია, მოხუცებულს არ გევალება
იშრომო მინდვრად, შერჩენილი რომ ხარჯო ჯანი.
მაგრამ ვერ იცდი, ჯაფით მოღლილ შენმა მკლავებმა
გსურს, გემსახურონ, რომ გვალვაზე იყარო ჯავრი.

მიწის წიაღი როს მოითხოვს წყლის მიშველებას,
იქ მიისწრაფვი, თოხით მხარზე, თვალებმზიანი,
რომ წელთა მიღმა გულსაკლავად დამჭკნარ ველებმა
უხვი მოსავლით გაახარონ ადამიანი.

საამო არის ხილვა შენი, მოხუცო, მაშინ,
როს თოხის წვერით გზას უკვალავ წყალს მოწიწებით,
ცდილობ ჩქერები წინ გაჭრილ კვლებს არ ასცდეს გზაში,
თოხის ტარს მტკიცედ მოჭდომია ხმელი თითები.

მზის გადახრამდე არ სცილდები საყვარელ საქმეს.
ნათელს გფენს შუბლზე ტოტებდახრილ ბალნარში გავლა,
მამაც ვაჟკაცთა გამრჯე მკლავებს ლოცავ და აქებ,
რომ შეანჯღრიეს შენი ყრმობის მჩაგვრელი გვალვა.

1953

* *

დაწკნარებულ დღეს ვერ შევესწარი,
სულ რაღაც მიჭირს, რაღაც მაწვალებს,
ვიტყვი: — მეშველა, მორჩა ეს არი
და სიხარულით გავახელ თვალებს...

მცირე ხანი და კვლავ ამეჩრება
სხვა საზრუნავი, სხვა საფიქრალი.
ვიცოდე, მე მაქვს მარტო ეს ჩვევა,
თუ ამ დღეშია ყაცი და ქალი...

1976

გაინავარდე, გულო ჩემო, გაინავარდე

გულო, ნუ კრთები, დასახარჯი დახარჯე ჯანი.
ნუ ზოგავ მაინც გაგეცლება, რაც უნდ ეფერო.
გამაგრდი... წელთა სიმრავლეზე იყარე ჯავრი,
გაინავარდე... თაკარა მზე გერჩიოს ჩეროს.

გიწვევს... გეძახის შენი ქვეყნის ყველა კუნჭული.
მიეხმატკბილე... მოიკითხე კარით-კარამდე,
დაამდი მისი სურნელებით, მზით გარუჯული,
ადამიანთა შორის, გულო, გაინავარდე...

შიშს მეოცნებე ყმაწვილკაცის, შიშს შთაგონების,
ხომ შეებრძოლე... მჭმუნვარებას ჯანი გავარდეს,
ან მარტოობა, ან წუხილი, ან დაღონება,
აბა განსჭვრიტე, რას შეგმატებს, გაინავარდე...

გასწი... დაგატკბობს საოცნებო მშობელი მხარე,
არ მოგანატრებს არც ყვავილებს, არც იებს, ვარდებს...
ნუ კრთი... ნუ იხევ... ამ ჭოჭმანის ჟამს გაიხარე,
გაინავარდე, გულო ჩემო, გაინავარდე!

1969

ბერიკაცები

მთის ფერდობზეა შეფენილი მათი სოფელი,
აქ დავაჟკაცდნენ მეზობლები ბეჩუ და გოჩა...
არც ერთი იყო თავსაყარი განძის მფლობელი,
საახალწლოდ კი გააწყობდნენ უთუოდ ხონჩას...

უყვარდათ ყოფნა ერთმანეთთან, ლხინი, ბაასი...
საერთო იყო მათთვის მუდამ კარგი სტუმარი...
ყმაწვილკაცობა, სიჭაბუკე ჰქონდათ ლამაზი,
წუთისოფლისთვის მათ არ უთქვამთ რამ სამდურავი.

ძლიერ მოხუცდნენ, ეზო-ეზო დაფამფალობენ,
ბეჩუ უეცრად ჩამონაწვეთ ცრემლს შეიმშრალებს...
გოჩა შეხედავს, მწარე ფიქრში ღრმად ჩაეფლობა...
შემორაგულში დაჩერგილი ჩალა შრიალებს...

1976

წვიმების შემდეგ

გაზაფხულია, შეგვეჩვია ხმაური წვიმის,
მრუმე ღრუბლებმა არ გვაღირსა ცა მოწმენდილი,
გავცქერი ეზოს, მენატრება მოლზე ციმციმი
ლორთქო ფოთლებით შემოსილი ხეების ჩრდილის.

ვხედავ ჯეჯილი იჩაგრება, ვერ ცქვიტა ყური,
ჩაყვითლებულა სიმინდები, აღარ ლურჯდება,
აღარც ხეხილთა შრიალია და შარიშური,
იქ ზვარში ლერწებშეფოთლილი ვაზი ყუჩდება.

მზეს ელოდება ერთი ციცქნა მტევნის ნასახი,
მას აი, ახლა, აი ახლა უნდა გათბობა,
ის თავს გვაბრალებს, იგი შველას ითხოვს ცახცახით,
მას ახლა უნდა უალერსოს დიდმა მნათობმა.

ეს მერამდენე ღამე არის, რაც ამ ფიქრებით
ვარ დატვირთული და რომ ტკბილად არ მეძინება.
წუთით ვარსკვლავი იკიაფებს და ისევ ქრება,
ისევ და ისევ ღრუბლებს შორის ჩაიძირება.

განა კაცს ქვეყნად ასე ერთი გამოქროლებით
თუ ჩაგრავს რამე, ვით წყეული უამინდობა,
სხვა ვინმეს ჩაგრავს, კაცი უხდის, შეებრძოლება,
თუკი ისურვა, თუ იკადრა, თუ მოინდომა.

მშრომელი გულით იშვიათად შეწყრება ზეცას,
მას უფრო მეტად დაულოცავს დედა-ბუნება.
მაგრამ ამ წვიმებს, წვიმებს დარი სულს გვითქვამს როცა,
ადამიანის შეუძლია დაძაბუნება.

შორს, შორს მივყევარ მე ამ ფიქრებს და ასე მჯერა,
უამინდობას სძლევს უთუოდ შთამომავლობა...
ილევა ღამე, ცისკრის ქარმა შემოუბერა,
ოდნავ მთვლემარეს შემომესმა ჩიტის გალობა.

სულის და გულის გასახარი შუქია დილის,
ცა მშვენიერი მზის ამბორით ცახცახებს, ტკბება,
ამ სილამაზეს, იმ ავდრებში ხმაჩაკმენდილი
ჩიტი-ჩიორა ტკბილზე ტკბილი ჭიკჭიკით ხვდება.

იმღერე, ჩიტო, ჭეშმარიტად გათენდა დილა,
წვიმების შემდეგ სატრფიალო, საგალობელი,
ეზო და კარი დაამშვენა ხეების ჩრდილმა,
იმღერე, ჩიტო, მცხუნვარე მზის საგალობელი.

ყოველ წუთს და წამს ემატება შნო და იერი,
ყველას, ყველაფერს მზე ახარებს, მზე ეფერება,
იმღერე, ჩიტო, უგალობე ამ დღეს მშვენიერს,
უსურვე ასე დალამება და გათენება.

1960

აქ როგორმე არ დავაღამოთ...

ამ ორწოხებში, ამ კლდეებში მზე დიდებული
როგორ ჩაღვრილა, დააკვირდით, როგორ ღაღანობს.
როგორ უხდება მთა ხეობას დაყუდებული,
ნუ შევჩერდებით, აქ როგორმე არ დავაღამოთ.

მშვენიერებით შემკობილი წმინდა ადგილი,
ღამის ბინდბუნდის ტყვეობაში არ მინდა, ვნახო.
როგორმე ჩქარა გავიაროთ, ა, ეს გზაწვრილი,
როგორმე ჩქარა წინდამხვდური კლდე გადავლახოთ.

შიში ნუ გიპყრობს, მეგობარო, მუხლის ღალატის,
გამაგრდი, გვმართებს არ გვაფრთხობდეს სიმკაცრე გზისა.
ორწოხებიდან შინ დავბრუნდეთ ფერთა ღაღადით,
ისე, რომ მხრებზე გვეფრქვეოდეს ნათელი მზისა.

1973

თოვლი და ვაზი

თვეა თითქმის, თოვს და ბარდნის,
ხან გვხიბლავს, ხან გვაბოროტებს,
აქ წვერი სჩანს ზვარში ხარდნის,
იქ კი აჩუქურთმებს ტოტებს.

ისე თოვს და ისე ბარდნის,
თოფს დავავლე სწრაფად ხელი.
სანადიროდ გადავარდნილს,
მივალ, მიმაქვს გული ცხელი.

მთის ქარბუქი მეხვევა გარს,
მსუსხავს, ოდნავ შემაციებს,
დათოვლილი ხეები ჰგავს
აყვავებულ აკაციებს.

ვერ გავმართე თოვლში მუხლი,
ტყეში შეჭრა არ ხერხდება,
აქ კი თოვლის ახალუხით
შემკობილი ნაძვი მხვდება.

თითქოს ასე ნაჩვევია?
ისე კარგად ჩაუცვამს რომ,
მას ვუცქირო მირჩევნია,
ვინემ ნადირს ჩავესაფრო.

უმალ გამკრა გარინდებამ,
ჰქრება ლხენა ჩემი წილი
და მე თვალწინ დამიდგება
ვაზი თოვლში ჩაწოლილი.

ნაფერებ ვაზს მკერდზე აწევს
თოვლის მთა და მთაგრეხილი,
ლამაზ ლერწებს ვეღარ არწევს,
იქნებ ტირის გატეხილი.

ცა საცაა აცელქდება,
ჯანღს გადიყრის გაზაფხული,
რტოზე კვირტი აფეთქდება
მგალობლების ჟრიამულით.

მივა ვაზთან მეღვინახე,
ლერწს წამოსწევს განაბული.
სამამულეს რომ ვერ ნახავს,
ატკივდება ბეჩავს გული.

განა ერთხელ იგი მაშინ
შეკრთება და გაფითრდება?!
როცა ჩამოიღლის ზვარში,
წყენის წყენა დაერთვება.

ვაზზე ფიქრით არასოდეს
ღამე თუ არ გითევია,
თუკი იმის საალერსოდ
არ ამდგარხარ უთენია,

ეხ, რა იცი რა მწარეა
მისი მწკრივის გამეჩხრება,
როცა ეხლიჩება ლერწი,
სამამულე რქაც არ რჩება...

დგას საბრალო გადასხლული,
ტირის, ტირის, ცრემლად დნება,
მის ირგვლივ სხვა ასი ხარობს,
ის მაინც არ გავიწყდება.

ცხადი გახდა თოვლის მტრობა,
ვერც ვერსაგზით გაიბრძოლებ...
მწარე ფიქრთა გასაქრობად
თოფი მძლავრად გავისროლე...

·1960

ძაგეგის ოსტატი

ერთი შეხედვით სახე აქვს კაცის,
თუმც გარეგნობით არვის იტაცებს...
შეგეჩეხება რყევით, ბარბაცით,
გაძულებს ყოფნას დედამიწაზე...

ეტყვი: — რას მერჩი, მომეშვი, წადი,
შენ შენი გზა გაქვს, მე კიდევ ჩემი...
არ მოგცილდება, ისრულებს წადილს,
ტკბება, სულს ითქვამს, უცვლელი ჩვევით.

იგრძნობს შორდები, მაშინ ახლობელს
წვდება შენსას და ჭორით ღდინს აცლის...
...ღმერთო, რად აჩენ ამგვარ „მგალობელს“,
ან გარდაქმენი ასეთი კაცი...

1975

წვიმიანი შემოდგომა

წვიმით დაიწყო ეს სექტემბერი
და ისევ ქარსხმით გათენდა დილა.
მთას მოსავს მწუხრი ცით მონაბერი,
ჰაერში ჩიტიც არ აფრენილა.

სახლიდან მინდვრად გასვლა არ მინდა,
ოთახში ყოფნით გული მძიმდება.
ფიქრები სალი, სათნო და წმინდა,
წუთიდან წუთში გაგიფრინდება.

უმწიკვლო ოფლით მორწყული ზვარი,
ყანა, ხეხილი უხვად მოსხმული,
რომ ისუსხება წვიმით და ქარით;
გერევა ბრაზი ყელში მოსული.

სამტროდ მოსეულ ღრუბლებს, იცი, რომ
ვერ გადენიან მეველეები,

სხვა ათასი რამ რომ იოცნებო,
უმწიფარ ნაყოფს რით ეშველები.

თუ არ იდარა, თუკი როგორმე
არ მოირეცხა ღრუბელმა გული,
ვერ მოისვენებ და იწრიალებ,
უწყვეტი წვიმით შეშფოთებული.

გაწვალებს, გწიწკნის, გაბამს და გტანჯავს,
ამ თვეს თუ შერჩა ამინდი მკაცრი,
როცა საეჭვო გახდება გარჯა,
გარჯა მშრომელი ქალის და კაცის.

მეწადა მზისთვის აუგი მეთქვა,
მაგრამ ვერ ვკადრე მზეს სამდურავი.
უცებ ჩავიცვი საავდრო ჩექმა
და შევიხვიე ბაშლიყით თავი.

ჩაფიქრებული ზეცას გავცქერი
და მენატრება დარზე დარები,
ღმუის, ღრიალებს მღვრიე ჩანჩქერი,
მე მზეს ეზოდან ვემუდარები:

— ჯერ შემოდგომა ისევ წინ არი,
მზეო, მოგვალხენს შენი მშვენება,
ნუ გაგვიძვირდი შუქმომცინარი,
ახლა სჭირია ხალხს მიშველება.

1956

თუ გწამს, თუ გიყვარს წუთისოფელი

წუთისოფელი, მშვენიერი წუთისოფელი,
ფიქრის, ოცნების და ცრემლების არგამყოფელი.

ჭირისუფალი, ნუგეშმცემი ბედზე შემწყრალის,
გამჩენი მრავალ მგალობელის, ჩვენი მერცხალის.

მჯერა, გამრჯე კაცს, გასაჭირთან წლებიდან-წლობით
შვებაც უგრძვნია წუთისოფლის უბის წყალობით...

ვხედავ, გზადაგზა მოძრავ მძორთა ხორხოცებს წყება,
შემშფოთებელი სისაძაგლე მათგან იწყება...

მათი პირმშოა, მხრებაყრილი, ბოხი ხმიანი,
იფერებს სახელს თვალსაჩინო ადამიანის.

დაიზლაზნება, დიდს, პატარას ქირქილით ხვდება,
სურს, ყველაფერი გაამასხროს, თუ უხერხდება.

არის, არ არის საღიმილო, გთავაზობს ღიმილს,
თავს ამა სოფლის სატკივარზე წუთით არ იღლის...

ერისკაცებო!.. მსგავსის-მსგავსი სწრაფად მრავლდება.
რომ არ წაბაძონ ამ საზიზღრებს ახალგაზრდებმა,

დასცხეთ, დაარტყით, შეარცხვინეთ, არ შეარჩინოთ!
ცოდვა არ არის, ის მშრომელის ოფლმა არჩინოს?

ეცადეთ ჩვენი ნუგეში და დამატკბობელი,
არ წაგვიბილწონ, მშვენიერი წუთისოფელი!..

1970

სამშობლოს შევარდნებს

ჩემი გული, ლექსის ბუდე,
ამღერდა და თქვენსკენ იწევს,
გადალახა რითმის ზღუდე,
სტრიქონებით დაიფიცებს,
რომ სარჩულად სიხარულის
მას გმირობა თქვენი უდევს.

ჩემი გული, ლექსის ბუდე,
ახლა თუ არ აღიღინდა,

სჯობია, რომ სულ დადუმდეს,
აბა, გული მე რად მინდა!
როს განიცდის ის სიხარულს,
მან თუ არ სთქვა ლექსი წმინდა!

ჰოდა, დებო! მეც ავმღერდი,
მენაც მერჩის ახლა გული,
როს თქვენ ცაში ლაღად ფრენდით,
ჩვენში დარჩა სიყვარული.
დღესაც ღელავს ცის ლაჟვარდი
თქვენი ფრთებით გაღარული.

გაიმარჯვეთ, გაღმა დარჩა
ცის ტატნობი ფრთაგაკრული.
აქ შეგხვდებათ ხალხის გული
განახარი, განაოცი,
მგოსნები კი სიყვარულით
სიმღერებით გადაგკოცნით!
ჩაგიხუტებთ თქვენ ის მხარე,
ვინაც გშობათ, ვინაც გზარდათ,
თქვენ სამშობლო გაახარეთ —
გაიშალეთ გულის ვარდად!
მოხვალთ, ერთხმად შემოგძახებთ:
თქვენი მოსვლა გაგვიხარდა!

1940

მჯერა აპრილს მოვესწრები

საყვარელო გაზაფხულო, შრომის გაზაფხულო,
ჯერჯერობით, იავ ჩემო, თოვლში ჩამარხულო,
თქვენი ხილვა მომენატრა, თქვენთან საუბარი,
როდის, როდის დამშვენდება თქვენით მთა და ბარი.

სულწასული კაცი არ ვარ, იქნებ ცოტა ჩქარი,
ამიტაცებს, რომ შემომკრავს მარტის ნიავქარი.
მჯერა აპრილს მოვესწრები, ეს უთუოდ მჯერა,
შეხარება გაზაფხულის არ ჩამქრალა ჯერაც.

1975

ილიჩის შეხვედრა მოხუც კაზაკთან

1920 წელს მდინარე ირტიშზე გემით მოგზაურობისას გემბანზე ა. შოტმანი გამოესაუბრა 75 წლის მოხუც კაზაკს ილია დანიელის ძე პუტინცევს, რომლის ოცნება იყო ენახა ხალხის მხსნელი ვ. ი. ლენინი.

შოტმანმა მოხუცი კაზაკი ლენინს შეახვედრა.

I

წელში მოხრილ მოხუც კაზაკს
არ შორდება ერთი ფიქრი.
გემბანზეა და გემი კი
მიბუბუნებს, ლაღად მიჰქრის.

მიჰქრის გემი, მოხუცს ფიქრი
ხშირად უცვლის ხმას და კილოს.
რა ქნას მაშინ, როს არ იცის
ფიქრი მან ვის გაუმხილოს.

ლამის იგი დარდად იქცეს,
თანაც შიშობს თქმა გაბედოს.
უცნაურად ჩაცმულს, თავზე
დაპმუპნული ქუდი ედო.

მიუახლოვდა შოტმანი,
ჰკითხა წარსულის ამბები,
მათ თურმე მედგრად დაჰქონდათ
ოქტომბრის ბაირაღები.

მტრებს თავზარს სცემდნენ ყიჟინით
კაზაკნი მხრებგაშლილები.
მოხუცთან ერთად იბრძოდნენ
შვილი და შვილიშვილები.

და იმ დღეებზე მათ შორის
გემბანზე ბევრი რამ ითქვა.
თანამოაზრე რომ შეხვდა,
კაზაკმა სული მოითქვა.

შემოინახა სათუთად
მან თავის გულის წყურვილი.
საუბრის ბოლოს გაანდო
ამხანაგ შოტმანს სურვილი:

— მოვხუცდი, მრავალ ჭირნახულს
დიდ ხნის სიცოცხლე არა მაქვს.
გულით კი მინდა მოვესწრო
ჩვენი ნაშრომის ბარაქას.

ხანს თვისი მიაქვს — ჯანს მაცლის,
ვხედავ დღითი დღე ვდუნდები.
ერთით კი ბედნიერი ვარ,
რომ ვნახე მსხვრევა ხუნდების.

მაგრამ ის კაცი, ვინაც ჩვენ
ეს განთიადი გვაღირსა,
და აგვიხდინა ოცნება,
იმ ბნელი შუაღამისა, —

მინდა მის ნახვას შევესწრო,
მასთან საუბრით ვიამო.
ოცნებას ფრთები შევასხა
და დარდი გავანიავო. —

თქვა და მოხუცმა კაზაკმა
თავი ნელ-ნელა დახარა,

მკერდზე საამოდ ეფინა
წვერი არც ისე ჭაღარა.

შეჩერდა მოპირდაპირე,
ირტიშის ტალღებს გახედა.
და მოსაუბრე კი მისკენ
თვალებს დარცხვენით ახელდა.

თითქოსდა მისგან იმ იმედს
ელოდა და არც ელოდა,
ჩაწურულიყო მზე, მაგრამ
ჯერ არცთუ ისე ბნელოდა.

გატრუნულია კაზაკი,
კრინტს ვერ ძრავს და იმორცხვება.
— მე აგისრულებ, მოხუცო, —
გულის წადილს და ოცნებას. —

უთხრა შოტმანმა, სიხარულს
მისას საზღვარი არ ჰქონდა.
გემი კი ისევ და ისევ
შეუსვენებლად მიჰქროდა.

II

ლენინთან არი შოტმანი,
ციმბირზე ესაუბრება.
საუბრის ბოლოს ილიჩს სთხოვს
მოხუც კაზაკის მიღებას.

მისცა თანხმობა და უმალ
კარები ფრთხილად იღება,
შემოდის იგი და ლენინს
ალერსით გაეღიმება.

უეცრად ისე დაიბნა,
არც კი იცოდა რა სჭირდა.

მიუახლოვდა ლენინი,
ხელში ხელები ჩასჭიდა.

მამის სახელით მიმართა,
მხარზე მოხვია მკლავები.
თურმე ილიჩი ყოფილა
ძმასავით მისაკარები.

ასე გულღიად რომ შეხვდა,
ისიც არ დარჩა უბირი.
უთხრა: — კეთილო მოღვაწევ,
მდაბლად თავს გიხრის ციმბირი.

ცდილობს ყოველი სიტყვით მან
სათქმელი გაალამაზოს.
ლენინის კითხვებს გულდაგულ
პასუხს თამამად თავაზობს.

ნაამაგარი მოხუცი
ნაკლის თქმა არ ერიდება
ლენინი შველას აღუთქვამს,
თვალები გაუბრწყინდება.

ჰა, უნდა შეწყდეს ბაასი,
განშორების წუთს რომ ელის.
ლენინს სთხოვს: — ნება მოგვეცი,
ცოცხალს დაგიდგათ იქ ძეგლი,

სად ციმბირელებს მრავალი
ბრძოლები გვიტარებია
და დღეს, კეთილო მოღვაწევ,
სიცოცხლე გაგვხარებია.

მოხუცის გაწბილებაზე
ლენინს თუმც გული წყდებოდა,
— არ გინდათ, არა, — ღიმილით
ილიჩი ეხვეწებოდა.

კაზაკი შედგა, შეჩერდა,
განმეორება არ ჰკადრა,
თვალები აუთამაშდა
და სახე გადაებადრა.

— აბა, რომ მოგვცე ნებართვა,
მგონი არ შემრცხვეს გამხელის,
საბავშვო ბაღი მოვაწყოთ,
დავარქვათ თქვენი სახელი.

მან უპასუხა: — კარგია,
ეს კარგი საქმე იქნება. —
და გაიტაცა ლენინი
უცებ ბავშვებზე ფიქრებმა.

1960

კოლმეურნეებს

წუთისოფლიდან ტკბობა იქნებ ცოტა მიმყვება,
მაინც არა ვარ უმადური ჩემი ბედისა...
მჯერა განცხრომის მძებნელი რომ სულით ირყვნება,
თუმც არც ის გვარგებს, ყოფა ჰგავდეს წვას აბედისას...

გლეხკაცი მუდამ ამაყობდა ალალი შრომით,
დღეს თქვენ ნუგეშად არ გყავთ მარტო ხარი საგუთნე...
სალახანებს და მუქთახორებს გმობა და წყრომა,
თქვენ, თქვენი წილი სიხარული დაისაკუთრეთ...

1975

გართობა მინდვრად

მაისი იყო, ჯონდისთან ერთად
მე ლელო-ბურთის თამაშს ვუმზერდი.
შეიკრა გული და შეუერთდა
უეცრად ერთურთს მრავალი მკერდი.

არის ყიჟინა, ღელვა, ხმაური,
დასტვენას მოჰყვა გახტომა წრიდან.
ატყდა მდევართა აურზაური
და გზები შეჰკრეს ყოველი მხრიდან.

თავგანწირული გარბის ყმაწვილი,
მკერდში ძალუმად ბურთჩაბღუჯული,
ფეხდაფეხშუა ქარი გასწივის
და თითქოს ესმის სატრფოს ჩურჩული:

— გასწი! არ შედრკე, არ შეუშინდე,
„მტერმა“ მოგისწრო, ბიჭო, მარცხნივო,
შენ გაიმარჯვე, მეც დამამშვიდე,
შენი ჭირიმე, არ შემარცხვინო...

ხალხმა ატეხა ჩოჩქოლი, სტვენა,
ჩამორჩენილთა ყვირილი ისმის.
უახლოვდება ჭაბუკებს ლხენა,
მთაზე რძისფერი სრიალებს ნისლი.

ჰა, კიდევ ერთი გარბენა დარჩა,
შავთვალას მკერდი და ბაგე უთრთის,
მდინარის პირას აფრინდა ყანჩა
და გაიტანა ჯეელმა ბურთი.

დამარცხებულნი შედგნენ, შეჩერდნენ,
ერთურთთან მწარე გაკამათებით
და დარცხვენილნი ოფლს იმშრალებდნენ
ახალუხით და ჩოხის კალთებით.

დაანთეს მინდვრად პატარა ცეცხლი,
მე ჯონდის ტკბილად ვესაუბრები.
დაირის რკალზე ეღარუნებს ვერცხლის
ჟამგადასული უზალთუნები...

წრე შეჰკრეს, მზიამ დაჰკრა დაირას,
ააბრიალა მაყვლის თვალები.

— ნელა დაუკარ, გოგო, ჩქარია!..
— არა, არ მიყვარს მე ნაწვალები
ლხენა, დავლური, თუ დროს ტარება,
უნდა ვიხარო, როს მეხარება...

და უფრო მძაფრად შემოჰკრა ხელი,
აათამაშა მოგრძო თითები.
— არ გირჩევნია იყო პირველი?
გადი, გაბედე, ნუ იმალები!

უთხრეს და ტოლებს დაშორდა ერთი,
მორცხვად ასწია ორივე მკლავი,
ცახცახებს მისი ავსილი მკერდი,
გაირბინა და დახარა თავი.

თვალი თვალს მოხვდა, გაფიცხდა ვაჟი,
გოგო შორს უვლის არ ეკარება.
სჭექს სიმღერა და გახურდა ტაში,
და წრეს დაეტყო აზანზარება.

ისევ გაუსხლტა ვაჟს და წინ მიდის
გოგონა ლაღად, წყვილსა ცვლის წყვილი.
მინდვრად გაისმა ხმელი სიმინდით
გახურებული ცხენთა ჭიხვინი...

1956

სათემოს უბანი

სათემოს უბანი, პატარა უბანი,
ბარდუბნის კუთხეში განთქმული უბანი,
მით იყო ცნობილი პაპა-ბაბათანი,
არ იყო მოსახლე — მოსახლის უბარი.

აქ ედგათ ოდები, ფიცრული ოდები,
ლამაზი ოდები ტოლ-ამხანაგური,
დაძველდნენ, გახშირდა გემების ოდენი
მაღალი სახლები ქვისა და აგურის.

შენდება, მშვენდება უბანი განთქმული.
მამები მოხუცდნენ, ძე შინ არ ჩერდება.
დგანან ეს სახლები მყუდროში ჩანთქმულნი,
დაღლილი მშობელი ლოდინში ბერდება.

ნატრული შვილების და შვილიშვილების
ჭალარა დედები ჭიშკრებს გასცქერიან.
უნდათ ჩაიხუტონ ფუნჩულა ჩვილები
მკერდში და გულის დარდს ზარის ხმით მღერიან.

სოფელი დატოვეს, ქალაქში დასახლდნენ,
მშობლიურ ეზო-კარს იქ ყოფნა არჩიეს...
ბევრ მათგანს გაქცევა აუხდენს ასახდენს,
ზოგ-ზოგნი დღესაც კი აწუხებს მარჩიელს.

1974

ახლა რუსთავში მუშაობს იგი

მისაუბრია მე მასთან ხშირად,
ბევრჯერ ყანიდან მოსულა ჩემთან
და მის გულითად სიცილს ნიშნავდა,
კბილებს რომ თეთრად გამოაჩენდა.

მას ერქვა სოფლად მართალი კაცი
და იყო ალალ შრომით განთქმული,
ახალ ხუთწლედში, რუსთავში როცა
დაიწყეს დიდი საქმე ქართული...

მან იქ პირველმა ისურვა წასვლა
და საფიქრალი ისღა რჩებოდა,
რომ საქართველოს ახალ ხერხემალს
მისი ძალ-ღონე შემატებოდა.

წავიდა შემდეგ არ შემხვედრია
და დღეს უეცრად ქუჩაში ვნახე.
მე კოლმეურნე გლეხი მახსოვდა,
მაკვირვებს მისი მუშური სახე...

ის გამოცვლილა და სულ სხვა კაცი
დგას ჩემთან ახლა ძარღვიან ხელით
და საოცნებო სურათს მიხატავს
სოფლის ცხოვრების უბრალო მთქმელი.

ვესაუბრები და მის მაჯაზე
ითვლის საათი წკარუნით წუთებს
მას გაზეთები უპირავს ხელში,
ჯიბიდან უჩანს სათვალის ბუდე.

და ყღერს საამოდ სიტყვები მისი,
როგორც ჩიტების ყივილ-ხივილი,
შეხედავს ზეცას და მოერევა
ჩვეულებრივი სათნო ღიმილი.

1952

•

ვინც კი ხუცდება, ვერ აცდება დაუძლურებას,
დაცაცხანებაც ეზარება და შეძახილიც.
კრიალაც იყოს ცა — გახედავს დაიბურება,
თვალს არ შორდება გრიგალისგან ხე გადახრილი.

ფართხალებს გული მკერდში, როგორც ჩიტი მახეში
და ერთი ფიქრი ხან ებრძვის და ხან კი აჯავრებს.
წუთისოფლიდან სჯობდა წასვლა სიჟარმაგეში,
თუ სჯობს მოხუცის აქ ჩანჩალი, თავს ვერ აჯერებს...

1976

ბაბუაკი მევენახის სიმღერა

ვაზო, იხარე, მახარე,
ხლართე ხარდანი ლერწებით.
ჯერ პატარა ხარ, ჩვილი ხარ,
დრო მოვა დაიძერწები.

ნუ გეშინია, მოგიელი,
აღარ დაგტოვებ უძლურსა.
მზე შუქით მოგეფერება,
მიწა გაწოვებს ძუძუსა.

ცა ცვარს გაპკურებს, დაგნამავს,
ნუ კრთი, ფოთლებს არ წაგიხდენ.
წელს ვერა, მაგრამ გაისად,
ვფიქრობ და უნდა ამიხდეს:

შენს კელებში ჩავდგა გოდრები,
ჩემი მარჯვენით დაწნული
და ვაშუშხუნო ჭიქებში
შენი მტევნების ნაწური.

გავძახო უფროს მეზობლებს:
— მოდით, ჭაშნიკი იამეთ,
ჭაბუკი მევენახე ვარ,
დამლოცეთ, გამეხმიანეთ.

დამლოცეთ, მისთვის ვოცნებობ,
ვამრავლო ვაზის ნერგები.
თქვენს რჩევას ფრთხილად მოვუსმენ.
გულღიად შევეგებები.

1955

ბარათი მეგობარს

დიდი ხანია ჩემი გიგა მე არ მინახავს,
მომენატრა და მასთან ძმური ბაასი მინდა,
შეხვედრებს ჩვენსას დღემდე გულში ფრთხილად ვინახავ,
გვისაუბრია ჩვენ წისქვილში, სახლში თუ მინდვრად...

ის არის ორი მუნჯი შვილის აღმზრდელი მამა,
ეს დიდი სევდა თან სდევს მარად, მარად და მარად...
თავდახრით უთქვამს: — გამიმეტა ღმერთმაც და ცამაც,
სიცოცხლე ჩემი უსასრულო წუხილს ჩაბარდა...

ერთმა მეტყველმა ქალიშვილმა და სამმა კიდევ
შვილიშვილებმა გამოსტაცეს უძილო ღამეს...
სადაც არ იყოს, ვენახს სხლავდეს, თესდეს თუ მკიდეს,
მხრებჩამოყრილი საცოდავად კი არ ღანღალებს, —

მედგრად აბიჯებს, სძულს წუწუნი, ამხნევებს შრომა,
მტერია, მტერი ნაარმალის და დაფარულის...
ამაღლებული ხმითაც ერჩის ძახილი, წყრომა,
ნაამაგარის ფასიც იცის და სიყვარულიც...

*

ჩემო კეთილო მეგობარო! მოკლედ აქ მკითხველს,
ვუამბე შენი ვინაობა და გულის დარდიც...
ნება მომეცი, აწ გზადაგზა ზოგი რამ გკითხო,
იყოს ბარათი წმინდა, როგორც კუკური ვარდის...

გიგა, ძვირფასო! ნეტა როგორ გამოიზამთრეთ...
ჩვენი ტერეზა როგორ ცხოვრობს, მინდა, ვიცოდე...
ის მარტოხელა ხშირად ალბათ ღამეებს ათევს,
მას ჩვენზე უფრო ვინ გაუგებს, ვინ შეიცოდებს...

მარად დარჩება ტაშისკრელთა ფიქრების ახლოს,
მისი ამაგი, მისი წრფელი, წმინდა წარსული...
ჯერ კიდევ დიდხანს, დიდხანს იგი აღარ გვენახოს
დაღვრემილ სახით, წელმოხრილი და მოქანცული...

სიკეთეს თქვენსას გავიხსენებ... ვხარობ, ვღონდები,
წამოსვლა ჩემი თუმც არ იყო სულ უმიზეზო,
რაღა დავფიცო, ცრემლმორევით მომაგონდება,
ჩემი ვენახი, ჩემი ოფლით მორწყული ეზო...

სარწმუნოდ მითხრეს: — ტასოს ოჯახს შემწყრალხარ თურმე,
რად გაიმეტე ის დაძმური სული და გული...
იქნებ თქვენს შორის შურით ვინმე წყალს ამღვრევს, ურევს
და მით სულდგმულობს დარჩეთ ასე დაუბრებული...

უერთმანეთოდ ჩვენ ვერ ვძლებდით, თოვდა, არ თოვდა,
შევყუჟებივართ მათ აივანს წვიმაში, თქორშიც...
წყრომის დროს იქნებ გული შენი ძალუმად თრთოდა,
გული, რომელსაც მე ვერასდროს გავცვლი ოქროში...

მჯერა ასევე ისინიც ვერ შეგელევიან...
მიკვირს რა მოხდა, შენ მათ როგორ გაუნაპირდი,
მწამს იმ ოჯახში სიყვარულით კვლავ მიგელიან,
სად წრფელი გულით, წმინდა სულით ხშირად თავს ხრიდი...

რასა იქს სანდრა... „ქალაქელის" ხმა მესმის თითქოს,
ბევრი სხვაც მინდა, აქ ვახსენო, არ დაწყდეთ გული...
მათი ხსენებით, ჩემო გიგა, ჩემს ჯავრსაც ვიქრობ,
მაგრამ ახლა აქ სხვა ფიქრით ვარ ჩაჩუმებული.

იმ დალოცვილი მეზობლების ხშირად ხსენებას,
ვერ იტანს ლექსი, რაც უნდ ძლიერ გული მწყდებოდეს,
მოგონებები ხან ცოცხლდება, ხან იქსელება,
მიპყრობს სურვილი თბილი სიტყვით ყველას ვწვდებოდე...

მაგრამ მკითხველი გაოცდება, იტყვის რა მოხდა,
ნუთუ ერთ ლექსში შეიძლება ყველა ახსენო...
მას აქვს უფლება გამიფიცხდეს, წყრომაც აღმოხდეს,
მე კი ვალი მდევს ვიყო ფხიზლად, ის შევასვენო...

თქვენს მაჯისცემას გამძლეობა ჰქონდეს ურთხმელის,
წინ, წინ იარეთ, დასაცლელი თასი დაცალეთ.
იქნებ ზოგი რამ უსათუო დამრჩა უთქმელი,
შევხვდეთ ერთმანეთს... უეჭველად ჩამოვალ მალე.

ჩამოვალ მალე, არ დავრჩებით მარტო მე და შენ,
ტკბილი ფანდურიც ვახმიანოთ დარდის მქრობელი...
მე მჯერა, მჯერა უეჭველად მოხდი ზედაშეს,
გვერდს დაგვიმშვენებს ნიკო მარად კარგის მთხრობელი.

ერთმანეთს ჩვენი გულის ლხენა გავუზიაროთ,
კაცურ კაცობას შენსას ვერვინ ვერ ახლებს ცივ ხელს...
და შემდეგ... შემდეგ ძველებურად შემოვიაროთ
მტკვრის ნაპირები, ქვიშხეთი და ბულბულის ციხე...

1976

ახალგაზრდა მომღერალი

შემოდგომის მზემ მიაფრქვია ფანჯრების მინებს
სხივები უხვად, ივანზე სიჩუმე სუფევს.
ქალის საწოლთან ხალიჩაზე დახატულ ირემს
მზე თვალმიმტაცად, საოცნებოდ ხის ტოტებს უფენს.

გამოეღვიძა, თვალს მიაპყრობს საყვარელ ცხოველს.
ათამაშდება ირმის ტუჩთან ფოთლები ხისა.
ტკბება სურათით, ხელისშემშლელს არვის მოელის,
უცებ თვალები დაუხუჭა სხივებმა მზისა.

წამოდგა ფრთხილად და ხალათი წამოიხურა,
დაიძრა... ყელი მოიღერა როგორც ირემმა.
ციაგებს სივრცე, დილის ნისლი მთის მწვერვალს ბურავს,
ყიჟინა დასცეს ზვრებს მიმავალ ბრიგადირებმა.

გასცქერის, უსმენს ბუნების და ადამიანთა
შეხმატკბილებას, შეურხევლად ღელავს, ენთება.
უცებ მის თვალში შეხარების შუქმა ინათა,
ათრთოლებული სულის წადილს შეუერთდება.

მშვიდდება, უნდა მღელვარებას გზა ფრთხილად მისცეს,
ფრთები შეასხას აჩქარებულ თვის გულის ძგერას,
მიმოიხედა, ცას თვალი ჰკრა, მოჰფინა სივრცეს
უგულწრფელესი, უდრტვინველი, ლაღი სიმღერა.

ჯოხს დაყრდნობილი ბერიკაცი გზად მიმავალი
შედგა, მომღერალს შეაჩერდა სმენად ქცეული,

მან დაამთავრა, გადმოღვარა ღელვა სულისა,
მიეყრდნო კედელს, ქანდაკებას ჰგავდა სხეული.

მოხუცებულმა ზე ამართა მოხრილი მხრები,
წარსდგა ნაბიჯი, აბუბუნდა ხშირ სუნთქვით, ქშენით:
— მადლობელი ვარ, მადლობელი, გახარებისთვის,
შენც გაიხარე, დაილოცოს მშობელი შენი.

1952

პასუხი

მესმის ჩურჩული: (ხმის აწევას ჯერ ვერ ბედავენ);
— არც ისე დიდი ხანი დაგრჩა შებინდებამდე.
დრო გვიკარნახებს მოიგონო მოსაგონარი,
რა დაშავდება, უძღვნა წარსულს რამ სამახსოვრო...

მე მეღიმება, ნუთუ უკვე ისე დავბერდი,
გაცვდა დღეები ვით ალბომის ყდაზე ხავერდი.
ჟამი მეწვია აღვასრულო საქმე კეთილი
და შემდეგ იქვე მე თვით დავსვა შავი წერტილი.
არა, არ მინდა ჯერ გავართო მოგონებებით,
ჭაღაროსანნი, ჭაბუკები და გოგონები.

შორი-შორსა და გარე-გარე მე არ მივლია,
შეყუჟული ვარ ჩემს ფიქრებს, ვით ჩიტი ნიბლია.
იმ ფიქრების და იმ დუმილის სითბო მაჩერებს,
რაღა მაცოცხლებს მე ისინი თუ ვაჩანჩქერე.

1973

წიგნი და მამა

მზის ამოსვლიდან გამიტაცა მე ერთმა წიგნმა,
ძვირფას სტრიქონებს ვერ დავშორდი, მას სული ვანდე,
შემომთავაზა სიყვარული, განცდები წმინდა,
განთიადიდან ერთად დავრჩით შებინდებამდე.

აღარ დასრულდა და არც მინდა, დამთავრდეს იგი.
მწყურია მასთან ვიყო, ვფურცლო, ვათიო ღამე,
ნუ დამშორდება კიდევ ერთხანს ეს კარგი წიგნი;
დავრჩები მასთან მე მეორე განთიადამდე.

ვკითხულობ, ვფურცლავ, სტრიქონებზე ვარხევ წამწამებს
ჩემ წინ დგას გმირი, მან თვალები შემომანათა,
ისე მიცქერის, თითქოს უნდა ბრძოლებში წავყვე,
ერთი იქუხა, შეტრიალდა, მხრები ამართა.

პირისპირ შეხვდა და უეცრად იელვა ხმალმა,
გააპო, გასჭრა, დაადუმა ვაჟკაცმა იგი.
უხმოდ დგას გმირი, ფერუცვლელი და ახოვანი,
ხმალი ჩააგო და უეცრად დასრულდა წიგნი.

მე გამიტაცა ამ ამბავმა და დამაამა,
მატყვევებს, მიჭერს, როგორც ბავშვი ჩიტს კაკანათით,
ვფიქრობ ამ წიგნზე და ჭალარა შემოდის მამა
მანდარინებით, ფორთოხლებით სავსე კალათით.

1940

ᲒᲐᲛᲗᲔᲜᲘᲡᲐᲡ

ჩიტის ყივყივში ცისკარი მოდის,
ჩიტის ყივყივში მოდის ნათება.
ნამძინარევი ვერ ითმენს ლოდინს,
ხმაურობს, ჩვენი არ ეხათრება.

იცის მან, მალე, მალე, სულ მალე
მზე იბატონებს და არა მივარე.

უცებ მეორემ იწყო გალობა.
იქვე მესამეც ეხმიანება.
ღამის თანდათან ფერისცვალებას
აჰყვა ფრთოსანთა შეფრთხიალება...

1972

პატარა მენახშირეს

(წარსულის სურათი)

ნახშირს ატარებ და ჩვილი სახე
შავი ხაზებით დახლართულია.
მკლავებქვეშ გაჩრილ პატარა შოლტით
მიჰყვები ქუჩებს, გზები რთულია.

მივარდნილ უბნებს აღარ დასტოვებ,
აივლი მაღლობს, ჩაიარ ხრამებს.
მძივით მოქარგულ დედის ქისაში
თეთრ უზალთუნებს ჩაიჩხრიალებ.

შებინდებისას გზას გაუდგები,
ხელთ თონის პური, წინ სახედარი.
როს დაიღლები, შენს ერთგულ ლურჯას
ზე მოახტები, როგორც მხედარი.

და მიიმღერი:
— ჯერ ბავშვი ვარ, გავიზრდები,
მეტსაც ავიტანო.
ყველაზე უწინ დედიკოს
კაბას მოვუტანო.
მეც ჩავიცვამ ახალ ხალათს,
გულო, აყვავდიო
და შენც, ლურჯავ, ლამაზს, კოხტას
კეხსაც გიყიდიო.
აბა, მარდი ნაბიჯებით
მომაშორე ხეო,
ჩემი ეზო და ჭიშკარი
ჩქარა მანახეო!..

შენი სიმღერა მე გულს მიჩქროლებს,
უწმინდეს განცდებს შორიდან მესვრი,
სხვას ვერას გარგებ, გქონდეს საჩუქრად
ჩემგან, ძვირფასო, პატარა ლექსი.

1928

ბანვლილი დღეები

> დედა! თქვენი სიცოცხლის დასასრულმა აღმომათქმევინა ეს მართალი სტრიქონები... თქვენ გიძღვნით ამ ლექსს, ჩემთვის მარად და მარად სიყვარულით მოსაგონარო, ძვირფასო ადამიანო...

ახლოვდებოდა შემოდგომა. ახლოვდებოდა...
დრო სანეტარო ჩემი ჭიშკრის ახლოს დგებოდა...
საშემოდგომოდ უსათუოდ ველოდი დედას...
ჩამოსვლა მისი ანელებდა სევდას, იმ სევდას...
მშობლებთან ადრე დაშორებამ მე რომ მარგუნა...

უბინაობა... ღამეების თევა სადგურში...
ბაბუს ტკბილი ხმა ჩარჩენილი ალერსად გულში...
გონს მიბრუებდა იმ ზუზუნში, იმ კვამლის ბურში,
გაელა-გამოელა, შემოხედვა ბილწის და მრუშის...
შეუჩვეველმა არსებობამ დამაძაბუნა...

და როდის... როდის ოჯახისგან განაპირებულს,
ძლივს, ძლივს მეღირსა საკუთარი ეზო და კარი...
ვალი დამედო... ამისრულეს დანაპირები...
ჩემს ჭერს შევხედე... ბედნიერმა ტაში დავკარი...

ვაშენე ვაზი... ხეხილები ვამრავლე ბაღში...
ჩემს მეზობლებში სანაქებო ბოსტანი მქონდა...
ვეჯიბრებოდი ტაშისკრელებს ვენახის სხვლაში,
ჩემს ირგვლივ მაშინ უსიამო ქარიც არ ჰქროდა.

ვღიღინებდი და თუ ესმოდა ჩემი ხმა ვინმეს,
არად ვაგდებდი პოეზიით გატაცებული...
მორჩა წანწალი... მოსახლე ვარ, ცას გავუღიმე,
ყოველ წვრილმანზე მქონდა თვალი გაცეცებული.

არ რა შემშლოდა... რამერუმე ღრმულს არ შთაენთქა.
ჩასახლებული ვიმკვიდრებდი კოხტა ბიჭობას...

არვის ვაძლევდი საბაბს — ჩემზე აუგი ეთქვა,
ფრთხილად ვისმენდი უხუცესთა სჯასა და ბჭობას...

და შემოდეგზე იმ ეზოში, იმ გარემოში,
მესტუმრებოდა დედაჩემი ძმიშვილთან ერთად...
გორული მწვანის თუ ჩინური ყურძნის გემოსი
იყო განკითხვა, თვალს ლულავდნენ რქაწითლის ფერთან.

მიწასთან ბრძოლამ გამომაწრთო, წელში გამმართა,
ჯიბეჭესატას პურის ფული აღარ მიჭირდა...
შემცვალა შრომამ, სულ სხვა კაცად მაქცია მართლა...
ქვიშხეთში იყო ჩემი გაგრა, ჩემი ბიჭვინთა...

გვიან, კი გვიან როცა ხანმა შემომიტია,
შევატყვე, ვენახს ჩემებურად ვეღარ ვუვლიდი...
უთქვამთ წინაპრებს და აქა-იქ ახლაც იტყვიან:
— ვაზში სხვის ხელებს ვეღარ გუობს კაცი გულდიდი...

ცოტა დიდგული... ხან ჯიუტი, ხან კი უნდობი
ვარ უსათუოდ, ძვირად მომწონს მე ნასხვისარი...
ის რა კაცია, ვინც ხელს კიდებს შრომას ქურდობით,
არ გააჩნია სალოცავი და საფიცარი;

რომ არ მქონოდა ამნაირთან ურთიერთობა,
დიდი ხნის მერე... განსჯის მერე ის ეზო-კარი
დავთმე, დავტოვე... ჩავიდინე ეს უღმერთობა...
დავთმე ქვიშხეთი, მისი მთები და ტაშისკარი...

არა, ღმერთმანი, არ მქონია — რაც შემრჩა ხელში —
წუთით ნაფიქრი... არც არასოდეს ეს განზრახული...
მიყვარს სოფელი, ვერ ვთმობ სოფელს და ამ სოფელში
სხვის ნაფუძვარზე მითენდება დღეს გაზაფხული...

1977

ქუთაისელ მეგობრებს

მისაყვედურეთ: რად დაივიწყე
შენ ჭაბუკობის უტკბესი კერა.
მე ხომ ცხოვრებას ახლა არ ვიწყებ,
რა დამავიწყებს იმ გულისძგერას
და იმ ჩემს პირველ გულწრფელ სიმღერას,
აქ, ამ ქალაქმა რომ ააჟღერა.

რა დამავიწყებს ქუთაისს, ძმებო,
ქართულ ქალაქს და ჩემს კეთილ დედას.
ჩემთვის იყო და არს საოცნებო
მისი იერი და შემოხედვა.

შეეცქერი ცას და სახე ბრწყინდება,
მით მოხიბლული წამწამებს დაეხრი,
აქ ვარ თუ სხვაგან, არ მავიწყდება
ბაღის მახლობლად ახალი სახლი.

ჩვენი ქალაქი, ვხედავ, წინ მიდის,
ვაჟკაცდება და წარმტაცი ხდება,
შემომნახველი ქართულ სიწმინდის
და მისი მარად დამცველი დედა.

ნუ მსაყვედურობთ, ვერ დავივიწყებ,
ძმებო, ქუთაისს კუბოს კარამდი,
მე ხომ ცხოვრებას ახლა არ ვიწყებ,
ტრფიალს მისდამი ხომ არ ვფარავდი,
მე აქ ყრმა მოველ სამეგრელოდან
და ამ ქალაქში გავქალარავდი.

1948

თადა გეთია

როს სასახელო ცხენოსნებზე სჯას დაიწყებდნენ,
ისმოდა ხმები: — ჩვენს სოფელში ერთადერთია,
— ვინ? — იძახოდა იგი, ვისაც გული წყდებოდა,
იყო პასუხი: — თვალტანადი თადა გეთია.

— ყანაში თოხის უკეთ მოსმა ვის ეხერხება?
— ამის კითხვა და ძიება ხომ მეტისმეტია.
— მაშ, რა ყოფილვართ? — იხუვლებდა აქა-იქ ხმები,
— ჰა, გვჯაბნის აბა ყველაფერში თადა გეთია.

— გული ნუ გწყდებათ, მეზობლებო, იყავით მშვიდად,
რა ვქნათ, ცხადია, ჯერჯერობით იგი კენტია...
უსმენდა მათ და შავ-შავ წარბებს ღუშავდა, შლიდა,
მტკიცე, ამაყი, ჭირნახული თადა გეთია.

უკანასკნელად ვნახე იგი ზერდაგზე მჯდარი,
ტანთ ეცვა მისი საყვარელი ფერის სამოსი.
ჭაბუკ ცხენოსნებს ძლევის ჟინი ჰქონდათ შემდგარი,
როცა ის უკვე დიდი ხნის წინ გახდა სამოცის.

შფოთვენ ისინი, აწვალებენ ფეხებს უზანგში,
იქვე სადავე მიშვებული დგას თადას ცხენი.
თადა არ ღელავს, ეპარება ღიმი ულვაშში
და უდევს მშვიდად კეხის თავზე მარჯვენა ხელი.

უეცრად ცხენმა დაიფრთხვინა... ერთი და ორი,
მიწას ზედიზედ თავდახრილმა დაარტყა ტორი.

გაფიცხდა, წუთის წინ სიმშვიდით შვლის შესადარი
და ყალყზე შედგა ვით სურათი სადღაც ნანახი.
არ გაეურჩა ცხენს უმალვე ბერი მხედარი.
— ჰო, უთხრა გულმა და უღმერთოდ სწყვიტა მათრახი.

იუკადრისა, გაგულისდა, უფრო გახელდა,
არად ჩაგდება, დაფუყება სწადდა მხედრისა.
მასში ველურის მიმალული სისხლი ამხედრდა,
გადააავიწყდა ცხარე დღენი წრთვნის და ხედნისა.

იგრძნო გეთიამ, აქ არ არის უკვე თამაში
და სანამ მისი წაცდებოდა ვინმეს ძაგება,
ჩაიკაპიწა სწრაფად ჩოხის წვერი ქამარში
და ერთხელ კიდევ მას მათრახის სიცხე აგემა.

თუ გააებულ ცხენმა დროზე არ იგრძნო სუსხი,
გვიან კი, გვიან მასთან ბრძოლა არ არის სადა.
არ დაინანა გაურჩებულს შემოჰკრა ქუსლი
და გააქცია... შემდეგ უცებ შებოჭვა სცადა.

დაიმორჩილა, მკერდმაღალი და მუხლმაგარი,
მოსწია აღვირს, მოუგრიხა კისერი ლაფშას.
მიმოიხედა, იხმო ყრმობა განზე გამდგარი
და გარშემორტყმულ ხალხის წრეში აათამაშა.

დღემ დღეს მისდია, წელმა წელი სწრაფად შესცვალა,
სიმრავლე მათი ერთ სხეულში ვერ ჩაეტია,
შეატორტმანა, შეანჯღრია, უნდოდ დაძალა,
ამქვეყნად უკვე აღარ არის თადა გეთია.

1964

* *

მეცხრე პაპიროსს ვეწევი ახლა,
მწამს მეთორმეტეც ვეღარ წამაქცევს...
ღამეა, ცივა, კარში ვერ გახვალ
შენ მემუქრები მაინც გაქცევით...

დაგეშორდა დღენი შიშის და თრთოლვის,
ნუ აგაფეთქებს ეს მცირე ელდა...
თამბაქოს ბოლით, თამბაქოს ბოლით
კი არ ეიხრჩობი, ვერევი სევდას.

1977

ტაშისკართან

ლიხს აქეთა ვარ, წინ წინაპართა
სისხლით ნაბანი ხეობა მოჩანს.
ორმხრივ გაისმის გუგუნი მთათა,
ქარი ხის ტოტებს ღუნავს და ქოჩრავს.

მოღელავს მტკვარი და ტივზე მდგარი
მეტივის ნელი ღიღინი ისმის,
დაძრწის, ზუზუნებს, გასწივის ქარი,
კლდეს მოახვია ნაფლეთი ნისლის.

გავცქერ ხეობას, მშვენება მისი
მიპყრობს, მიტაცებს, მისკენ ვიჩქარი.
უეცრად გულში აჩქამდა სისხლი,
მთაში კი ისევ ზუზუნებს ქარი.

ურჯუკთა მუსვრის დღეებს შეეები,
გუგუნი მესმის ქართული ჯარის,
თითქოს კლდე მამცნობს ჩაშავებული,
როგორ იყარეს მუხთლებზე ჯავრი.

როგორ ჩარეკეს მრბეველნი მთის ძირს,
როგორ დალეწეს მათი კარავი,
როგორ გრგვინავდა ხმა სააკაძის
მეხივით მკაცრი და მტრის მზარავი.

წუთი წუთსა სცვლის, ცხრება, ნელდება
წარსულთან ფიქრით გასაუბრება,
მოსაფერებლად მიახლოვდება
ქართლის წარმტაცი ცა და ბუნება.

ჩადგა, შეჩერდა მშფოთვარე ქარი,
მხოლოდ მთის გული ოდნავ ირხევა
და ამ ტანაყრილ ხეთა ხმაური
უკანასკნელად წაიღო ხევმა.

ეხმაურება ხალხის ხმა მკვეთრი
ამ ლამაზ არეს, როგორც ტრფიალი
და მობუბუნე ხეობას ერთვის
ოროველა და ურმის ჭრიალი.

გადასწოლია გზას მთების ჩრდილი,
მდინარე წინწკლავს და შხეფებს ისვრის,
იქ სავარჯიშოდ მინდვრად გაჭრილი
ახალგაზრდობის ყიჟინა ისმის.

მღელვარე მტკვარი ხეთა ჩრდილს ითრევს,
მოწმენდილ ციდან მზე იკოცნება.
დედაქალაქში მისდევს მტკვრის ზვირთებს
ჩემი სუნთქვა და ჩემი ოცნება.

1948

ალსარება

მეგობარ მწერლებს

დიდი ხანია დროულ სათქმელს რომ ვეჭიდები,
მინდა დავმშვიდდე და თქვენც თავი არ შეგაწყინოთ,
როგორც ყოველთვის, დღეს მითუფრო მეტად მჭირდება,
გაწალდულ სიტყვით აზრი ნათლად გამოვაბრწყინო...

ყოფნა-არყოფნის ახლოვდება მძიმე წუთები,
(ჯერ კიდევ თქვენთან მირჩევნია, ცაო და ბარო),
ნუ გაიკვირვებთ, თუ სიცოცხლეს ვესათუთები,
განწირულის ხმით თავს შევძახო: — ჰაუ, საბრალო!

ოდითგან ჩემი სანუკვარი იყო ოცნება,
ამ დიდ ტაძარში მეც ამენთო ერთი სანთელი.
სურვილი უკვე იმ ოცნებით თუ იკოცნება,
თუ მივიწყებულს მართობს მისი შორი ნათელი...

იქ ვერ ავანთე მე სანთელი... თქვენ ეს არ გჯერათ...
— დუმილით მშველით, მეგობრებო, კარგად იყავით.

დაუკვნესებლად ვურიგდები ჩემს ბედისწერას
და ისიც ვიცი, ამ ტაძრიდან გასარიყავი

არა ვარ... არც მწამს თვითმარქვია, ადგილის მრჩევი,
არ მეშურვება გვირგვინები თქვენგან ქებულის...
ცოტაზე მეტი მეგულება მკითხველი ჩემი,
ჩემს სტრიქონებზე არა ერთხელ დაფიქრებული.

მე ჩემი ქვეყნის საზღვრებს მიღმა ცაც არ მინახავს,
ქართულის მეტი არც ანბანი, არც მიწა-წყალი.
არ განმიცდია და არც ვინმეს უთქვამს: ვინა ხარ?
ვარჩიე სხვათა ზღვრების ქუხილს წყაროს წკრიალი.

ვიკმარე ტკბობა ჩემი მზით და ჩემი ჰაერით,
ვინ წამომძახებს: — ეს თუ, ან ის შენზე ახია,
სხვებს ვერ მივბაძე და არც ვამბობ: ვარ სხვანაირი,
ვერ დამარწმუნებთ, თუ ეს მრწამსი დასაძრახია.

მობრძანდნენ ჩემთან, ვინც ისურვებს, ვარ მასპინძელი,
ხელს არ შემიშლის უდროობა, დავტკბეთ... ვილხინოთ.
მიყვარს სტუმარი, სუფრის გაშლა, ჯორკო მაქვს ძელის,
ჰა, წრფელი გული, დედას პური და შუმი ღვინო.

არ დამცდენია უსულგულო, უსაზღვრო ვაშა,
შევხარი მშრომელს, მიყვარს კაცი მკვირცხლი, ფრთამალი,
მე ამ დრომ მშობა, ამ დრომ მზარდა, მაწრთო, მაკაჟა
და ეს დრო არის დღესაც ჩემი წინსვლის წამალი.

მიგუგუნია, ვით მიწიდან ამომსკდარ ლავას,
ჩამქრალი სული უზარმაზარ სევდას შებმია,
ჯერ წინაპრები, შემდეგ ერთად მომშველებია:
გალაკტიონი, იაშვილი და მირცხულავა.

იქნებ აქ თქმულზე ვინმეს ღიმმა გადაუარა,
მოსისინენი აშკარაა რწმენას ებრძვიან,
ხელი დაადეთ, ძმის ამაგი ვინც იუარა,
ჯილდო ქვეყნისა სად რგებია ადრე თუ გვიან.

უღირსთა ქება, ღირსეულთა ღირსების ახდა,
უუფლებონის შემზარავი ქილიკობა,
ერთურთთან მრუდე შეხვედრები პატარა ბაღთან,
თანდათანობით განუმტკიცდა მრავალ თაობას.

ხან განვერიდე, ხან ავენთე გულდაკაწრული,
კარგა ხანს ვზიდე მეტად მძიმე უღელის ცალი.
აღმართ-დაღმართში არ მიგრძვნია მუხლის კანკალი,
მაგრამ დროდადრო სევდით მაინც ვარ გაბაწრული.

მონა ვარ, მონა იმ ყრმა ბონდოს უწმინდეს ფიცის
და იძონძება, იძონძება სული გმირული.
წავილუღლუღებ მოქანცული: ნუ კრთი, ვინ იცის,
ჯერ ნაადრევი იყოს თქვენი ძილისპირული...

და რომ გავფანტო მსუსხავ ფიქრთა კორიანტელი,
მზად ვარ ხმამაღლა ვიღრიალო: ვაჰ, ჩემი ბრალი.
ვანთებ, იღვრება შანდლის ღრუში ჩემი სანთელი
და ოქროსფერი პეპლის ფრთებით ფარფატებს ალი.

1968

გაგიგონიათ ყივილი გედისა?!

გაგიგონიათ ყივილი გედისა?!
მე მხოლოდ ერთხელ გამიგონია.
ვინ არის იგი წინამორბედი, —
მღერა უწოდა ამ აგონიას?..

როცა სიკვდილის საშინელება
უახლოვდება და ყივილს იწყებს,
იქნებ გვეძახის, გვთხოვს მიშველებას,
ან ბედისწერას ზარით ივიწყებს...

მის უკანასკნელ სულისთქმას, კვნესას
არქმევს სიმღერას, — მითხარით რატომ...
იმ ხმამ დაგატკბოთ?.. ან გეალერსათ,
როს განწირული ყიოდა მარტო?!

1970

მერი ნიჟარაძეს

დედაქალაქში ცნობილ მგოსნებთან
ჩემს ვინაობას თუ გავამხელდი,
მწამდა, მეგონა, ყრმა მეოცნებე,
ყველა ოცნების კარს გავაღებდი.

სადაც გამოვჩნდი ჩემი რვეულით,
ერთი ალალი უცხო სტუმარი,
ყველგან, ყველასთან ხმაამღვრეული,
შევრჩით ერთმანეთს მე და უარი...

ვიხეტიალე, მწვავდა იარა,
მწარე იარა გაწბილებულის,
ფიქრებით დაპრილს შემხვდი თუ არა,
ერთი ფართქალით გამითბე გული.

საუბრის შემდეგ, ბევრჯერ, ბევრისგან,
რჩება ხინჯი ან სიყალბის ლექი.
არ მქონდა ჩვევა ენამჭევრისა,
არც შენ მაწამე ენის მოჩლექით.

შემომაჩერდი დუმილით შველის
(ღამე ნათევი მქონდა წვალებით).
— თუ გაგიჭირდეს, მე და ვარ შენი, —
მეუბნებოდა შენი თვალები...

ზიმოიხედე, აჩქარდი, მერი,
გვშორდები, უცებ კარი იღება,
და იმ ნესტიან კედლების ცქერით
ისეც დაღლილი თვალი იღლება.

ვცდილობ, ოცნება არ იქცეს ნაცრად,
ხან ვიტრუნებით ოთახში ორნი.
იქ მაშინ დიდხანს, დიდხანს შენს ნაცვლად,
თამბაქოს ბოლი იდგა ჩვენს შორის...

არ ვარგა, კაცის ნაამაგარი,
გვავიწყდება და გულში მძაღდება...
მე მისი მახსოვს რჩევა ამგვარი:
— შენ თუ თბილისის გსურდა აღება,

გაქრა იმედი... გაქრა ოცნება...
არ გაგიმართლა... არ გაგიმართლა...
არ შველის ჯავრი, არც დამორცხვება,
გამაგრდი, ბავშვი თუ არ ხარ მართლა...

არას შეგმატებს წუწუნი, კვნესა,
დაწუნებულით წრიალ-წრიალი.
მე წამოვდექი და შემომესმა,
ჯიბეში ვერცხლის ფულის ჩხრიალი.

შინ, გარეთ, ისევ აწეწილ სულით,
არ მეყო ერთი შეხვედრა თბილი.
შარს ავერიდე და გულმოსული,
დავემშვიდობე მრისხანე თბილისს...

ეს იყო ცხრაას ოცდარვა წელი,
რამდენი თრთოლვა... ღელვა... ხარება...
ღამის თევა თუ კანკალი ხელის —
არ გვაკლდა შიში, არც მწუხარება.

მერი! ვიცი, რომ არ ვამბობ ახალს
და მაინც მერჩის ამ თქმის წადილი,
ფრთხილად ატარე, არ შეგილახავს
დისა და დედის წმინდა მანდილი.

იყავ მდიდარი ხშირი სტუმრებით,
არ სწუხდი მათი ნაფეხურებით,
და პოეზიით გატაცებულებს
დაუმადლებლად დაგვაპურებდი.

შორსაა ახლა ის ტყე, ის მოლი,
ის კლდეები თუ, ის ჩანჩქერები.

სადაც მღეროდი ხმით შემაჟრჟოლით,
მგოსნების ჩოჩქოლს რომ აჩერებდი...

მისთვის არ მითქვამს ეს ვრცელი ლექსი,
მით გული ვინმეს რომ ავუჩვილო.
შენ მოგეფერე, ვისიც არ მესმის
მე წარამარა „ძმაო“ და „შვილო“...

უღელს სწევ მასთან, ვინც ხალხს გასძახა:
— არ მწამს სიცოცხლე ნასათუთარი.
მკლავები მაგრად დაიკარწახა,
უკან დახევას უთხრა უარი.

არა, არ მინდა, არ მინდა, მერი,
ჯერ მომიქნიოს სიკვდილმა ცელი...
და თუ ღრმა მოხუცს მეცვლება ფერი,
ვინატრებ, შენი დამეცეს ცრემლი.

1971

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო

მ. ნ.

საღამოვდება... თენდება... არ ჩანს
ქალი სახით და საქმით ლამაზი.
გადარაზული ფანჯარა დარჩა,
გაჩაღებული ჩაჰქრა დარბაზი.

მგლოვიარეა ვისაც მის სულის
და წრფელი გულის სითბო უგრძვნია.
აივანს ვუვლი თვალდანისლული,
მაღლა ახედვა არ შემიძლია.

ვიცი იქ არ დგას, არ დამიძახებს,
იმ არემარეს სწრაფად ვშორდები.
მისთვის არ ვამხელ აქ მე მის სახელს,
თითქოს ვთმობ მას და მე განზე ვრჩები.

ჩვენს დაძმურ წარსულს, მზაკვრული ხელი
ვერვინ ვერ ახლო, ვერვინ დარია...
მისი ღიმილი, გვარი, სახელიც
ჩემი გულმკერდის ბინადარია...

1975

მერის ცაცხვთან

შენი ცაცხვი ზღვისფერ ფოთლებს აშრიალებს, მერი...
ბღუჯა-ბღუჯა ყვავილებით ნათელს აფრქვევს, მერი...

გაიზარდა ის ცაცხვი და მისი ჩრდილი —
იტყვის კაცი! — მატულობსო ყოველ დილით...

შენ კი ჩვენთან აღარა ხარ... აღარა ხარ, მერი...
ამ ბაღს, ეზოს უშენობა არ უხდება, მერი...

შენ ხომ ყველას გვწამდი, როგორც და და დედა...
დაგვიტოვე ეს ცაცხვი და დიდი სევდა...

შენი ხსოვნით ამ ცაცხვის ხეს ფრთხილად ვუვლით...
ასე მჯერა, აქ ბინადრობს შენი სული...

მეზობლები ცაცხვის ჩრდილში თავს მოვიყრით, მერი...
დავისვენებთ... ვისაუბრებთ... მოგიგონებთ, მერი.

1979

* *

ერთი კარგი მოსაუბრე
კაცი მენატრება...
ისეთი რომ, სცადეს, მაგრამ
ვერ მოღუნეს მტრებმა.

დადის ლაღად... სხვის კარებზე
არ აყენებს მტვერსა.
უყვარს ის, ვინც ფლიდს ქოჩორზე
კაკალს დაამტვრევსა.

ამგვარ კაცის გაცნობა მსურს,
მებრძოლის ხმით თრობა...
მასთან მტკიცე, განუყრელი
ძმობა, მეგობრობა.

ამ ნატვრაში რაა ცუდი,
ანდა გასაკვირი...
გიზიარებთ სურვილს ჩემსას
ისე, რომ არ ვყვირი.

მჯერა, მჯერა ასრულდება
ეს დღეს და ან ხვალე...
ხალხი მიდის, ხალხი მოდის,
მე მათ ვათვალთვალებ...

გამოვარჩევ, თვით შევიცნობ
ჩემი ფიქრის ტოლსა.
გახურებულ შუბლს შევუშვერ
ნიავს მონაქროლსა...

დამატკბობს და ხალისს მომგვრის
მასთან საუბარი.
მეყოლება კიდევ ერთი
კარგი მეგობარი...

1977

სიხარულის დღეები

I

ასცილდა ქვიტკირს თეთრად თლილი მუხის კედელი,
ახალი ოდა კაკლის ახლოს სწრაფად შენდება.
ირგვლივ ფიცრების კრთის სინათლე და მშენებელი
ხშირი კაკუნით სახლის ქონგურს უახლოვდება.

ზაფხულის დღეა, ქრის ნიავი მშვიდი და წყნარი,
დიასახლისმა ცაცხვის ძირას გაშალა სუფრა,
ამოიტაცა ცისფერ დოქით წყაროდან წყალი,
თავზე წაიკრა თავსაფარი თოვლივით სუფთა.

ყურებთან თმები შეისწორა და ძველი სახლის
აივნის ბოძთან ჩამოჯდება ჯაფით დაღლილი.
ყელზე ნიავი ეფერება და იქვე ახლოს
ირხევა მოლზე ტანმორჩილი ალუბლის ჩრდილი.

დამშვიდებული ზის, ოცნებით ტკბება და ხარობს,
დავაჟკაცებას რომ მოესწრო ვაჟიშვილისას.
ხანში შესული გული მისი ამ დღით ნეტარობს
რომ მოსულია დრო — მშობლების სიხარულისა.

ხელისშემშლელი არ ეგულვის მას სოფლად არვინ.
რომ შეაჩეროს ამ მაღალი სახლის შენება.
მალე სულ მალე დამთავრდება, გადიხდის ქორწილს,
შემოვა ფრთხილად პატარძალი — ეზოს მშვენება.

წამწამდახრილი იმ დღეს უცდის სულგანაბული,
სახეს უნათებს ის წუთები, ვით შუქი მზისა —
როცა გულმკერდში სიყვარულით ჩახუტებული
ჩვილ შვილიშვილით ინახულებს მეზობლებს მისას.

ამ წმინდა ფიქრით გაუბრწყინდა სათნო თვალები,
მოესმა გზიდან საუბარი მამა და შვილის,
კაბაზე ხელი ჩამოისვა და მოკრძალებით
ყანიდან მოსულთ შეაგება ღიმილი ტკბილი.

II

შემოდგომაა, მზე კაშკაშებს, დატკბა დღეები,
სოფლის დიდ გზაზე არ ნელდება ტყლაშუნი შოლტის,
თვალებს ახარებს ქარვისფერი კომშის ხეები
და გახლეჩილი ბროწეულით დახრილი ტოტი.

აქ კი მთავრდება კარ-ფანჯრების ჩამოკიდება,
ისმის მინის ხმა და ალმასის წკრიალი ნელი.
ამ ჩუქურთმიან მაღალ ოდას რომ აკვირდები,
არ შეიძლება არ დალოცო ოსტატის ხელი.

დიასახლისი დღეს დილიდან არ ჩანს ეზოში,
განთიადისას კოლექტივის ბრიგადას გაჰყვა.
წასვლის წინ სახლის მშენებლებთან მოიბოდიშა
და სხვებთან ერთად ტეხს სიმინდებს მდინარის გაღმა.

მინდვრად წყრთიანი ტაროების გორები დგება,
შეუჩერებლად შარაგზაზე მიდის ურემი,
მანქანის ხმაზე მეხრე ხარებს წინ დაუხვდება,
რომ ფიცხ მოზვრებმა არ დაწყვიტონ აპეურები.

— შაბაშ, შაბაში, — ბრიგადირის ისმის ძახილი,
ჩერდება ტეხვა, ისვენებენ გამრჯე მკლავები.
სამხრობის დროა, ყველა ჩრდილებს უახლოვდება
კალათას ფრთხილად ჩამოდგამენ ხიდან ქალები.

დასხდნენ ჯგუფ-ჯგუფად, ერთი ჩრდილი თითქმის იკმარეს,
მრავალ წელს ისევ მშვიდობა და ლხენა ისურვეს,
ჩაიკისკისეს გოგონებმა, მხრები მხრებს გაჰკრეს,
ნაქუჩალები ააცილეს დოქებს და სურებს.

კოლმეურნენი პურ-მარილზე ერთურთს იწვევენ,
წაიმღერებენ და იცლება ტკბილად სასმისი.
ქმარ-შვილს შეხედავს და მეზობელს ჰიქას მიაწვდის
ახალი ოდის მეპატრონე დიასახლისი.

III

დასრულდა სახლის მშენებლობა, უკანასკნელად
ბურბუშელები აივნიდან ჩაფრინდებიან
და ლეჩხუმელი ოსტატები შინ წასასვლელად
ჩვეულებრივი თადარიგით ემზადებიან.

ჭრელ ნურჯინებში ჩაალაგეს დურგლებმა უკვე
თარაზო, ეჩო, შალაშინი და ნაჯახები.
ნაბდები მაგრად შეახვიეს, თასმებით შეკრეს,
სახეზე ოფლი შეიმშრალეს, გაშალეს მხრები.

დასხდნენ, თუთუნი გააბოლეს, თვითვე სტკბებიან
სერზე ამაყად ამართული ლამაზი სახლით.
იქვე მახლობლად დაცუცქულა, შესჩერებია
დურგლებს თვალებში ყურფართხუნა პატარა ძაღლი.

სახლის უფროსმა მეზობლები გადმოიწვია,
სახელდახელოდ რომ დალოცონ ოდა ახალი.
ერთ მათგანს თავი ცისკენ ცერად აუწევია
და მარტო მოდის ხანდაზმული, ტანად მაღალი.

მიმოიხედავს, დაკვირვებით ათვალიერებს
კიბეს, აივანს და კედლების სინჯვაც ინება,
როს ცალი ხელით იგი ბოძის სცდის სიძლიერეს,
მშენებლებს ჩუმად ულვაშებში ჩაეცინებათ.

სტუმრებმა სტუმარს გადახედა, ჩაუკრა თვალი,
ოსტატებს იპყრობს აღტაცება, ლხენა, ხალისი,
ბუხრის მილიდან იკლაკნება ცისფერი კვამლი,
ჯამ-ჭურჭლით შედის დიდ დარბაზში დიასახლისი.

იწყება კრძალვით წინაპართა წესი ჩვეული,
სიტყვას აიღებს ბრგე მოხუცი მხრებგამართული.
ამეტყველდება კაცი სოფლად გამორჩეული,
საამო ენით მან დალოცა სახლი ქართული.

IV

მთიდან მნათობმა ამოყარა ოქროს სხივები,
დაისაკუთრა ცის კიდური ფირუზისფერი,
ნისლშერჩენილი გორაკები მზეში ლივლივებს,
სულს ახალისებს დღე დიადი, სიკეთის მფენი.

ასეთი თბილი დეკემბრის თვე აქ არვის ახსოვს,
ხეებს ჯერ კიდევ შერჩენია მკრთალი ფოთლები.
სივრცეს შეარხევს და საამოდ გაიშხუილებს
ფრინველთა გუნდი უეცარი გამოქროლებით.

მიმოვიხედავ, გამახარებს, აღმაფრთოვანებს
ახალი ოდა მზის სხივებით გაბრწყინებული.
მისი კედლები იცინიან და ჰფენს სინათლეს
ეზოს ფანჯრები, თეთრ ფარდებით დამშვენებული.

მრავალთა შორის ეს ოჯახიც ამ ნეტარ დილას
მადლობის გრძნობით ანთებული გულებით ხვდება.
თუთის ხის ტოტზე ერთი ჩიტი ჭიკჭიკებს ტკბილად
და სასოებით შენახული ქვევრი იხდება.

სამოცდაათ წელს ულოცავენ კაცს ნაამაგარს
და სურათს მისას ქალი ვარდით უახლოვდება.
მცირე ხნის შემდეგ კვლავ საერთო საქმეს მიხედავს
ყველა მათგანი და შრომაში საღამოვდება.

საღამოვდება, ხეთა ჩრდილი შორდება მიწას,
აკუნტრუშდება ხბო დედის რძით გალაღებული.
ბაკლის გაბარჯღულ ტოტებს შორის გემივით მოსჩანს
მაღალი ოდა — ელნათურით გაჩაღებული.

რადიომიმღებს ყურს მიაპყრობს მამა და შვილი,
დიასახლისიც ჩამოჯდება, ჩამოისვენებს,
მხრებზე ახურავს სადღეისო თეთრი მანდილი
და მოსკოვიდან საზეიმო სხდომას ისმენენ.

1950

სიზმარი

ღამეა, ღამე დაბურული, მიედივარ მარტო,
მირტყამს, სახეში მითხლაშუნებს ქარი და წვიმა,
ვწუხვარ, მიზეზი წუხილისა ვის განვუმარტო,
მგზავრს გზად გარჩენილს და უტოლოს ცრემლები მცვივა.

მცვივა ცრემლები, რატომ, რისთვის, კარგად არ ვიცი.
გული წუხილმა და ცრემლებმა თითქოს წაიღო.
მე ვტირი, ვტირი, მწარედ ვტირი, ვიღაც იცინის,
ყური დავუგდე, გამეღვიძა, სიზმარი იყო...

1939

ეს დღე, ეს წუთი

სიმართლის ართქმა, ფარვა და მალვა —
მგოსნისთვის ეს რა საკადრისია.
მე თქმა მწყუროდეს და თუ ის არ ვთქვა,
ამ ჩვენი ქვეყნის ცა გამრიხვია.

როს ვიტყვი სათქმელს ისე, როგორც მსურს,
მშვიდდება სული და გული ცხრება.
აი, აქ ახლა რომ მაქვს სათქმელი,
ამის გამხელა კი მესირცხვება.

რომ არ მინახავს დღემდე ოსეთი,
იქ მზის ამოსვლა, დილა ცინცხალი,
თუმც კი მიგრძვნია და განმიცდია
წინაპართაგან ეს მიწა-წყალი.

ძმებო, ოსებო! მე თქვენთან მოსვლის,
ვწუხდი აქამდი, რომ შემრჩა ვალი.
ვხედავ მთებს შორის ჩადგმულ თქვენს სახლებს,
დროს გაჰყოლია ძველი ცხინვალი.

საკუთარ თვალით ხილვა სულ სხვაა,
სხვა ფერი დამკრა ამ ცის ნათელმა.
ვამჩნევ, ეს ლექსი რომ პატარაა,
ხომ პატარაა ციცინათელაც...

მაგრამ როგორც ის გახარებთ ხოლმე,
გახარებთ წუთით, სათუთი, წმინდა —
მოძმეთა გულში ვით მან, იმ წუთით,
რომ გაანათოს ამ ლექსმა მინდა.

1963

გასაუბრება

დღეს მოცლილი ვარ, — თქვენზე ფიქრს გარდა სხვა საქმეს
ხელი ვერ ვკიდე, — მინდა, თქვენთან გასაუბრება...
ზოგი თქვენგანი, მითხრეს, ხალხში მადიდებს, მაქებს,
ისე, რომ თითქოს არ სურს ჩემი დაძაბუნება...

რა საცოდავად, რა საწყლებად მომეჩვენებით
თქვენ, ჩემო მტრებო, აწი უკვე შესაბრალისნო...
არა მჩვევია, არც ვიკადრებ თქვენს შეჩვენებას...
საწუხნო შვილნო, იქნებ კიდეც გაიხალისოთ...

მე ერთით მინდა, დავაწყნარო გონება ჩემი,
ვთქვა: რად მირჩოლეთ, რა გნებავდათ, ხელს რად მიშლიდით?
როდის დავკაწრე გული თქვენი უმგვანო რჩევით,
როდის ვიყავი მე მოშურნე თქვენი სიმშვიდის...

არადა მაშინ გასაკვალავ, საჩემო ბილიკს,
ეკალბარდების ხლართულებით რისთვის ბურდავდით...
იმ წყაროს წყალის ულამაზეს, საამო ლიკლიკს,
რისთვის ახშობდით, ასე ერთობ რად დახურდავდით...

რისთვის ინდომეთ მევლო სოფლად ხახაგამშრალს და,
ვყოფილიყავი მონატრული ცივი წყაროსი...

თქვენ რას კარგავდით, მესაუბრა ლექსით მაშვრალთან,
მეგალობა და მეყიჟინა კარგი ტაროსით...

სთქვით, რას იძენდით, ნეტავ მით რა გემატებოდათ,
ნეტავ ვიცოდე რით გამდიდრდა თქვენი გონება...
იქნებ თქვენთაგანს ის წუთები ენატრებოდა,
ცრემლის ფრქვევით რომ ეპასუხობდი ჩემს დაღონებას...

დიახ, ცრემლს ვღვრიდი, გულის ტკივილს უმძიმეს სევდას,
ცრემლით ვალბობდი, ისევ ცრემლი იყო დამხსნელი,
ჩემით არ წუხდა მამა თქვენი, ცოლი თუ დედა,
არსად არასდროს არ ვყოფილვარ თქვენი დამსმენი...

ახლა რას იტყვით, ვინ, ვინ, არის გამარჯვებული.
ვისი ზრახვები სამუდამო უკუნს ჩაბარდა...
დარჩით თუ არა თქვენი ქცევით დამცირებულნი...
შურმა დაგჯიჯგნათ, შურმა, შურმა, შური გაბამდათ..

იღოღიალეთ სამუდამოდ შესაბრალისნო,
(ნეტავ ოდესმე, ღვთის წინ თავი თუ დაგიხრიათ,)
მე მით ვამაყობ, გული ჩემი დღეს მით ხალისობს,
რომ ცუდკაცობით თქვენთვის არრა გადამიხდია...

1978

ყ ვ ა ვ ი ლ ი

მიხმო ყვავილმა. თავდახრილი მივდივარ მასთან,
ვუახლოვდები, საალერსო რამ უნდა მეთქვა.
ფორაჯიანი მომცრო ღერო მორცხვად ამართა,
მესმა მარტოსულს უნაზესი ფოთლების ფეთქვა.

თრთოლავს, ეტყობა გაჩენია სადღაც სიაევ,
პეპელასავით გაუშლია პატარა ფრთები,
უნდა აფრენა, ეფერება ფრთხილი ნიავი
და მე სპეტაკი სიკეკლუცით ვნეტარობ, ვთვრები.

ჩაიბუტბუტა: — კლდეთა შორის ყოფნა მომწყინდა,
ბგზავრო კეთილო! შეისმინე სულის დუდუნი:
იქ, შენს ეზოში ამირჩიე ადგილი წმინდა,
მუნ, გამახარე, განმაშორე კლდე შესუდრული.

1944

* *

არ მიყვარს, არა, კეთილშობილ ადამიანის
უკმეხი სიტყვით გასტუმრება, გულის დაკოდვა...
ვცდილობ, ვესწრაფვი, მას ტკბილი ხმით გაეხმიანო,
კეთილი კაცის გამწარება ცოდვაა, ცოდვა.

შენ კი მით ხარობ: არ დაზოგო და უთხრა მწარე, —
უმსგავსო ჩვევას ამ ხნის კაცი გულით ატარებ,
გეყო, იკმარე ეგ ღლიცინი, გეყო, იკმარე,
კეთილი სიტყვა კეთილშობილ კაცს გაატანე.

1978

დაუვიწყარი დღე

1923 წლის თებერვალს სოხუმიდან ახალ
სენაკში ჩამოვიდა სერგო ორჯონიკიძე.

ზამთრის დილაა, მაგრამ ციდან არ ცვივა თოვლი.
გზის პირას ვდგავართ, სიჩუმეა, ქარი არ წივის.
უცებ გახედავს მოსწავლეთა მწკრივს წინამძღოლი,
გაიშრიალებს ტაში, როგორც ფრთები არწივის.

გამოჩნდა, მოდის რუხ მაზარით, თავზე ახურავს
ჩაუკეცავი ნაცრისფერი მაღალი ქუდი.
— ორჯონიკიძეს გაუმარჯოს! — ყიჟინებს ხალხი
და ხალხის ყიჟინს მომღერლების აჰყვება გუნდი.

ღელვამ შეგვიპყრო მოსწავლენი, ყველას წინ უნდა
წარსდგას ნაბიჯი, სანატრელი სტუმარი ნახოს.

მოდის, წინ მოდის... ხალხის ვაშა კვლავ ახმაურდა,
საცაა იგი ჩვენც ჩაგვივლის ახლოს, სულ ახლოს.

მისწვდა ჩვენი ხმა, მოგვანათა სწრაფად თვალები,
მტკიცე ნაბიჯით წამოვიდა, გვიახლოვდება.
ღიმგადაკრულმა ზე ასწია მძლავრად მკლავები
და დაიქუხა: — გაუმარჯოს ახალგაზრდობას!..

ეს იყო ცხრაას ოცდასამის თებერვლის დილა,
პირველი ხილვა სახელოვან ქართველი კაცის.
მან ხმა ძლიერი, მშობლიური მეც მინაწილა,
ის ხმა დღესაც კი მაღფრთოვანებს და წინ მეძახის.

1954

სიცოცხლევ ჩემო

სიცოცხლევ ჩემო, სიცოცხლევ ჩემო,
ჩაქრობა ჩემი არ დაიჩემო...
კარგია ჩრდილი, კარგია ჩერო,
მაგრამ ჯერ მაინც არ შემაჩერო!

არ დამამსგავსო დანგრეულ ყორეს,
შენს მონა-მორჩილს ეს გამიგონე,
მომეცი ჯანი, მომეცი ღონე,
ნუ დამამადლი, ნუ დამაღონებ!

1974

მეგობრისადმი

შესანიშნავ ქართველ გლეხკაცს ტაშისკარელ
გიგა ხაჩიძეს

გზად მიმავალს შემეგებე, ძმობილო,
თვალმცინარი, კოხტად გამოწყობილი,

მიმიწვიე და უარი გითხარი.
შეიშმუშნე, მომიხურე ჭიშკარი.

შემრცხვა, თუ შენ შემეცოდე, არ ვიცი,
დავფიქრდი და სინანულით დავიწვი.

მოიხედე, ცოტახნით-თქო, მოგძახე,
როს შეგატყვე: გულში მწარედ დამძრახე.

შინ შეგყევი, მოგერია ღიმილი.
შორს ისმოდა ფრინველთ ჟივილ-ხივილი.

გაიხარე, შემცქეროდი ბავშვივით.
იქეე მოლზე გვქონდა სუფრა გაშლილი.

სადღეგრძელოს სცვლიდა ყრმათა სიმღერა,
გიტარის და ტკბილ ფანდურის სიმთ ჟღერა.

არ გავმართე მკლავი ღვინის თასამდი.
მხოლოდ თქვენით ვერთობოდი, არ ვსვამდი.

როცა ლხინი გაჩაღდა და შეხურდა,
ფხიზლად ყოფნა მეტად გაუხერხულდა.

წავწვდი სასმისს, შევსვი ღვინო სიამით,
მაცოცხლებდა მოძახილის ნიავი.

მთელი ღამე დრო ვატარე, ვილხინე,
ცის ტატნობი მტრედისფერი ვიხილე.

გარიჟრაჟდა დაბურული ტყე-ველი,
დამავიწყდა მკურნალი და მრჩეველი.

— ღვინო არ სვა, არ აენთო, იძინე, —
მათ მირჩიეს და მეც დიდხანს ვითმინე.

აბა, მითხარ, ეს სიცოცხლე რა არის,
თუ დუდუკის არ ისმინე საარი.

უკეთა ვარ, რომ შევსვი და ვილხინე,
ქეიფის დროს ცისკარი რომ ვიხილე.

1962

N-ს

შენ იქნებ ფიქრობ, გსურს და ელი სხვა გზას მივმართო,
არ მომასვენო, მაიძულო, გიჩივლო სადმე...
დაფიცული ვარ დღენი ჩემი ღვლექით ვათრიო,
უკან დახევა არ იქნება უკუნისამდე...

სჯობს, რაც შემპირდი, რაც მეკუთვნის ის აღმისრულო,
ჩემს აფეთქებას არ გაღირსებ... იკმარე შარი...
...ნუ გეშინია არ შეგარცხვენ, ჩემო წარსულო,
დავრჩები ასე პირდაპირი და უშიშარი...

1975

ვინმეს წინაშე

ვიღაცის მიმართ, ვინმეს წინაშე
ვალდებულად თუ არ იგრძენ თავი.
შენ დარცხვენილი რჩები ბინაში,
იქნები ავი შესახედავი.

თუ არ გფენს ნათელს სიკეთე სხვისი
და ფიქრობ ყოფნა ასე სჯობია.
კაცური კაცი შეგძახებს რისხვით:
— გაგისკდეს მიწა, ცა დაგმხობია...

ვერც შინ, ვერც კარში, ვერ გაიხარებს
ის, ვისაც სოფლად კენტად უვლია,
იქნებ საჯაროდ, ხუმრობს, ხარხარებს,
მაგრამ ხომ ვიცით, ქვეყნის წყლულია.

1967

და ვეძებ... ვეძებ...

ეს იმგვარია, თუ მისი მსგავსი
მე რასაც ვეძებ, მე რასაც ველი.
მისთვის საათი ასჯერ ათასი
დავფერფლე, რაა გასაკვირველი!

ორმოცდაათი ცოტაა წელი?..
ცოტა კი არა, დიდი დროც არი.
შევხარი, არ ჩანს და მაინც ველი,
ველი, რა არის აქ საოცარი!

არ მინდა, მერქვას შესაცოდარი,
შესაბრალისი არ მინდა, მერქვას.
ტრიალ მინდორზე დავქრი მხედარი,
ძარღვმაგარ მუხის დავეძებ მერქანს.

1974

პასუხი მეგობარს

შენ შემომჩივი: — სიხარული გამინაპირდა,
სასოწარკვეთას ვებრძვი, ვაქრობ, მაინც ჩემშია,
თანდათანობით ვგრძნობ მიმათრევს უფსკრულის პირთან,
აი, ამ დღისთვის ლეკვიც კი არ დამიგეშია, —.

გამომაფხიზლოს, შემომყეფოს, დამიწყოს დავა...
და ვსვამ აქ წერტილს... შეგაწუხებს ბარათი ვრცელი.
არ ვიცი, აწი დღენი ჩემი წინ როგორ წავა,
ცუდად ვარ, ძმაო, მომეშველე, შენს პასუხს ველი.

— ჭაბუკობიდან შეეზარდე ბრძოლას, შეტევას,
ასე ერთბაშად შენში ეს ვინ, როგორ აღკვეთა,
მაოცებს ურვა მაგ გულმკერდში როგორ ეტევა,
უფსკრულისაკენ ვით გიბიძგა სასოწარკვეთამ.

შენ კარგად გესმის ამა სოფლის ავან-ჩავანი,
უეკალნაროდ ეს დიდი გზა არ გაგივლია.

გადაგხდა ღელვა, ჭირი, ჭორი, მრავალთ-მრავალი
და თუ გიტევდნენ, არც შენ იყავ ჩიტი ნიბლია.

წაბარბაცება, მარცხი, ელდა არ გიგლოვია,
მწარედ არასდროს დაგღარვია ცრემლით ღაწვები,
არ შეურუჯავს ფრთები შენთვის დღეებს გოლვიანს,
არც გამადლიდნენ დღეგრძელობას ჯიხვის ყანწებით.

აბა, რა მოხდა, სამდურავი რა გაქვს, არ მესმის.
იქნებ ხანდაზმულს ისე უცებ დაგაკლდა ჯანი,
რომ არც ელოდი... უძლურობამ აგროვა გესლი
და მსუსხავ ფიქრთან ჭიდილის ჟამს აღივსე ჯავრით.

დაცხრი, დაწყნარდი, წუთისოფელს მკვირცხლად გახედე,
მცირე რამ საწყენს გაუყუჩდი, ნუ გააშიშვლებ...
ნუთუ შენ თვითონ არ შეგრცხვება ისე გახელდე,
ალერსი შენი მოანატრო შენს შვილიშვილებს.

1975

* *

შენ ისეთ რამეს მოჰკიდე ხელი,
გატაცებული ხარ ისეთ რამით,
მარადი ღელვა და შფოთვა გელის,
იქნებ წამებაც დღითა და ღამით.

1974

ცრუ

გაანიორწყლა ავიც და კაიც,
ესწრაფვის დაგსვას უფსკრულის ქიმზე
იცის, რომ ცრუობს და იგი შაინც,
მართალი კაცის თვალებით გიმზერს.

1974

ცხენენჯი

უნაგირს ავეანდს აბამდი,
ლურჯა დაგორდა ხის ძირას,
გული იჯერა, წამოხტა,
შეჩერდა, დაიჭიხვინა.

შეხედე, შუბლი გაგეხსნა,
გწყუროდა, რაღაც გენატრა,
ვერ მოაშორე თვალები,
ტრფიალი შემოგემატა.

ალერსით მიუახლოვდი,
გეგონა, მშვიდად დაგნებდა.
გაიქცა და შენ ლოდივით
გულზე მოგაწვა ლოდინი.

ინავარდა და ფლოქვებით
ბალახი მისრის-მოსრისა...
გარბოდა, ნალზე მოჩანდა
სიმწვანე ლორთქო მოლისა...

და როცა ხელში ჩაიგდე,
იმატა გულის ხმაურმა,
დატყვევებულმა მერანმა
ლაგამი ჩაახრამუნა.

თემს გაღმა გეგულებოდა
სოფლის რჩეული ქალები...
იქ მოუთმენლად გელოდა
ერთი ცქრიალას თვალები.

შეგხედეს, ჩრდილმა დაგფარა;
ბავშვები მოლზე ტოკავდნენ.
ქარმუხლა ლურჯას ფაფარი
შავთვალას ნაწნავს მოჰგავდა.

ჩაბალახგადმოგდებული
იმზირებოდა მთებშია
და კოხტად იღიმებოდი
გიშრისფერ ულვაშებშია.

ქუსლი შემოჰკარ ლურჯას და
ლაწანი იწყეს კაჟებმა.
ვეფხვის თვალებით დაგზვერეს
სათემოს მოსულ ვაჟებმა.

მკერდთან სადავე მოშვილდე,
მუხლი გაქვავდა მერნისა.
შეწყდა, შეჩერდა უეცრად
ყღარუნი უზანგებისა.

გაკვირდებოდნენ ქალები,
ზოგი თავს ხრიდა, შველობდა.
ბევრი მათგანი მოხიბლე,
შენ მაისობა გშვენოდა...

1932

პასუხი

არ ვარ ჩვეული მოფერებას, ნუ მეფერები,
თავს ნუ იწუხებ, გულს ეგ ხმები არ ეკარება.
წუთით იფრენენ ჩემს გარშემო ეფემერები,
მათ ეჩქარებათ, ეჩქარებათ და ეჩქარებათ...

ოდით მშფოთვარეს, შენ თუ ხანგრძლივს მომგვრი სიმშვიდეს,
გემორჩილები... განს გადგომა ჩემი ღვიძლია,
და თუ ამ ჩვევას წუთისოფლად ვინმე დამიშლის,
თმენა კი არა, გაგონებაც არ შემიძლია...

1974

შინ და გარშემო

მათ, ვინც უბედური შემთხვევით დაჰკარგეს,
გულით საყვარელი ადამიანები

მომენატრება ძმა, რძალი და მოხუცი დედა,
ფიცრული სახლი, ეზო-კარი მამისეული...
წრიალ-წრიალში უჩინარი შემიპყრობს სევდა,
ჩემგან მრავალჯერ ჩაქოლილი, წყევად ქცეული...

დავდივარ უხმოდ, ვეფერები ამ წმინდა სურვილს,
სხვა გზა არ არის, გული ითხოვს: — დრო გამოვნახო...
ვცილდები წუთებს, მღვრიე წუთებს, წუთებს შებურვილს
და საღამო ჟამს ვბინადრდები სურვილის ახლოს...

ინათებს დილა... მცირე მანძილს ფეხით გავივლი...
და მახალისებს, გზას მილოცავს კარგი ტაროსი...
ეხედავ ქუთაისს, სადაც ჩაჭკნა ჩემი ყვავილი,
ზათქით, გუგუნით მიმაქროლებს წინ იკაროსი.

მანქანითა ვარ თუ მოვფრინდი ტეხურის ხიდთან,
ფიქრებში ჩაფლულს ეს მგზავრობა არც კი მიგრძვნია,
მშობელი კუთხე ისე მხიბლავს ყოველი მხრიდან,
მისი აქ ახლა, გამეტება არ შემიძლია...

ის ჩემში დარჩეს, ჩემზე იყოს სამადლობელის
თქმა მომავალში... მე კვლავ ბუდეს მივუბრუნდები,
თავჩაღუნული შინ ვისწრაფვი, რომ მეზობელის
გასაუბრებით ავიცილო მუხლზე ხუნდები...

ის არ იფიქროთ, მეზობლები მე არ მიყვარდეს,
არ ვმშვიდდებოდე მათთან თბილი გასაუბრებით...
თვალს ბინდი წყდება, რჩევა ჩემი როცა ივარდებს,
როს ჩემი ხათრით ხმას აწვდიან ერთურთს უბრები.

მთრთოლვარე გული ჯერ დედის ხმით, დედის ალერსით
უნდა დაწყნარდეს, უნდა დატკბეს, განელდეს უნდა...
შეხებას მისას რომ ვუწოდო უმსურვალესი,
არ მომწონს, მაგრამ სხვა სიტყვა აქ ვერ მომიბრუნდა...

გზასე ჩინარებს აშოლტილი ტანი ერხევათ,
შევაღებ ჭიშკარს და კიბესთან დავიწყებ ფათურს...
დედას დაასწრებს და კისერზე შემომეხვევა,
ძმის შვილიშვილი, მკვირცხლი ბიჭი, ნათელი ბანდუ...

მეჩოთირება აქ გამართვა საუბარისა...
ხატვა კი ხატვა ამ წუთების უხერხულია.
მოსულს ვალი დევს თქვას ამბავი მთის და ბარისა
თქვენთვის კი თქვენთვის მოსმენაც ხომ უხერხულია...

...როგორ მოვიქცე... სად წავიღო, ვის გავატანო
ის მწუხარება, ის ტკივილი აქ რომ ბინადრობს...
წუთისოფელო! ძლიერო და ყოვლის ამტანო,
გთხოვ, აღმისრულო შენს წინაშე მე რაც ვინატრო...

კვლავ დაუბრუნე ოჯახს ჩვენსას ის სიხარული,
აქ რომ სუფევდა, აქ რომ იყო დამკვიდრებული.
პატარა ბანდუმ ზღვას, ვით მამამ, გაჰკრას მხარული,
ყოველ საქმეში დარჩეს მტკიცე და ფიცდებული...

...ასე მეგონა დავასრულე, დაწყნარდა გული,
მაგრამ სიმართლე, ის სიმართლე ვიცი, რომ მისი
შეწყდა სიცოცხლე, არ შემხვდება ღიმმორეული,
მასთან საუბრით ვერ დავტკბები ღამით თუ მზისით.

კვლავ მძიმე წუთებს ატრიალებს... ხელის შევლებას
სურათზე თუ ხმის ამოღებას, ვერა ვერ ვბედავ
ვერ ვმალავ თრთოლვას... შემატყობენ... მომეალერსება
დედაჩემი და უბედური ბიჭიტის დედა...

ძმა ხელს წაუწვდის ხან პაპიროსს, ხან სათუთუნეს,
ზის ფანჯარასთან უხმაურად... ნაღველით სავსე...
შვილის დაღუპვით გულმოკლული წაიდუდუნებს:
— კვლავ ორშაბათი, სამშაბათი და შემდეგ ასე...

1975

ღრუბლიანი დღე

მოღრუბლული ცა, დაღვრემილი მთა,
რით გავიხარო, ან რა უნდა ვთქვა?

გულმოსულმა ცას გავუქროლე ქვა,
ქვა ვერ მიწვდა ცას, მიწას დაეცა.

დარჩა ღრუბელი გაურღვეველი,
მე მზეს ვუცდი და მზის შუქს მოველი.

ვზიავარ, ფიქრებით ვარ გაალული,
იქნებ გამოჩნდეს მზე დამალული.

გამახაროს მზემ, ამამღეროს მზემ,
კიაფობდეს მზე ჩალის ღეროზე.

მზე, მზე ფარავდეს მიწას, მთას, წყაროს,
ადამიანმა რომ გაიხაროს.

1963

* *

ისევ და ისევ თბილი საბანი,
ისევ ძილისკენ ისწრაფვის სული...
შენ მომიყევი კარგი ამბავი,
მე კი ჩავთბები შეცივებული...

გამოვიღვიძებ და დილის შუქი
სიცოცხლის ხალისს შემმატებს, მჯერა...
ეგების შეწყდეს თოვლი, ქარბუქი
და გაგვახაროს სუფთა ცის ცქერამ.

1978

მიტოვებული ეზო

ფოთლებგაძარცულ კაკლის ხეზე დაფრინდა ყვავი,
ათვალიერა ტოტები და ჩაკინწლა თავი...

არ შეარჩინა, ჩამორეკა ქარმა კაკალი,
ყვავმა ადგილზე იწრიალა ერთხანს კანკალით.

ეზო-გარემოს გადახედა, თქვა: — აქ რა მინდა,
გაწბილებული და მშიერი სადღაც გაფრინდა.

1975

მუზეუმში

მთელი დღე მარტო ვიარე იქ, სადაც ვიშვი, ვიზარდე,
გულს არ კაწრავდა იარა, კუკურად მიველ, ვივარდე,
ვინ გამიბედავს ურჩობას, მე რომ სამშობლო მიყვარდეს.

მიყვარდეს მე ის მიდამო და იმ ჩანჩქერის დინება,
რომელმაც ძუძუ მაწოვა, ჩემი გამოზრდა ინება,
ბულბულად მხდის და მამღერებს მე მისი აღორძინება.

ჩემი ბავშვობის დღეები ურჩი იყო თუ ალება,
ამ ხეივანში უვლია, ჩურჩულებს, აქ იმალება,
აქ შემეფეთა პირველად გოგონა მაყვლისთვალება.

ჰოდა, ძმობილო, აქ მოველ, იქა ვარ, სადაც ვიხარე,
აღარ მხვდებიან მგზავრები ნაღვლიანი და მწუხარე,
ყანიდან ისმის ყანური ვაჟკაცური და მქუხარე...

1936

• •

რა კარგი დღეა, რა ლამაზი დილა გათენდა...
ტოტებდახრილი ხეხილები თვალებს ამშვიდებს...
წუხელ მოხუცი მებაღე აქ ღამეს ათევდა,
ახლოს უვლიდა ამ დიდებულს გორას, სამშვილდეს,
ვინმე ავსული ბაღში რომ არ გადმოჭრილიყო...
მისთვის ამ დილით, ამ წყნარი დღის გათენებისას
თავის მიდება სასთუმალზე ალალი იყოს.

1978

ნანი ბრეგვაძეს

შენი ჰანგებით ვარ მოხიბლული,
ვარ მოხიბლული შენი ბგერებით.
ვით მიმალული ბაღში ბულბული,
ჩვენ გვეფერები მაგ სიმღერებით.

როს გალობს სული მირონცხებული,
შინ მისი ეშხით ვინ არ შთენილა.
ხშირად ვარ შენით დატყვევებული,
მერე კი, მერე დიდხანს შენი ვარ.

როცა აკაკის ცა-ფირუზს მღერი,
გვატკბობ, როგორც მზე, როგორც მთვარეო.
ცოტაა გკადრო — ხარ მშვენიერი,
მეც ერთხელ მაგ ხმას მიმაბარეო.

1972

ერთი მოხუცი

დიდი ხანია მე მასთან არ მისაუბრია...
გულში ჩამწვდომი სჯა-ბაასით მატკბობდა მუდამ,
ვერვინ დააფრთხო ის თვალების ბრიალ-ბრიალით,
უყვარდა კარგით ვინც ხარობდა და ავით წუხდა.

მომწყვდეულია მის სხეულში შრომით და შფოთვით
მრავალი წელი, დაგრაგნილი მრავალი წელი,
მისი მარჯვენით მოქნეული ზუზუნი შოლტის
სმენას არ ატკბობს... გაცვდა კაცი ქედმოუხრელი.

წინსვლა, სიახლე ამა სოფლის დღესაც ახარებს,
გულით მშრომელებს დღეგრძელობას ლოცვით თან ატანს,
უქნარა კაცის ბაქიბუქი აახარხარებს,
ეტყვის: — მოთმენა შეარჩინოს ღმერთმა შენს ამტანს.

დარჩა, ისე, რომ ყველაფრისა და ყველას მიმართ,
ზოგიერთივით თავის ქიცინს აღარ კადრულობს,
განმარტოებულს იშვიათად შეხედავთ მღიმარს,
იპყრობს სურვილი ჭირში მყოფი მოინახულოს.

არა ქოთქოთით, წრფელი გულის ჩუმი ალერსით,
მსურს, მის წინაშე მოვიხადო დიდი ხნის ვალი,
ცხოვრებას მისას მინდა, ისე გავკრა ტალ-კვესი,
რომ დავაფიქრო მით ჩვენი ძე და მომავალი...

ექვსი ქალის და სამი ვაჟის მამა მაგარი,
ზურგს არასოდეს შეაქცევდა სასოფლო საქმეს,
ებრძოდა მიწას კავით, თოხით, წერაქვით, ბარით
და ნაამაგარ სვრელს სტოვებდა უთუოდ საქებს.

ჟამგადასული, გაცვეთილი ჭრელი ხურჯინით,
პირმშოთა საზრდო ქალაქისკენ მხრებით მიჰქონდა...
მან აისრულა გულს ნადები ოწმენა და ჟინიც,
შვილებისათვის შესაფერი მიეცა ცოდნა.

ჩირად არ უღირს ვინაც იცის შვილის არჩევა,
ერთს უსათუთებს და მეორეს აკლებს ორწილად.
არ უღალატა წინაპართა ადათს და ჩვევას,
ყველა მათგანი საგანგებოდ დააქორწილა.

ამ შემოდეგზე გადავწყვიტე მოხუცის ნახვა,
ორკაპა ჯოხით ვიწრო ბილიკს ავყევი უხმოდ.
ზვრებშია ხალხი, რთველს საამო ხალისი ახლავს,
მწკრივში ჩამდგარი, გზად მიმავალს ყიყინით უხმობს.

შეჩერება და ჟრიამულით ტკბობა მომინდა...
გზას აჩეროებს ასკილის და მაყვლის ბარდები,
მესმის ჭიჭინი, ხმას იმაღლებს ერთი შორიდან:
— ვკრეფთ, წინ მივიწევთ, ბრიგადირო, ნუ გვიცხარდები!..

ბრეკზე ავედი და გამოჩნდა ძელქვები მისი,
ოდა კი არ სჩანს... აი წუთი ფერისცვალების.
ნუთუ გაყიდეს?.. არ გახადეს შვილებმა ღირსი
იმ სახლის ჭერქვეშ დაეხუჭა მოხუცს თვალები.

ჩაფიქრებული ვდგამ ნაბიჯებს, რაც შემიძლია
ვისწრაფვი... მაგრამ წინ მანძილი გრძელდება უფრო.
გულის უეცრად დამძიმება წყენის ღვიძლია,
კარგი იქნება შემხვდეს ვინმე... გავესაუბრო.

არვინ არ მოდის... თვალი ვკიდე მოხუცის ჭიშკარს,
გავხედე ეზოს, ძელქვის ჩრდილში ზის წიგნით იგი,
ხელი შევავლე ბოძს, მით ვაძლევ შორიდან ნიშანს,
წამოიწია, შეიშმუშნა, დაკეცა წიგნი.

და წამოვიდა, თავდახრილი აჩქარდა ოდნავ,
ერთი შემხედა, დამაკვირდა... მოჭუტა თვალი.
კარგად ყოფილა, არ ამშვენებს მხოლოდ ის ოდა,
მას რომ უყვარდა... რა ბედია, რა სამართალი.

ამხედ-დამხედა, გვიან მიცნო, ნათელი სახე
გახარებულმა ღიმმორევით შემომანათა,

ჯერ ვერ აეუწყვეთ ხმა ერთმანეთს, ის კი ცახცახებს
მიმოიხედა, შეჩერდა და ყელი ამართა...

— გნახეთ, ნასახლარს უგემური თვალი შეავლეთ,
ამბის გაგება გსურთ... შეკითხვის კი გეკრძალებათ...
ბევრთან სიმართლე შეგნებულად დიდი ხნით ვმალე...
ღირსეულთან კი, როცა დარდი მომეძალება,

თუ არ ამოვთქვი რაც მაღელვებს, მერჩის, მაწუხებს,
ჩემს კარგის მდომელს არ გავანდე, არ ვუზიარე,
ისე მომიჭერს განუყრელი სევდა მარწუხებს,
დახსნის ერთბაშად დასერილი გულის იარებს...

არ გაყიდულა, არ დამწვარა, არ დანგრეულა
ის ოდა სახლი ჯერჯერობით ისევ აქ არი.
სანამ ცოცხალ ვარ, გონი ჩემი არ ამღვრეულა,
მას ამ ეზოდან ვერ გაიტანს ერთი ლაშქარი.

ისურვეს, მაგრამ ხელთ ვერ მიგდეს მუდარით, რჩევით,
თვით შევარჩინე შვილებს ნდომა უკუღმართული.
შემომიტია, დამემუქრა ერთი ძე ჩემი,
ნაბოროტალით, ნაარმალით მხრებამართული.

ვიხმე დურგლები და მათ თვალწინ დავიწყე რღვევა,
რღვევა სახლისა, წვით და დაგვით რომ ავაშენე.
ისე შებოჭა ცოლის უხმო ცრემლების ფრქვევამ,
მას იმ წუთებში, ერთი სიტყვაც ვერ მივაშველე...

...მოფარებულში დავალაგე და გადავხურე...
ვაგლახად ფიცრებს ქარიშხალიც მტვერს ვერ მიაყრის...
და მე დროდადრო გულის ჭვალი თუ შემახურებს,
მიმაგრებს ჩემი სიმტკიცე და გზა სიამაყის.

— ბატონო ბათუ! მჯერა ძალა სიყვარულისა
ხშირად აზრს უცვლის ადამიანს, დარდსაც უნელებს,
მინდა შეგკადროთ: თქვენ ისე რამ გაგაგულისათ,
ასე ერთბაშად შეეჭიდეთ საქმეს უძნელესს?

შეუჩერებლად იმ ცხელ ეულზე დაიწყეთ რღვევა,
რღვევა სახლისა... დამორჩილდით წყენას წუთიერს,
არად ჩააგდეთ უწმინდესი ცრემლების ფრქვევა,
მეუღლის ღელვას ერთი ღამეც აღარ უთიეთ...

— არა, ძვირფასო! წუთიერი წყენის მიზეზით —
ჩემს მაღალ ოდას ფიცარ-ფიცარ აღარ დავშლიდი.
ბუხარს სადაც მე, ცეცხლს ქარ-ბუქში ვაგიზგიზებდი.
არ ჩავაქრობდი... თუ დავმშვიდდი, ამით დაემშვიდდი.

მაინც რა სურდათ, რა ინდომეს, რა დაიჩემეს,
მინდა, გავიგო დაწვრილებით, თუ არ ვაქარბებ...
მათი განზრახვა ასე უცებ რომ შეაჩვენეთ,
მათი სურვილი ახლოსაც არ გააკაკანეთ.

— უხერხულია აქ მოთხრობა მათი ნაღვაწის
და რომ არ ვიყო გამვლელების რიდსა და შიშში,
მღელვარებისგან შეფაკლული შუბლი და ღაწვი
დაიფარება იმ მშვენიერ ძელქვების ჩრდილში.

წინ წავიწიეთ, შემეგება მეუღლე მისი...
გავისაუბრეთ, ფერმიმკრთალი, წელში მოხრილი
მიბრუნდა უხმოდ, ღობის მიღმა ისმის კისკისი,
ჩვენ ჩავიმუხლეთ, მოგვაწოდეს ღვინო და ხილი.

ბათუმ განაგრძო საუბარი მშვიდად, ნელ-ნელა:
— ცხრა შვილთა შორის ის მექრთამე მეურჩა მეტად,
ხმა დაიბოხა და თანდათან მიიმხრო ყველა,
მე კი, მე მამა გამიმეტეს, დამტოვეს კენტად.

კი არ ვტრაბახობ, მაგრამ სიტყვას სიტყვა აბრუნებს,
გავუნიორწყლე რაც ისურვა, რაც მოინდომა,
აღარ დავზოგე, გავაშიშვლე, დავაძაბუნე,
ლაფი დავასხი, ლაფი, ლაფი მის „რაინდობას“.

ის სესხს აძლევდა დებს, სიძეებს, რძლებსა და ძმებსა,
ვითომ სოფელში შემომტანი ძმური სიახლის,

მიქიაქებდნენ ოდას, როგორც დრომოჭმულს, ძველსა
და აქაურებს აკვირვებდნენ უცნაურ სახლით...

ერთ სახურავ ქვეშ გადაწყვიტეს, რომ მოექციათ
და ძმებს ორ-ორი ოთახები სათავსოებით,
ქვაში, აგურში ჩაეკირათ, როგორც მასალა,
ის ჩემი ოდა, ჩემი ლხენა და სასოება.

სად გაგონილა ერთ ოჯახში ამდენი სულის
ერთად თავშეყრა, სტუმრადაც კი იტყვი, მეტია,
სწორედ ამიტომ ვამჯობინე, ეს დასასრული,
ახლა როგორ სჯით? ამ ელდისთვის ღამე მეთია?

— რა მოხდებოდა თქვენ ის ოდა, როგორც მასალა
დაგეთმოთ მათთვის, ვით ძვირფასი რამ სახსოვარი,
მკაცრი თვალებით მან მეტის თქმა არ დამაცალა,
მდუღარე ხმაში ერია ცრემლი, წმინდა ცრემლი
აკვანში ჩაკრულ კარჩაკეტილ ძუძუმწოვარის...

— შვილებს მე ბუდე დავუნგრიე... წავართვი შვება...
ვერ მოითქვამენ ამ ეზოში სულს დაღლილები...
მეუღლის თვალში იმ დღის მერე ცრემლი არ შრება,
ბევრჯერ მას სწრაფად შეუხსნია კაბის ღილები,

მიგდებულიყო და თავს საბან გადაფარებულს
ეგლოვა შვილთა, შვილიშვილთა აქ არსტუმრობა,
ხშირად გვერდს ვუქცევ, თავს ვარიდებ ცოლს გამწარებულს,
ამ დღეში ყოფნა, ნურვინ იტყვის, იყოს ხუმრობა...

მაგრამ რა მექნა, ცხადია და არა სიზმარი,
ვერ გავიმეტე ჩემი ოდა როგორც მასალა,
ო, რარიგ ურცხვად მიყურებდა ის საზიზღარი,
თუ რამ სიკეთე იყო ჩემში, ამომაცალა...

ძმებს, დებს, სიძეებს ის შეუჩხდა, ის მოერია,
დასვრილი ფულით ღვთისმგმობელმა ყველა დასვარა,
ჩემი კაცობა მან წაბილწა, მპერზე მტერია,
ვითომ სულგრძელი, მაგრამ ცხადში ტაკიმასხარა.

იქნებ, ზაფხულში ყველამ ერთად მოსვლა ინება.
სად დამესვენა, სად მეცხოვრა, მითხარი ერთი...
ზოგმა დამცინა, ზოგსა აწიც გაეცინება,
მაგრამ მჯერა, რომ არ შემრისხავს მაღალი ღმერთი.

შევცდი?.. ვიჩქარე?.. დავაშავე?.. არა მგონია
სოფელს წააქცევს მომრავლება გულით ჩვილების,
ნაბიჯი ჩემი მე ამიწონ-დამიწონია,
ჩემს ოდას ისევ აღმართავენ შვილიშვილები...

1978

სურათი

მზეს ღრუბლები შეესია,
დაემგვანა ეკლესიას...
და შუქი კი, შუქი თითქოს
ბურდოში და ეკლებშია...

1978

ნამოსახლართან

დაუნგრევიათ ის ოდა-სახლი,
მზით დაძერწილი წაბლის კედელი.
ეზოს გაცლია შუქი სიახლის,
ხელს მკიდებს სევდა ბნელში მჭვრეტელის.

შემორჩენია მხოლოდ ჭიშკარი
იმ ღობეს, სადაც სიცოცხლე დუღდა.
ეს გარემო და ეს ნაფუძარი
დასანანია ემსგავსოს უღრანს.

ჯერ კიდევ ხეხილს ნაყოფი ამკობს.
უმწიფარი თუ გვერდშებრაწული,
მომაშორეთო — ხე ლაპარაკობს —
ტოტები ხმელი და აჩხვარკული.

მემკვიდრე არ ჩანს, მემკვიდრე არ ჩანს, —
ყაცურკაცს გული უთუოდ წყდება.
კარ-მიდამო თუ შიშველი დარჩა,
ვინც იქ იცხოვრა — არდავიწყება —

იმ კარგი კაცის, იმ გამრჯე კაცის
წარსულს ვიგონებ, ვტკბები, ვისვენებ...
თუ ვინმეს წასკდა მისებრ კარკაცი,
სადაც არ ვიყო მას გავიხსენებ.

მებრძვის ეზოში შესვლის სურვილი,
ფარჩხები ჭიშკარს რომ ავაცალო...
სავსე თავთავის ხილვის წყურვილი
არ მოგვანატრო, პურის მარცვალი!..

1972

ის ცოცხლობს ჩემში

მეგობრის ხსოვნას

გარდაიცვალა... გარდაიცვალა...
ხანმა, სენმა თუ მზემ გაიმეტა.
სურდა სიცოცხლე, ბევრიც იძალა,
ბევრჯერაც თავი დაიიმედა.

მაინც სიკვდილმა დასცა, აჯობა
და ფერშეცვლილმა დახუჭა თვალი...
ვერვინ აკადრებს უილაჯობას,
მან კაცურ-კაცის დასტოვა კვალი.

შექმნა ოჯახი... დარჩა შვილები,
შვილიშვილსაც კი ერთხანს ეფერა...

ვით ხმალს, ჩახლეჩილ ხმას იშიშვლებდა,
წლებმა ის სულით ვერ დააბერა.

არ ხალვათობდა ოქრო და ვერცხლით,
ჰქონდა საკმარი პური და ღვინო.
მისი სიცოცხლის კორძ-ნაკვერცხლებო!..
გთხოვთ, გეევედრებით, არ შეარცხვინოთ.

1975

რიონჰესის მუშებს

მეც თქვენთან ერთად ამ დიდ ლოდებს დავეიდებივარ,
ამკობს ამ ლოდებს ჩვენი შრომის და ბრძოლის ეშხი.
მეც მიბრძოლია ამ გვირაბში და მირბევია
მკვრივი კლდეები წერაქვით ხელში.

მეც თქვენთან ერთად ღამეები გამითევია
ლაღუმის კვამლით თაღშებოლილ გვირაბის გულში,
დღეს თუ ეს კვამლი თქვენ მნათობად გადააქციეთ,
მეც წვლილი მიძღვის, მეგობრებო, ამ სიხარულში!

რა ჩქარა გარბის ეს დღეები, რა სწრაფი არი,—
მაგრამ იმ დღეებს, იმ ღამეებს რა დამავიწყებს,
როცა ლაღუმი სკდებოდა და ლოდთა ზანზარი
დაგვამსგავსებდა ფრთებდაშვებულ გულად არწივებს.

გავიდა დრონი და დაიფშვნენ მუნჯი კლდეები,
ჩვენს ნაფეხურზე ურჩ მდინარეს გააქვს ჩქაფანი,
მღვრიე რიონი აციმციმდა ვარსკვლავებივით
და მოჩანს როგორც ოქროს ფაფარი.

1933

* *

გაგაცოცხლოს საქმემ უნდა,
საქმემ უნდა ჩაჰკლას სევდა.
სთქვა: ხალისი დამიბრუნდა,
ამდენხანს რომ ლანდად მსდევდა.

1978

ნეტარი წუთი

რომ არ ველოდი, ისე უეცრად
მე ბედნიერად ვიგრძენი თავი.
ეს საამური ნეტარი წუთი
ასე გაგრძელდეს ერთხანს, ნეტავი.

დაღამდეს ასე, გათენდეს ასე,
გზადაგზა ასე დიდხანს ვიარო
და გულმოკლული თუ შემხვდა მგზავრი
მე ჩემი ხვედრი გავუზიარო.

1966

შვილი

შემოირბინა. დამხედა ერთი
მომღიმარ სახით, გაშლილ წარბებით.
— კარგად ხარ, კარგად, რა მინდა მეტი,
კარგად იყავი... ბაბა, წავედი...

მე საუსარი უნდა დამეწყო,
ეჩქარებოდა, ვაიქცა შვილი...
ავდექი, ვნახე, სუფრაზე ეწყო
ნედლი ოკვზი და მკვადი და ხილი.

1975

რ ი ო ნ ს

ნიკა აგიაშვილს

დიდო ფაზისო, ფასის მთიდან გადმომდინარევ,
კვლავ მომენატრა ჯიქურ მგრგვინავ ტალღათა ცქერა,
გესტუმრე, კარგო, მაგრამ რა ვქნა, ვაუკაცურ ზვირთებს
ამ თეთრ ლოდებთან ვეღარ ვხედავ, ქცეულან ჩქერად.

იქნებ, რიონო, გული გტკივა, ბოღმით ირთვები,
ნების გარეშე რომ აგიგეს ბინა ახალი,
შუქად აქციეს მოდუდუნე მღვრიე ზვირთები,
დასტოვეს მშრალად ქვიშა, შენი ნამოსახლარი.

იქნებ, რიონო, ის გაშმაგებს, რომ ქამთასვლაში,
მთიდან ბეჭებით მონაზიდი ჯიღა ლოდები
დარჩნენ უშენოდ, ვერ ჩაუვლი ტალღათა ტაშით
და ამ ფიქრებით დალეწილი ზღვას უერთდები.

ნუ დაგაფიქრებს შენ ლოდების ობლად დარჩენა,
დაყუჩდი, კარგო, გულზვიადო, ნუ დაღონდები.
ვინაც შენს ზვირთებს მოუარა და გზა აჩვენა,
მას მოუვლელად არ დარჩება არც ეს ლოდები.

ხედავ თუ არა, რომ გაბურღეს მდუმარე ლოდი.
ლაღუმმა იწყო მის გულ-მკერდში უნდოდ ზანზარი,
აბა, მიამბე, თქვი, მდინარევ, თუ მოელოდი,
რომ შენს ლოდებშიც გაჩნდებოდა მძაფრი ხანძარი.

არა, და მაშინ მომისმინე, მომაპყარ ყური,
უცხო ამბავი გასართობი გიამბო მინდა,
გაგახალისებს, ვით ნიავი მთით შარიშური,
როგორც ამბორი ნუგეშმცემი და ფიცი წმინდა.

რად გეფერები, ფიქრი ჩემი რად არ გშორდება?
უტყვი ლოდები შუქურთმებით როს დამშვენდება —
აიმართება მთაზე კოშკი თეთრი, ზვიადი,
შენი ამაგის სამახსოვროდ, ვით განთიადი.

და როცა მწუხრში შთაინთქმება კოშკი დიადი,
როცა დარბაზში შეიჭრება ღამის წყვდიადი,
შეებრძოლები დასაფერფლად შორეულ ქშენით
და მრუმე კედლებს გაანათებს სხივები შენი.

1936

ნუ მემუქრები!

— მოუსვენრობა დაგებედა, მოუსვენრობა,
მოუსვენრობის ჩაუქრობელ ცეცხლში ტრიალებ.
მოუსვენრობა მოგინელებს, მოუსვენრობა,
სიმშვიდე აღარ გეღირსება, — ვიღაც ღრიალებს...

ნუ მემუქრები, იქნებ გჯერა, მე მწყდება გული,
იქნებ გგონია, მუხლს მოვიყრი, გთხოვ შებრალებას.
არ მწამს, არ მიყვარს ძე კაცისა დამშვიდებული,
ვინც წუთისოფელს თავს აფარებს, წვას ეკრძალება.

1972

გაზაფხულის დღეები

ნაირფერებით დამშვენებულ სოფლის წიაღში
დიდს თუ პატარას უღვივდება შრომის ხალისი.
თავსაფრიანი ჯგუფი იღწვის ხეხილის ბაღში,
მინდვრად გაჭრილი ბრიგადირის მკვეთრი ხმა ისმის.

მჭედელმა ცეცხლი გააჩაღა და მისი ალი
სახეს უნათებს და ოქროსფერ შუქში ტრიალებს.
საგაზაფხულო სუფევს გარჯა-აქ დაუმცხრალი,
ქშინავს ქურა და კვამლში ჰაერს შეაშრიალებს.

უხვ მოსავლისთვის ვაჟკაცური ბრძოლა გაჩაღდა,
შრომის წყურვილით ანთებულთა ყიჟინა ისმის,
გუგუნებს მძლავრი რკინის ხარი მინდორზე ლაღად
და ბოლს რგოლებად წამდაუწუმ ზეცისკენ ისვრის.

აგერ, მდინარეს შეებენ და ჯებირს აგებენ,
მღელვარე ტალღებს მოხდენილად შეუკრეს ფრთები.
შორს მიმავალნი ზურგშექცევით მიბუტბუტებენ
დამარცხებულნი, დარცხვენილნი მღვრიე ზვირთები.

იბრძვის სოფელი. გაზაფხულის საამო დღეებს
საერთო შრომით შეეგება ყრმა და ჭაღარა.
დაეტყო ზრუნვა ვაზებს, ბოსტნებს, ხეხილის ბაღებს,
იხვნება მიწა, ხნულში თესლმა ჩაიხარხარა.

მხნე კოლმეურნე წარმტაც ცის ქვეშ ამღერებული,
მიარღვევს ყამირს, ძალას მატებს დუგდუგი ბორბლის,
და ამბობს: — შევხვდეთ შემოდგომას გახარებული,
ჩვენი ბეღლები ამოვავსოთ ოქროსფერ ხორბლით.

1951

დ ე დ ა

ნ. გოგოლაშვილს

შენს აივანზე ჭიკჭიკებენ ისევ მერცხლები,
შენ აღარა ხარ, შენ არ გესმის მათი გალობა...
მთვარიან ღამით დიდი ეზო დაივერცხლება,
მოწყენილია ჯერაც შენი შთამომავლობა...

უღვთოს ვერ ვარქმევ იმა სოფლად თქვენს გამგზავრებას,
(ცხრა ათეული წელიწადი აქ გაატარეთ),
შენი წარსულის გახსენება არ მეზარება,
მაძლევს უფლებას ვესაუბრო დიდს და პატარას...

საჯაროდ ყველა იმ ღირსების თქმა მეძნელება,
რაც თქვენ გაგაჩნდათ, რაც გამკობდათ, რაც თქვენი იყო,
თქვენი დედობის და ქალობის მიმბაძველებმა
მინდა, ეს ლექსი გულდადებით რომ წაიკითხონ.

ზოგ-ზოგს სჩვევია მცირე ღვაწლის გაზვიადება,
ეგ მე არ მიყვარს... ერთი კარგი დედა იყავი...

და თუ ვისურვე თქვენი შრომის აფრიალება,
თქვენ მათ შორის ხართ, ვინც არ არის დასავიწყარი.

შრომით ებრძოდი ყოველდღიურ ჭირ-ვარამს, სევდას,
მხრებს უმაგრებდი თქვენს მეუღლეს, უბანში პირველს,
პირველ ხმის მიმცემ კოლმეურნეს... ბევრს ეცა ელდა,
დარჩა სხვათათვის გულსაწყვეტი და საკვირველი...

მასწავლებელის დიდი როლის რწმენა ასხურეთ, —
შვილებს, და ბავშვებს წვრთნიდნენ შენი ქალიშვილები...
წინდახედული, მართალი ხმით ბევრს ემსახურე,
და დადუმებულს დაგაყარეს ვარდ-ყვავილები.

ჭროღათვალება ვაჟი შენი ომიდან არ სჩანს,
არ გაგიმხილეს გულჩვილ დედას დაცემა მისი.
ის უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში დარჩა,
არ იქნებოდა თქვენი შვილი ძაგების ღირსი.

თქვენს გასვენებას ამშვენებდა ცრემლი, ცახცახიც,
ვალდებული ვარ თქვენს წინაშე თავი დავხარო...
შვილიშვილებს კი ვთხოვ სახალხოდ, წმინდა ხე ცაცხვი
თქვენი საფლავის, თქვენი შუბლის ახლოს ახარონ.

1978

მევენახე ქალიშვილს

მაისის დილა კაშკაშებს,
ვენახს ახვევენ ქალები;
ხშირად ძილს უფრთხობს ვ:ეკაცებს
ერთი მათგანის თვალები.

აქ იგი ისე ტრიალებს,
ისე სწრაფი და ჩქარია,
ვაზის ლერწთან რომ შრიალებს,
ბისი თავსაფრის ქარია.

1954

დალოცვილია მისი ჭიშკარი

აქ, ამ სოფელში არის ერთი პურის მცხობელი,
მადლიერია მისი შრომით ყველა მშრომელი.

მისი მარჯვენის ნაამაგარს — პურს რომ შეხედავ,
არ მოისურვებ სინჯვას მისას, ხელის შეხებას.

არ დაგჭირდება ასარჩევად თვალის ცეცება,
თითს რომ დააჭერ, გარმონივით დაიკეცება.

იგი ისეა დაბრაწული, ისეა წმინდა,
შინ მიტანამდე გზაზე ყუა მოსტეხო გინდა.

თვითონ მცხობელი ერთი შავი, ჯმუხი კაცია,
სადაც არ ნახავ, მუდამ სადად, სუფთად აცვია.

უყვარს დროდადრო მას მოლხენა მის ტოლკაცებთან,
ბაასში შეჭრა, შემართება და გატაცება.

ვინმე ნახელავს თუ შეუქებს, თუ მოუწონებს,
შეიშმუშნება და ღიმილით მხრებს შეისწორებს.

დალოცვილია სოფლისაგან მისი ჭიშკარი,
რადგან იციან, ნაარმალით შინ არ იჩქარის.

1963

ბარიტის მემალაროეს

(ექსპრომტი)

შეგხედე, როცა ბილიკით
სახეგაშლილი მორბოდი,
გახალისებდა ოცნება,
როგორც გლეხს ყანის მოროდი.

მოგვიახლოვდი, დაგვხედე,
თვალში მზე ამოგდიოდა,
მხრებგაშლილს ოფლი სახეზე
ნამივით ჩამოგდიოდა.

თქვი: — კაშიეთში აღმოჩნდა
ბარიტის თეთრი მთებიო,
მე ლოკნარიდან მოვდივარ
და ზეიმს ვუერთდებიო.

უნდა საჩქაროდ წავიღო:
ბური, ზონარი, ფალია,
რომ ავაფეთქოთ, ლაღუმი,
შევაზანზაროთ მთანია.

შენი სურვილი ვისმინეთ,
იჩქარე, სადაც გელიან,
კვლავ გაგვახარე, ჩვენს მთებში
მადანი ულეველია!

1930

* *

თავს ვეღარ ვუვლი, როგორც მჭირია,
როგორც შეჰფერის წარსულს და აწმყოს!..
რომ განვერიდო დღეებს ჭირიანს,
შევხვდე მღელვარეს და საამაყოს...

გაცვდა წარსული, აშკარად ვხედავ
გაცრეცილია ასლიც, დედანიც...
დღევანდელი დღე მიხმობს, ვერ ვბედავ
მოესინჯო ზურთი და მოედანი...

1975

ზემოდგომა მთაში

გაოქროსფერდა ხეები მთაში,
ფოთლები ტოტებს შრიალით ცვივა,
მოწყენას იგრძნობ ჩიტების ხმაში
და ნაბოლარა მართვეს კი სცივა.

ნისლი მთას თითქოს საკმეველს უკმევს,
ჟრიამულია წაბლის ხის ძირას.
მხოლოდ ღობე ჩანს, აიღეს უკვე
პატარა ყანა მთის განაპირას.

ტოტები ტოტებს ენანავება,
ნეშომ დაფარა ტყეში ღრეები.
უცვლელად შერჩა მთას, ვით მშვენება,
მარად წარმტაცი ნაძვის ხეები.

მზე ჩადის, უცებ გავარდისფერდა
მთასთან მიდგმული სახლთა კრებული,
მიახლოვდება მათი ფანჯრები
ბრდღვიალა შუქით განათებული.

ღამემ მინდვრადაც ფრთა ვერ გაშალა,
მთვარე ქათქათებს მოწმენდილ ციდან.
შხუის მდინარე, ხმაურობს ჭალა
და მწყემსის ცეცხლი გამოჩნდა მთიდან.

1948

თქვენ ძმა დაკარგეთ

მიას და დადას

თქვენ ძმა დაჰკარგეთ, ძმა ერთადერთი,
ზიხართ შავებით შემოსილები.
მეც თქვენებრ ერთი ძმა მომცა ღმერთმა
და თქვენ კი ჩემი ხართ ძმისშვილები.

ვხედავ თქვენს ცრემლებს, თქვენს მწუხარებას,
უსიტყვო გლოვით, რომ გტკივათ გული,
ჩვენი ოჯახის შნო და ხარება,
შინ არ შემოვა აჩქარებული.

მას სძულდა ცრემლი, სძულდა წუხილი,
დაიმორჩილა უეცარ მარცხმა.
ის ბიჭი იყო ჭექა-ქუხილის
და ქუხილითვე ქვას დაენარცხა.

მამას თუ ახრჩობს თამბაქოს ბოლი
თქვენ, დებს, კი მეტი მხნეობა გმართებთ.
ფეხს იდგამს უკვე მისი ობოლი,
მამით ობოლი პატარა მართვე.

მასზე ზრუნვაა დღეს თქვენი ვალი,
ის არის ახლა სინათლე თვალის,
ნუ შეიცოდებთ, დროდადრო მკაცრი
შესძახოთ მტკიცედ სიტყვა მართალი,
გულით მართალი, საქმით მართალი,
სიტყვით მართალი, რომ დარჩეს კაცი.

1967

* *

ვერ იქნა და ვერ დავანთე ცეცხლი,
მოგიზგიზე ალით მიმზიდველი.
ბოლი მახრჩობს ამ ფშუტურა ცეცხლის,
ბურბუშელას ფერფლია თუ ქერცლი...

ღონიერი, გულმხურვალე ცეცხლის
ჩემს ბუხარში გაჩალება მმართებს.
მჯიღის ტოლა მკვირცხლი ნაკვერცხლებით,
ქარ-ყინვაში შეციებული გათბეს.

1975

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ

თოვლის ფიფქივით შეიმოსა თხმელა მაღალი.
დაფუსფუსებენ, საახალწლო მზადება არის.
ბუხარში ცეცხლის განუწყვეტლად გიზგიზებს ალი,
ხშირ მიმოსვლაში წამდაუწუმ ჭრიალებს კარი.

ბავშვები ხშირად დავტიტინებთ მოკრძალებულნი,
ალტაცება და სიხარული სუფევს ჩვენს ხმაში,
როგორც ყვავილი, სუროს ფოთლით დამშვენებული,
შემოიტანა ჩიჩილაკი ბაბუამ სახლში.

შებინდდა, მწუხრმა მოციმციმე სივრცე დაბურა,
შეიკრა პირი თეთრად აკრილ ნათოვარ ცამა,
აანთეს შუქი, მყუდროებამ დაისადგურა,
თხილამურებით ქალაქიდან მოვიდა მამა.

გახსნა ხურჯინი, აციმციმდნენ ჩვენი თვალები,
არ გვეუცხოვა ლეღვის ჩირი, მსხალი თუ ვაშლი
და საახალწლო საჩუქრებთან, ვით ნაპერწკლები,
მრგვალ მაგიდაზე ფორთოხლები აბრწყინდნენ მაშინ.

სულ ხუთიოდე იყო, მაგრამ ყველას გვერჩია
მზიური ფერი, სხვა ფერისგან გამორჩეული.
ის გახდა ჩვენი სანატრელი ხილი მზეწვია,
ბრად მიგვაჩნდა ბებოს პანტა და ბროწეული.

მოახლოება მაგონდება იმ ალიონის,
ღელვა გულისა, სარეცელში ხშირი შერხევა.
ფანჯრის მინაზე მირჩენილი თოვლის ფიორი
და საახალწლო უცხო ხილზე ხელის შეხება.

ის დრო წავიდა, ჩემი სოფლის მინდვრებს ამშვენებს,
დღეს ნარინჯების თვალწარმტაცი გარიჟრაჟება,
დახუნძლულ ტოტებს ზღვის ნიავი შეაშრიალებს,
ალარ ნატრობენ დღეს ფორთოხლებს ჩვენი ბავშვები.

1950

ამ სიწყნარეში

ამ სიწყნარეში მე ყოფნა მხიბლავს,
ამ სიჩუმით ვარ მე ბედნიერი.
აქ მითენდება მე ხშირად დილა,
ნათელი, მშვიდი და მშვენიერი.

შენ კი ქალაქი არ დაგითმია,
ვერა და ვერა, ვეღარ შორდები.
ბრავალჯერ დაგცა, შემოგიტია,
მე გაგიხსენებ და მეცოდები.

1968

მოხუცის ფიქრი

დაბერდა ჩემი ვენახი,
ავჩეხო-არ მემეტება,
გული თუ მწყდება, რად გიკვირთ,
რად არის გადამეტება!

ორივე ერთად მოვხუცდით,
ჩავუვლი ხველებ-ხველებით...
ხანდახან შავ კანს შევაცლი
ჩემი დამჭკნარი ხელებით.

შვილებო, შვილიშვილებო!
ნუ, ნუ იმეტებთ, ვსტირი მე.
ნუ დამანახვებთ მათ ფესვებს
მოთხრილებს, თქვენი ჭირიმე.

საცაა აწ დაგშორდებით,
თქვენთან სიცოცხლის მდომელი.
მაცალეთ, მისი ნაყოფით
დალიეთ შესანდოზელი.

1962

წარსულიდან

1931 წლიდან 1933 წლის ჩათელით ვმასწავლებლობდი ქვედა სიმონეთში.

ქუთაისიდან ღამის მატარებლით წამოსულს ხშირად მიხდებოდა განთიადამდე ცდა აჯამეთის სადგურში...

აჯამეთო, აჯამეთო,
აჯამეთის სადგურო,
როგორ მინდა ფიქრი ჩემი
შენთან დავასადგურო.

გიგალობო, სიყვარულით
მოგიგონო, გახსენო,
და ის თეთრი ღამეები
არ გავხადო სასხვენო.

ქუთაისით მომავალი
აქ ვრჩებოდი დილამდე.
ბევრი კარგი გამატანე,
ბევრი რამ მიწილადე...

შეგეჩვიე... მით მატკბობდი,
შენ პატარა სადგურო,
იყავ ჩუმი, იყავ მშვიდი,
თბილი და უხმაურო.

ცისკრის შუქზე თვალწინ მედგა
ყვირილა და ბორანი,
წრიალებდა სუსხი ზამთრის,
ქართა მძაფრი ქროლანი.

მაგრამ მაინც წინ სკოლისკენ
მივდიოდი ჩქარი სვლით,
იმ შეჭირხლულ განთიადებს
ვერაფერში გაგიცვლი...

ჩაფიქროლე, ჩამაფიქრე,
შენ პატარა სადგურო,
როგორ მინდა, ერთი ღამე
შენთან დავისადგურო...

1978

მწამდა, მეგონა

მომწყინდა, მიწას ბარი დავკარი,
ავჩეჩხვე ჭანგა, ჭანგა მოჭრილი.
გავხედავ, მიპყრობს ნაამაგარი,
ბალახბულახი მიყრილ-მოყრილი.

მაგრამ ხომ ვიცი, ეს თუ რაც არი,
ხომ სჯობს, აწ მაინც ფიქრებს შორს ვშლიდე.
მე მწამდა ეზო, ვაზი, სახლ-კარი,
მომგვრიდა შვებას და ვერ მამშვიდებს.

გასხლულ ვაზებზე ცრემლთა ციმციმი
მე შემაჩერებს და ვაკვირდები,
მაგრამ შემდეგ კი შეხედვა მიმძიმს
აქა-იქ ცრემლით დამწვარ კვირტების.

მიკვირს, ჰო, მიკვირს, როგორ გავბედე
ეს არჩევანი... შევცდი მგონია.
რად ვიწვი ხშირად, როგორც აბედი,
ამ გზაზე სევდა თუ არ მქონია.

1964

მეგობარს

ნუ დამივიწყე, მეგობარო, გამომიარე,
ზამთრის ღამეებს ხომ საუბრით თრობა უხდება.
ერთმანეთს ჩვენი გულის ლხენა გავუზიაროთ,
ნუ გეკრძალება, შენით არვინ არ შეწუხდება.

თქმა და გადათქმა, შეცვლა მისი, ჭირთა მოსმენა
იცი არ მიყვარს, დარჩეს თქმული როგორც ბრძანება.
თუ შენ ფიქრს გაჰყევ და წუწუნით, დაჩრდილე ლხენა,
არარად ჩავთვლი გარჯას შენსას, შენს მობრძანებას.

1974

მგზავრული

ცრთფეროვნება მომწყინდა,
ვისურვე გასეირნება.
ვარჩიე — საით სჯობია?
გულმა კოლხეთი ინება.

აქა ვარ, სადაც ყრმობისას
ფიქრით დატვირთულს მივლიან.
წმინდად ვინახავ იმ დღეებს,
თუმც უკვე ჩაფერფლილია.

შავი ზღვის პირას ნაშენო,
ქალაქო არა მთიანო.
რახან გზა შენსკენ ვარჩიე,
მინდა, რომ გაგეხმიანო.

ვერ ვფიცავ, უნდა გამოვტყდე,
უცებ თქმას არ ვარ ჩვეული,
ჩანაფიქრებით აჭრელდა
ჩემი ცხოვრების რვეული.

და დღემდე ბუდეს ვერ გასცდნენ,
ჩაყუჟულები მიცდიან...
ვერ შევძელ მათი აფრენა,
თუმც ფრთების შესხმა მიცდია.

და აი შენც ვერ გაკადრე
მსუბუქ შაირით ქებანი.
მსურს, დამშვიდებით, ვიმღერო
ნაგრძნობი, ნაოცნებარი.

1960

ᲙᲝᲚᲮᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

თვალებს იტაცებ, ვით ჩიტს გავაზი,
ჩანს არ გიყრია ბედზე ჯერ წილი.
რა დედამ გშობა აგრე ლამაზი,
აგრე უზადოდ ჩამოძერწილი.

გამოგყოლია ეშხი კოლხელთა
და მოგდევს მათი ნაიარევიც,
ბბა, რა ვარქვა მაგ გამოხედვას, —
სევდიანი თუ სევდანარევი?

მოწყენილი და წყნარი ქალები,
როგორ მწამს, ნურას მკითხავ ამაზე.
შენ კაეშნიან ემაგ თვალებით
ჩრდილავ შენს ასაკს, შენს სილამაზეს.

არსად, არასდროს, არც არავისთვის
არ აუნთია სევდას კანდელი.
ის გვარბევს მისი უენო რისხვით,
მისი მსუსხავი კორიანტელით.

1968

ᲛᲘᲥᲔᲚᲐ

მე მყავდა ერთი მეზობელი, ერქვა მიქელა,
მიყვარდა მისი გამოხედვა, მისი ხმა ტკბილი.
რამდენჯერ ჩემთვის გაუწყვია მას საქანელა,
დღესაც თანა მდევს ახოვანი გლეხის აჩრდილი.

ჩვენი ოჯახის კარგის მდომი და ახლობელი,
არ იყო მარტო... მხოლოდ თვისკენ არ მიითლიდა...
პაპა მიქელას ადიდებდა მთელი სოფელი.
სიტყვით და საქმით სანიმუშო მშრომელად თვლიდა.

მხიბლავდა მისი კარ-მიდამო, ფართოდ გაშლილი,
ზაფხულში დიდი ოდა სახლის უყვარდა ჩრდილი.
ჩაცვინულ თვალებს მილულავდა ღიმდაკრულ ფშვინვით,
სიცოცხლეს ძილით აგრძელებდა ღონემიხდილი.

ჭაღარა თმები ამშვენებდა, ვით ლომს ფაფარი,
გამოღვიძებულს წამოჯდომა დასჩემდა ფრთხილი.
სასთუმლის ახლოს ედგა ძეწნის წნელის ჩაფარა,
შვილიშვილისგან შერჩეული ახალი ხილით.

1975

ის უვავილებს ახარებს

ცის კიდურზე ჯერ მზის შუქი
მიფრქვეული არ იყო,
როცა ცირამ ციცქნა-ციცქნა
ყვავილების რგვა იწყო.

ფერი ფერებს შეუფერა,
მწკრივი მწკრივზე ახარა.
ერთი კიდე დაუმშვენა
ამ ჩვენს ფართო გზა-შარას.

გადახედა ნაამაგარს
კაფანდარა ასულმა.
მოთენთილებს მოჰკრა თვალი,
წყალი გადაასხურა.

ცის ტატნობი საღამომდე
ღრუბლიანი ერჩია,
მით რომ ჩია ჩითილები
ჭკნობას გადაერჩინა.

მაგრამ ციდან მზემ სხივები
მიწას უხვად აყარა.

საცოდავად მოიღვენთნენ
ყვავილები ყარყარა,

უცებ ცირაც ჩაიკეცა,
ჩამოყარა მკლავები,
ვერ ქნა, ვეღარ მოაშორა
მოთენთილებს თვალები.

მხოლოდ ერთით მას ნუგეშს ჰგვრის
ციცქნა-ციცქნა რგულები,
დილისთვის რომ ყურს აცქვეტენ
გულმკერდდახატულები.

1963

თბილისს

ისევ მომწყურდა შენი ნახვა, დედავ თბილისო,
შენთან ჩურჩული, შენი ღამე და ხეტიალი,
რისთვის დავფარო, ფიქრო ჩემო, რად ვითილისმო,
უშენოდ გული არ ჩერდება, გული ტიალი.

როცა შენთან ვარ, შენი სუნთქვით ვარ ანთებული,
უშიშრადა ვარ, ვით რაინდი აბჯარასხმული,
მწამს ძალა შენი ჩემს ძარღვებთან შეერთებული,
შენ ხარ სიცოცხლე, ნეტარება და გაზაფხული.

და ჰა, აქა ვარ, გინახულე, ლაღო ქალაქო,
გამშვენიერებს მკერდს დაყრილი თოვლის ფანტელი,
ჩემი სამშობლოს საამაყო მიწავ, ალაგო,
დარჩები ჩემში მარად წმინდა და სანატრელი.

მე შენ მიწაზე დღემდე ბინა არ მიძებნია,
შორიშორ დავალ, გეკრძალები და გერიდები,
ერთს შემოგივლი გულის ძარღვს და ამაყ მთებიანს,
დაგშორდები და შენი ეშხით აღიღინდები.

1940

ზაზაფხული

სულ სხვა ეშხი აქვს უკვე დილის შუქს,
თითქოს სხვა მზეა, დღეს რომ ამოდის
და კენწეროდან ხე თავს იწონებს
ახალთახალი ტანისამოსით.

ეზოში გავლა სულს ახასხასებს,
წყნარი დღეა თუ ნიავქარია.
ისე კვასკვასებს ატმის ყვავილი,
გულს ახალისებს, თვალს უხარია.

მთის წვერზე თოვლი ისევ ანათებს,
აქა-იქ ტყეშიც ჩამალულია.
ბარში კი სუსხის იწილ-ბიწილო
გატყდა, დღეს ნაღდი გაზაფხულია.

1966

ზეიმი

დროშები, ჩონგური, ვარდები, გიტარა,
ცხენები, მხედრები, ყვავილთა ღაღანი.
ცეკვავენ, მივარდნილ ქუჩებში იდარა,
გაწელეს გარმონი, შორს დასცხეს არღანიც.

მოდიან, მოდიან, მოდიან მუშები.
გუნდ-გუნდად, გუგუნით, მქუხარე ბანილით;
ოქტომბერს დროშები ზარ-ზეიმს უმშვენებს,
არასდროს გვენახოს ეს დროშა დახრილი.

ჩახჩახებს, ბრდღვიალებს, შუქს გვაყრის მზე იმის,
ვინც მტკიცედ შეება იმ დღეებს ნისლიანს...
ბინდდება, გრძელდება სახალხო ზეიმი
და ცისკენ ციმციმა მაშხალებს ისვრიან.

1967

თვალში გამოვიხედე

ზღვის პირს ბინა დავიდე და დღითი დღე ვმშვიდდები,
უღრუბლო ცა დამნათის, აღარც ნიავ-ქარია.
არც ვუმატებ, არც ვუკლებ — კარგზე კარგი დარია,
თვალში გამოვიხედე, აქ ვარ და მიხარია...

ზღვის პირს ბინა დავიდე და დღითი დღე ვმშვიდდები,
თუნდ აღელდეს შავი ზღვა, მას არ შევუშინდები,
ბაღში ვარ და ფიქრებით სად არ გადავფრინდები,
მზით დამტკბარნი სკდებიან კამელიის კვირტები.

1957

რასაც შენ ეტრფი

რასაც შენ ეტრფი, რაც შენ მოგწონს შენი თუ სხვისი,
თუ შორს არა ხარ მისგან, კაცი ბედნიერია
და მე საოცრად მახარებდა, ღამით თუ მზისით,
ყრმას ნაადრევად თეთრი თმა რომ გამომერია.

და პირველ სატრფოს დავაფიცე ჩემი ჭაღარა,
მას მღელვარებით ვთავაზობდი ყრმობის სიმღერებს.
მე მოწიფული დავრჩი გულით ბავშვი პატარა,
ვითვლიდი მასთან, მის სარკის წინ თეთრი თმის ღერებს.

დრო მიდიოდა, ხშირდებოდა იგი დღითი დღე,
არად ვაგდებდი მის სიუხვეს და როს დამფარა,
შემრცხვა, თამამად ლექსი იგი ვეღარ გავრითმე
და სანანებლად გადამექცა ჩემი ჭაღარა.

რა გავაკეთე, რა შევქმენი მე ამის ფასი,
ო, ეს ფიქრები, წუთი რაა, აღარ მშორდება.
მაგრამ ნუგეშად ძველთაძველი, დღესაც ლამაზი,
სულში ჩამწვდომი ჩონგურის ხმა მომაგონდება.

შემომეჩვია
მწარე ფიქრები
და სიშაბუკეშ
თავი დახარა,
აწ თუ გამიწევ
შენ მეგობრობას,
აბა შენ იცი,
ჩემო ჭალარავ.

1960

იშრიალე, ძარო

აშრობს ჭარშოში ჩალის კონებს დაჩერგილებულს,
ცხოვრობს მებაღე მთის მახლობლად ადგილს დიდებულს.

ის მყუდროების სიყვარულმა და ციემა წყარომ
აქ დაასახლა... შემოდგომის შენ ქარო წყნარო,

ნუ გაავდები, ნუ იმძლავრებ, შუილი შენი
დაზნექილ ხეხილს უხილავი ხელებით შეელის.

ფოთლის ფარფატით ნაყოფს ფრთხილად მოეფერები,
თვალებს დაატკბობს ჭარვისა და ვარდის ფერები.

1972

დედა

მას არ ჩვევია უთავბოლოდ გარჯა, ტრიალი.
ის დაკვირვებით იწყებს საქმეს, სუფთად ჩაცმული.
მისი ჯამ-ჭურჭლის, თუ ნივთების შუქთა ციალი
ოთახს, თაროებს ალამაზებს ვით სამკაული.

აუღელვებლად უვლის ოჯახს ტკბილმოუბარი,
ალზრდილი მისი კარგი ქცევით გხიბლავს, გახარებს,
როს იწკრიალებს საამური პირველი ზარი,
სკოლაში დროზე მისულები ალებენ კარებს.

ის ერიდება პატარების საჯარო ქებას,
ცდილობს მათ მუდამ ხელს უწყობდეს, ხელს აშველებდეს.
სჯერა, ამ სოფლად რომ სიკეთე არ იკარგება,
და ურჩევნია შვილთა საქმე რომ მეტყველებდეს.

თუ დააშავებს რომელიმე მის შვილთაგანი,
მაღალი ხმით და შეყვირებით კი არ აშინებს,
ერთს ეტყვის მტკიცედ, რომ შემდეგში მისი მაგვარი
არ განმეორდეს, არ შეემთხვეს დანარჩენ შვილებს.

გზაზე მიმავალს პატარებთან როცა შეხვდები, —
თვალში სინათლის და სიწმინდის შუქი იალებს.
დროც რომ არ გქონდეს, მათ უთუოდ შეაჩერდები,
გულის არეში სიხარული გაიშრიალებს.

მარტო საკუთარ შვილების და ოჯახისადმი
ზრუნვით და მოვლით არ ეღლება მუხლი და ხელი,
თუ მისი სიტყვა, მისი ჯანი დასჭირდათ სადმე,
ის უთუოდ იქ გაჩნდება წარბშეუხრელი.

თუ ჩვენი ქვეყნის წინსვლის ირგვლივ საუბრობს კაცი, —
ნათელი სახით მას შეჰყურებს სმენად ქცეული.
უჯრაში უდევს მოკრძალებით მას სასახელო
შრომის წიგნაკი, თეთრ ნაჭერში გამოხვეული.

ალალი გულით უთესია სიკეთე ყველგან,
შრომის ტრფიალი საქმეს მისას მარად თან სდევს და
ხალხში სიყვარულს, სათნოებას და რწმენას ნერგავს —
ეს უწყინარი, საყვარელი ქართველი დედა.

1952

ცაო, მაღალო

გუშინ ვხარობდი, დღეს მოწყენილი —
ვარ და არაფის მსურს, გაკარება.
ისე დამსუსხა მისი წერილის,
ბოლო წერილის მღვრიე აწკარებმა.

ეს დღე წამართვა, იქნებ საღამოც
ისე მიმწუხრდეს, ვერ გავიხარო.
შენ მომეშველე, ცაო მაღალო...
იქნებ დღეის დღის წყენა მაკმარო.

ამოაგორე გოლიათური
მზე, გამინათე დილა უქარო.
არ ვაბორძიკო სიტყვა ქართული,
ვიდგე ტოლებში და ვიმქუხარო.

1967

ვიმღეროთ ერთად

მე მოვისმინე სიმღერა შენი,
შენი ტკბილი ხმა ჩონგურზე მაშინ,
როს ის შეიჭრა ცახცახით, ქშენით
ყვავილების და დროშების მთაში.

იმღერე დიდხანს, დატკბი, დაგვატკბე,
რა არ გვისურვე, რას არ გვადარე.
შენი ნაზი ხმით, გრძნობის აკვანო,
სად არ გვარწიე, სად არ გვატარე!

და ერთხელ კიდევ შეეხე ჩონგურს,
ამართე ყელი და აწკრიალე,
შესძახე წყევლა სამშობლოს ორგულს
და დროშებისკენ გაიშრიალე.

დადექ, დადუმდი, ვარდების კუთხე
შენი მშვენებით თრთოდა, თქორავდა,

ჩვენგან კი, კარგო, დაისაკუთრე
თაიგული და ტაშის მოვარდნა.

დღეს კი, გოგონავ, დედების, დების
და თვითვე შენი დღეობა არი,
ამ ლამაზ წუთებს მე ვუერთდები,
როგორც შენს ჩონგურს ლექსების პწკარი.

1936

* *

დამშვიდებული სული, დაწყნარებული გული,
მენატრებოდა ჭაბუკს და მერთმეოდა რული.
ის დრო წავიდა, ჩნდება გულის ახალი წყლული
და მენატრება ახლა ის ბობოქარი სული.

1963

მე მიხარია

მე მიხარია, როს განთიადი
ფრთის კრავს ვარსკვლავებს, ცას ეჭიდება.
წყვდიადს შთანთქავენ მთები ზვიადი
და ჩიტი ფრენით ეჩიკჩიკდება.

მე მიხარია, მზის შუქი დილით
გორაკის კალთებს რომ ეფინება,
ყოფლის მდუმარის, ხმაგაკმენდილის
გამოცოცხლება, აფოფინება.

მახარებს კაცის მხრებგაშლილობა,
როს საქმეს თვისას მკვირცხლად ხელს ახებს.
ეტყვი გულითად დილამშვიდობას,
იდღეგრძელეო, რომ გადმოგძახებს.

მახარებს, კაცი სახლს რომ აშენებს,
მზით გაბრწყინებულ ძნებს რომ გავცქერი.
რომ არ შორდება, ამკობს, ამშვენებს
მთას თმახუჭუჭა ცელქი ჩანჩქერი.

მე მიხარია, არხი რომ გაჰყავთ,
რომ მტკვართან ისევ ბრძოლა ჩაღდება.
ხრიოკ ველზე რომ იქუხებს ტალღა,
დამწვარი მიწა გაბაღნარდება.

მახარებს კაცი მზით გარუჯული,
გატაცებული მომავლის ეშხით,
არხთან მისული მღელვარე სულით,
გვალვას რომ ებრძვის წერაქვით ხელში.

მახარებს ვაზი ხარდანს აკრული,
ხშირი ნაყოფით ლერწებს რომ არწევს,
ლალისფერ მტევნებს მოსწყვეტს ასული
და სიყვარულით მაღლა რომ ასწევს!

თვალებცქრიალა მცირეწლოვანებს
შევხედე, ვტკბები, სულში დარია.
ქვეყნის სიკეთე მე მაფრთოვანებს,
ქვეყნის სიკეთე მე მიხარია.

1952

* *

დღე გათენდება, მეზარება თვალის გახელა,
დღე გათენდება, მიხარია სიცოცხლე ისევ...
ხან კი ხელთ მიგდებს, მებრძვის დარდი, დარდი იმხელა,
სჯერა, მომღუნა და საცაა მომიგრეხს კისერს.

ქარიშხლის შხუილს მირჩევნია უკვე ქარშოში,
კმარა... დრო არის იქცე ჩემდა ალერსად, გულო.
ჩემში, ჩემს ირგვლივ მზის და მთვარის საკაშკაშოში,
შეჩვენებულმა ჭმუნვამ რომ არ დაისადგუროს.

1970

მეზობელი

ი. გ-ს. ხსოვნას

მყავდა ერთი მეზობელი,
ზრდილი მოუბარი კაცი.
ამშვენებდა ფიქრით თრთოლვა,
გაფიცხება და კარკაცი.

შევხმატკბილდით, შეხვედრები
გვქონდა წრფელი, ძმურზე ძმური,
საბაასოდ ორთა სუფრა
იყო მართლა საამური.

ჭიქას ხელს რომ შეახებდა,
ჩვევად ჰქონდა ჩაღიმება.
უგზო-უკვლოდ ბორიალი
არ იცოდა ნაღვინევმა.

ტრფიალზე კი წარბებშეყრილს
ჭუკჭუკი არ სწყინდებოდა.
იმ დღეების გახსენებით
სახე გაუბრწყინდებოდა.

მიმწუხრის ჟამს შეიცვალა,
სურდა, — ვეღარ ხალისობდა...
ვერმიმკრთალის გულ-მკერდიდან
ცრემლნარევი ხმა ისმოდა.

დღესაც თან მდევს მისი ერთი
თვალმილულვით ნაუბარი:
— პირველმა არ მაღირსაო
არცა ჰო და არც უარი.

1970

მე და წისქვილი

მე ბავშვობიდან მიყვარს წისქვილი,
მიყვარს დოლაბის გურგური მალი,
მიყვარს მეჩხერი და ჩაჩეჩქვილი,
იატაკქვეშ რომ ჩუხჩუხებს წყალი.

მიყვარს, წისქვილში რომ დგანან ხორბლით
სავსე ტომრები მოსკვნილ-მისკვნილი,
წყალს რომ მაშხეფებს ტრიალი ბორბლის
და ცისკარს ფხიზლად ხვდება წისქვილი.

მახარებს, როცა ოთხი თუ ხუთი
დოლაბი ერთად ბრუნავს და ბრუნავს,
რომ სარეკელა არ ცდება წუთით
და მეწისქვილე არ აკლებს ზრუნვას,

ჩახედავს ხან ამ, ხან იმ ხვიმირას,
ხან შეამოწმებს ის ფქვილს თითებით.
მერე დადგება უხმოდ წყლისპირას
და ღუღუნებენ ღარში ზვირთები...

1962

• •

ის ეშხი, თრთოლვა, ალიონზე კვლავ სავსე თასი,
ის ღელვა სულის, ის გუგუნი მკერდში გულისა,
დღითდღე ნელდება, მრჩება სახე მრავალთა მსგავსი,
წლებისგან უღვთოთ დაღდასმული, შერისხულისა.

1964

ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲡ

არ ვიცი შენი სახელი, გვარი,
არც სახით გიცნობ, მხოლოდ ხმით მხიბლავ,
წინ მეხატები თვალმომცინარი,
გისმენ, გისმენ და ვნატრობ შენს ხილვას.

გამიზიარე სული კეთილი,
წყდება გალობა და მწყდება გული,
თვალებს ვაცეცებ კარჩაკეტილი
ფაქიზი განცდით შეცბუნებული.

გიხილო მინდა, ო, როგორ მინდა,
თუნდაც ახლა რომ კარი გაიღოს,
გნახო უეცრად ისეთი წმინდა,
სათუთი, როგორც შენი ხმა იყო.

1954

ᲩᲘᲢᲝ

გაზაფხულია, შენ მღერი, ჩიტო,
შესტრფი ბუნებას და გიხარია.
მინდა, შევჩერდე და ყური გიგდო,
მაგრამ რა ვქნა, რომ აღარ მცალია.

1954

* *

დეკემბრიდან
თოვლი მფარავს;
აპრილამდე
თოვლქვეშ ვცხოვრობ,
მაგრამ ჩემი
სამოსახლო
მაინც არის საუცხოო.

1958

ლოდინი

შემოჭდობია სოფელს
შემოჭირხლული მთები,
ჩაფიქრებული ვზიავარ,
ბუხრის ღუღუნით ვთვრები.

ბურანში ვარ და ვნატრობ:
ნეტავ გაიღოს კარი,
შინ შემოიჭრეს ღიმით
ერთ-ერთი მეგობარი.

— მოსულა, გავიხალისოთ,
ოცნებავ, ნაყოფნაყარო!
ჩქარა მარანში შევიდე,
ჭურს ავაშორო აყალო!

წავიჩურჩულე ესა და,
მგონი იღება კარი,
მიმოვიხედე მარტო ვარ,
მიმქრალ ბუხართან მჯდარი,

შევუჩინჩხალე მუგუზალს,
გარეთ ზუზუნებს ქარი.

1960

სოფლად

სოფელს ესტუმრე და იქ ისვენებ,
შენს გამზრდელ ეზოს, მინდერებს ეწვიე,
წიწ გეხატება ის მთა, ის ველი
ხე, რომლის შტონიც შენ გირწევია.

აგერ ის ცაცხვი, სადაც უქმე დღე
ჩონგურს უკრავდნენ, ისმოდა ტაში.

გწყურია დღესაც ირგვლივ ურბენდე
ცაცხვის ხეს უკვე არც ისე ბავშვი.

აქ კოლმეურნე ოდას აშენებს,
სადაც ტოლებთან ბალახს თელავდი,
შენი სოფელი გალხენს, გამშვენებს,
ხშირად ვერ ცხრები გათენებამდი.

უმზერ, ვერ იცან შენ ის უბანი,
სადაც ხეები იდგნენ, ვით ძმები,
როგორც ამბავი ნასაუბრალი,
გამქრალან სადღაც უმგვანო გზები.

ხარობ და ლაღობ ამ სილამაზით,
თვითონ ლამაზი სახის მფლობელი,
გამკობს, გბადრავს და უფრო განაზებს
სახეშეცვლილი შენი სოფელი.

1936

მ ე გ ო ბ ა რ ს

გძულს, გეზარება ორპირი კაცი,
შენში სიმართლის ჩუხჩუხებს წყარო,
ცბიერი განზე იწევს ბარბაცით,
ვერ ბედავს ახლოს რომ გაგეკაროს.

გირჩევენ: დაცხრი, იყუჩე, კმარა,
შენ ენთები და უფრო ხელდები:
— მიჯობს ხალათის დავრჩე ამარა,
ამ გზით ვიარე, ასე ვბერდები...

პასუხი ფიცხი და ახლობელი
მომწონს, მამაღლებს ეს სახსოვარი.
მცირე რამ ჩემი სამადლობელი
იყოს სხვათათვის გასაგონარიც...

1971

აქ ვერ ვისვენებ

თენდება, ვეძებ თავშესაქცევარს,
ბოლოუჩინარ ლოდინმა მძლია,
ეგრძნობ, ერთადერთი მშველის გაქცევა,
აქ გაჩერება არ შემიძლია.

ჩემი პატარა ლამაზი ბალჩა,
ჩემი გამრთობი და მეგობარი,
მარტოა ახლა, უჩემოდ დარჩა,
ნაფერები და ნაოცნებარი.

წუხელის ალბათ მზით გაალულებს
ცამ არ მოაკლო მადლი ცვარისა,
ყვავილი ბარდში მიმომალული
ანათებს, როგორც შუქი კვარისა.

აქ მინდა, ვიყო, ვიყო და მათი
ლერწებითა და ფერით ვიხარო,
ბალახბულახი მათკენ ტაატით
გზას თუ მიიკვლევს, მზეზე მივყარო.

მე კი აქა ვარ, მით ვერ ვისვენებ,
ვინმეს დილით რომ სალამი მივცე,
ცრემლი წამწამებს თუ არ მისველებს,
გულდაწყვეტილი გავცქერი სივრცეს.

1972

ზეაახილი

თავო ჩემო, რა დუმილი შეგეჩვია,
ხმის გაღება ასე რატომ გეზარება.
თუ წკრიალით გულში ლექსი რეკდა ზარებს,
ის ხმა ყველას და ყველაფერს რომ გერჩია.

ის წუთები ნუთუ აღარ გენატრება,
უდროოდ რად მოდგომია შენს სულს რული.

დაგავიწყდა?.. ის ლხენა და ნეტარება,
რაც გიგრძვნია დაწყებულის დასასრულით.

მოდი, ისევ შენებური ხმა დასძარი,
დუმილი სჯობს თუ ქუხილი, წილი ყარე.
თუ ოცნების ვერ ააგე შენ ტაძარი,
გამოფხიზლდი, გული მაინც დააწყნარე...

წინ! სიცოცხლის სიყვარულო, ბრძოლის ჟინო,
ხმა ხომ შეგვრჩა, ვცადოთ, იქნებ ვიყიჟინოთ.

1967

ერთი შემოდგომის სურათი

გაუგემურდა ეს შემოდგომა,
დაშაქრულ მტევნებს უღმერთოდ აწვიმს,
ავდარი მიშლის ამ ბაღთან დგომას,
მე კი მით ტკბობას ვფიქრობდი აწი.

კომში კი მაინც ქარვის ფერს აფრქვევს,
ბროწეულებიც ისე ღვივიან...
სიცივე ამ თვეს იანვარს არქმევს,
ქარს ისე ჯერაც არ უწივლია.

1975

შ ე ნ...

შენ ლამაზი ხარ, შენ კარგი ხარ, მე ვინატრებდი:
უფრო გამრავლდეს შენებრ გამრჯე ქართველი ქალი,
გავიხარებდი, ერთიათად გავიხარებდი,
შენი სადარი ყოველ სახლში რომ ვნახო რძალი.

იქნებ იწყინო, რომ შეგამკო ნაირფერებით,
გერიდები და სადად ვიტყვი მხოლოდ ერთ ამბავს:
თუ როგორ გიყვარს, როგორ უვლი და ეფერები
შენი მეუღლის უსინათლო დატანჯულ პაპას.

მაგ წრფელი გულით გააშორე საბრალოს ურვა,
გადაავიწყე სნეულ მოხუცს ჩვეული ოხვრა,
მან წამოდგომა ასში ერთხელ თუ მოისურვა,
ფრთხილად ჩააცმევ შენი ხელით შეკერილ ჩოხას.

მას შეუყვარდა, რაც დაჰკარგა სინათლის ეშხი,
გზის პირას ჯდომა, მის წინ მაშინ შენც გაგივლია.
როცა ჩამქრალი ყალიონი სჭერია ხელში
და ბავშვებისთვის უცეცხლობა შეუჩივლია.

დღეს არას აკლებ, მინდვრად ყოფნა თუკი ინება,
უხმოდ, ალერსით ხელს ჩაგკიდებს წელში მოხრილი.
იღლება მალე, მოსწყინდება გასეირნება,
ჭიშკრისკენ მიგყავს საგანგებო გამოწყობილი.

ის ხეთა შორის ჩადგმულ სკამზე ჩაჯდება მარტო,
ჯოხს დაეყრდნობა, ხარბად სუნთქავს ჰაერს და ცხრება,
ბრმა თვალებს დახრის, შენზე ტკბილი ოცნება ართობს,
ხან კი მგალობელს ყურს უგდებს და მზეს ეფიცხება.

1958

მერე კი, მერე...

თავდავიწყებით და გატაცებით
უცებ, უეცრად მე ვიწყებ წერას.
რითმის წინ ერთი წაბარბაცება
და თითქოს წყდება, ჰქრება სიმღერა.

ხშირად კი, ხშირად რითმებს არ ვჩივი,
სათქმელი როცა დამამარწუხებს,
მერე კი, მერე, ვარ გულდაჭრილი,
ცუდი რითმები მერე მაწუხებს...

1967

• •

დავიღალე?..
დავისვენებ... ფრთხილად, ფრთხილად ვივლი...
მადლობა ღმერთს, დამიბრუნდა, არ გამირბის ძილი,
ღმერთო, აღარ მათქმევინო აწი 'შენი ძვირი,'
მიმაჩვიე, გამითენე, დილა ასე ტკბილი.

1975

დაიმახსოვრე

წაფორხილებულს მიეშველე, ხელი წაავლე,
გაიზიარე მძიმე ხვედრი ლაფში ჩაფლულის.
გზაგამრუდებულ ადამიანს გზა გაასწავლე,
ეცადე იგრძნოს სურნელება მან გაზაფხულის.

მე ხომ არ გირჩევ შენ წუთითაც მოჰკიდო ხელი
სისაძაგლეში, სიმრუდეში ასჯერ მხილებულს.
კეთილშობილებს საამაყო შერჩეს სახელი,
გაუთბე გული ადამიანს წაფორხილებულს.

1972

მაინც, მაინც გავუღიმოთ ზეცას

გვერდს ვერ ვუვლი სიკვდილსა და წუხილს,
დღე დადგება, ჩვენც გვეწვევა მწუხრი...
განვლილი დრო მცირეა თუ ვრცელი,
ნუ შევლახავთ წუწუნით და ცრემლით.

თუ ვიგრძენით, წუთისოფელს ვტოვებთ,
ვტოვებთ ბაღნარს, აფეთქებულ რტოებს,
დავიღალეთ და სიკვდილი გვეცა,
მაინც, მაინც გავუღიმოთ ზეცას...

1975

პოეტს

ჯერ კიდევ ზღვისკენ გული არ იწევს,
ჯერ კიდევ ზღვასთან ვუცდი შეხვედრას.
ყრმამ აქ დღეები რომ დავამიწე,
ვისურვე მათთან ფიქრით შეხება...

თქვენ არ გეგონოთ სახეტიალოდ
მოცლილი ვიყო, დროს არ ვზოგავდე
და არ მერჩიოს ჩემს სატრფიალო
ლექსს ხან ვჩარხავდე, ხან კი ვზოგავდე.

ვზოგავდე, რადგან ისე არ მოდის,
გუშინ, გუშინწინ, როგორც მინდოდა.
მომრავლდა ლექსი სხვადასხვა მოდის,
ვერ ვგუობ ლექსის უამინდობას...

მე არ გაკადრებთ, ნათქვამი სხვისი
გაგიზიაროთ გესლით ან შურით...
ვამყლავნებ, რაც ყურს მოხვდა ვით რისხვა,
რაც მოვისმინე საკუთარ ყურით...

არ გაქვთ უფლება წუთით დაეჭვდეთ,
ფაქტს რედაქტორი როცა თვით გვესვრის.
— ამხანაგებო! შარშან დავბეჭდე,
ოთხმოცდაერთი ავტორის ლექსი.

უბედურებას მსმენელთა შორის,
ის სინანულით თუ არ აცხადებს,
რით ვუპასუხოთ მარცხს რედაქტორის,
რად გაიკვირვებთ მე რომ გავცხარდე...

სჯობს, სჯობს ვუფრთხილდეთ უსაქმურ ლექსებს,
მკითხველს ნუ ერჩით ლექსთა სიმრავლით...
ლექსი ხალხს თუ არ მიუალერსებს,
არ ახლავს მცირე რამ ძალა რვალის...

იქ არ იგრძნობა ყოველი სიტყვის
გულდაგულ წრთობა, მოვლა, ფერება,
არად ჩააგდეთ თუ ვინ რას იტყვის,
თქვით, თუ ღმერთი გწამთ, რა გემღერებათ?

თუ თქვენს ლექსებზე ერთმა მეორეს —
— რა კარგიაო, წრფელი ხმით უთხრა,
ეს ხმა თუ სხვებმაც გაიმეორეს
თქვენზე ცუდის მთქმელს სულს დაუთუთქავს...

სულ არც ის კმარა, ვინ ვის რა უთხრა,
იქნებ გზოგავენ, ქება ძმურია...
მკითხველს თვალები თუ მოექუფრა
გწამდეთ, ის ლექსი უსაქმურია...

1975

• •

უკრავდა იგი, ვუსმინე,
მოსმენამ მისმა მომცა რა?..
აელარუნებდა ყრუ სიმებს,
მომცარა, როგორ მომცარა.

1974

ᲨᲔᲜ...

გსურს დამამცირო და მით ჩემზე იძიო შური,
შეპყრობილი ხარ ამ სურვილით რაც გაგიცანი.
ხან გაავდები, ხან შრიალებ ვით აბრეშუმი,
მაცდურ ზრახვებით იძვრის შენი მკერდის ფიცარი.

ცდილობ და ვერა, ჯერჯერობით ვერ აღწევ მიზანს,
ცოფმორეული ყინმა თითქმის მზაკვრად გაქცია.
გზა მოჭრილი გაქვს, ნეტავ აწი, აწი რას იზამ,
გაგინიორწყლდა ხომ რაც დღემდე გიმამაცნია...

წუთისოფელი იყო, არის უენო, მკაცრი,
ის ავსულს დასჯას არ ააცდენს მერე და მერე...
ეცადე, მაგრამ მრუდე კაცის, ცბიერი კაცის,
სახელი მაინც ვერ მომარგე, ვერ მომაკერე.

გზა მრავალია, ვით მარცვალით პურის თავთავი,
ვისაც გენებოს დაახურე შენი სარქმელი...
კაცურ კაცებთან მიითვალეთ თქვენ თქვენი თავი,
თუ შეგხვდეთ სადმე ჩემზე ვინმე სიავის მთქმელი...

1975

• •

წუწუნით წყენის თხრობა გჩვევია,
ართმევ გულსა და ხმას მქუხარებას.
ძმები იყო და ძმებად რჩებიან,
ამქვეყნად ლხენა და მწუხარება.

1974

• •

ისე ერთბაშად რად დავიცალე,
რარიგ უძლური ვიყავ ამ დილით.
მზეს მივეფიცხე, ნირი ვიცვალე
და ისევ გავხდი კაცი ნამდვილი.

1974

ფიქრი

რა საცოდავი ვიყავი გუშინ,
რა მოშხამული გულის პატრონი.
აყვავებული რომ ვნახე ნუში,
ამ გაზაფხულის მეფე-ბატონი.

ირგვლივ გაძარცვულ ხეების რკალი,
და უყვავილო ტოტების რხევა,
ამეკვიატა ფიქრი საწყალი:
თითქოს მეც ერთი შიშველი ხე ვარ...

1972

* *

ახლა დაღლილი ხარ, ახლა დაისვენე...
ვხედავ, რომ ცრემლები წამწამებს გისველებს.
აჯობებს ფიქრები ძილით მოიცილო,
რა იცი, ცისკრისას იქნებ გაიცინო...

1975

არ დამორჩილდე

რა აწეწილი გათენდა დილა,
ვცადე, ვერ ვიგდე ხელში ხალისი.
შვება სულისა მიასიკვდილა,
გულის არედან სულ სხვა ხმა ისმის:

— არ დამორჩილდე, არ დამორჩილდე,
არ შეეპუო წლების განაჩენს;
შუბლზე ხელის გულს ნუ მოიჩრდილებ,
ჭირს მოძალებულს ფიქრი არ არჩენს..

თქვი რა გადარდებს, ან რაზე სწუხარ, —
გულჩათხრობილებს მარცხი არ სცდება.

შეჩინჩხალება უხდება ბეხარს,
როს შეშა ალს სწყვეტს და ნაკვერცხლდება.

ცეცხლი აფიცხებს გათოშილ მუხლებს,
შემოგთავაზებს ცინცხალ ოცნებას,
შეგკრავს, შეგბოჭავს, დაგამარწუხებს,
როცა სიცივე სულს უხორცდება.

ერთხელ თუ შესძლო შემოჭრა შენში
და ჩაგაწვეთა შხამი ბრჭყალებით,
ვით მხდალი მონა შერჩები ხელში,
არა იწამო რა შეწყალების...

ისევ მხურვალე გულებთან ახლოს
ყვლავ ჭაბუკური ჟინით ჭიდილი.
კაცი კაცით და ნუგეშით სახლობს,
ხმას ხმა აცოცხლებს, იხევს სიკვდილი.

არ დამორჩილდე, არ დამორჩილდე,
არ დამორჩილდე წლების განაჩენს,
შუბლზე ხელისგულს ნუ მოიჩრდილებ,
ჭირს მოძალებულს ფიქრი არ არჩენს.

1969

ისევ იქ, სადაც დასრულდა ურმობა

დავეხეტები ქუთაისის ქუჩებში მარტო,
ვეძებ ნაცნობებს, — ჩემს მეგობრებს ვეღარ ვნახულობ...
ო, როგორ მინდა, ძველებურად გავინავარდო,
მიმაქროლებდეს სურვილები საგაზაფხულო.

...თეატრის ახლოს მის კედლებთან, მზისგულზე ხშირად
გვიყვარდა დგომა, საუბარი, ძმური ხუმრობა.
ურთიერთობა ერთმანეთთან კუპრით... ნახშირით,
არა, არ მახსოვს, არ სუნთქავდა ჩვენს შორის მტრობა...

დია, დომენტი, ვანიონი, ვიქტორი და მე,
ვარლამ ჩხიკვაძე, კაპია და კიდევ რომელი...
თუ თავშესაქცევს, გასართობად ვიტყოდით რამეს,
იწყებდნენ ხითხითს შაჰრუხი და შალვა ხონელი.

მაღალი კაცი — ჩაგვიელიდა აჩქარებული,
ჩვენს შორის იგი, იქვე მდგომი არ მაგონდება.
ჩვენ სხვა ვიყავით, სულ სხვა იყო ჩვენი კრებული,
ის სახელები აწიც ერთურთს არ დაშორდება.

ახლა კი, ახლა ამ თეატრის წინ რომ გავიელი,
გული თუ მწყდება, აქ რა არის გასაკვირველი.
ის წლები ირგვლივ ნათელს აფრქვევს, როგორც ყვავილი.
უშანგის ცეცხლით გატაცება იყო პირველი...

არ ვყვები ამბებს ნაირ-ნაირს და ფერად-ფერადს,
ვბუტბუტებ ჩემთვის დანანებით: ახ, დრონი-დრონი...
...ერთხელ გულმოკლულს აქ შემომხვდა და მომეფერა
ვით ძმას პატარას, მე ხანთაძე ეროდიონი...

...მკლავში ჩამავლო მტკიცედ ხელი და შემაჩერა:
— დაცხრი, დაწყნარდი, ნუ ფეთქდები, მოთმენა გმართებს,
გწამდეს იმარჯვებს არა ის, ვინც დაეძებს ჩეროს,
ის ვინც ფიქრებთან ჭიდილის ჟამს ღამეებს ათევს.

იმ დღის სინათლე, იმ დღის სითბო, ის წმინდა სული,
ის წრფელი რჩევა არის მარად დაუვიწყარი...
ამ სტრიქონებში ვერ ეტევა ჩემი წარსული,
აქა-იქ ელავს დღენი წყნარი და უწყინარი.

ამ არემარეს ვერ ვშორდები, მინდა, აქ ვინმეს
შევხვდე როგორმე... ნაცნობთაგანს შევავლო თვალი,
ვიცდი და უცებ ერთი მწარედ ამოვიგმინე,
თამბაქოს ბოლმა გამაბრუა, მომწყურდა წყალი.

დია ჩიანელი, დომენტი თომაშვილი, ვანიონ დარასელი, ვიქტორ გაბეს-კირია, შაჰრუხ ჩარკვიანი და მაღალი კაცი დოდო ანთაძე.

ჩემი გიორგი სამხარაძე კარგად რომ იყოს,
ის აქ უთუოდ ჩაივლიდა გულგასახარად;
მადლი იქნება ეს წუთები ვინმემ წაიღოს
და მე დამტოვოს განტვირთული აქ ჰაი-ჰარად...

არვინ არ მოდის... წინ ნაბიჯი აჯობებს მგონი,
ცმარა ლოდინი... ვცადო, იქნებ გული განახლდეს.
სიცარიელე თუ ჩქარა არ დავჯაბნე გონით,
საცაა მძლევს და გამწარებულს სულს ამომახდენს.

ირგვლივ ბრძოლაა ხელჩართული, ბრძოლა იმგვარი,
ვატყობ ცოტაა მკითხველს მისცე მხოლოდ ჩვენება.
ოდით ნანატრი ხმით გუგუნებს ისევ გრიგალი
და დროა გავცდეთ მოყვრის ქებას, სხვის შეჩვენებას.

1975

* *

ეს დღეც დამშორდა, ეს დღეც დაღამდა,
დღეს ვერაფერი ვერ გავაკეთე...
ო, როგორ მინდა ჯდომა არღანთან,
ვინ ამისრულებს მე ამ სიკეთეს...

1980

ზორდუს წერილი

ეს ლექსი დაწერილია მაშინ, როცა ქართულად ითარგმნა სერგეი ესენინის „წერილი დედისაგან".

როგორ დავიწყო მე თვით არ ვიცი,
რომელი ტანჯვის გული გადავხსნა,
ყოველ კვირაში ის სახეს იცვლის,
ვერ გავუკეთე წამებას დასკვნა...

შარშან უეცრად მოგიკვდა ძიძა,
დაკრძალვას მისას შენც დაესწარი.
მახსოვს თვალები ცრემლებით სავსე,
მოთქმა, გოდება, შავი ზეწარი.

მას შემდეგ გული ვერ გაჯანსაღდა,
ტუჩები ღიმილს გადაეჩვია.
რადგან ოჯახი ვგრძნობ ითელება,
მისი მფარველი სამარეშია.

კაკა და ნიტუ დედას ეძახის,
მათმა მოსმენამ გული მომიკლა.
ღმერთმა ეს ტანჯვა აღარ მაკმარა,
თადა ილისის დამლევს მომიკვდა.

გულდამწვარ პაშას შორი-შორ ვუვლი,
ძმის მოშორებას ვეღარ ინელებს.
მუდამ ცრემლიან თვალით დასცქერის,
თადას ბავშვობის საყვარელ ღელეს...

რამდენჯერ მასთან მივსულვარ ჩუმად,
როცა ის მარტო ხიდზე ბღაოდა...
თადას მაგივრად ჩვენი ცრემლები
ღელეში თრთოდა და ბანაობდა.

კუნტი მაკარი წვერს არ იპარსავს,
და ხშირად ბავშვებს უწყრება, უტევს.
თადას წიგნები მუხლზე უწყვია
და დედის კაბას გულში იხუტებს.

დავსხდებით ერთად გულმოკლულები,
გრიშა გადაშლის შენს ძველ ბარათებს.
ჩანაცრებულ და მიმქრალ კერიას,
ისევ ბეჩავი პაშა აანთებს...

წინსვლის შესახებ რაღა მოგწერო,
თუ არა ისევ კვლავ სატკივარი.

უბედურ ოჯახს შემოემატა
ერთი კვიცი და ორი ბატკანი.

ჩემი წისქვილი წყალმა წაიღო,
ეზოს ქე ვუვლი, შვილო, ჯერ კიდევ.
ჭალებს რა შველის როცა ხარები
ორივე კუბოს ფასად გავყიდე.

შენზე გავიგე მშობლებთან ურჩობ,
გიყვარს საკუთარ ჭკუით ჯირითი.
კითხულობ მხოლოდ ლექსების წიგნებს
და შენ სკოლაში არ ხარ ბეჯითი.

ბონდო, ასეთებს ნუ გამაგონებ,
შენ მაინც მრჩები სულ რომ ვქრებოდე.
შენი ჭირიმე თავს მოუარე,
მოხუცი მორდუ გეცოდებოდეს...

წერილი მეგობარს

1929 წელს რიონჰესის მაღაროში ვმუშაობდი, ზოგჯერ ღამის ცვლაში. საფიჩხიის სასაფლაო ფეხით უნდა გამეელო. ეს. მანძილი შიშს მგვრიდა. ამბობენ: ღამით სასაფლაოზე ნათელი რომ ჩნდება — მიცვალებულებში ფოსფორი იწვისო. მე კი ამის შეხედვამ, რამდენჯერმე დამაფეთა. იძულებული გავხდი მიმემართა პარტიული კომიტეტის კულტროპ კაპიტონ ჯანჯღავასთვის. განცხადების ნაცვლად ლექსი დავწერე და გადავეცი მას.

აი, დავბრუნდი, მეგობარო, სამუშაოდან,
მოდუნებულმა დაღლილ ხელით შევაღე კარი,
და რაც მომივა, მომივიდეს არ დაგიმალავ
მსურს გაგიმხილო ჩემი დარდი და სატკივარი.

არ ვიცი, ძმაო, ამ საწუთროს რა დავუშავე,
რომ არ მასვენებს, ჩემი ტანჯვა დაუყინია,
რამდენი ღამე, ვინ ჩამოთვლის, რამდენი ღამე,
ცრემლით გალუმპულ ყურთბალიშზე დამიძინია.

არვის ვუმხელდი ჩემს ტკივილებს, ვიყავი მარტო,
მანუგეშებდა დედის თვალი, დედის ალერსი...
ახლა არვინ მყავს მოალერსე, დავდივარ ობლად,
და დამაქვს გული, შხამითა და ბოღმით ნალესი.

ვხედავ, მოვშორდი სამუდამოდ ჩემს მფარველ დედას,
ვხედავ მოვაკლდი სამუდამოდ ჩემს აღმზრდელ კერას,
და დედის კალთას, დედის ალერსს დანატრებული,
დღეს შევეჩვიე უნუგეშო ლექსების წერას...

ნუ გაიკვირვებ, მეგობარო, და ნურც დამძრახავ,
ხალხში გამოსვლა, ხალხის ცნობას კაცი ეცადოს,
ვერ მიაღწიოს ამ მიზანს და ცივად უმზერდნენ,
ასეთი წუთი გირჩევ აღარ გამოგეცადოს...

მერე ძნელია მწუხარების ჩამოშორება,
და უფრო გართობს როცა ცრემლით თვალი სუყდება,
და ისეთ წუთებს, ისეთ წამებს ვერ გასცილდები,
როცა მეომარს მტერთან ხმალი გადაუტყდება.

ვხედავ, დავღუპე უცოდველი ახალგაზრდობა,
ჩემი სინორჩე, სიჭაბუკე არ დაბრუნდება,
გული, რომელიც ითხოვს ლხენას, ზრდასა და წინსვლას,
გვირაბის ნგრევას და ლოდების თრევას უნდება.

რისთვის, ძმობილო! რას ვითხოვდი, რა დამემართა,
ასეთი ბედი ვის წავართვი, ან რად მრგებია,
მზეს ვეტრფოდი და მზე მაღაროდ გადავაქციე,
მხრები — სოველი, ფეხში წყალი ჩამგუბებია...

მინდა რაღაც ვთქვა, ხმა ყელიდან აღარ ამოდის,
იქნებ ვგ მახრჩობს, ეს საკინძიც გადავიხსენი...
მე პირმთქმელი ვარ, გულში მაქვს და ვერ დაგიმალავ,
შეგეძლო, ძმაო, ჩემი ხსნა და აღარ მიხსენი.

მეტს არას გეტყვი, კმარა, კმარა, რაც შეგაწუხე,
თუ გაგიკვირდა ჩემი წმინდა გრძნობის ნაფეთქი,
გზაზე მიმავალს გაგრძნობინებ ცრემლიან თვალით,
ცოდვა ვარ, ცოდვა, მეგობარო, ცოდვა ვარ-მეთქი.

დედავ თბილისო!

ავად ვხდებოდი თვეში ერთხელ რომ არ მენახე,
დედავ თბილისო, უშენობა ფიქრში მარწევდა,
შორს ამანთებდა შენი მარად მღელვარე სახე,
შენთან შემოჭრის სურვილი და მხრების აწევა.

მომინდებოდი, ვით ნუგეში და ყველას ვთმობდი,
მატარებელში გავჩნდებოდი გაფითრებული.
განთიადისას უძინარი დაგეცემოდი,
შენთან შეხვედრის ტრფიალებით გახელებული.

საყვარელ ქუჩებს დავივლიდი, შემდეგ მთაწმინდას,
ამაყ მთაწმინდას ვეწვეოდი ოდნავ მოღლილი.
გულში არ თოვდა, მიხაროდა, სულში არ წვიმდა,
შენს წმინდა მიწას ვემთხვეოდი შენი მორჩილი.

დაგჩერებოდი მაღლობიდან, მკლავებს გავშლიდი,
მინდოდა, მკერდში ჩახუტება შენი, თბილისო,
დიდხანს ვრჩებოდი ასე მარტო, გრძნობააშლილი,
სიცოცხლევ ჩემო, სიხარულო, სულის თილისმავ.

დღეს კი უშენოდ ერთი წელი ისე დამშორდა,
რომ თვით არ ვიცი, როგორ გავძელ, როგორ დაგთმევი,
სვანეთის მთების სიდიადემ ვერ დამამშვიდა,
განთიადს ვხვდები შენზე ფიქრით ღამენათევი.

აქ ხმა მოვიდა: დედაქალაქს მტერმა ფრთა გაჰკრა,
და ცა ფირუზზე შხამიანმა გაისივილა,
მაგრამ ლომმაო — თვალთა შუქის რისხვა აკმარა
და ძველებურად გუგუნებსო თბილისის დილა.

ასე ძვირფასო! მუხლმაგარო დედავ ქალაქო!
ახლოს ვერ გნახონ, ვერ გიხილონ ქვეყნის ჩრჩილებმა,
მურდალი ქუსლით შენი მიწა მათ ვერ გალაქონ,
ვერასდროს შეძლონ შენი მთების დამორჩილება.

1942

ნანული

მკერდზე დაყრილი ნაწნავები ეთამაშება,
ჩრდილს ჰფენს მძივებით მოქარგული ქართული სურა,
დადუმებულა, წამწამების ფეთქვა ამშვენებს, —
თრთოლვით ახედავს საყვარელი მამილოს სურათს.

დილით აფრქვია მას ბარათმა გრძნობები თბილი,
მშობელმა შორით ანუგეშა და დაამა.
ბარათს თან ახლდა ფერწასული მინდვრის ყვავილი,
დაბადების დღეს ულოცავდა მებრძოლი მამა.

ახლა კი ფიქრით დაბურული ზის თავდახრილი.
მიენდო წარსულს, წამწამები ნამით ევსება.
მარტოდმარტოა, ვით ტყის პირას ნუკრი დაჭრილი
და მას შორიდან მშობლის თვალი ეალერსება.

მზე შეფერმკრთალდა, მოციმციმე სხივი ნელდება,
ნიავს შეხარის ხე ალვისა, ცამდე აწვდილი,
იგი ზის უხმოდ ფანჯარასთან და აგონდება:
ტოლთა კისკისი, ხმა ჩონგურის, ცაცხვების ჩრდილი.

ფიქრობს ნანული და უეცრად გაიღო კარი,
შეცბუნდა, მკერდში აფრთქიალდა სათუთი გული.
გადაეხვია მოკრძალებით სათნო თამარი,
დაბადების დღე მიულოცა მას თაიგულით.

ხმა ვეღარ დასძრა, აკანკალდა, დაიბნა, შეკრთა,
ოდნავ შეირხა, ვარდთა კონას მოხვია ხელი.
უმალ თვალები შეანათა მამილოს სურათს
და წამწამს მოსწყდა შთაგონების უმანკო ცრემლი.

1944

დედის სიმღერა

დედის დარდო, დედის ვარდო,
დედის სიხარულო,
საითა ხარ, საით იბრძვი,
ერთადერთო შვილო.

შენთან მინდა დღე დავლიო,
ღამე გავათენო.
თუ ვერ მნახავ მოიწერე:
თვალებს ვანათებო!

გამაგონე ეგ ტკბილი ხმა,
ვარდად ამოშლილო,
რა ხანია, რომ დამშორდი,
მომენატრე, შვილო!

შენი ტოლი ბარათს გზავნის,
შენ სადა ხარ, შვილო?
შაო ბიჭო, შავგვრემანო,
კოხტავ, მხრებგაშლილო.

სიხარულით, სიყვარულით,
ნანით გამოზრდილო.
მჯერა, მოხვალ, არ დამტოვებ,
დედისერთა შვილო.

1944

შვილობილი

დაგირბია მტერმა ბინა,
დაგიკარგა დედა,
საქართველომ გაგიღიმა,
საქართველოს ხედავ.

გეფერება ჩანჩქერები,
გეფერება მთები.

მზის სხივებით იქოჩრება
ოქროსფერი თმები.

ქართველ ქალმა ჩაგიხუტა
ვარდისფერი ბავშვი,
შენი ტრფობა ჩაკვირტულა
ხაევრდოვან ხმაში.

გაგიშალა „დედაენა“,
წაიკითხე „ია“,
იამ ყელი მოიღერა,
სითბო შეგაფრქვია.

გაიხარე, დედობილმა
მოგიქსოვა წინდა,
იასავით სანატრელო,
იასავით წმინდავ.

არ იტირო გენაცვალე,
არ იტკინო გული.
მომღიმარი შეგეყრება
დედა დაკარგული.

1943

გაზაფხული

გაზაფხულია, მზემ გამიცინა,
ფრთებს აფათქუნებს ცისკენ გუგული.
ნამმა ბალახი ააციმციმა,
ყვავილს ათრთოლებს ფუტკრის ზუზუნი.

გაზაფხულია, მღერის ბუნება,
ააწკრიალა ტოროლამ ყელი.
ჩანჩქერი ტყეებს ებუბუნება,
მარად ჭაღარა და ბედნიერი.

სულს ახასხასებს ჩუხჩუხი მისი,
ხეც ჩანჩქერებით დახატულია.
შორს მეომრების გუგუნი ისმის,
ამხანაგებო, გაზაფხულია...

1945

ᲨᲘᲜᲛᲝᲣᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ

დიდი ხანია ვიცნობ და მხვდება
შავი მანდილით, ხორბლისფერ სახით.
თან ახლავს კრძალვა და მორიდება
ყველგან, ყოველთვის, თოხზედაც დახრილს...

ის უსაქმურად არ გაჩერდება,
გული აქვს წრფელი, სათუთი, ჩვილი.
შრომაში ტოლებს უკან არ რჩება,
მარტოხელობას არვის შესჩივის.

როცა მოუხმობს საერთო საქმე,
ალიონიდან მინდვრად იჩქარის.
შინ მის ქალობას შორიდან აქებს
მისი ეზო და მისი ჭიშკარი.

ბაასში ხშირად არ უყვარს ჩაბმა
(ცხოვრებას მისას არ ახლავს ხიწვი).
ათასში ერთხელ მოყვება ამბავს
და საუბრისას ენთება, იწვის...

მას მარად თან სდევს ქმრის წმინდა ხსოვნა,
ვით გაზაფხულზე სინათლე მზისა.
მისი სახელით არ უყვარს თხოვნა
და ერიდება ხსენებას მისას.

ქმრის ტოლ-მეგობრებს როცა შეხედავს,
თავსაფრის ყურებს მოიწევს ნელა.

მოერიდება მათთან შეხვედრას,
ჩაივლის, როგორც ციცინათელა.

როს მოერევა ჭმუნვა და დარდი,
როს სული სევდით დაუმძიმდება,
დუმილით მოვა ოდის კარამდი,
ქუჩაში მაინც არ ატირდება...

შევა ოთახში, ძვირფას კუთხესთან
ფრთხილი ნაბიჯით მიდის, ფითრდება.
ხელში აიღებს საყვარელ სურათს
და ჩუმად, ჩუმად აქვითინდება.

ნიშნად გაწყობილ ხალათს და ქამარს
მთრთოლვარე თითებს კრძალვით შეახებს.
ის თითქოს ურჩევს: დაყუჩდი, კმარა,
ბავშვს არ უჩვენო მწუხარე სახე.

გაინაბება, შეაჩერდება
ყვავილით სავსე პატარა სურას.
თმას შეისწორებს და შეცბუნდება,
ბალიშზე დადებს მეომრის სურათს.

მშობლიურ გრძნობით ეცვლება გული,
გამოიცოცხლებს ცივი წყლით სახეს.
გავა ეზოში, შვილის სახელის
ძახილით სივრცეს შეაცახცახებს...

როს პირმშო პასუხს გასცემს შორიდან,
მოეფინება შუბლზე ნათელი
და თავს ისე გრძნობს, თითქოს უეცრად
ხვდება განთიადს ღამენათევი.

იცდის უძრავად, ამ მოლოდინში
ეზოს ჭიშკარი სწრაფად იღება.
მკვირცხლი ბიჭუნა მკლავებგაშლილი
დედას ძალუმად ჩაეხუტება.

1963

ბრძოლის ველიდან ყაჩაღები განიდევნება

ამ ესპანელ ბავშვებს, რომელთა მამები ფაშისტთა ტყვიებმა განგმირეს.

გადაგეხვია, გადაგკოცნა, ჩაგიკრა მკერდში,
შენთან ალერსმა, ჩვილო ბავშვო, ცრემლით დანამა,
თრთოლვით დაგშორდა; ცოლს და დედას უთხრა ნუგეში
და ურდოების შესამუსრად წავიდა მამა.

წავიდა მამა, განუგეშებს დედა მშობელი,
— ვარდისფერ პერანგს მოგიტანსო, მოვაო მალე.
გამშვიდებს, მაგრამ თვით ცრემლი სდის შეუშრობელი
და შენ მის მკერდში ამღვრეული თვალი დამალე!

უცებ ატირდი, გამზრდელ ძუძუს ცრემლი ასხურე,
მშობელი შენი მჭმუნვარებას შორს წაეყვანა.
იმ წუთს ცრემლებით შენ იმდენი დაიმსახურე,
გულდათუთქულმა დედაშენმა გიმღერა ნანა.

გიმღერა ნანა, სიხარულის გამომსახველი,
გააქრო შენი მწუხარების მომგვრელი გრძნობა.
მშობლის ნანინამ დაგაამა, ძილში წახველი
და შერჩა დედას ცრემლი, ურვა და მარტოობა.

წარვიდნენ დღენი, საღამო ჟამს გაისმა გმინვა,
ფერმკრთალი დედა ამბის მომტანს მკლავებში ეცა...
დაობლდი, ბავშვო, მამის მკერდი მტერმა განგმირა,
ველზე დავარდნილს დასისხლული პერანგი ეცვა.

ცრემლებს ნუ დაღვრი, ნუ იტირებ, ბალღო ობოლო,
დარდით, ვარამით ნუ მოუტან ჩვილ გულსა ვნებას,
ნუ გეშინია, მამის მკვლელებს მოვუღებთ ბოლოს,
ბრძოლის ველიდან ყაჩაღები განიდევნება.

1936

სიტყვა მშვიდობის დასაცავად

ამ ზვრებს, ამ ბაღებს, ამ მთებს და გორებს,
როცა გავცქერი — სული მაღლდება.
ხან ამამაღლებს, ხან შთამაგონებს,
ხან ფიქრით დავცქერ იალაღზედა.

წინსვლის წყურვილი აღგზნებულ ხალხის
ხმა ამიტაცებს, ფრთებს მასხამს იგი.
ყოველ ცისმარე დილით სიახლის
ჩემს წინ იშლება დიადი წიგნი.

მდინარის დუდუნს, ფრინველთ გალობას
ქარხნის ოსტატთა გუგუნი ერთვის.
ჩვენს ჯანსაღ, მამაც შთამომაელობას
სიცოცხლის ტრფობით უღელავს მკერდი.

წინ, წინ ვიაროთ! — ხალხის ხმა ისმის,
წინ გზებს მიარღვევს ხალხი ძლიერი.
ახალგაზრდობა ნაპერწკლებს ისვრის
ყუნთებმაღალი, სვებედნიერი.

თქვენ, ზღვების გაღმა, მდიდართა ხროვას
შურის და მტრობის სამოსი გმოსავთ,
არ ინდობთ მოხუცს, არც ძუძუმწოვარს,
თქვენ ხელთ გიპყრიათ სიკვდილის დროშა.

თქვენ ქვეყნად ომის დანთებას ფიქრობთ,
გსურთ, გააჩაღოთ ომის ხანძარი
და უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებთ —
ხალხს ღრღნიდეს სევდა უზარმაზარი.

ამ მთებს, ამ ქარხნებს, ამ ზვრებს და ბაღებს,
ჩვენს აღტაცებას თქვენ ემუქრებით.
რაც გვაფრთოვანებს, რაც სულს ალაღებს,
გსურთ, შეურუჯოთ მას ცეცხლით ფრთები.

თქვენ გსურთ, კვამლში და ბურში გახვიოთ
ეს თვალწარმტაცი მთები და ზვრები,
თქვენ გსურთ, აქ შხამი გადმოანთხიოთ,
სისხლით შეღებოთ მდინარეები.

თუ არ დასცხრებით, თუ ცეცხლის ალით
ჩვენს ცას, ჩვენს მიწას თქვენ შეეხებით,
თუ თქვენი მყრალი ტყვია-წამალით
საზღვრებს შეღებავთ სისხლის შხეფებით. —

აღსდგება ხალხი, ამ ზვრებს და ბაღებს
ვერ დაიმკვიდრებს მომხვდურთ ხელები,
ამ ჩვენს მიწაზე ვერ იბინადრებს
სვავები — ხალხთა სისხლის მსმელები.

თქვენ, ქვეყნებს შორის ომს რომ აჩაღებთ,
ნგრევით, წალეკვით რომ გვემუქრებით,
გჯეროდეთ მტკიცედ მკვლელებს, ყაჩაღებს,
ომით თვით თქვენვე განადგურდებით.

1952

ერთი გლეხკაცი

მას ლხინში შევხვდი, მომეწონა და გავიცანი,
დიდი ხანია ვიცი უკვე, თუ ის ვინც არი.

მისაუბრია არა ერთხელ მასთან შინ, კარში.
დამილანდია იგი ხალხში და ტაშისკარშიც.

მისი სიყალბე, ვით მე, სხვასაც, მწამს, არ უგრძვნია,
ის კეთილ საქმეს ზურგს უმაგრებს, რაც შეუძლია.

ფეხის ხმის ამყოლ კაცად ჯერ ის არვის უცვნია,
მამაპაპური — ოდა სახლი ეარ შეუცვლია.

თუმც უთქვამთ მწარედ: — არ მოგბეზრდა ძველი ფიცრული,
თუ იქ სიცოცხლის დასასრულთან ხარ შეფიცული?

უთხოვებია მათთვის მხოლოდ ყური დროებით.
არ შერყეევია წუთით სულის მას მყუდროება.

ერთ ყრუ ოთახში აქვს წიგნების პატარა თარო,
იქვე წარწერა: — გთხოვთ, უჩემოდ არ მიეკაროთ.

უყვარს აკაკი, ყაზბეგი და ვაჟა, ილია,
მათი სურათით ხარობს, როცა მოწყენილია.

მათი ფიქრით და სულის ცეცხლით გამოზრდილია,
მისი ტრფიალი რუსთაველის ავთანდილია.

ის შოთას სიბრძნეს სჯა-ბაასში ჩაურთავს როცა,
თავს აწევს მაღლა, ისე, თითქოს მის დამწერს ლოცავს.

1966

უკანასკნელი მგზავრობა

შენ მოგენატრა კაკლის ხის ჩრდილი
და უწმინდესი ჰაერით სუნთქვა, —
ველები... მთები ცამდე აწვდილი,
დაღლილობის ჟამს ნანა რომ უთქვამთ.

გელის სოფელი, გელის და ღელავს,
შენით გულის დარდს მოხსნას ტვირთები.
ჭალარით მოსილს გელის მომღერალს
ჩქარი არაგვის მძლავრი ზვირთები.

ბრძოლით დაღლილი მიხვალ მგოსანი,
მუდამ მგზნებარე და მარად თბილი.
წინ გხვდება ქართლი ფიქრთა მპყრობელი,
მთით გადმომდგარი შენი „აჩრდილი".

ბუბუნებ შენთვის, ელი იმ წუთებს,
როს გეტყვის ნანას კაკლის ხის ჩრდილი,
შორიდან ფიქრით ესათუთები
შენ საგურამოს, დინჯი და ზრდილი.

ხე ფოთლებს ფრთხილად შეაშრიალებს,
ხე დაკორძილი და კანდამსკდარი,
რომ დაამშვიდოს ბრძოლით დაღლილი
ქართველი ხალხის ბაირახტარი.

შენს მოლოდინში დგას თავმომწონედ
ხე ტოტებხშირი, ხე ტანმაღალი.
სულს დაგიამებს დიდებულ მგოსანს
აქეთ წალკოტი, იქით ბაღნარი.

— გელი, გაზრდილო! გხვდები აკვნითო,
შენ ყვარელიდან თითქოს ხმა გესმის.
კუდიგორის მთას მონატრებია
შენი მთრთოლვარე გულის ალერსი.

გელიან მგოსანს, ჭაღარას, ფხიანს,
თავსაფრიანი ქართვლის დედები,
რომ ფიქრმორევით შეუხმატკბილონ
ფანდურის სიმებს შენი ლექსები.

შენ მოგელიან სამშობლოს ძენი,
ყრმები შენს ჩრდილთან ანადევნები.
გელოდა შენი ეზო და სახლი
და დახუნძლული ვაზის მტევნები.

მგზავრობდი, ტყიდან ტყვიამ იწივლა
(ვერაგებს ტყეში ჰქონიათ ბინა).
გესროლეს, მოგხვდა, ჯმუხი ილია
იმ ერთმა ტყვიამ ვერ მიგაძინა...

და დაჭრეს შენი მაღალი შუბლი,
ესოდენ სათნო და საამური.
სიკვდილთან შენებრ ბრძოლა გამართე
და მორწყე სისხლით გზა წიწამურის.

მშობლიურ მხარემ მხრები დახარა,
ხალხმა შერისხა მტერი ტიალი.
ცრემლით დანამეს შენი ჭაღარა,
წყევლეს უკუღმა ქვეყნის ტრიალი.

1937

ეს ერთი ღამე

ეს ერთი ღამე ისევ ლექსთან უნდა ვათიო,
ისევ ლექსისთვის დაიფერფლოს სათნო წუთები.
გულო, ნუ ბორგავ, უძილობა გთხოვ, მაპატიო,
მე ახლაშობილ ჩვილ სტრიქონებს ვებუტბუტები.

ნათელ ღამეში ვარსკვლავთ ციმციმს არ მაკლებს ზეცა,
აჰა, საცაა, სავსე მთვარეც გაიბადრება.
არ მომწყინდება, სიხარულით ვიზრდები მეცა,
ალიონამდე მჯერა ლექსი დაიბადება.

ველი იმ წუთებს, იმ წუთებით ვარ ანთებული,
ვინ გამიბედავს ხმის გაცემას, ან გაკარებას,
ვაჟა-ფშაველას მთასავით ვარ ამაღლებული,
ცეცხლი ვარ ახლა მოგიზგიზე და თაკარება.

1938

ზოგონეგა

საღამოვდება, თოვას უმატა,
ფოსტაში წასულ ბაბუას ველით,
უცებ ქარბუქმა წაიკვიმატა
და კვიპაროსმა ამართა ყელი.

თოვს... გვენატრება თოვლში ჩაშვება,
დედამ ოთახში ჩაგვკეტა ძმები,
რა წარმტაცია თოვლში ბავშვობა,
ჩვენ ვუმზერთ ერთურთს მოწყენილები.

ოთახში მდგარი ყოველი ნივთი
შეგვძულდა, იმათ აღარ ვეხებით,
ბათურა დახტის თოვლზე და ვითვლით,
რამდენჯერ დასცდა საწყალს ფეხები.

ჭიშკართან გაჩნდა ბაბუ ჭაღარა,
ბაბუ გულ-მკერდზე შემოთოვლილი.

ჩეენ შემოგვხედა, თოვლი ეაკვალა
და შემოვიდა შინ მოწყენილი.

შევცქერით ბაბუს ნაღვლიანს, მოხრილს,
ისეა, თითქოს ცრემლი სცვივაო,
სკამზე ჩამოჯდა, ამოთქვა ოხვრით:
— ჩვენი აკაკი გარდაცვლილაო.

ოჯახმა იგრძნო ეს სატკივარი.
ძმები ვიდექით ვით ორი სურა.
დედამ გაშალა „ბუნებისკარი“
და დავაცქერდით აკაკის სურათს.

1940

ᲓᲘᲚᲘᲗ

ამ დილით გულმა ლექსი მთხოვა, ლექსი უთქმელი,
მე გავეურჩე და მთის ფერდობს მივაპყარ თვალი,
მესმის მუდარა მისი სათნო და დამთუთქველი,
წინ მეხატება გული ჩემი თითქოს ფერმკრთალი.

მე მთას გავცქერი, მთას, რომელსაც ნისლები ბურავს,
მთა იწმინდება, მთის წვერიდან ჰქრება ფიქრები,
ამ დროს უეცრად, გულის მიერ, ჩემს უნებურად,
მკერდში ეღურტული შემომესმა ახალ რითმების.

1939

ᲕᲐᲫᲐᲡ

მთაში გაზრდილი მთას უმღერ,
მთისავე ფიქრის მთხრობელი,
ნისლიან მთიდან ანათებ
მნათობი ჩაუქრობელი.

არ გეშინია ქუხილის,
ვეფხვი ხარ დაუცხრობელი,

ელარუნი შენი ჩანგურის
სიტკბოა მიუწვდომელი.

მთების მშვენებით მმოსავი,
ბარად სიმღერის მრხეველი,
სალამური ხარ, მგოსანო,
დრო-ჟამში დაუმსხვრეველი.

ხან ბულბული ხარ მკვნესარი
და ხან ფრინველთა კრებული.
ხან არწივი ხარ მთის წვერზე,
მდუმარე, ჩაფიქრებული.

ხან მწუხარება, ხან ნანა,
გრძნობა ხარ მოზღვავებული,
ნეტავ სამშობლო განახა
აღმდგარი, აყვავებული.

ნეტავ, სულმნათო მგოსანო,
ლოდი არ გაწვეს ტიალი,
ნეტავ გვასმინა ბარელებს
მთიდან შენი ხმის ზრიალი.

ნეტავი გადმოგახედა
ფშაურ ჩაფხუტით, ჩოხითა,
დღემდე გეცოცხლა, გვენახე
შენი პატარა ქოხითა.

ილიღინებდი მოხუცი,
ჯაებით შენამოსები,
ყურს დაგიგდებდით შენს ფრთებქვეშ
ფრთხილად დაზრდილი მგოსნები.

დაივიწყებდი წარსულს და
დაივიწყებდი ოხვრასა,
ველარ ნახავდი მტრის ხანჯლით
ქართლის დაფლეთილ ჩოხასა.

მაგრამ, ვაი რომ აღარ ხარ,
აღარ ხარ, მთათა ქუხილო,
აღარ ხარ, ლამაზ ფშავეთის
სიხარულო და წუხილო.

1934

განთიადი და გულგული

ის შემოიჭრა ნათელი შუბლით,
მიმალ-მომალა მნათობნი ცაში,
ააელვარა მზის ოქროს შუბი,
შემოაგება ფოთლებმა ტაში.

ძილი დაუფრთხო ტაშმა მომღერალს,
ფრთოსანმა ფრთხილად ამართა ყელი,
დაცვარულ მინდორს გადააფრქვია
ჰაწგი უტკბესი, დაუწყეველელი.

შტოებში შთასულ სხივებმა მზისამ
ბულბულის ნისკარტს შეუშრო ნამი.
ააწკრიალა ხმა უნაზესი
და დაეხურა წამწამს წამწამი.

ბულბული ბუდეს გალობით მოწყდა,
ტკბილი სიმღერით შეირხა სივრცე,
ძნელია, ძნელი, ლექსს რომ მგოსანმა
ისეთი წმინდა სტრიქონი მისცე,
როგორც ბულბულმა ნაზმა, სათუთმა
ამომავალ მზეს სიმღერა უთხრა...

1935

ალექსანდრე ყაზბეგს

სულში შეიკრა და არ მშორდება
შენი მშფოთვარე დღე და წუთები,
არ მახსოვს შენგან მე დამშვიდება,
მარად მღელვარე მესაუბრები.

რამდენი თრთოლვა, ტანჯვა თუ დარდი
ჩაქსოვილია შენს მართალ ხმაში,
ის დრო გავიდა — გაკვალარავდი
შენი ტკივილით გაზრდილი ბავშვი.

მხიბლავს, მიტაცებს ქარში, ავდარში
კლდეზე შემდგარი მოხევის ცქერა.
მისი წარსულის წიგნს რომ გადავშლი,
გულის დამწველი მესმის სიმღერა.

სადაც მაღალი მთა და მოლია,
იქ მოსჩანს შენი ნაბდის ფრიალი.
სხვა სატრფო ქვეყნად არა გყოლია,
სამშობლო იყო შენი ტრფიალი.

ქართველი ხალხის დარდით ნაშობი
მასთან ხარ მარად, ბარად თუ მთაში,
გაუხარელი კაცი დაგვშორდი,
გახარებულად გაზრდილი ბავშვი.

ის რწმენა, ფიცი, ის სულის ლხენა,
რაც ვაჟკაცური გულით ატარე,
დღეს გააცოცხლა მშობლიურ ენამ,
ამართე მხრები და გაიხარე.

ამართე მხრები, მოშუშდა წყლული,
ხალხს ბრძოლაგავლილს მხნეობა შვენის,
დაგიმშვენდება მღელვარე სული,
რომ ნახო ახლა სამშობლო შენი.

1948

რომ დაცხრეს სული

სიზმარი იყო ოცნების მსგავსი,
მოულოდნელი სიზმარი იყო.
ის ღამე ახლაც მიმაფრენს ცაში,
ის ნეტარება ვით დავივიწყო.

არ შემელიოს, მინდა, მფარავდეს
სიკეთე მისი ენით უთქმელი.
იაროს ჩემთან აწ და მარადის,
ვარ იმ წუთების მონა, მიმრქმელი.

მან დამამშვიდა და გამამაგრა,
გამიხალისა სიცოცხლის ეშხი,
მე ავთანდილი არა ვარ, მაგრამ
ავთანდილივით ვმღეროდი ტყეში.

შვებას გულისას ვგრძნობდი იმ ხმაში.
ოცნებით სადღაც შორს, შორს წასული.
ო, ერთხელ ისე მამღერა ცხადში,
დამძიმებული რომ დაცხრეს სული.

1964

ის მწამს, მას ვეტრფი

დიმიტრი ყიფიანს

აივნის ბოძზე ვარ მიყრდნობილი,
ბარში ჟინჟლავს და მთაზე ნისლია.
ვიგონებ კოლხეთს, ვიგონებ ყრმობას,
ძიძას, მორდუს და ფაცხას ისლიანს.

მივყვები ფიქრებს და თითქოს ვხედავ
ჩვენს ეკლესიას, შეფეთქილს კირით.
წინ მეხატება ჩემი ტალერი,
ჩემი ტეხური და ლეფეთქირი.

საიდან, როგორ, აქ რა მინდოდა,
რისთვის ვინდომე აქ დასახლება?
(რად გაუკვირდა ზოგიერთს ჩემგან
ქართლში საკუთარ ჭიშკრის გაღება?)

ვინც შემაყვარა მე ეს სოფელი,
ვკადრო შიშველი დასახელება?..
დაუვიწყარი არის მარადის
მისი თუნდ ერთი ის გახელება.

ის მოკლე, მაგრამ მკაცრი წერილი
ელავს, ბასრია, ვით სატევარი.
მან საქართველოს ჰაერის ღირსად
არა სცნო ჩვენი დამაწყევარი.

ის სულდგმულობდა მამულზე ზრუნვით,
სახელი მისი მიჩრდილვას ასცდა,
რადგან, ჰოს როცა ეტყოდა გული,
უკანდახევას ლაჩრობად რაცხდა.

1966

ხე წარწერებით

მოგინახულე, ახოვანო ხეო ვერხვისავ,
ბავშვობის შემდეგ არ მინახავს შენი რტოები.
განვლო დღეებმა, მე ტოლებთან ყოფნა მეღირსა,
შენ ისევ იქ ხარ, ამ ფერდობზე განმარტოებით.

შრიალებ წყნარად, მიწიერი ეშხით გიგალობს,
ყველას უყვარხარ, შენთვის ხელი არვის უხლია,
ბევრჯერ გწვევია ქარიშხალი, შფოთი, გრიგალი,
ტოტებგადახრილს თავგანწირვით გიშხუილია.

ერთი მაღონებს, გამიმჟღავნე, ხეო ვერხვისავ,
ეს წარწერები, წარწერები ურიცხვ ხმოვანი,
ვისი გონებით, ვისი ხელით შემოგეხიზნა,
ვინ გადაგდაღა ხე ამაყი და ახოვანი?

ვინ გაიმეტა ეგ, მტრედისფრად ნაქარგი ტანი,
გათქვი, ამხილე, ვერხვო ჩემო, ქარში ნარწევო,
ნუთუ არ სჯობდა, ტანი შენი, ფიქრთა წამტანი,
მდგარიყო ლაღად აშხვართული და უწარწერო?..

1940

ბალაკტიონი

ვამბობ ხმამაღლა:
სასწაულზე სასწაულია,
ცის გუმბათისთვის
    თურმე ხელი მას წაუვლია.
აცოცებულა, უხილავად
    ასულა ერთი.
დაგვღაღადებდა გოლიათი
    და მართლა ღმერთი.
ჩვენთან ცხოვრობდა,
    ჩვენთან იყო,
      ჩვენთან უვლია
და ვიმეორებ:
    სასწაულზე სასწაულია.

1966

უწმინდესი წუთი

გაზაფხულია. ხის ტოტებში ჩაწვა სიმწვანე,
ტყე გაძარცვული შეიმოსა ლორთქო ფოთლებით,
შაშვმა ჭახჭახით სიხარულის მოსვლა იწამა
და ცა ფირუზი ეშხიანი მზით იორთქლება.

გაზაფხულია, ყვავილების ისმის ღაღანი,
ლაღობს ბუნება მგოსნისა და ლექსის მხმობელი,
ჩემს მაგიდაზე გაშლილია წიგნი მაღალი,
ჩვენი ცხოვრების გაზაფხულის მახარობელი.

გავალებ ფანჯრებს, მკერდგახსნილი გავცქერი სივრცეს,
მიხმობს, მეძახის დახატული ხეთა ჩრდილები,
ლექსი მომწყურდა, გული უნდა სტრიქონებს მივცე,
მარად უწმინდეს და დიად წუთს ვემორჩილები.

1940

ნოე ჩხიკვაძეს

ჯერ კიდევ ყრმას შემიყვარდი,
ვერ გივიწყებ, ვერა.
ჩამაფიქრებს, დამალონებს
შენი ბედისწერა.

მომწყურდება მოგეფერო,
დაგიამო გული.
ხშირად მიპყრობს ეს სურვილი,
სულში მიმალული.

და არ იქნა, წინაპარო,
ვერ გიმღერე, ვერა.
ვერ შევუწყვე საშენო ხმა
ჩემი გულის ძგერას.

წრფელი ჰანგით მომღერალო,
ანთებულო გულო,
გვიან მაინც გიგალობო,
ქაცო დაჩაგრულო.

მეცოდები, მებრალები,
მეცრემლება თვალი.
საცოდავი თუმც რადა ხარ,
რა გაქვს შესაბრალი.

ცოცხალი ხარ, არ მომკვდარხარ
არც მოკვდები, არა.
იმ ერთ ლექსმა შენი თავი
მეტად შემაყვარა.

რა ხანია ეღიღინებ მას,
ხშირად წარამარა.
ხან კი ერთი შეძახილი:
„ვინ მკითხულობს“, კმარა.

1960

აღარ მასვენებ

აღარ მასვენებ, დამფუსფუსებ, მევლები თავზე,
შორს, შორს მიმაფრენ, სად არ მიხმობ, სად არ მატარებ,
ეს მთაც დამითმე, მთაზე კოშკი შემომთავაზე,
კოშკი ძვირფასი, უმდიდრესი, ჩემთვის ნანატრი...

მაგრამ მე მაინც, მუზავ ჩემო, ხმა ვერ გავიღე,
არ დაგმორჩილდი, რადგან ფიქრი შენსკენ არ ქროდა.
ვერ ვშღერი ახლა, ზრახვა შენი უკან წაიღე,
მაშინ მესტუმრე, როს სათქმელი მე აღარ მქონდა.

1939

შევჩენკო საპყრობილეში

> იძულებული გავხდი ვმალო ლექსები,
> რვეული, ვიმღერო და ვიტირო ცხარე
> ცრემლებით.
>
> ტარას შევჩენკო

რუხი ღამეა, საპყრობილის ველური ღამე,
მთვარე არა სჩანს, ვარსკვლავები შორს კრიალებენ.
ასკდება კედლებს ქარიშხლის შფოთი, ღმუილი
და პატიმრები თვალებს ბნელში აბრიალებენ.

ციხემ მათ ძალა გააცალა, დუმილში თვლემენ
და შებორკილი ტუსაღები ჰყრია მორებად.
ვერ საუბრობენ, მწუხრის ბურანს თავს ვერ ართმევენ
და მათ ყელს შერჩა მხოლოდ გმინვის განმეორება.

იქვე კუთხიდან მთრთოლვარე ხმით გალობა ისმის,
თითქოს ბუჩქებში გულდამწვარი სტევენდეს ფრთოსანი,
ჰგოდებს, გოდებას ის დროდადრო სიმღერით ისერის,
ხან შემაჟრჟოლი წრფელი ჰანგით ტირის მგოსანი:

„სულ ძილი, ძილი მაგოდებს,
მძიმეა ძილის მუქარა.
არავის აგონდებოდე,
იყავი ქვეყნად თუ არა.
სად ხარ, ბედო? სად ხარ, ბედო?
არად მაგდებ გულისხმიერს,
კარგი თუ ვერ გაიმეტო,
შხამი მაინც დაანთხიე“.

ამ გაბმული ხმით თითქოს სევდას იქრობს შევჩენკო,
თითქოს მეხრეა და ღიღინით მიჰყვება ხნულებს,
თვალებს გაახელს სიბნელეში და დაიხუვლებს:
— ეჰ, მეგობრებო! იქნებ სწუხართ და გსურთ, შევჩერდე.

მაგრამ ვერ ვითმენ, ასე მჯერა, ეს ხმა კარს აღებს,
მოუსვენარი სული ჩემი შხამს ეურჩება.
მეტს ვეღარ ვიტან, ამ წყვდიადში ჩემს ძვლებს და ძარღვებს
ბევრი უთქმელი ლექსები რჩება.

•

დუღდა, მოთქვამდა ბნელ საკანში დიდი კობზარი,
თრთოდა, იწვოდა: ხან მხრებს შლიდა ხმის დაკვესებით.
ძალას იკრეფდნენ იმ ჰანგებით სუსხით დამზრალნი,
დარდს უქარვებდა ფიქრამღვრეულთ მისი ლექსები.

ყრუ კედლებს შორის დროს წაართვა მან მყუდროება,
ხან ცრემლებს ღვრიდა, ხან გმირულად ყელს მოიღერდა.
ის გააცოცხლა, აამაღლა ჩვენმა დროებამ.
ხალხის მგოსანი, წრფელი გულით ხალხში ამღერდა.

1939—1969

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ

ერთი ხანია ლექსს ვერ ვამთავრებ,
ვებრძვი და მაინც არ იწერება,
რა მემართება, ან ვინ წამართვა
ეს ერთადერთი ბედნიერება?

ესღა გამაჩნდა, ეს ვის შეშურდა,
რამ მომიდუნა საბრალოს ყელი,
ტკივილი მინდა სულს მოვაშორო,
სულშივე მრჩება სიმღერა მწველი.

ვბორგავ, ვენთები, ვხარობ — არ მშველის,
საით გავიქცე, რით ვიმკურნალო,
სჯობია ჩაქრეს სიცოცხლე ჩემი,
თუ ვერ ამოვთქვი ლექსი უბრალო.

თუ ვაჟკაცობის გაქვთ ნატამალი,
ძმებო, მომეცით ამის წამალი.

1936

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

დ. ჩიანელის ხსოვნას

მომენატრე, მოგაშურე,
გნახე, გამიხარდა.
დიდხანს, დიდხანს ვიოცნებე
მე შენს ახალ ბალთან.

მომაგონდა სიყმაწვილე,
ჩემი ყრმობის დღენი,
როს შენს ზეცას გავცქეროდი
ტრფობით, აღმაფრენით.

როს დავქროდი პოეზიის
ალით გათანგული,
როცა მხოლოდ ლექსზე ფიქრით
ძგერდა მართლა გული.

აქ არ იყო მაშინ ბალი,
ყვავილთ საბუდარი,
აქ ცხოვრობდა ერთი ჩემი
ტკბილი მეგობარი...

მიზიდავდა მისი სახლის
ფართო აივანი,
აივნის წინ მაგნოლია,
მასთან საუბარი.

თვალწინ მიდგას მის ჭიშკრისკენ
მიმავალი დია...
ეს კუთხე მან შემაყვარა,
ამ გზას შემაჩვია.

და თუ ახლა მე აქ ვდგავარ
ცრემლმორეულ თვალით,
ვერ დამძრახავს, ვისაცა აქვს
გრძნობის ნაპერწკალი.

არც ის სახლი, არც ის ეზო,
არც კეთილი დია...
მხოლოდ ამ ბალს შერჩენია
მისი მაგნოლია...

1958

ჩიტო პატარავ

არის ერთი მკერდწითელი პატარა ჩიტი, რომელიც აცივებისთანავე უცვლელი, შემზარავი ხმით წივის.

რა გულსაკლავად წივი, ჩემო ჩიტო პატარავ,
როგორ უეცრად გაგაცალა სუსხმა ხალისი.
მე შენზე ფიქრმა დღეს გზადაგზა დიდხანს მატარა,
რომ მგალობელი გახდი აგრე შესაბრალისი.

რაღაც საერთო გვაქვს ერთურთთან, რაღაც ზიარი,
მაგრამ რა ქარიც არ მსუსხავდეს სულის მზარავი,
თავს დავლოცავდი, მაგ შენი ხმის წუთით სადარი
ხმა არ სმენოდეს არასოდეს ჩემგან არავის.

1958

დედაქალაქის ერთ-ერთ უბანში

ღმერთო, ეს ბაღი ახლოა სულთან,
ეს ბაღი სულის ნათესავია.

ტერენტი გრანელი

არა ერთი, არა ორი,
აქ ხეები მრავალია.
დროზე მზე და დროზე თქორი
მათზე მართლაც ალალია.

ილტვის რტო, სწვდეს მოძმის რტოებს,
შრიალებენ, ირხევიან.
ენაზება ტოლი ტოლებს,
ზოგს ტანს სურო მიხვევია.

პალმას მოსავს ძუაძუა,
შვენის მას ეს არჩევანი.
ვარდებსა და ყვავილთ შუა
სჩქეფს, ჩუხჩუხებს შადრევანი...

კუთხე, კუთხე ლურჯად შლილი
აქ ბუჩქებით ჩარგულია
და რტოებზე მეტად ხშირი,
ჩიტთა აურზაურია.

და გვატკბობენ საღამო ჟამს
ხან ჟივჟივით, ხან ქუთქუთით...
აქ კი ერთი სკამიც არ დგას,
კაცმა შეისვენოს წუთით.

შეისვენო და აანთო
შუქი, გულში რომ იხარო,
იყო მარტო, მარტოდმარტო,
სილამაზის შესვა წყარო.

ძმობისა და არა მტრობის
ფიქრი მიპყრობს ამ ხეებთან,
გაიელვა მარტოობის
მოტრფიალე სახეებმა...

...ზამთარია, ქარი არ ქრის,
მზე ციმციმებს, ყინვა ალხობს.
გულზე ხელებდაკრეფით ზის
ვიღაც ხეთა ახლომახლო.

გამიღიმა, ხმა არ გამცა,
შეცივნული თითქოს თრთოდა,
ვიცანი და ტანში გამცრა,
მან ვინ ვიყავ რა იცოდა...

ის სდუმს და მეც ხმას არ ვიღებ,
ჩქარი ცემა იწყო გულმა.
ისევ, ისევ გამიღიმებს
და წამწამებს დახრის უმალ.

ტანთ აცვია ძველისძველი
ფარაჯა და ყელი უჩანს.
გადაისვა შუბლზე ხელი,
ჩაიქინდრა, ჩაიყუჩა...

შეეტრიალდი, გავეცალე,
მეგონა ვერ დამინახა.
მიფარება არ მაცალა,
— მობრუნდიო! — მომაძახა...

ვინც იცნობდით, მიხვდით, მჯერა,
ის ვინ იყო და ვინ არა.
უმღერა მან ბედისწერას,
ლექსით თავი შეგვაყვარა.

ხეტიალით, ფიქრით დაღლილს,
უყვარდა მას ბაღში ჯდომა.
ბაღი იყო მისი სახლი,
მისი ეზო და განცხრომა.

პოეტებო! ამ ხეებში
არა ორი, არა სამი.
ამ ვარდებში ყვავილებში
ჩავდგათ ერთადერთი სკამი.

ამ ადგილზე ხსოვნას მისას,
მისი წრფელი გულის ფეთქვას,
ვუძღვნათ ერთი სკამი ხისა
და გრანელის ბაღი ერქვას.

1936

შემბიბინებდეს იგი მე

განა არ მინდა ვრცელი რამ
დავწერო, სული მოვითქვა.
შემბიბინებდეს იგი მე,
როგორც მინდორზე მოლი ქვას.

როგორც მზის შუქი ცის კიდურს,
მამკობდეს, მალამაზებდეს.
დავდგე ამაყად ბექობზე
და თვალებს ვაალმასებდე.

გკრიდე, ვსერავდე იმ სევდას,
გულს რომ ერჩის და ასაწყლებს.
ერთი ისეთი რამ მქონდეს,
რაც გააქარწყლებს ამ საწყენს.

განა არ მინდა? არ ეცდილობ?..
რა ვქნა, ვიწყებ და მბეზრდება
და შემდეგ ვგავარ იმ მშობელს,
შობილი რომ არ ეზრდება.

და ვცხოვრობ ასე, ნაფიქრალს
არავის დავესესხები,
ჯავრის საქრობად დროდადრო
ვმარა პატარა ლექსები.

1964

გიორგი ჟუჩიშვილის ხსოვნას

ასე გვაწვალებს განშორება და ბედისწერა,
ცრემლი მერევა, მეგობარო და მტკივა გული,
ვერ დავამკვიდრე გონებაში, მაინც არ მჯერა
მარად მქუხარე ქუჩიშვილი დადუმებული.

ნუთუ რუსთველზე ვერ ვიხილავთ, ალარ იალებს
ხჩქარებული ნაბიჯებით ხმელი სხეული.

ნუთუ ჩადგა და აწი ველარ შეგვაჟრიალებს,
ძმაო, შენი ხმა, ხმა მღელვარე სულით რხეული.

მწუხრმა დათალხა ხალხის მგოსნის თვალთა ციმციმი.
დასრულდა მწვავედ სარეცელზე წვა და წვალება,
კაეშნიანი ფიქრით გვბურავს და ყველას გვიმძიმს
სულით სპეტაკი ქუჩიშვილის გარდაცვალება.

1947

ბ ულ ბ ულ ს

როცა შენ გისმენ, თვით ფილტვებსაც ვართმევ უფლებას
ისუნთქონ ისე, ვით ჩვეულან ! ხვა ჟამს და დროში,
რათა ამ სუნთქვამ არ წაგართვას თავისუფლება,
არ შეფრთხიალდე იმ ბუჩქების პატარა შტოში.

იყავი ჩვენთან და ბულბულო, იმღერე ასე,
შტოს არ მოგიჭრი, სანატრელო, ნუ მოგწყინდება.
რომ აღარ გიგრძნო, არ მაქვს გული ჩალის ღეროსი,
ვინ იცის, მაგ ხმით ჩემში რა ხმა აღმობრწყინდება.

ნუ დამშორდები, შენც შეიშვნე ამ ცისქვეშეთის
საამო სიო, რომლით სივრცე დახუნძლულია.
და მომასმინე, მომღერალო, შენ ლამაზ ყელში
თუ რაოდენი განცდა, გრძნობა ჩამარხულია.

შენი ჰანგები, ყრმობის დღიდან რაც კი მსმენია,
ისევ ცოცხლობენ, ჟამთა სვლაში აღარ დანთქმულა.
ბევრი გადიდეს შენ მგოსნებმა, მაგრამ ჯერ კიდევ
შენზე, შენი ხმის შესადარი ლექსი არ თქმულა.

ახლოს იყავი — დამიმღერე, მარტო არ კმარა
გაახალისო დათქორილი ვარდი, იანი,
ერთი გასტვინე შენებურად ამ ცის ვამარას,
რომ დაიწეროს დღეს ახალი „ბულბულიანი“.

1934

ლეო ქიაჩელს

ვერ გნახე, მითხრეს: ავად არიო,
მეწყინა, უცებ ხმა ვერ დავძარი.
შინ მოველ, ვიგრძენ, ეს ცნობა თურმე
სულს მოდებია, როგორც ხანძარი.

ოცნებით მისი გაქრობა ვცადე,
ვერ ვძლიე, უფრო როცა იალა.
დავიწყე ლექსი, ვერ შემოგკადრე,
წავშალე, ისევ ამაწრიალა.

და ჰა, ეს ჩემი გულწრფელი განცდა,
ჩემი შენდამი სურვილი წმინდა,
მოვიდეს შენთან, მანდ, და ჩემს ნაცვლად
ვით მამას შვილი, გეფეროს მინდა...

რომ დაგიამოს დაღლილი გული
და დარჩეს შენი სასთუმლის ახლოს...
მე კი არ მინდა, დაფიქრებული
და ავადმყოფი ლოგინში გნახო...

ეს დღე თუ მწარე ფიქრებით გმოსავს,
გლოცავ, გაგყოროდეს წუთები მკაცრი...
ჭვლავ, ვით ტარიელ გოლუა, ისე
იდგე ჩვენს შორის ძვირფასი კაცი.

1951

ეს ერთი ლექსიც

იქნებ თქვას ვინმემ: — ქუთაისზე ლექსი, კვლავ ლექსი,
რა ამბავია, რა მოხდაო, მართლაც რა იყო?
დაუთმეთ მუდამ შობილს მშობლის წრფელი ალერსი,
მინდა დღეს ჩემი გულის კარი ფართოდ გაიღოს.

მიმიშვით ნებას, ვისაუბრო, სულმა იხაროს,
ვისაც არა სურს, ნუ მომისმენს, ყური მარიდეთ,

— ურჩევნიაო, — ამბობს ხალხი, — თურმე ციე წყაროს
პირმშოს ალერსი, ტყვეით მკერდში დაჭრილ ხარირემს.

და მეც მგონია, დაჭრილი აქვს გული ქუთაისს,
მას მის უბეში დაზრდილები რომ შორდებიან
და სხვათა შორის აგონდებათ მისი მაისი,
მისი რიონი, მთის კალთები კორდებიანი.

მწამს, ეს ლექსები ქუთაისს რომ ტკივილს უყუჩებს,
ვით შორს წასული შვილის ხშირი წერილი დედას.
ვეჩურჩულები, ვეფერები, მის სახლებს, ქუჩებს
და ამ ჩურჩულით უხმაუროდ ვაქრობ ჩემს სევდას...

— რა სევდაა, — იქნებ ვინმემ ამართოს თავი,
წუთისოფელში ძე კაცისა ვინ უნდა იყოს,
თუ ის არ არის ცარიელი პურის თავთავი,
დროდადრო მაინც წარმავალი სევდა არ იპყრობს.

მე წლების მიღმა, ქუთაისის ქუჩებში, როცა
ფიქრამღვრეული მივყვებოდი გზებს თეთრი ხიდით —
არ მჭირდებოდა ნაცნობების საძებრად მოცდა,
მათი სიმრავლით, უხალისოდ ხშირად თავს ვხრიდი.

დღეს რომ ქალაქი კიდითკიდე შემოვიარო,
ორიოდ ნაცნობს იქნებ მოვკრა სამადლოდ თვალი.
თუ ლექსი არა, რით განვკურნო მე ის იარა,
რით დაცხრეს გული, უკვე მრავალ წლის ნაზამთრალი.

ნუ მკითხავთ, რისთვის ან რატომო, სადაც არ ვიყო,
აქ თუ ხანდახან მოწყენილი ვაწვალებ თითებს.
არ მხვდება დია, არც დომენტი, ვანიონ, ნიკო,
ჩახლეჩილი ხმით შაჰრუხიც არ შემომხითხითებს.

არ ამკობს ქუჩებს მათი წმინდა, ნათელი სახე,
ვინც მე მიყვარდა, თითქმის ყველა თვალს მიეფარა...
ყანჩასეპური მაღალ ყელით შორიდან ვნახე
მხოლოდ ევსეი მიქელაძე და გამახარა.

შემრჩა სიცოცხლე, როგორც წიგნი ყდადაცრეცილი
და გამეცალა ჩემებური ის ბობოქრობაც,
მე ძმაკაცებთან, კარანაძის ზურგჩაკეცილი
ეტლით ჭომაში რომ მიექროდი ჯავრის საქრობად.

1964

• •

მე მწამდა ლექსი და მეწამება,
ლექსი განცდილი, აზრით ნათელი,
ვეძახი სიტყვის ჯვარცმას, წამებას,
ლექსს თუ არ ახლავს თან ერუანტელი.

1958

მეგობარ პოეტს

შარშანწინ, ძმაო, იმ ქარბუქში, ო, იმ დიდ თოვლში,
ჩვენ ის დღეები გავატარეთ აქ ისე ტკბილად,
არა მგონია, ხსოვნიდან მას დრო თუ ამოშლის,
თუ არ იცოცხლებს ჩვენში მარად ის წყნარი დილა;

მოგვიალერსა, გაგვახარა იმ კარგმა დილამ,
დილამ ძმობისამ, ნათელმა და ვარდივით სუფთამ,
ყველაზე მეტი ყურადღება შენ გერგო წილად,
შენ გაგიშალეთ ის პატარა ქართული სუფრა.

შენ გეკუთვნოდა ის დღეები და ღირსეული
ხარ, ჭეშმარიტად, შენთვის სულით გვეთქვა მადლობა,
რარიგ მდუმარე, თავდახრილი, ცრემლმორეული,
ჩვენს ხმებს უსმენდი, არა როგორც რაღაც წყალობას, —

ბრამედ კუთვნილს, ძმურს, გულითადს... თავი იყარა
შენმა ამაგმა, შვებას გრძნობდი ძმებთან ძმობილი,
მარად მშფოთვარე, დაუმცხრალი იდეაი წყნარად,
ჩვეულებრივად შენებრ სადად გამოწყობილი.

გვითხარ მადლობა და დუმილმა მოგვკიდა ხელი,
ვიგრძენით ყველამ, სულ სხვაგვარად გიძგერდა გული,
სამოცდაათი შეგისრულდა შენ იმ დღეს წელი,
შემოგვცქეროდი ნაღვლიანი, ფერგადაკრული.

შემდეგ კი, შემდეგ შენ უეცრად ამღერდი, ძმაო,
შეუხმატკბილე შენს მეგობრებს შენი ხმა წრფელი,
დაუვიწყარი არის ჩემთვის, ო, ეს საამო
წუთები, როცა გააცოცხლე არსება შენი.

და გეუბნები, არ იფიქრო ენამ გამასწროს,
მე მღერა შენი იმ დღეს მეტად აღარ მსმენია
და ის სიმართლეც რად დავფარო, ისე არასდროს
ჩემთან, ღმერთმანი, არასოდეს მოგილხენია.

ო, კარგი იყო, ძლიერ კარგი, დაუვიწყარი,
სუფრების ცვლა და თამადა კი გამოუცვლელი,
იმ გლეხკაცების დაილოცოს ეზო და კარი,
გველხინოს კიდევ მათთან ერთად მრავალი წელი.

ჩვენ მაშინ დავთქვით აქ თავშეყრა ყოველწლიური,
და მე არ ვიცი, რომელ თქვენგანს ვუსაყვედურო,
რად გამაწბილეთ, ჩემთან მოსვლა ვინ იუარა,
ძმური პირობა ვინ გატეხა, ვის დავემდურო.

შენ მაინც სად ხარ, მეგობარო! რად დაიკარგე,
რად დამივიწყე, რად არ ჩანხარ, რა გემართება.
სოფლის კაცისთვის სოფლად, ძმაო, ხომ იცი კარგად,
რომ მწარე არის მოლოდინის არგამართლება.

ქარი არ გიყვარს, გძულს ქვეშხური ქარის სისინი,
სირცხვილიცაა, ქარმა ასე რომ დაგვაშოროს,
ჩამოდი მალე, მოიყვანე ყველა ისინი,
გავიმეოროთ ის დღეები, გავიმეოროთ.

1961

ᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲑᲐᲚᲨᲘ

უზარმაზარი, ტოტებგაშლილი,
ბალს ამკობს ნაძვი, ბალის მფლობელი.
ზაფხულში გვფარავს საამურ ჩრდილით,
იქვე დროდადრო სტვენს მგალობელი.

მის ახლოს ბავშვის დგას ქანდაკება,
ჩვილის ხელიდან ჩქეფს შადრევანი:
ბროლის წვეთებით რტო იწინწკლება
და ძირს იხრება როგორც მტევანი.

როცა პირველად იფეთქებს, მაშინ
იტყვი: — მისწვდაო ნაძვის კენწეროს,
ალმასის ფრთების წარმტაც თამაშით
სწრაფად შორდება ტოტების ჩეროს.

მიიწევს მაღლა, არ ზოგავს ძალას
ძლევის სურვილით ზე აფრენილი,
მაგრამ ვერ იპყრობს მწვერვალს ნაძვისას,
მოიკლაკნება ძირს დარცხვენილი.

მოიკლაკნება ძირს დარცხვენილი,
უჩინარდება იგი თანდათან...
მე ფიქრი მიპყრობს, ვგრძნობ მოწყენილი,
რაღაც საერთო მაქვს შადრევანთან.

1954

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲒᲐᲑᲔᲡᲙᲘᲠᲘᲐᲡ

ჩვენ გავიარეთ ერთად თითქმის ორმოცი წელი,
არ მახსოვს, არა, უდრტვინველი წლის გაქროლება.
ამ შარაგზაზე მეგობარი შენი შემცველი
არვინ მყოლია არასოდეს, არც მეყოლება.

ვიქტორ, სპეტაკო! ძმავ კეთილო, რომელი ლექსით
შემიძლია ვთქვა ის, რაც შენზე მე მაქვს სათქმელი.

და თუ ვიცოცხლე შენებური ჩუმი ალერსით
მინდა იმ ნათელ, წმინდა დღეებს ავხსნა სარქველი.

შენ პოეზიით ანთებული, ჩვენს მთებს და ველებს
შეტრფოდი გულით... არვინ მხვდება შენი მძრახველი.
ამ ნაჩქარევი სტრიქონებით მხოლოდ მკითხველებს
პოეზიის დღეს მოვაგონე შენი სახელი.

1967

ნუ მეტყვი...

რამდენჯერ დამსეტყვე, რამდენჯერ მაჯობე,
წამართვი ძილი და დღესთან შეხარება.
ვერ დაგხვდი, ვერ დაგხვდი, ვერასდროს მარჯვეთ მე,
ჩაკეცეს მუხლები ქვაღორღზე ხარებმა.

ვერ აველ აღმართი, მთვარიან ღამეში
ხმატკბილი ურმული ვერ ჩავიღიღინე,
დავმარცხდი, უსახროდ დაღმართში დავეშვი,
წუთიერ ღიმილით — მწარედ გავიღიმე...

ეს ერთხელ?.. ვინ მოთვლის, ვის ახსოვს, ვინ იცის,
ვქრები და ვენთები რამდენი წელია
და მე რაც მიყვარდა გაბმული სიცილი,
ვგრძნობ მისი სურვილიც რომ შემომელია.

და მაინც ნუ გჯერა დამჯაბნე, ვარ მონა
შენი და აწიც არ გეომო, გეპიდო...
ნუ მეტყვი... — დღეებმა აგწონ და დაგწონა,
მძიმე ტვირთს ვერ ზიდავ დაღლილი ბეპითო...

1971

უშანგი ჩხეიძეს

კედელზე აკრულ ახალ აფიშას
თუ შევნიშნავდი, მისკენ ვჩქარობდი.
ხანი იმ დღეებს მე ვერ გამთიშავს,
ვისი სახელით და ხმით ვხარობდი.

სცენაზე თუკი ვინმეს ლაბადა
ეცვა, მიპყრობდა, სულ სხვაგვარ თრთოლვით.
ვეტრფოდი თეატრს, შინ ვერ მაბამდა
ქარის ზუზუნი, წვიმა თუ თოვლი.

შენ გამიცანი, შენ შემხვდი, როცა
ბრაკაცთაგან ვიყავ დევნილი.
გულამომჯდარი ვამბობდი ლოცვას
ადამიანი გზას აცდენილი.

ამხედ-დამხედე გამჭოლი თვალით
ყრმას, მთრთოლვარეს და ფიქრებით მოხრილს,
გამესაუბრე ოდნავ ფერმკრთალი
ვაკაცურ სულით და არა ხორხით.

იმ სამახსოვრო ღამემ, წუთებმა,
მარჯვენამ შენმა ჩემსკენ გაწვდილმა,
გულის პასუხმა უსათუთესმა
მე ვარდისფერი მაჩუქა დილა.

შემდეგ... ო, შემდეგ... აქ სიტყვა ლღვება
და იკუმშება გული კეთილი...
ისევ ველოდი შენს გაელვებას,
შენ კი გმინავდი კარჩაკეტილი.

ქედუხრელო და მართალო ძმაო,
კაცო, კაცთათვის მოჭირნახულევ,
ვცადე მენახე; მაგრამ ამაოდ,
შენ წაქცეული ვერ გინახულე...

ვერ გინახულე, იქნებ მელოდი,
განაწყენდი და მწუხრმა დაგჩრდილა.
რა მექნა, შინ არ მემეტებოდი
ჩვენი ცხოვრების ლამაზი დილა.

გარდაიცვალე შიშით ჯვარცმული,
შევკრთი, შემბოჭე, ხმა ვერ დავძარი,
თაყვანისმცემი შენი წარსულის —
შენს გასვენებას ვერ დავესწარი.

ვერ დავესწარი შენს გასვენებას,
არ გავიკარე იმ დღის წყლულები.
გაგიხსენებ და მე ის მასვენებს,
მარად ცოცხლებთან რომ მეგულები...

1972

ციხკარი

საოცნებოა ციხკარი მაშინ,
როს შეიშრება ცაში ნათელი.
ნეტარებაა ჩიტების ხმაში,
წამწამებს არხევს პურის თაველი.

ციხკარია თუ ცახცახი ჰქვია,
რად არი ეგზომ ის საამური! —
კაშკაშა მთვარე ფითრად აქცია,
ზეცა თრთის, როგორც სიასამური.

როს ციხკარს ვუმზერ, ვცახცახებ მაშინ,
ამ განცდას, ამ წუთს ნეტავ რა ჰქვია...
ის ციდან ჩუმად მოფრინდა ბარში
და მე ნათელი გადმომაფრქვია.

1945

ლია წერილი სიმონ ჩიქოვანს

ახალგაზრდა პოეტების ერთი ჯგუფი აცხადებს: „ჩვენ ვიბრძვით რთული პოეზიისათვის“,

ჯერ არ გიცნობდი, მაგრამ ლექსი მესმოდა შენი,
შეეხვდით ერთმანეთს თითქმის უკვე დაკაცებული.
თქმას, გაცხადებას, ცხადი არის, სიმართლე შვენის,
ყრმა არ ვიყავი შენი ლექსით გატაცებული.

მაგრამ სიახლეს, რაღაც უცხოს ვგრძნობდი შენს ხმაში.
ვგრძნობდი აქა-იქ პოეტური სულის ბორიალს
და სახალისოდ ვკითხულობდი ჭაბუკი მაშინ,
შენს „ხაბოს“, „ცირას“, შენს „მორდუს“ და შენს „ქარბორიას“.

განვლო დღეებმა, იმ გზის კარი თითქმის დახურე,
წინ გაიხედე სულ სხვა ჰანგზე გაჰკარი კვესი.
პირველად ჩემი თანაგრძნობა დაიმსახურე
უშანგისადმი წრფელი გულით მიძღვნილი ლექსით.

აქ წერტილების დასმის შემდეგ მსურს, გკითხო ერთი:
ეს ყმაწვილები ვინ არიან, ასე აშკარად,
რომ მოგვმართავენ ხმამაღლა და აწეულ მკერდით,
ვანეითარებო რთული ლექსის დაწყებულ შარას.

შენ ეგ ხსენება ნეტავ წუთით თუ გაგეხარდა.
ნეტავ ვიცოდე ეგ ხმა თუ არ გეხამუშება.
რად სდუმხარ, მათი მშლელ ლექსებით, ხომ ხედავ ცხადად,
დღითი დღე ქართულ პოეზიას ძუძუ უშრება.

რა არის „რთული პოეზია“, ეს ვის რად უნდა,
ლექსისთვის მარად სისადავე იყო დიადი.
ასჯერ, ათასჯერ უარყოფილს ვინ დაუბრუნდა,
ნუთუ რთულია ან „მერანი“, ან „განთიადი“?

1962

ქუთაისს

აქ სტუმრობა და გავლა მახარებს,
მაგონებს წარსულ უმაწვილკაცობას,
როცა დავტოვე ჩემი ლაფარე
და ფრთებს მასხამდა შენი გაცნობა.

რამდენი დღე და რამდენი ღამე,
რამდენი თვე და რამდენი წელი,
ყრმამ ოცნებაში აქ გავატარე,
და არ გამიშვი ფერშეუცვლელი.

შეგეჩვიე და ვერ შეგელიე,
თან სხვა ფიქრი და ოცნება მწვავდა,
ნუ მიწყენ, ან რა დასამალია,
შენთან დღეებიც კი გამიმწარდა.

დაგშორდი, მაგრამ მე მეთქმის განა,
შენს მიმართ ვიყო ცივი და წყნარი?
ჩემი ცხოვრების ის ერთი ხანა
მარად დარჩება დაუვიწყარი.

საყვარელია ეს ცა კრიალა,
შენი მსუსხავი ჭარიც, ავდარიც.
დღეს ერთმა ფიქრმა ამაწრიალა,
რომ არ ვარ შენი მე ბინადარი.

1960

ბესარიონ ჟღენტზე ფიქრის შემდეგ

ბესარიონ ჟღენტს მოვუსმინე უკანასკნელად
ჩვენს ყრილობაზე. გავიტრუნე და გამიტაცა.
როგორც ყოველთვის, ბობოქრობდა... წუთითაც ნელა
სიტყვა არ უთქვამს... მერე მალე სიკვდილმა დასცა...

მე ქუთაისში მითხრეს ბესოს გარდაცვალება,
სასტუმროში ვარ, ჩავიკეტე. მწარედ ავტირდი.

დაიმორჩილა უკურნებელ სენთან წვალებამ...
როგორ მიყვარდა... შევხვედრივარ მას მუდამ რიდით.

იმ დღეს კრძალავდნენ... გასვენებას ვერ დავესწარი.
ოჯახს დეპეშით მწუხარება გავუზიარე.
პატივისცემის გამჟღავნება აი, ეს არი.
ვიგონებ ბესოს, ვებრძვი უხმოდ გულის იარებს.

მწერალთა სახლში მიჭირს შესვლა... ბესოსთან ერთად
მრავალი ჩემი ახლობელი არ მეგულება.
დაცარიელდა ჩემთვის ბაღი და იცის ღმერთმა,
როგორ გამტეხა, როგორ მძლია ამდენ წყლულებმა.

1978

ბავშვი

მიყვარს სტრიქონთან ჩურჩული და ჩაღიღინება,
მაშინ ვიმღერი ოცნების და ფიქრების მიღმა,
როცა ჩურჩულით და ოცნებით გადავიღალე,
უეცრად ბავშვმა შემომხედა და გამიღიმა.

გადამავიწყდა ის სტრიქონი, მან გამახარა,
დადგა, მიმზირა, იტიტინა, თითქოს მიმღერა,
ბავშვმა იცოცხლოს, სტრიქონები გახდეს ჭაღარა,
მათ კვლავ ღულუნით ამოვიტან გულის სიღრმიდან.

1939

* *

ფფიქრობდი გუშინ და გუშინწინ...
ველოდი, ვუცდიდი, ვითმენდი...
დავრწმუნდი, ისეთ ლექსს დავწერდი
ღფრთოვანდებოდა მკითხველი.

წარმტაცი ოცნება წუთებმა
წაშალა, გაფანტა, დაჩეხა...
ვერ შევძელ ნაფიქრის კურთხევა,
დაჟეჟილს, დარბეულს ეს შემრჩა.

1978

მათი ჩურჩული

მათი ხსენება თუ გახსენება,
მათი ჩურჩული, ხმა, საუბარი...
შემაკრთობს, მებრძვის და მოსვენებას
მართმევს. ჩამძახის: — რად ხარ უბარი?

გაგვეხმიანე... გაგვეხმიანე...
გაგვეხმიანე, გვითხარ რაიმე.
მიწაში ჩაფლულ ადამიანებს
არ გვყოფნის მარტო ვიში, ვაიმე...

ნუთუ ჩვენგან შენ არ შეგრჩენია,
მოსაგონარი ან სახსოვარი.
ის ლექსია თუ ღვინო, ჩვენია.
ჩვენ განდიდების არ ვართ მთხოვარი.

ცმარა მცირედი... მხოლოდ გვახსენე.
რას გვემართლები, რად ხარ უბარი...
ჩვენ გავცოცხლდებით, შენც მოგასვენებს
გასაუბრება თუ საუბარი...

1979

ურითმო ლექსების ავტორს

დღეს აბაშელის მე მომაგონდა —
განვლილ დღეთა და წლების წყალობა.
მას ბევრი, ბევრი კარგი რამ ჰქონდა,
ვერ დაივიწყებს შთამომავლობა.

ის „მზის სიცილით“ მოვიდა ხალხთან
და ემსახურა შეძლების გვარად.
თან კრძალულობა, სიფიცხეც ახლდა,
ლექსით, კაცობით მან გაგვახარა.
ერთი მგზნებარე სულის პოეტი —
ნოე ჩხიკვაძე მან შემაყვარა.

მან შემაყვარა ის ბედდამწვარი —
მგოსანი... დღესაც მისი ხმა მესმის,
და ელავს, ელავს ვით სატევარი —
ძვირფასი საშას მართალი ლექსი...

იმ დიდი ლექსის საამო ჟივილს
შენ ყური უგდე, როდის რა თქმულა.
არ კმარა წუთით მოიკლა ჟინი,
ცდების მორევში ვინ ჩაძირულა.

გეპატიება ოთხი თუ ხუთი
სთქვა, წაიმღერო ლექსი უსისხლო,
მაგრამ თუ ლექსს სთხზავ წუთიდან წუთით
ჩვენ რა ვიფიქროთ, რა ვიგულისხმოთ?!!

გვაყრუებ, მკითხველს იგდებ აბუჩად,
გისმინე, ვიყავ ხმაგაკმენდილი...
შენს ლექსს ურითმოს ბოლო არ უჩანს
ხომ არ გსურს ქართულ ლექსის სიკვდილი?!

1980

გიორგი ნატროშვილს

ჩემს გულის ტკენას უფრთხილდება გაცნობის დღიდან,
რაც უნდ უჭირდეს მაინც მხვდება წრფელი ღიმილით.
წარსულში სევდა თუ მძალავდა... მხრავდა და მღრღნიდა,
შვების მომგვრელი იყო ჩემთვის მასთან ჩივილი.

მოსაწონარის არ სჩვევია სათუოდ გახდა,
გახალისდება და შემომქმედს მოეფერება...
როგორც რედაქტორს ორპირობა არა, არ ახლავს,
ჩვენი სიკეთე მისთვის არის ბედნიერება.

არ ვეტყვი ძმობილს სიტყვას მრავალს და მაგარ-მაგარს,
— გზა ეკლიანი სხვებთან ერთად მასაც უვლია,
დღეს თუ ლოცავენ კაცს ნაომარს და ნაამაგარს,
ღირსეულია... ღირსეულზე ღირსეულია...

1980

დიდება შენდა

იმედაშვილი — იმედის და ნუგეშის კაცი,
იმედაშვილი — სიყვარულის და ქების ღირსი,
ჭექა-ქუხილში ქედუხრელმა, მტკიცემ, მამაცმა,
ხალხს ამსახურა „თეატრი და ცხოვრება“ მისი.

ხან ვარდისფერი, ხან ლურჯი ან თეთრყდიანი,
ჟურნალი იგი ბილიკ-ბილიკ ნათელს აფენდა...
დიდება ამაგს, ჭირნახული ადამიანის...
იმედაშვილო!.. სამუდამო დიდება შენდა.

1976

დღეები ძუთაისში

ხშირი სტუმარი არა ვარ
შენი მე, ჩემო ქალაქო,
გნახე და ვეღარ ვდუმდები,
სულ მინდა გელაპარაკო.

შენს ალიონებს შეჩვეულს,
შენს დღეს და ღამეს შეზრდილსა,
მინდა ჩემი ხმა გასმიწო,
ხმა, აწ ვით ბერი ქედნისა.

კარგი რამ გითხრა დაგკოცნო,
გიამბო გულის დარდებიც,
ძუძუები მაქვს ნაწოვი
შენი იის და ვარდების.

არ დამკლებია ეკალიც,
მისი ნაჩხვლეტით ტკივილი.
მაინც არასდროს გსმენია
ჩემგან მდურვა და ჩივილი.

გნახე, დამატკბე, დაადე
მალამო გულის იარებს,
საგულისხმო რამ თუ ვერ ვთქვი, —
დუმილით არ ჩაგიარე.

1964

დავით გაჩეჩილაძეს

ალიონია, მეგობარო ალიონია!
ჩემს ახლოს ახლა ბაგრატის მთა და რიონია;
რაც უძილობით ღამეებთან ჩვენ გვიომია;
როგორ აღვრიცხო, დავით ჩემო! ალიონია!

გახსოვს ის ლექსი, შენი ლექსი „განთიადამდე“,
რომ ვგუგუნებდი მდუღარე ხმით მკლავებაწვდილი:
— „ბნელო ღამეო! შენ მწუხარების ჩრდილი გადამდე,
მთვარეც მგონია ნაცრითა და ძვლებით წაყრილი,
განთიადამდე ასე ვშფოთავ, განთიადამდე,
ამაოების უიმედო მესმის ძახილი“.

და აი ახლაც ძილგამტყდარი ვხვდები ალიონს,
ყარის გაღება და ქუჩაში გავარდნა მინდა,
გავქროლდე ყრმობის ნაბიჯებით, დავხედო რიონს.
მოვსინჯო მუხლი, — შემრჩა ჯანი თუ გამიფრინდა;

წუთი და ვტოვებ ამ ჭერმაღალ სასტუმროს კედლებს,
სვენებსვენებით უხმოდ მიველ ჯაჭვის ხიდამდე.
მოწმენდილია, ცისკრის შუქი ცას აფერადებს,
არ გიმხელ, წუხელ ღელვა სულის როგორ მხრიდა მე...

გავცქერი რიონს, ვებრძვი, ვფანტავ ფიქრებს დარდიანს
ბაგრატის ტაძრის აღმართამდე დამრჩა მანძილი.
ღიმილ-ღიმილში გადავწყვიტე: დილაადრიან
ყიჟინით მიშა ალავიძეს დავუფრთხო ძილი.

შეუჩერებლად, მეგობარო, ვერ ავიარე
საფეხურები თეთრი კიბის ორას რომ აღწევს,
მიუწვდომელი ცდა, ცხადია, აჩენს იარებს,
მაგრამ მამაგრებს ბრძნული სიტყვა „ამწევი ასწევს“

მოკითხვის ბარათს არ გიგზავნი, ჩემო ძმობილო,
ხომ იცი, ლექსი, დალოცვილი ლექსი რას ითხოვს,

მრავალჯერ მისთვის ანთებულო და დამხობილო,
თუ დაღლილი ხარ, გადადეკი, არ წაიკითხო...

გითხრა სიმართლე — აქ ვინდომე წერტილის დასმა,
მაგრამ წარსული შემომჩივის, თავს არ მანებებს,
როგორც ოსტატი დაზელილ ტყავს აართმევს თასმას —
ისე თუ სიტყვას, მგოსნურ სიტყვას, მგოსნურ ზმანებებს

ვერ მოვუარე... შიში მიშლის შენი სიცოცხლის,
და მეჩქარება... არ ვაჭარბებ, მე მეჩქარება...
სხვა არის, დავით, სიყვარული შვილის და ცოლის,
ხშირად მათი ხმა არც სულს, არც გულს არ ეკარება,

მაგრამ მეგობრის და იმგვარი კარგი მეგობრის,
როგორც შენა ხარ, ავად ყოფნა — მეტად ძნელია...
ვინც კარგად მიცნობს, ვისაც თავი არა აქვს კომბლის,
დამერწმუნება რასაც ვამბობ, რომ ნათელია...

ზოგი რამ შენთან საუბრის ჟამს შემრჩა უთქმელი,
საჯაროდ უნდა მოგახსენო, არ ვიხევ უკან,
ახლა აქ რითმა მიმრქმელი სჯობს თუ დამთუთქველი,
არ ვჩივი, არვის საამებლად ჩანგურს არ ეუკრავ.

...ამოვისუნთქე და ჰა, მიწას დავადგი ფეხი,
ყოჩაღადა ვარ, ჯანს მიმაგრებს ცა და ბუნება...
ასე მგონია, უეცრად რომ გავარდეს მეხი,
ვერ დამაფეთებს, შორს გავრეკე დაძაბუნება.

ალავიძისკენ გზას ავყევი და ის წადილი —
შეყიყინებით დავცემოდი ამ უთენია —
გაჰქრა... რა მექნა, შეგვრჩენია მსგავსი ქადილი,
სირცხვილი იგი უხმაუროდ სულს უთრევია.

„საკუთარ თავთან მობაასე მთაზე დავდივარ“,
ხმა მომაწვდინეს შვილებმა და შვილიშვილებმა:
— გარემო ჩვენი იწმინდება მსუსხავ ავდრიდან,
ნუ ილუშები, არ შეჰფერის გულს აჩვილება...

აქ ახლა ტოტებს სიო არხევს თუ ცვარი დნება,
სულ არ მადარდებს, ვხედავ, ღამეს სინათლემ სძლია,
მე ფხიზელი ვარ, არაფერი არ მელანდება,
არ ვუპასუხო შვილთა ძახილს არ შემიძლია.

ვჭოჭმანობ, დავით, ვერ ველევი, ვერა, ღმერთმანი,
დღეები ჩვენი დავაშორო რომელს — რომელი,
მაინც მას ვარჩევ, როს აქ ბაღში შევხვდით ერთმანეთს
ჭიათურის და რიონჰესის მაღაროელნი...

შენ ნორმადარის დიდი საათი გეჭირა ხელში,
საით იჩქარი, ჩემო დავით?.. გკითხე და როცა,
თქვი — მიმელიან დღეს მუშები და წიფლარის ხევში, —
პასუხმა შენმა გამახარა, და გამაოცა...

— ბიჭო, ეს როგორ?.. მეც მანდა ვარ განწესებული,
აბა, რა გვიჭირს, შრომის შემდეგ ერთად ვიქნებით...
პოეზიაში რომ არ დავრჩეთ წესაგებული,
იქ დავადუღოთ გულმართალი ლექსზე ფიქრები.

სჯასში, ბაასში ჭაბუკური ჯიბრი ქრებოდა,
ცცხოვრობდით ძმურად, გვქონდა ერთი ჩითის საბანი,
თუ მოვიწყენდით, ყრმა პოეტებს გვეფერებოდა
სეფე ფრუიძე — გეგეჭკორის რაზმელთაგანი...

...ყმაწვილკაცობის დაუვიწყარ დღეებთან მყოფი,
უმცროს მეგობრის ასჯერ ნახულ ეზო-კარს ავცდი.
ცაზი, რომელიც მიტაცებდა უხვი ნაყოფით,
დაუკრეფიათ... ესეც მერჩის, თვალში ჩინს მაცლის.

მჯერა, მოელის შეწუხება კაცსა ძილმღვიძარს,
მე ღამენათევს ახლობელთან გართობა მინდა,
ხელს ვკიდებ ჭიშკარს, შესასვლელში ხმა არ დამიძრავს,
ის კი ღიმილით მეგებება ფანჯრის მინიდან...

შეჭუკჭუკება, წუთიერი შეჭუკჭუკება,
შემდეგ მიზეზი მისვლისა და მისი ფაცური.

სწრაფად დააწყო მაგიდაზე წყებად და წყებად
გაყვითლებული გაზეთები, ყდებში ჩასმული.

ვფურცლავ და ვფურცლავ... გამახარებს — ვით მგზავრს იელი
ყვითელ ყვავილით — ლექსი ჩემი და მიდასტურებს:
წვლილი მქონია, არ ვყოფილვარ ხელცარიელი,
ვლოცავდი თურმე მეც მეორე ხუთწლედის გმირებს...

დავით, ძვირფასო! ამ ყოფაში აქეთ თუ იქით
დღე დავაღამე... ეს წუთები კი არ ფრიალებს —
ფესვდება ჩემში... და შენს სენზე უქრობი ფიქრი
შემაჩერებს და კვლავ გზადაგზა მაბორიალებს...

1974

ირაკლი აბაშიძეს

ჩემო ირაკლი! შენი ლექსი, შენი კაცობა
ამრავალფერებს ჩვენს სამშობლოს ესოდენ დიადს,
შორეულია... შორეული ჩვენი გაცნობა...
ახლაც ნათელს მფენს ის დღეები, ანათებს წყვდიადს.

ცხრაას ოცდარვას ჩვენ შევფიცეთ კრწანისის ველთან
ძმობა ერთმანეთს და ჭიქებიც მივაჭახუნეთ...
მოგვიალერსა დილის სიომ ძმობილებს ყელთან,
წლები იმ წუთებს ვერ წაშლის და ვერც გაახუნებს.

ზეიმის სუფრა მე არ მიყვარს და არც ვესწრები,
გონებას ამღვრევს უსასრულო ოხოხოხოია.
მამხნევებს, ძმაო, მეგობარო, შენი ლექსები,
მათი ღირსება მე ამიწონ-დამიწონია...

შენი თაობის პოეტებში ტოლი არა გყავს,
დრომ ვერ დააჭკნო შენი ლექსი, დრომ ვერ დათალხა...
იბრძოდა იგი, ბობოქრობდა თერგთან, არაგვთან,
საქართველოში ბუხაიძე იმღერა ხალხმა...

ძირს არასოდეს დაგიხრია დროშა რწმენისა,
მთელი არსებით შენს ქვეყანას ემსახურები,
შენ იღაღადე ძლიერება ქართულ ენისა,
შენ შეგვაყვარე თოვლზე ქალის ნაფეხურები.

არ მომწყინდება კვლავ მრავალი, კიდევ მრავალი,
შენ სადიდებლად, შენს სახოტბოდ დრო და საათი.
შენ ეს გეკუთვნის, შენ ღირსი ხარ, მე მმართებს ვალი,
რომ მოგილოცო, ძმაო, წელი სამოცდაათი...

და თუ ვიადრე... განვერიდე ოხოხოიას,
მე ეს დამითმონ, შემარჩინონ ეს ერთი ნაკლი,
უცნაურობა ჩემი ჩვევა ნურვის ჰგონია,
და თუ ასეა, მაპატიონ, ჩემო ირაკლი...

1979

შაჰრუხ ჩარკვიანი

დავბორიალობ ქუთაისში — შაჰრუხას ვეძებ,
ვეძებ, ვეძებ, ვეძებ წრფელი გულის შაჰრუხს,
ვეძებ პოეტს, იქნებ ჩიტად ქცეულს ხეზე...
მგზავრებს ვკითხავ და არავინ არ იძლევა პასუხს.

მინდა შემხვდეს, გამახაროს, იხითხითოს, იცრუოს,
მავნე ტყუილს. არასოდეს არ იტყოდა იგი.
ხშირად უხმოდ, თავმომწონედ, მას ეჭირა ხელში,
რომელიმე ქართველ მწერლის ნაჩუქარი წიგნი.

რა ხანია რომ დაგვშორდა, უცებ მიიძინა.
ის კეთილი კაცი იყო, ჩაქრა აღარ არი.
მისებურად ჩახლეჩილ ხმით მგზავრმა გაიცინა...
მის ჭიშკრის ბოძს არ ამშვენებს ძველებური ფარანი.

მის ეზოში, მის თხილნარში გავლა მომენატრება.
ყურში მისი ხეხილების შუმი შრიალია.
ვეძებ... ვეძებ პოეტს ჭირ-ვარამის ამტანს,
ვეძებ სპეტაკ შაჰრუხს... ცრემლი მომერია...

1980

ხუთბს გვიან, ვიდრე არასდროს

1980 წელს გამოცემულ „კლასიკური პოეზიის ანთოლოგიაში“, საბჭოთა პოეტებს შორის ანთოლოგიაში არ შედიან: კონსტანტინე ჭიჭინაძე, რაჟდენ გვეტაძე, ხარიტონ ვარდოშვილი, გრიგოლ ცეცხლაძე, ვიქტორ გაბესკირია, დავით გაჩეჩილაძე, ნოე ზომლეთელი, სანდრო ეული, და სხვა.

თუ კლასიკოსი მწერლების ნიმუშებია აქ წარმოდგენილი, — სანდრო ყანჩაველი რა შუაშია?

ზემოთ ჩამოთვლილი პოეტების ლექსები სისტემატიურად იბეჭდებოდა ჩვენს ბრესაში, ქვეყნდებოდა მათი წიგნები. ეს ლექსი ამ გულისტკივილმა დამაწერინა.

თქვენ მოგიგონებთ, თქვენ გაგიხსენებთ,
და გულდაწყვეტილს მომენატრებით,
დიდი ხანია ველარ ვისვენებ,
ძილს მიფრთხობს თქვენი პატარა მტრები.

სამტრო რა გქონდათ ალალ პოეტებს,
ქაცურ ქაცობის ხალხში მთესველებს.
ტაბუკობიდან ცისკარს აჰყევით,
შეჰყიჟინებდით ჩვენს მთებს და ველებს.

თქვენი დაჩრდილვა და დამცირება,
სავალალოა, გახდა იოლი.
რისთვის ვარსებობ, რად ვარ ცოცხალი,
თუ მოგანატრეთ თქვენ ალიონი.

•

გულო გამაგრდი, სულო ამაღლდი,
გაუმრისხანდი ბინდს თეალისჩინო,
ნაამაგარი ქვეყნის შვილების
შერისხვა არვის არ შევარჩინოთ.

გემართებს არ დაგეცდეს სიტყვა უძარღეო,
სიტყვა უმიზნო, ან ნახუცარი...
დროა უშიშრად ვამცნოთ ქვეყანას
უსულგულოთა ნაღლაბუცარი.

„ცდომილს შეუნდე მამაო“,
მაღიზიანებს, დღეს არ მარგია.
ღირსეულებს ვინც ღირსებას აცლის
ენამეტიც და ბარგზე ბარგია.

ვიქტორ და დავით! ნათელს გფენთ შუბლზე
ჩვენი ტეხური, ჩვენი რიონი.
შეშფოთებულმა უნდა ვაღირსო,
თქვენზე ხმაურით სულს ალიონი...

დავაგვიანე?.. გთხოვთ მაპატიოთ,
ცალფა რითმებით თქვენზე ყივილი.
ჭოჭმანის შემდეგ ასე ვარჩიე,
დავთმე რითმების ყივილ-ხივილი.

1983

თათუ ტოგონიძის ხსოვნას

შენ აღარა ხარ, შენ დაგეშორდი უხმო წვალებით,
წკვარამს ჩაბარდა შენი კარგი შავი თვალები.
ის ხომ ჩემს ყრმობას, ჭაბუკობას გზას უნათებდა,
თათუ! დღეს გულზე მძიმედ მაწევს ეს დიდი სევდა.

ვერ გავერთობი, ვერ დავტკბები შენთან საუბრით.
ამ უსაშველო სინამდვილეს ხმა ვერ ავუბი,
ალბათ იმიტომ, რომ არა ვარ კაცი ავყია—
რა უნდა გითხრა, როცა ვიცი მიწა გაყრია...

1977

ურმოგის მეგობარს

მე შევეჩვიე უკვე შენი შეცვლილი სახის
დუმილით თვალთვალს, ფერგადასულ ბაგეთა ცქერას.
არსება შენი კვლავინდურად აღარ მეძახის,
ნუთუ ჩემგან შენ, შენ ასეთი ბედი გეწერა.

არ დავიჯერო? სინამდვილეს საით გავექცე.
რომელ გზით, როგორ მოვინელო ეს განსაცდელი?..
ვმალე ეს ჭირი, ვიმდუმარე, ვკეცე, ვერ ვკეცე.
ვერ ავიცილე თასი ჩემი გამოსაცლელი.

ეს მერამდენე გაზაფხული მოდის ფრთხიალით,
შენი ღიმილი, ხმა შენი არ მომნატრებია.
ბუნება ისევ იმეამიურ ყელით წკრიალებს,
და ისევ ისე — ის კორდები და ის მთებია.

კვირტების ფეთქვა, ყვავილები, მოლის ბიბინი,
გვიხმობდა, მათი ფორიაქი არ გვაჩერებდა,
ყოველ გაზაფხულს ვესწრაფოდით მთისკენ სირბილით,
და უდარდელნი ვნეტარებდით მის ჩანჩქერებთან.

რა კარგი იყო, რა სპეტაკი, რა მშვენიერი,
იმ დღეთა ჭვრეტით მოგონებას რა შეედრება...
ხშირად მაფიქრებს მაშინდელი შენი იერი,
— ნუ დამივიწყებ, მაცოცხლეო, — მემუდარება.

1969

ეს წუთიერი არ არის ფიქრი

დაგვუფლებია ჩვენ სიმორცხვე, როგორც ბატონი,
ფიქრები ჩვენი მეჩვენება ფრთებშერეული,
ეხ, რა ხანია, რაც მე და შენ, ორნი მარტონი
არ ვმსხდარვართ ერთად, არ მსმენია შენი ჩურჩული.

მცირე ხნით მაინც მოაბრუნა ის დრო, ის ხანა,
ო, ის დღეები, შერკინება ტრფობის ქარებთან,
როცა მეგონა ნუგეშს მცემდა მთელი ქვეყანა,
შენთან შეხვედრის სურვილი რომ ამაჩქარებდა.

გრძნობდი რომ იყო წმინდა ჩემი გულის ძახილი,
გჯეროდა, შენზე ოცნებით რომ ღამეს ვათევდი,
გამახარებდი, ფერმკრთალი და წამწამდახრილი,
თვალს რომ მალული გამოხედვით მომანათებდი.

შენი უმწიკვლო, სათნო სახე მავსებდა ლხენით,
ხან კი უეცრად ტუჩმოკუმულს შემაჩერებდა,
გატაცებული შეგცქეროდი, ვტკბებოდი შენით,
ვით მოქანცული მოგზაური მთის ჩანჩქერებთან.

შემდეგ რა მოხდა მოგონება არ მინდა მისი,
მაგრამ ეგ მიკვირს, შეხვედრა რად გვეუცხოება.
იმ ლამაზ დღეებს ასე უღვთოდ რად ფარავს ნისლი.
რად არის ასე მოწყობილი ჩვენი ცხოვრება?

რად გვერიდება, რად ვერ ვბედავთ ჩვენ გავლას ერთად,
მცირე ხნით მაინც ვიყოთ მშვიდად, ორნი, მარტონი —
და ვისაუბროთ მასთან, ვისაც მე ვთვლიდი ღმერთად,
რად გახდა აგრე ეგ სიმორცხვე ჩვენი ბატონი.

1962

სადაც პირველად იას ვაკოცე

ტყე რას ნიშნავდა არ ვიცოდი, იას ვეძებდი,
ვნახე ია და იამ თვალში სინათლე მტყორცნა.
დავფიქრდი ბავშვი გულჩვილი და გაუბედავი,
მიმოვიხედე და აღვბეჭდე იაზე კოცნა.

ნაკოცნი ია პატარა ბავშვს სახლში მიმქონდა,
დედის სარკის წინ რომ დამედო კონა იისა.
ტყე ჩურჩულებდა, სასიამო ნიავი ჰქროდა.
მიმაცილებდა შინ სურნელი გაზაფხულისა.

გზაზე შემომხვდი. კრძალვით მთხოვე: — მაჩუქე ია,
უცებ უარი ვერ გაკადრე, მხრები დავხარე,
მიხვდი მეწყინა, მოგანათე თვალები მღვრიე,
მაინც წაიღე ია ჩემი და გაიხარე.

ჩვენი ბავშვობა, ჩვენი ყრმობა თვით ია იყო,
გულებიც იამ შეაერთა, ვარდის გულები.
დავიზარდენით, სიყვარული ორად გაიყო,
დავრჩით ტრფიალით ბავშვობიდან დაკაწრულები.

ჩემთან არა ხარ, მე დაგტოვე თუ შენ წახველი,
ეს ვის რად უნდა, საიდუმლო ჩვენშივე დარჩეს.
თუმცა ოდესმე ბარათების ვინმე მნახველი
გაიგებს ამა საიდუმლოს და გამოაჩენს.

წლები წასულან და წასულან, საით წასულან?
შენ სად იყავი, არ ვიცოდი, გულს გეფიცები.
შემხვდი, გიცანი, მოვიგონეთ დრო გადასული,
თრთოლვით დამშორდი, გზა განაგრძე გაფაციცებით.

შემხვდი, მიამა, ეს სიამე არ მსურს ჩავთელო,
ყრმობის დღეები რადგან უცებ შენ გააცოცხლე,
თვალწინ მეხატვის საოცნებო ის ტყე, ის მდელო,
სადაც პირველად იას ვაკოცე.

1937

ᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

იმ შენს ეზოში უძველესი ხე იყო ვარდის,
ჩაის ვარდისა, შენი ფერის თეთრი ვარდის ხე,
მიყვარდა იგი და იმ ვარდის ცა და ლაჟვარდიც,
დღეს მას ვიგონებ, მომისმინე გთხოვ, არ განრისხდე.

გაზაფხულისას როს იწყება ყვავილთფურცლობა,
მოკრძალებული მე სტუმარი ვიყავ იმ ვარდის.
ხმით არა, მაგრამ წამწამებით მახსოვს ურჩობა,
გენანებოდა მის შტოებში ხელის ნავარდი.

გენანებოდა ვარდი ჩემთვის, ვეღარ მიშველა
ვარდთა სიუხვემ, ვარდი უქმად იფურცლებოდა.
რა მწარედ მახსოვს, ლამაზ ასულს, თვალებგიშერას,
მგოსნისთვის ვარდი, თეთრი ვარდი, გენანებოდა.

და რა ხანია არ ვწვევივარ შენს ბაღს და ეზოს,
იქნებ გაწუხებს, დაგეუფლა სირცხვილის დარდი.
უნდა იცოდე, არ წავსულვარ მე უმიზეზოდ,
მინდა, გაიგო, რად არა ვარ სტუმარი ვარდის.

არ ვჩივი, არა, თუნდ განრისხდე და გამერიყო,
ვამბობ სიმართლეს, რადგან გულის დასტური არი,
როცა ვარდები ხარობს ირგვლივ, არ მინდა ვიყო
მე წამწამებით აკრძალული ვარდის სტუმარი.

1940

ᲘᲛ ᲐᲘᲕᲐᲜᲗᲐᲜ

იმ სახლთანა ვარ, სადაც ოქროს დღენი ატარე,
იმ აივანთან, იმ სარკმელთან, თმებს რომ იწნავდი,
სადაც გიხილე თვალმაყვალა, ტანად პატარა,
სად ციმციმებდი ნათელ სახით, როგორც წმინდანი.

შემოგეჩვიე და ორთავეს ჩრდილი გვფარავდა
შენს აივანთან მოშრიალე თუთის რტოები,

და მიტაცებდა, მიტაცებდა, ძილსაც მპარავდა
შენი ტკბილი ხმა და დახრილი ქუთუთოები.

დღესაც აქა ვარ, იმ თუთასთან, იმ აივანთან,
ასე მგონია, გადმომხედავ, კვლავ თმებდაწნული.
არ მჯერა, არა, ის დღეები თუ გაიფანტა,
აღარ შემხვდები შენ ის ნაზი, სათნო ქალწული.

საღამოვდება, ამაოა ლოდინი ახლა,
შევრჩი ოცნებას, ახლობელი აქ არვინ არი,
ეზოში შენი ჩაის ვარდიც არ მოჩანს ბაღთან
და დგას მოწყენით ის თუთის ხე, ის აივანი.

1940

უსათაურო

ცხრა დღე გავიდა, ცხრა თვე მგონია,
შენთან შეხვედრის რომ ვთქვი უარი.
მიხმობს მაღალი ხე მაგნოლიის,
ვუსმენ და მაინც არ ვარ სტუმარი.

მეძახის ვარდი, ჭიშკართან რგული,
დათმობა მისი ვიცი მეძრახვის.
იცი, თუ როგორ დაწყლულდა გული,
შენ მაინც სდუმხარ და არ მეძახი.

რა მოხდა მერე, თუ გავგულისდი,
თუ გაგებუტე და განგერიდე,
სულში შეპრილი სიყვარულისთვის
მე მაქვს უფლება კვლავ შეგირიგდე.

მე მაქვს უფლება, თუ მესურვება,
წავიღო წყევლა, დაგლოცო, კარგო,
მჯერა, ცრემლები დაგესხურება,
სულ რომ დაგშორდე და გადვიკარგო.

არ მინდა ჩემგან აგტკივდეს გული,
მოგეფერო და დაგლოცო მინდა.
დალოცვილ იყოს ის სიყვარული,
წამწამებს ჩვენსას კრძალვით რომ ხრიდა.

1945

ჩემი გაზაფხული

გაძარცვულ ხეებს გაუხშირდა კვირტზე ყვავილი,
მზე ისე მოსჩანს, რომ ვწვდებოდე, შემოვევლები.
ყურაცქვეტილი ამკობს ტოტებს ფოთლები ჩვილი
და ჭიკჭიკებენ, ჭიკჭიკებენ ტყის ფრინველები.

ვუსმენ სივრცეს და სიხარულით მევსება გული,
გავცქერი ველებს, აღტაცების ალი მედება.
მჯერა, დარჩება, უშედეგოდ აღარ გაივლის
ამ მშვენიერი გაზაფხულის შემოქმედება.

იყო დრო, როცა ჩვილ ყლორტებში ცრემლებს ვეძებდი,
მეცოდებოდა მზით დამჭკნარი ბალახის ფესვიც.
გზას მივიკვლევდი უხალისო, გაუღიმარი,
ჰქროდა ნიავი და ვტკბებოდი ბულბულის კვნესით.

მაგრამ მიზეზი ჭაბუკობის გარდა სხვა იყო,
ველარ დავფარავ, დამნაშავე უნდა გამხილო.
თუ კიდევ ჩემში დარჩენილა შენდამი ტრფობა,
მინდა, ჩავაქრო სამუდამოდ და მოვიცილო...

შენ გეუბნები, ყური მიგდე, შენ გეუბნები,
გახსოვს? მახრჩობდი სევდიანი ლექსების თხრობით,
და თუ გულცივად მოვუსმენდი მე იმ სტრიქონებს,
შენ ბრაზდებოდი, მაწუხებდი, წუხდი და თრთოდი.

ამიყოლიე, ამიცრუე გული სათქმელზე,
ვენდე შენს თვალებს, ქცევასა და ხმის სისადავეს.
მე მარტოობის ტრფიალმა და ჭმუნვამ შემიპყრო,
დამძლია სევდამ და მივუშვი ლექსის სადავე...

შემდეგ წაღვერი, მთის ჩანჩქერი და მღელვარება,
იმ უღიმღამო დღეებს ის დღე რომ ვანაცვალე.
მოულოდნელი სიხარულის გაელვარება,
კვლავ გამიტაცე და სახელიც გამოგიცვალე.

მერე რა მოხდა? დავიბენი, დავბარდნე გზები,
შუქმილეული სარკმელები ირგვლივ მფარავდა,
და ტოლებს ჩემსას თუ ჩამოვრჩი, თუ არ ვიზრდები,
შენზე ოცნება დროს მართმევდა, ხალისს მპარავდა.

დაშორებაზე სჯა და ფიქრმაც ერთხანს დამღალა,
კმარა, რაც ჭაბუკს გულში დარდი დამბუდებია.
იაშვილივით აღარ ვიტყვი: — თმაში ჭალარა
ეს სინათლეა, სიყვარულს რომ შემატებია.

იქნებ არ მოგწონს ეგ ცვლილება, კიდეც მემდური,
მაგრამ იმ დღეებს სიყვარულით ვერ გავიხსენებ...
რაც მოვიცილე შემხუთველი კაეშნის ბური,
შვება ვიგრძენი, მოქანცული ახლა ვისვენებ.

1933—1969

დაუვიწყარი

მე შენი ქუჩა, შენი სახლი კვლავ მომენატრა,
შენი ოთახი, ხალიჩა და პატარა სუფრა.
სურვილს ავყევი, ის უბანი შემომატარა,
მაგრამ უეცრად სახე ასე რად მომექუფრა.

რამდენჯერ ვცადე განშორება, გადავიწყება,
მაგრამ ვერ შევძელ, დამნაშავე მე არ ვარ, ქალო.
ასე მგონია, ტრფიალებას პირველად ვიწყებ,
ჩემს გონებიდან წარუშლელო და გაუმქრალო.

1939

გაუჩინარდი

თუმც უბრადა ვართ, მაინც შენთან შეხვედრა მინდა,
იქ აღარ სჩანხარ, იმ უბანში სადაც გხვდებოდი.
რად დამაშორე ის დღეები, წუთები წმინდა,
შენი შორიდან გამოჩენით რომ ვფითრდებოდი.

რამდენი დღეა, ჩემო კარგო, გაუჩინარდი
და ჩვენს სუნთქვასაც ერთმანეთთან არ უქროლია.
როგორ მომინდა შენი ნახვა, შენთან ნავარდი,
შენზე სათუთი მეგობარი მე არ მყოლია.

1939

ლანდი

მე გადავწყვიტე შემოსვლა შენთან,
მივუახლოვდი კარს და გავჩერდი.
უეცრად თვალში ლანდმა იფეთქა
გნახე ფანჯრიდან და გავსხვაფერდი.

მინდოდა ზარის აწკრიალება,
ვეღარ გავბედე, ვერ ვახლე ხელი.
შენს ლანდს შეხედა ჩემმა თვალებმა,
მე შენი ლანდი ვნახე წუხელი.

1939

ყვავილნარში

დღეს ყვავილნარში შევიარე, ვარდებს ვარჩევდი,
უეცრად იქვე ყვავილების ახლო გიხილე.
მე შერიგება გადავწყვიტე, შემოგაჩერდი,
მაგრამ, ძვირფასო, მანდ სურვილი ვერ გაგიმხილე.

წაიღე ვარდი და დასტოვე ის ყვავილნარი,
ჩემს ირგვლივ მაშინ დათალხული ფიქრები ჰქროდა,
ნეტავ ვიცოდე, ის ყვავილი ნაზი, ნარნარი,
ვისთვის იყიდე, გაღიმებულს ვისთან მიგქონდა.

1939

ნაძვებთან

იმ ნაძვნარებთან, იმ ჩანჩქერებთან გამოვიარე,
სადაც ზაფხული გავატარე და გაგიცანი.
ერთ იმ ნაძვთაგანს ზე აჩნია, როგორც იარა,
ის წელიწადი დახატული ვით ფრთა ციცარის.

ნაძვები ლაღად ამართულან მაღლა, სულ მაღლა,
მოჰქუხს ჩანჩქერი ვერცხლისფერი, ისევ იმდარი.
ისინი ერთად იქ არიან, ვით ზღვა და ტალღა,
ჩვენ ის დღეები კი დაგვშორდა, როგორც სიზმარი.

1939

რვეული

ვერ მოვისმინე, გადავფურცლე ძველი რვეული,
ოდესღაც შენთვის განკუთვნილი და შენახული:
ვკითხულობ უხმოდ იმ სტრიქონებს თვალამღერეული,
სადაც სწერია: „დღე პირველი და გაზაფხული“.

ამ ფერმკრთალ რვეულს გატაცება ჩემი თან ახლავს,
და მიყვარს იგი, რადგან მასაც ჩემთან უვლია.
ჩაფიქრებული ვაკვირდები იმ ფურცელს ახლა,
ჩვენი სურათი სადაც მორცხვად ჩახატულია.

1939

ის გაფითრება წაგართვა ხანმა

და რაც კი მქონდა შენზე სათქმელი,
სათქმელი, რომლის მოსმენა ღირდა.
ვიმღერე ისე, რომ გულს სარქველი
ავხსენ და ის ხმა სიხარულს მგვრიდა...

დღეს კი მაგ შენი წამწამთ ხამხამი
არ მომწონს, არა, ქრება ტრფიალი...
რა ვქნა, ვხედავ, რომ წაგართვა ხანმა
ის გაფითრება, თრთოლვა, წრიალი:

რითაც მხიბლავდი, რითაც მიყვარდი,
კვლავ განახო?.. სევდით დავიბურები...
გფენია ჩემგან ია და ვარდი,
მშვიდობით, ნულარ დამემდურები...

1958

რად ვერ გივიწყებ

რად ვერ გივიწყებ, რა მაქვს შენთან საერთო ნეტავ,
ჩვენ ხომ დავშორდით ერთურთს უკვე დიდი ხანია,
შენი კარები ჩემთვის ისე გამოიკეტა,
მისკენ მიხედვა მე თითქოსდა არ მიხარია,
მაშ ეგ რა არის, რად მახსოვხარ, რად ვერ გიშორებ,
რად მაქვს სურვილი, როს მარტო ვარ, ვფიქრობდე შენზე,
რისთვის მოქმედებს ჩემზე ასე შენი სიშორე
და ან რად მინდა ვიოცნებო იმ თუთის ხეზე,
აივნის წინ რომ გაშლილია ქოლგის მაგვარად,
თუ შენ არ მწამხარ, მაშინ ის ხე რამ შემაყვარა...

1950

თ ა თ უ ს

„გავა ზამთარი და გაზაფხულზე
მინდვრად ამოვა ვარდი და ია“.
გამახსენდება ჩვენი ბავშვობა,
მინდვრად ერთად რომ გვითამაშნია,
მე ცოცხალი ვარ, შენ კი, ძვირფასო,
კუბოში წევხარ, მიწა გაყრია.

რა ეშველება ამ სინამდვილეს,
ეს მწუხარება ვის ვუზიარო
და ამ დალოცვილ წუთისოფელში
ცრემლმორეულმა სანამ ვიარო...

სიკვდილი არ მსურს, სხვა რაღა დამრჩა,
რით გავამდიდრო ჩემი სამყარო...
ის მიშველის და ის თუ მაცოცხლებს —
ია და ვარდი რომ დაგაყარო.

1981

ამ ცის ტრფიალს

ამ ცის ტრფიალს შევალიე
მე ჩემი დღენი.
მე მისი ვარ, მისი, ჩემი
ჭმუნვითა და ლხენით.

სხვას სიყალბეს რომ შევნიშნავ,
მიფრთხება რული.
მწამს კაცურ-კაცთან ძმობა,
მწამს სიყვარული.

ამ ქვეყნიდან წასასვლელი
რისთვის ვარ ნეტა?..
ხიფათს ვხვდები, მაგრამ ღმერთმა
არ გამიმეტა.

შენ კი გუშინ სასიკვდილე
რომ დამიძახე,
ნუ, ნუ-მეთქი, ნუ მიმეტებ,
ცოტა დაგძრახე.

გაწყენინე? და შენ მწყეული?
არა გრცხვენია?
ვიცი, ვიცი, ბევრი წყენა
მოგითმენია.

ცოტა კიდევ მოითმინე,
ღმერთი იწამე,
და სულმოთქმულს დამაყარე
მკერდზე მიწა მე.

1963

ნუ მეტყვი მწარეს

ნუ მეტყვი მწარეს, მწარე სიტყვებს უფრთხილდი ჩემთან,
ჩემს გულს ხანდაზმულს უკვე უმძიმს ატანა მისი.
წმინდა გრძნობებმა, სიყვარულმა ჩვენ შეგვაერთა,
ვერ ვურიგდები შენგან მსუსხავ სიტყვების სისინს.

ტკბილად ვატაროთ დარჩენილი ჩვენი დღეები,
ცხოვრების გზაზე ბევრი მწარე სიტყვა მსმენია.
მის შხამს და ნაღველს მე თანდათან ვაცალკევებდი,
შენ გულს ნუ მატკენ, ეს გული ხომ ახლა შენია...

1950

აქ იყავი, აქ

მე მიმღერე დღეს,
თქვი, სიმღერა თქვი,
დღეს არ მინდა მე,
ხმა ვისმინო სხვის,
ხომ მიყურებ, რომ
შენ გისმენ და ვთრთი.

ნუ დამტოვებ, ნუ,
ხელს ნუ ახლებ კარს.
აქ იყავი, აქ,
ამ ოთახში და
ყურს დავუგდებ მე
შენს გიტარის ხმას.

სულს დავუთმობ მე
შენს მშვენიერ ხმას.
თვალს შევასმევ დღეს
შინ შემოჭრილ შუქს.
აქ იყავი, აქ,
ნუ გააღებ კარს...

1958

პასუხი

აღარ მინდოდა ამის გამხელა,
ან სხვას გაეგო უმგვანო რჩევა,
ხშირად შემთხვევა თვალახილული
გამოუთქმელად გულშივე რჩება.

მაგრამ შენ არ ხარ ღირსი დაფარვის,
შენ არ ხარ ღირსი გულით გატარო.
მე მინდა ჯილდოდ შენი რჩევისა
ეს სტრიქონები გამოგატანო.

მწყივლე, მაგინე, არ შევწუხდები,
აღარ შემიპყრობს დარდი და გლოვა,
გაივლის დღენი, შენ გახუნდები,
ჩემთან ლამაზი ასული მოვა.

მოვა და მეტყვის: — მიყვარხარ, გეტრფი,
ვინ გაგიბედა, მგოსანო, გმობა,
დე, შეელიოს ლექსის ნატერფალს
ჩემი ცქრიალა ახალგაზრდობა...

და შენ კი თუნდაც ცრემლად ჩამოდნე,
არ შევწუხდები, არ დავღონდები,
თუნდაც შხამსა და ვარამში თრთოდე,
ერთხელაც აღარ მომაგონდები.

მე ვწუხვარ, დღემდე რად არ გიცანი,
გული და გრძნობა რად გიზიარე,
იარე მარტო, როგორც ციცარი,
იარე მარტო, მარტო იარე.

იარე მარტო, ნურც გაგიჩნდება
შენი უმგვანო აზრის მთმობელი.
ცხოვრების გზაზე დასახიჩრდება
პოეზიის და მგოსნის მგმობელი.

1934

უცნობ ქალს

წარმტაცია სახე შენი,
აშოლტილი ტანი.
ხშირი წამწამები გშვენის,
ყელზე შავი ხალი.

შორით გიცნობ, ხშირად გეხვდები,
ასე გადის ხანი.
მეკრძალება, გერიდები,
ვეღარ გაგიცანი.

გატყობ თავს რომ ეფერები,
აკეკლუცებ, უვლი.
გარეგნობის შესაფერი,
ქალო, თუ გაქვს გული.

1954

მაღლარის ლერწთან

შეგყვარებია მაღლარის ლერწის
ფოთლის შრიალი, მის ჩრდილქვეშ მხერა,
მე გნახე მაშინ, როს მას არწევდი,
როს გარს ეხვია შენი სიმღერა.

მღეროდი ნაზად, როგორც ბულბული,
გაზაფხულის ჟამს იწყებს გალობას,
მე კი შორიდან სულგანაბული
ვუსმენდი შენი ყელის წყალობას.

იმღერე დიდხანს, შემდეგ უეცრად
მიმოიხედე, შემხედე, შეგრცხვა.
ხმა დაამწყვდიე, გაჰქრი, გაკურცხლე
პატარა ოქრომ, პატარა ვერცხლმა.

გარბოდი, ხუჭუჭს შლიდა ნიავი,
გაიშრიალე, როგორც ზღვაურმა.

რატომ წახველი, რისთვის იავე,
ნუთუ სიმორცხვემ გძლია ქალურმა!

მინდოდა, ერთხელ კიდევ გესროლა
სივრცეში შენი ხმა უცნაური,
სიმღერის ნაცვლად გამოაქროლე
იმ დასალეწი კარის ხმაური...

1934

ცაცხვების ჩრდილში

არ მოველოდი, არა, ღმერთმანი,
თუ ამ ცაცხვების ჩრდილში გნახავდი,
მახსოვს, უეცრად შევხვდით ერთმანეთს,
გაგიცანი და მითხარ, ნახვამდის.

შემდეგ კი თითქოს ლანდად დამდევდი,
ხან კი ოცნების იყავ საგანი.
ერთი შეხედვით მაჩუქე სევდა,
სპეტაკი სევდა ტრფობის მაგვარი.

არ მიფიქრია ახლო გაცნობა,
განმეორება ერთხელ ნახულის,
წარმტაცი იყავ იმ წუთს ანცობით, —
ხომ წარმტაცია ხატიც ხახულის.

მაგრამ ის ხატი მე ერთხელ ვნახე
ისე, ვით შენი წმინდა თვალები.
მე თან არ დამდევს ხახულის სახე,
შენ კი დღეიდან ვერ გემალები.

ვერ გემალები, საით წავიდე
შენზე ოცნებით განაწვალები!
ის გელათშია, მე ვიღას ვანდო
შენი თვალები და ნაწნავები.

1940

N-ს

ლამაზი არ ხარ და ინაზები,
შენ მიცნობ თითქოს, მე ვერ გიცანი,
დალარული გაქვს სახე ხაზებით
და აზიდული მკერდის ფიცარი...

ამაყი მზერა შემოგრჩენია,
ხან თვალებს წკურავ და ინაბები.
თანამგზავრებად აგირჩევია
კეკლუცები და ლამაზმანები.

უშნოდ ირხევი, ცერით დადიხარ.
ფრთხილი ნაბიჯით შენ ბაძავ ციცარს...
წამიჩურჩულებ: — „გულის დარდი ხარ,
მეტს ვეღარ ვიტან დედიკოს ვფიცავ“.

თუ დედას წმინდა ფიცით ახსენებ,
თუკი ამ ჩვევით არა ხარ მთვრალი.
გაფიცებ დედას, ჩამომეხსენი,
გზაზე ნუ მხვდები, მარიდე თვალი.

1942

ის ჯადო ჭრეება

ის შემხვედრია ცივ წყაროსთან, გზაზე, ცაცხვებთან,
თუ გავხდებოდი მასთან მარტო საუბრის ღირსი.
როგორღაც უცებ ხელთმიგდებდა, მაცახცახებდა
შავი, ლამაზი, მომნუსხველი თვალები მისი.

ჩვეულად არ ჰქონდა კისკისი და სიტყვით თამაში,
ტოლებთან ხშირი შეხვედრები და დროს ტარება.
თუ მოიწყენდა, წამწამებით ფარავდა მაშინ
მშვენიერ თვალებს, გიკრძალავდა მით ნეტარებას.

ის დრო, ის ჯადო, ქრება თურმე, არ მეორდება,
თითქოს უეცრად გაუცურდა ხელიდან ხვითო.
ოთახს, აივანს, კარმიდამოს როდი შორდება
დღეს სინანულით შეპყრობილი ცახცახებს თვითონ.

1972

* *

ისვენებ დაღლილი
ფერმკრთალი ასული,
ოქროსფრად გეფრქვევა
მზე ზღვამდე დასული.

ცის ტატნობს ჟუჟუნა
თვალების ციალით
გასცქერი, შენს ახლოს
ზღვას გააქვს შრიალი.

ბინდდება, გარემო
ზღვის შუქით ირთვება,
ქენჭებთან ჩოჩქოლი
დაიწყეს ზვირთებმა.

1960

გუშინდელი ლექსი

მთხოვე, მოგართვი ჩემი ლექსები,
ჩემი გულის და ყრმობის მსახველი,
ერთხელ მათ თვალით მოეალერსე
და თავდახრილი უხმოდ წახველი.

წახველ, წაიღე გულის ნაფლეთი,
ალბათ, ოთახში კითხვა არჩიე.
მე აქ დამტოვე აღმოსავლეთით
და შენზე ფიქრი შემომაჩვიე.

შემომაჩვიე შენზე ოცნება,
დამამახსოვრე შუბლი და თმები.
ნეტავ მაგ თვალით თუ იკოცნება
ახლა ის ლექსი და ის რითმები.

ნეტავ მანახა თვალები შენი,
როს ჩემი ლექსის კითხვად მოცლილა
და ნეტავ მაშინ, ოხ ნეტავ მაშინ,
მე ის თვალები დამაკოცნინა.

1941

უსათაურო

— არ მოიწყინო, დამშვიდდიო, — შენ დამიბარე,
ვეცადე, მაგრამ განშორებამ სევდა მარგუნა...
მეფერებოდა მარტოდ შთენილს ახალი მთვარე,
მაინც უშენოდ ვერ დავმშვიდდი, ვერ გავიხარე...

ვერ გავიხარე, განშორების მწვავდა წუთები.
ვერ შევურიგდი მარტოობას, პატარა ქალო.
კვლავ შენკენ ვილტვი, კვლავ შენს ხილვას ვესათუთები,
რომ მოწყენილი გული ჩემი ააფართქალო.

1946

ნუთუ დამშორდი

მთხოვე: — ნუ მნახავ, ნუ მოხვალ ჩემთან
და მხრებმოხრილი წახველ, დამტოვე.
მე შენს ნაბიჯებს მივჩერებოდი,
მებრძოდა ქარი და სიმარტოვე.

ნუთუ დამშორდი და უნდა ვშლიდე
ფიქრებს, სად ვნახო შენი თვალები.
ისევ შენ, ისევ თუ დამამშვიდებ,
თორემ სხვას ვილას შეეებრალები?

1946

დავშორდით ერთმანეთს

დავშორდით ერთმანეთს, დავშორდით, დავშორდით,
არა მძულვარებით, ტრფიალის დაშრობით,
დავშორდით და მაინც მიზიდავს ის გზები.
ვეფლობი წარსულში, ვენთები, ვეგზნები.

შენ კი არ ვიცი, როგორ ხარ, ძვირფასო...
გადმომცეს: — ბაღი აქვს და ვარდებს კრიფავსო.
პატარა მაგიდებს ამ კუთხით, იმ კუთხით,
ჩაუელის ალერსით, ჩურჩულით, ქუთქუთით,

ლარნაკში ჩაწყობილ ვარდებით ერთობა
და მთელი არსებით მათთან აქვს ერთობა.
თუკი ეს ასეა, თუ ეს მართალია,
როგორ შეგაწუხო, როცა არ გცალია.

სხვადასხვა ფერის და ლამაზი ვარდები
გიყვარდა... გეტყოდი თუ შეგიყვარდება —
ასე ან პოეტი, ან ფუნჯის ოსტატი,
ამ კითხვას ლამაზი ღიმილით მოსავდი...

მას შემდეგ რა ხანი, რა ხანი გავიდა,
ის წლები დამცილდა კარგით და ავითა.
თუ მხოლოდ ვარდებით ხარობს შენი თვალი,
მე სხვა რა უნდა ვთქვა: — ვაი ჩემი ბრალი.

1976

ელის და უცდის...

ცისფერი ღობე და აგურის პატარა სახლი,
ღია ფანჯარა, ჩამოშლილი თეთრი ფარდები,
თვალს ვერ ააცდენს მგზავრი ხეხილს ნაყოფით დახრილს,
კედლებს ბრჭყალებით აჰყოლია ჩაის ვარდები.

ის კი ოთახში მღერის... უკრავს თავდავიწყებით,
გრიალ-გრიალი ჰანგებისა ჰაერს შეარხევს.

ერთიც ძლიერი შეძახილი და ხმაც მიწყდება,
გაფითრებული ქალი ფარდებს ხელებს შეახებს.

დააცხრო ღელვა, ზურგშექცევით დარჩა საკრავი,
ფორიაქის ჟამს ერთადერთი მისი დობილი.
ფანჯრის ჩარჩოზე დაეყრდნობა ორივე მკლავით,
წინ წამოხრილი, ხელით ხელზე გადაჭდობილი.

უეცრად, უხმოდ ვით ძუ ვეფხვი აანთებს თვალებს,
ზეერავს გარემოს, ნებისყოფას ამოწმებს და ცდის.
თმას შეისწორებს, ზე ამართავს თოვლისფერ მკლავებს
და პირველ ტრფიალს ელის, ელის, ელის და უცდის.

1974

* *

„გაიელის დღენი დაგავიწყდები,
არ მომიგონებ, ერთხელაც არა,
მაგრამ მე მაინც კვლავ გაგიხსენებ,
ჩემო ნუგეშო, ჩემო პატარავ".

კვლავ გაგიხსენებ არა მისთვის რომ
შენ იყო ღირსი გახსენებისა,
მე მას ვიგლოვებ, ცხარე ცრემლებით
შენთან ცხოვრება რომ არ მეღირსა.

1980

ნ.-ს

მე შენ გეტრფოდე, ვინ წამართმევს ამის უფლებას,
ვის შეუძლია აუკრძალოს ბულბულს გალობა.
წრფელი, უმწიკვლო სიყვარულის თავისუფლება
შენსკენ მომაფრენს და მამღერებს შენი ქალობა.

თავს ვეღარ ვკადრებ, რომ უშენოდ საბრალო ვიყო.
მაგრამ მღელვარეს დამშვიდება როს მომინდება.
არ ძალმიძს მაშინ შენს მშვენებას გამოვერიყო,
ჩემდა ნუგეშად სახე შენი გამობრწყინდება.

1954

ლირსეული ხარ და გაანათე

ო, როგორ მინდა შენ გაანათო,
საქვეყნოდ გახდე ისე ცნობილი,
გეტრფოდეს ხალხი, არ იყო მარტო,
განდგომილობის ფიქრს მინდობილი.

შენ ეგ სინაზე თუ სიტყვა წრფელი,
დროზე სიშმაგე თუ გაფიცხება,
გიხდება, მხიბლავს ეს ყველაფერი,
გისმენ, მახარებს და გული ცხრება.

მცირეს ჯერდები, არ ეტრფი ფარჩებს,
გძულს სულწასული, გძულს უკმარობა.
დასანანია ოთახში დარჩეს
ასე ძვირფასი შენი ქალობა.

ქალს ის უხდება, ქალს ის ამშვენებს,
თუ ის მორცხვია, თუ ის ნაზია.
მარტო სიმორცხვე ვერ აგვაშენებს,
ის არც გვიზიდავს, არც ლამაზია.

შენ კარგად იცი ჩვენი წარსული,
როგორ იბრძოდნენ ჩვენი დედები,
ბევრი ლამაზი ქართლის ასულის
სისხლით ნაპოხი დგანან ქედები.

დასაგმობია, ცუდზე ცუდია,
განზე რომ დარჩე ცოდნის ამარა.
ზოგს წიგნი იპყრობს და არ უცდია
მისი სინათლის ხალხში გატანა.

გზა, გზა მონახე, დროა, ნუ კრთები,
შენებრ ქალების განსჯა გვწყურია.
ეგ ასაფრენად გაზრდილი ფრთები
გაშალე, ძირს ნუ დაგიწურია.

ღირსეული ხარ, მსურს, გაანათო,
გახდე საქვეყნოდ ისე ცნობილი,
გეტრფოდეს ხალხი, არ იყო მარტო,
განდგომილობის ფიქრს მინდობილი.

1962

სამი სიმღერა

I

ხე ხარობს
    მშვენდება,
ჰყვავიან კვირტები,
გუნდ-გუნდად
    მოფრინდნენ,
მოფრინდნენ ჩიტები,
ტოტებზე დამწკრივდნენ
ეივილით, ხივილით,
მათ ფრთებზე ეფრქვევათ
მზის სათნო ღიმილი.
იებით შეიმკო
ფერდობზე ჩირგვები,
ამღერდნენ,
    ამღერდნენ
        ამღერდნენ ჩიტები.

II

აფეთქდა
    მინდვრებზე
        ყვავილი —
ცისფერი,
    მზისფერი
        წითელი;
ეს დილა უნისლო,
        ნანატრი,
უთვალავ ფერების მტვირთველი,

მთას ამკობს,
ბარს ამკობს,
და უხმოდ
ჩემს სულში,
ჩემს გულში იკრება,
იკეკეს,
საკინძი შეიხსნეს
ზვრებისკენ დაძრულმა ბიკებმა.

III

ეს ჩიტები,
ეს იები,
ტყის მღელვარე ფერი,
გაფანტული ყვავილები,
ნაკადულის ჩქერი,
ადიდებულ მდინარის ხმა
და ბუბუნი მთების,
ცის სიღრმეში
ფრინველების
მიმალული ფრთები,
ტყიდან შაშვის შემოსტვენა,
ხეთა შარიშური,
ბღუჯა-ბღუჯა კორჩიოტა,
მწყემსის სალამური,
თუ მიტაცებს,
თუ ფრთებს მასხამს
თუ ოცნებით ვტკბები,
არ იფიქრო,
არ გეგონოს,
შენ არ მენატრები.
შენი ყელი,
შენი სახე,
ეგ ჭკვიანი თვალი
მარად მახსოვს
და იქნება
სულის ნაპერწკალი.

1953

მას მოუარე როგორც სახსოვარს

არ გასცე, არა, შენ ის სახელი,
რაც ჩემგან შენი მშვენებით გქვია.
მგონი არ არის ეს დამძრახველი,
ეს სურვილია, სურვილი ღია.

ატარე ფრთხილად ის საიდუმლოდ
და მოუარე როგორც სახსოვარს.
არსად, არასდროს არ გაუმხილო,
არც ცოლსა სთხოვს და არც გასათხოვარს.

მეგონა, მაგრამ არ დარჩა, არა,
ტრფიალი ჩვენი გაუმხელელი,
ყველაფერს თურმე გახდის აშკარას
ეს დალოცვილი წუთისოფელი.

სახელი მაინც ჩემგან რქმეული
დამალე შენში, გულით ატარე.
ის ისე მიყვარს, ვარ შეჩვეული,
არ მინდა იმით უხმონ პატარებს.

არ მინდა, არა, ერქვას სხვა ვინმეს
შენს გარდა ქვეყნად მეის სახელი.
როგორც არ მინდა, თუნდაც ოდესმე,
სხვა მოგეფეროს ან ხმით, ან ხელით.

1960

* *

საბრალოაო, რომ თქვან, არ მინდა,
მინდა, დღითიდღე მეტად იხარო,
დარჩე მარადის ასეთი წმინდა,
ახლოს არავინ არ გაიკარო.

შეპყრობილი ვარ ისე ამ ჟინით,
ვერ გავუსწორე სხვა მრწამსს თვალები...
შენ კი ჭაღარას იღებავ ინით,
მე გაკვირდები და მებრალები.

1959

ერთი განწყობილება

I

ისევ, ისევ ისე დავრჩი,
როგორც ვიყავ უწინ.
დღე ილევა და არ ვიცი
კენტია თუ ლუწი.

ეს ერთი თვე, ამ ერთი თვის
ცისკარი თუ ღამე
ძილი რაა, აღარ ვიცი,
დარდით მოვიშხამე.

თვალს მივლულავ, ისევ ვახელ,
თვლემის მეშინია.
სხვათა შორის ვიღებ ლუკმას,
მშია და არც მშია.

წიგნები და გაზეთები
მაგიდაზე ყრია.
მათ ახლოს არ ვეკარები,
ფიქრმა ამამღვრია.

ვაბოლებ და კვლავ ვაბოლებ
პაპიროსს თუ თუთუნს.
ყურს მივუგდებ ასში ერთხელ
ლურჯ მდინარის დუდუნს.

დაღვრემილს და ქანცმილეულს
ამოოხვრა მიმძიმს,

ფანჯარაში ვამჩნევ ნათლად
მაგ შენ თვალთა ციმციმს.

არვის ნახვა აღარ მინდა,
არც რა მახალისებს.
ვგრძნობ, მხოლოდ შენ ერთადერთი
მშველი ისევ ისე.

II

ამღერება მინდა, მაგრამ
ვიღაც მიშლის ხელს.
არ მასვენებს, ჩამჩურჩულებს
სიტყვას შიშისმგვრელს.

ვებრძვი, ვებრძვი, ვეომები
ამ უჩინარ ლანდს.
მოვიშორებ, უკან ვტოვებ
ეკალსა და ბარდს.

ხმას ვიმაღლებ და სიმღერას
ვუხსნი გზას და კვალს.
ის კი მაინც მემუქრება,
არ შორდება კარს.

მე კი მჯერა, ვერ დამჯაბნის,
ვერ ჩამიხლეჩს ხმას.
ცხადია კი მაღონებს და
მართმევს დროს და ხანს.

III

დღემ იმატა, მზე მეტყველებს,
რომ ზამთარი მიდის.
სადაც არის აფეთქდება
ყვავილები შინდის.

დათბა, დატკბა, სალამურის
ხმა გზად დამეწია.
ბუჩქის ძირას, ბუჩქებს შორის
ხარობს ია-ია.

გაზაფხულის სუნთქვა მესმის,
მისი გულის ძგერა,
უგზო-უკვლოდ დაფარფატებს
ნაზამთრალი ძერა.

ნაახალწლევს მოგელოდი,
შეპირების დარად.
დღეს-ხვალობით ეს დღეები
ისე გაიპარა.

აჰა, ხედავ, ზამთრის ნაცვლად
გაზაფხულზე გელი.
მოდი, მოდი, ნუ გრცხვენია,
მომაწვდინე ხელი.

გაგაშავებს, დაგამშვენებს
გაზაფხულის დარი.
რა გგონია, აქაცაა
შენი შესადარი.

ნაზია თუ ნაზიბროლა
წრომით ანთებული.
(არ იწყინო თუ გაკადრე
სიტყვა მართებული).

მოდი, მნახე, გული ჩემი,
თუ გსურს, რომ არ მოჭკნეს.
აწ ვაზის სხვლას შევუდგები,
ლერწი ამიბოჭე.

1960

უთარიღო გარათი

იმ დღეს მიცდიდი, მიმელოდი, მაგრამ ვერ გნახე,
ვერ გნახე, დარჩი, დარჩი ჩემგან გაწბილებული.
მე არ მშორდება ახლა შენი შემკრთალი სახე,
ყარგი თვალები, თითქოს ოდნავ აცრემლებული.

და ამ სურათთან შეტოტებულს ღელვა მერევა,
დანაშაული მსურს, როგორმე გამოვისყიდო.
ოდნავ თუ ვახლე ხელი მე შენს მშვენიერებას,
ვნაობ... შორიდან გეფერები დღეს ერთხელ კიდევ.

მინდა, იცოდე, არ იფიქრო თითქოს გამადლი,
ცოდვა ვიქნები შევიტანო ექვი ამაში!
ხომ არ გსმენია, ხომ არ მითქვამს ეს მე მანამდი,
რომ ბევრჯერ შენთვის შემოვქრილვარ დედაქალაქში.

უწმინდეს გრძნობით ანთებული მომქონდა გული,
და შენ კი ხშირად ხელი ცივად გამოგიწვდია.
უცებ შეცვლილი, ნირწამხდარი, თავჩაქინდრული, —
ვმდგარვარ შენს წინ და გამხნევებაც აღარ გიცდია.

ვდუმდი, ვითმენდი, საყვედური არ დამცდენია.
ყმარიყო ჩემთვის საოცნებო თვალთა ციმციმი.
აღიარების ამის ახლა მე არ მრცხვენია,
მაგრამ კაცნი ვართ, იქნებ ვინმეს წასკდეს სიცილი.

და რადგან მათი არ მქონია არასდროს ვალი.
დღეს კი, მით უფრო, ჩემთვის ეს რა საკადრისია.
მე შენ გიამბე, ვსთქვი, შენდამი სიტყვა მართალი
და ვინც გამკიცხავს, ვინც გამქირდავს, ზიზღის ღირსია.

იმ დღეს ვერ გნახე, გალოდინე და ისიც გწამდეს,
რომ არ მქონია ერთი წუთით ამის განზრახვა.
უთუოდ მუდამ ვარ შენს მიმართ სპეტაკი ცამდე.
არა ვარ, არა, ძრახვის ღირსი და ნუ დამძრახავ.

სანამ თვალს ვახელ, აშკარაა, ვერ მოგიშორებ,
მათ ყურს არ ვუგდებ, რაც სურთ, ღერღონ უგულო მტრებმა
და თუ დროდადრო შემაშფოთებს შენგან სიშორე,
მკურნალად მხოლოდ ისევ შენი ხმა მენატრება.

ხშირად მეტყვიან: მაგარ გულის კაცი რამ ხარო,
მაგრამ არა ვარ, ჩემო კარგო, ისე ლომგული.
ცრემლი არ წამსკდეს, უჩვეულოდ არ გავიხარო,
შენ ჩემს ჭიშკარში რომ გიხილო ფეხშემოდგმული.

ნეტავ რად მართმევ ამ სიხარულს, ამ აღტაცებას,
აბა დაფიქრდი, სულ მე შენსკენ სანამ ვიარო.
იქნებ გაოცდე, მაგრამ მითხარ რად გესირცხვება,
ჩვენ რომ ერთმანეთს ჩვენი სული გავუზიაროთ.

მომინახულე, კმარა, კრძალვას სულ ნუ ემონვი,
გამოაცოცხლე მშვენიერი შენი ქალობა...
რომ კვლავ მანთებდეს ის უბანი, ის გარემონი,
სადაც პირველად მოვისმინე შენი გალობა.

მე გერიდები

იქნებ მოგწყურდა ჩემი ალერსი,
ო, ეს არც ისე გასაკვირია.
იქნებ მოგბეზრდა გართობა ლექსით,
შეგიყვარდი და კოცნა გწყურია.

მე გერიდები და ველარ ვბედავ,
ბაგეებს შენსას რომ ვეამბორო.
იქნებ შემრისხო, მიმუხთლოს ბედმა,
სულწასულობამ ჩვენ დაგვაშოროს.

საით გავიქცე, ან რა ვქნა მაშინ,
აწ სად ვეძიო სხვა მეგობარი.
ვიტირებ, როგორც პატარა ბავშვი,
ამ ტრფიალის რომ შეწყდეს ზღაპარი.

1960

რად არ ჩამოხვალ

ა, ის ბილიკი, ის კაკლის ხე, ღობე, ასკილი,
შენ რომ გიყვარდა, შეხაროდი, ისევ აქ არი.
ის ნეკერჩხალი კვლავ ისე დგას ტოტებჩაფსკვნილი,
და დღენიადაგ არ შორდება ქვიშხური ქარი.

რად არ ჩამოხვალ, ეს სოფელი რად დაივიწყე,
არ გენატრება აქ გავლა და ის ციცი წყარო?
თუკი აგრეა, მშვენიერო, რომ ვსთქვა, ნუ მიწყენ,
რომ შენ სურვილიც არ გქონია, მე გამახარო.

1957

* *

რომ შემიყვარდი ეს ხომ ცხადია,
მაგრამ ტრფიალის მაფიქრებს ბოლო,
შენ გულში რა გაქვს, ან რა გწადია,
ამის გაგება მწყურია მხოლოდ...

1949

შენი ხმა

გრძნობით გამთბარი შენი ხმა ტკბილი
მე სულს მიამებს, მასვენებს, მართობს,
მორცხვი თვალებით შეხვედრა თბილი
მომაგონდება, როცა ვარ მარტო.

როცა ვარ მარტო მთაში, ნაძვნარში,
როცა მზე ჩადის, სალამოვდება,
მომაგონდება შენთან თამაში,
შენი სახება აღარ მშორდება.

როცა ვარ მარტო და ვფიქრობ შენზე,
როცა ნათელს მფენს ოცნება წმინდა,

როს ჩიტი ჩემს წინ ჭიკჭიკებს ხეზე,
შენი სიმღერის მოსმენა მინდა.

შენი ხმა სათნო, ნაზი და წმინდა,
მე სულს მიამებს, მამხნევებს, მართობს.
იმ ხმის შორიდან მოსმენა მინდა,
როცა ვარ გზაზე, როცა ვარ მარტო.

1948

• •

ქვლავ ამანთე, ამაბორგე,
ისე, როგორც მანთებდი.
გასართობად ავირჩიე
მთის ლამაზი კალთები.

ვერ მიშველა, გამოვიჭერ,
ჰა, მოველ შენ სახლამდი.
არვინ მითხრა, სად ისვენებ,
ეს კია, რომ არ დამხვდი.

ნეტავ სანამ გამყვება მე
ეს ღელვა, ეს წრიალი.
ღმერთს ვთხოვ, ისე მიმაძინოს,
შემრჩეს შენი ტრფიალი.

1963

• •

მაშინ პატარა იყავ,
როცა მე გაგიცანი,
შემციცინებდი, როგორც
ვარდზე ნასხური ცვარი.

მე არ მეგონა, ბრა,
ტრფიალი გახდებოდი,

მაგრამ თანდათან თურმე
იგი ვით მახე მოდის.

და ჰა, გავები, ტყვე ვარ,
მიხსენი, მომეშველე.
ლექსი არ ამიცრემლო,
სათქმელი დამიმშვენე.

1960

• •

არ გაგიმხილო, როგორ იქნება,
არ გაგაგონო, ვის მოვასმინო?
თუ ვერ გავბედე,
მწარე ფიქრებმა
რომ არ შემიპყროს, უნდა ესვა ღვინო.

გავლოთდე? არა!
ლოთი მიწოდონ,
მას მირჩევნია სიმორცხვე ეძლიო.
იქნებ შენ ხელი გამომიწოდო
და სადღეგრძელო შენი დავლიო.

1949

• •

შენ გეტრფი, შენს თვალებს
შევცქერი ფერებით,
ვაი, რომ დამშორდე,
ვიხარო მერე რით?

მერე რამ მამღეროს,
მერე რით ვიამო,
სულის და ოცნების
იავ და ნიავო!

1960

ᲛᲐᲨᲘᲜ

ᲣᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲨᲣᲥᲡ ᲪᲘᲡᲥᲕᲔᲨᲘᲗᲘᲡ ᲛᲖᲔ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ,
ᲒᲖᲐᲖᲔ ᲨᲔᲕᲩᲔᲠᲓᲘ ᲨᲔᲜᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ ᲒᲐᲠᲘᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲒᲐᲛᲕᲚᲔᲚ-ᲒᲐᲛᲝᲛᲕᲚᲔᲚᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲖᲔᲠᲐ ᲐᲠ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲐ,
ᲨᲔᲜᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲜᲣᲒᲔᲨᲡ ᲡᲣᲚᲘ ᲐᲠᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘᲐ.

ᲕᲮᲐᲠᲝᲑᲓᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲜᲗᲐᲜ ᲒᲐᲑᲐᲐᲡᲔᲑᲘᲗ,
ᲛᲔ ᲨᲔᲜᲘ ᲕᲘᲧᲐᲕ ᲘᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ.

1965

ᲐᲠᲐᲠᲐ ᲨᲔᲛᲠᲩᲐ ᲨᲔᲜᲖᲔ ᲣᲗᲥᲛᲔᲚᲘ...

ᲒᲖᲐ ᲓᲐ ᲒᲖᲐ ᲓᲐᲛᲓᲔᲕᲡ, ᲐᲠ ᲛᲨᲝᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘ,
ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲜᲘ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ, ᲐᲠ ᲛᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲩᲣᲠᲩᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ...
ᲛᲔᲛᲣᲓᲐᲠᲔᲑᲐ ᲤᲔᲠᲛᲘᲛᲙᲠᲗᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲮᲠᲘᲚᲘ:
ᲠᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲩᲥᲐᲛᲓᲔᲡ ᲨᲔᲜᲨᲘ ᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ,
ᲘᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲰᲥᲠᲝᲓᲘ ᲗᲐᲕᲑᲠᲣᲓᲐᲡᲮᲛᲣᲚᲘ,
ᲒᲐᲛᲘᲮᲡᲔᲜᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ...

ᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲛᲘᲩᲜᲓᲘ, ᲒᲐᲜᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛ ᲒᲘᲡᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔ,
ᲠᲐ ᲛᲘᲕᲣᲛᲐᲢᲝ, ᲩᲔᲛᲝ ᲙᲐᲠᲒᲝ, ᲘᲛ ᲦᲝᲑᲔ-ᲧᲝᲠᲔᲡ,
ᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲕᲐᲨᲔᲜᲔ,
ᲨᲔᲜᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗ, ᲢᲠᲤᲘᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔ.
ᲐᲠᲐᲠᲐ ᲨᲔᲛᲠᲩᲐ, ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲝ, ᲨᲔᲜᲖᲔ ᲣᲗᲥᲛᲔᲚᲘ,
ᲨᲔᲜᲖᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲗᲣᲗᲥᲕᲔᲚᲘ!

1974

• •

„შენ ჩემი თავი მოგიკვდეს
სალამი დაგიგვიანე“...
ხელი ვერაფერს ვერ ვკიდე,
ფიქრიც ვერ გაგიზიარე.

იმ შენს აივანს პატარას,
იქეთ და იქით ვუარე...
წარსულმა ერთხანს მატარა
და გვიან მითხრა უარი:

— ნუ შეაწუხებ, ნუ ერჩი,
ნუ მოაგონებ განვლილსა...
იცი?.. ძვირფასო, ამ რჩევამ,
დამნისლა, როგორ დამნისლა...

ხელი ვერაფერს ვერ ვკიდე,
ღიღინით ჩამოგიარე:
„შენ ჩემი თავი მოგიკვდეს,
სალამი დაგიგვიანე“...

1976

• •

„მოვკვდები, მაგრამ არ ვნანობ სიკვდილს,
თუკი ოდესმე მოგაგონდები“.
დიდი ხანია გაბუტული ვარ,
გიგონებ, გეტრფი, თავს ვხრი, ვღონდები...

ხომ გახსოვს იმ დღეს ახალი ლექსის
მოსმენა გთხოვე, შენ კი უარი
სთქვი და მას შემდეგ გულმოსული ვარ,
მას მერე შენი არ ვარ სტუმარი.

შენ არ მეძახი, შენ არ მიგონებ
და არც შორიდან მეხმიანები,

მომენატრება შენი თვალები
და არა ერთხელ გნახე ზმანებით.

ასე სანამდი, ასე სანამდი,
ასე სანამდი ჩვენი ცხოვრება...
დროა შევრიგდეთ, ის უარი კი
კუბოს კარამდე მემახსოვრება...

1980

დუმილის შემდეგ

ჯვარდაუწერელს, კენტად დარჩენილს,
ჩემს უკანასკნელ ტრფიალის მიზეზს.
ვით ყვითელ ფოთოლს ტოტზე გარჩენილს,
თვალს ვერ გაშორებ, დუმილით გიმზერ.

შენც, ვით მე, ცივი დუმილი გფარავს,
ლამის ვიყვირო, ქალო, ვაიმე.
მე თუ ვერ ვხვდები რა ვთქვა, რა არა,
შენ მაინც მითხარ, მითხარ რაიმე.

მე ადრე თქმული არ მსურს, დავფარო,
დავფარე მხოლოდ შენი სახელი.
გთხოვე: „არავინ არ გაიკარო,
არ მოგეფეროს სხვა ხმით, ან ხელით“.

ისმინე ჩემი რჩევა, მუდარა,
თუ სხვა მიზეზიც არის ფარული.
არ ვიცი ჩემს ხმას ხვედრმა უდარა,
თუ ისევ გბოქავს ის სიყვარული.

შენ ჯვარისწერის წუთების ელვა,
ელვა ციური, დამათრობელი,
არ განგიცდია... არც თრთოლვა, ღელვა
იმ დალოცვილი საგალობელის.

შევჩერდი... დავსვი კითხვის ნიშანი,
ირგვლივ ხაზს ვავლებ, ვამუქებ, რატომ?..
მე ვარ მიზეზი, მე დავაშავე,
თუ ბედმა შენმა დაგტოვა მარტო.

არ ვარ მისანი, შენ ხმას არ იღებ,
დუმილით მსუსხავ, მებრძვი, მახელებ.
ვიგონებ შენთან განვლილ თარიღებს
ისე, რომ არც ერთს არ ვასახელებ.

და დანაშაულს ვერ მივაგენი,
იმგვარს, მარცხვენდეს ხსენება მისი.
რად დაადუღე ერთურთს ბაგენი,
როს არ ვარ შენი შერისხვის ღირსი.

შენ თუ შუბლი და სუნთქვა შეჰკარი,
სანამ ვუცქირო დაბინდულ თვალებს
ქაცი, რომელიც ვეტრფი, შევხარი,
შვილთა ალერსით მომღიმარ ქალებს.

აჰა, ამ ლექსის ბოლო წერტილიც:
საამოდ გვფენდეს შუქს მზე და მთვარე,
წუ, ნუ დარჩები გულდაწყვეტილი,
შენ გაიხარე... შენ გაიხარე...

1969

• •

მაშინ ძლიერ გამიტაცე,
ვცადე ვეღარ დაგარწმუნე...
გული ჩემი გააორე...
შემიყვარდი... მაწუწუნე...

ცხადია რომ იმ ქარ-სიცხემ
ოჯახს თითქმის დამაშორა...
სინაზე და სილამაზე
შეერთდა და შემებრძოლა...

გარუჯული ის დღეები
ახლაც მერჩის, მკერდში ბუდობს...
შემძრავს შენი ხილვის ნდომა,
მინდა გზაზე ვიყურყუტო...

ხარ თუ არა ისევ ისე
ისე კარგი, ისე სუფთა...
ის ჭკვიანი შეგრჩა თვალი,
თუ ჩაჰქრა და ჩაიფუფქა...

შენი სახლის ახლოსა ვარ,
ვერ გხვდები, რად მემალები...
მერიდები?! გამარკვიე,
მამწარებ თუ გებრალები...

1978

სარჩევი

ზოგიერთი თავისებურება პოეტისა — ლავროსი კალანდაძე . 5
*** (მე და სიბერე?) 9
*** (ჩემს ღარიბ არქივს) 10
გულს 11
გასაუბრება 11
მოხუცი მამა 13
*** (ისევ მეძახის) 14
*** (გავუნაწყენდი) 14
შენ მეუბნები 15
*** (დიდი ხანია) 15
*** (შაშვი გალობს) 16
*** (დავწვები, დამეძინება) 16
*** (ვაქაცი მაშინ ხარ) 17
*** (ისევ და ისევ) 17
*** (სადღაც შაშვი აჭახჭახდა) 18
*** (ვუვლი ბაღ-ბოსტანს) 18
*** (აქ, ამ ეზოში) 18
*** (ცოტა ხანს) 19
პასუხი გურამ უგრეხელიძეს 20
*** (გადაიდარე, ჩემო ცაო) 21
ამღერდი, გულო! 22
მეგობრებთან 22
საავადმყოფოში 23
*** (გენატრებოდა გაზაფხულის გრილი წვიმები) 25
ჩონგური და განთიადი 26
და თუ ვერ ვზიდე 28
მეაბრეშუმე ცირა 28
მწამს გული რწმენით ალმოდებული 30
ჯეჯილის წვიმა 30
ერთი იმღერა 31
ლენინი 32
ყმაწვილ კაცს 32
მართალი ადამიანი 33
მაღაროს მუშას 39
ტაშისაკრელ მევენახეთა კარავში 39

გაზაფხული 41
გუთნის დედაო, ქართველო კაცო 41
გული დაჰყვა მამაცთა 42
ძმა გაახარე! 42
ძმისადმი 44
სურათი 45
ახოთამწყობებს 45
იქნებ დამშვიდდი... 46
მოხუცი მასწავლებელი 46
წუთიდან წუთამდე 47
ქვიშხელ მოხუც კოლმეურნეს 49
*** (დაწყნარებულ დღეს) 50
გაინავარდე, გულო ჩემო, გაინავარდე 51
ბერიკაცები 51
წვიმების შემდეგ 52
აქ როგორმე არ დავაღამოთ 53
თოვლი და ვაზი 54
ძაგების ოსტატი 56
წვიმიანი შემოდგომა 56
თუ გწამს, თუ გიყვარს წუთისოფელი 57
სამშობლოს შევარდნებს 58
მჯერა აპრილს მოვესწრები 59
ილიჩის შეხვედრა მოხუც კაზაკთან 60
კოლმეურნეებს 64
გართობა მინდვრად 64
სათემოს უბანი 66
ახლა რუსთავში მუშაობს იგი 67
*** (ვინც კი ხუცდება) 68
ჭაბუკი მევენახის სიმღერა 68
ბარათი მეგობარს 69
ახალგაზრდა მომღერალი 72
პასუხი 73
წიგნი და მამა 73
გამთენიისას 74
პატარა მენახშირეს 75
განვლილი დღეები 76
ქუთაისელ მეგობრებს 78
თადა გეთია 79
*** (მეცხრე პაპიროსს) 80
ტაშისკართან 81
აღსარება 82
გაგიგონიათ ყივილი გედის? 84
მერი ნიჟარაძეს 85
სამგლოვიარო 87

მერის ცაცხვთან 88
*** (ერთი კარგი მოსაუბრე) 88
სიხარულის დღეები 90
სიზმარი 94
ეს დღე, ეს წუთი 94
გასაუბრება 95
ყვავილი 96
*** (არ მიყვარს, არა) 97
დაუვიწყარი დღე 97
სიცოცხლეე ჩემო 98
მეგობრისადმი 98
№—ს 100
ვინმეს წინაშე 100
და ვეძებ... ვეძებ... 101
პასუხი მეგობარს 101
*** (შენ ისეთ რამეს მოჰკიდე ხელი) 102
ცრუ 102
ცხენენჯი 103
პასუხი 104
შინ და გარშემო 105
ღრუბლიანი დღე 107
*** (ისევ და ისევ) 107
მიტოვებული ეზო 108
მშობლიურ სოფელში 108
*** (რა კარგი დღეა) 109
ნანი ბრეგვაძეს 109
ერთი მოხუცი 110
სურათი 115
ნამოსახლართან 115
ის ცოცხლობს ჩემში 116
რიონჰესის მუშებს 117
*** (გაგაცოცხლოს საქმემ უნდა) 118
ნეტარი წუთი 118
შვილი 118
რიონს 119
ნუ მემუქრები 120
გაზაფხულის დღეები 120
დედა 121
მეევნახე ქალიშვილს 122
დალოცვილია მისი ჭიშკარი 123
ბარიტის მემაღაროეს 123
*** (თავს ვეღარ ვუვლი) 124
შემოდგომა მთაში 125
თქვენ ძმა დაჰკარგეთ 125

*** (ვერ იქნა) 126
მოგონება 127
ამ სიწყნარეში 128
მოხეცის ფიქრი 128
წარსულიდან 129
მწამდა, მეგონა... 130
მეგობარს 130
მგზავრული 131
კოლხი ქალიშვილი 132
მიქელა 132
ის ყვავილებს ახარებს 133
თბილისს 134
გაზაფხული 135
ზეიმი 135
თვალში გამოვიხედე 136
რასაც შენ ეტრფი 136
იშრიალე ქარო 137
დედა 137
ცაო მაღალო 139
ვიმღეროთ ერთად 139
*** (დამშვიდებული სული) 140
მე მიხარია 140
*** (დღე გათენდება) 141
მეზობელი 142
მე და წისქვილი 143
*** (ის ეშხი) 143
მომღერალს 144
ჩიტს 144
*** (დეკემბრიდან თოვლი მფარავს) 144
ლოდინი 145
სოფლად 145
მეგობარს 146
აქ ვერ ვისვენებ 147
შეძახილი 147
ერთი შემოდგომის სურათი 148
შენ... 148
მერე კი, მერე... 149
*** (დაივიწყე?) 150
დაიმახსოვრე 150
მაინც, მაინც გავუღიმოთ ზეცას 150
პოეტს 151
*** (უკრავდა იგი...) 152
შენ... 152
*** (წეწუნით წყენის თხრობა გჩვევია) 153

*** (ასე ერთბაშად) 153
ფიქრი 154
*** (ახლა დაღლილი ხარ) 154
არ დამორჩილდე 154
ისევ იქ, სადაც დასრულდა ყრმობა 155
*** (ეს დღეც დამშორდა) 157
მორდუს წერილი 157
წერილი მეგობარს 159
დედავ თბილისო 162
ნანული 163
დედის სიმღერა 164
შვილობილი 164
გაზაფხულია 165
შინმოუსვლელის მეუღლე 166
ბრძოლის ველიდან უაჩაღები განიდევნება 168
სიტყვა მშვიდობის დასაცავად 169
ერთი გლეხკაცი 170
უკანასკნელი მგზავრობა 171
ეს ერთი ღამე 173
მოგონება 173
დილით 174
გაეას 174
განთიადი და ბულბული 176
ალექსანდრე ყაზბეგს 177
რომ დაცხრეს სული 178
ის მწამს, მას ვეტრფი 178
ხე წარწერებით 179
გალაკტიონი 180
უწმინდესი წუთი 180
ნოე ჩხიკვაძეს 181
აღარ მასვენებ 182
შევჩენკო საპყრობილეში 182
მეგობრებს 184
ქუთაისს 184
ჩიტო პატარავ 186
დედაქალაქის ერთერთ უბანში 186
შემბიბინებდეს იგი მე 189
გიორგი ქუჩიშვილის ხსოვნას 189
ბულბულს 190
ლეო ქიაჩელს 191
ეს ერთი ლექსიც 191
*** (მე მწამდა ლექსი) 193
მეგობარ პოეტს 193
მწერალთა სასახლის ბაღში 195

ვიქტორ გაბესკირიას 195
ნუ მეტყვი... 196
უშანგი ჩხეიძეს 197
ცისკარი 198
ლია წერილი სიმონ ჩიქოვანს 199
ქუთაისს 200
ბესარიონ ყღენტზე ფიქრის შემდეგ 200
ბავშვი 201
*** (ვფიქრობდი...) 201
მათი ჩურჩული 202
ურითმო ლექსების ავტორს 202
გიორგი ნატროშვილს 203
დიდება შენდა 204
დღეები ქუთაისში 204
დავით გაჩეჩილაძეს 205
ირაკლი აბაშიძეს 208
შაჰრუხ ჩარკვიანი 209
სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს 210
თათუ ტოგონიძის ხსოვნას 211
ყრმობის მეგობარს 212
ეს წუთიერი არ არის ფიქრი 213
სადაც პირველად იას ვაკოცე 214
ვარდის სტუმარი 215
იმ აივანთან 215
უსათაურო 216
ჩემი გაზაფხული 217
დაუვიწყარო 218
გაუჩინარდი 219
ლანდი 219
ყვავილნარში 219
ნაძვებთან 220
რეეული 220
ის გაფითრება წაგართვა ხანმა 220
რად ვერ გივიწყებ 221
თათუს 221
ამ ცის ტრფიალს 222
ნუ მეტყვი მწარეს 223
აქ იყავი, აქ 223
პასუხი 224
უცნობ ქალს 225
მაღლარის ლერწთან 225
ცაცხვების ჩრდილში 226
№-ს 227
ის ჯადო ქრება 227

*** (ისვენებ დაღლილი) 228
გუშინდელი ლექსი 228
უსათაურო 229
ნუთუ დამშორდი 229
დავშორდით ერთმანეთს 230
ელის და უცდის... 230
*** (გაიელის დღენი) 231
ნ.—ს. 231
ღირსეული ხარ და გაანათე 232
სამი სიმღერა 233
მას მოუარე როგორც სახსოვარს 235
*** (საბრალოაო რომ თქვან, არ მინდა) 235
ერთი განწყობილება, ... 236
უთარიღო ბარათი 239
მე გერიდები 240
რად არ ჩამოხვალ 241
*** (რომ შემიყვარდი) 241
შენი ხმა 241
*** (კვლავ ამანთე) 242
*** (მაშინ ბატარა იყავ) 242
*** (არ გაგიმხილო) 243
*** (შენ გიტრფი) 243
მაშინ 244
არარა შემრჩა შენზე უთქმელი 244
*** (შენ ჩემი თავი მოგიკვდეს) 245
მოვკვდები, მაგრამ არ ვნანობ სიკვდილს 245
დუმილის შემდეგ 246
მაშინ ძლიერ გამიტაცე 247

Кешелава Бондо Константинович

СТИХИ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1985

რედაქტორი თ. დაუშვილი
მხატვარი დ. ბერძენიშვილი
მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჭელიძე
კორექტორი დ. ცინცაძე, გ. მალანია
გამომშვები მ. წივწივაძე

ს. ბ. № 4422
გადაეცა წარმოებას 10.05.84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.09.85.
უე 03172. საბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108 1/32. გარნიტურა ვენა.
ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 13,44. პირ. საღ.-
გატ. 13,44. სააღრ.-საგამომც. თაბახი 10,08. ტირაჟი 10 000. შეკვ.
№ 1268.
ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.